გისურვებთ ბედნიერ 2013 წელს!

ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით
ფასი: 1 ლარი
№1
2-8.I 2013

„ყველას პატრონი მე ვარ და ჩემი პატრონი როგორ ვიპოვო?!“

მაგდა ვასაძე: „იყო შემთხვევა, როცა სცენაზე ტირილით ვმღეროდი“

გვ.9

„ქალებს მეტის მიღწევა შეგვიძლია, ვიდრე მამაკაცებს“

გვ.14

„ჩემმა შვილმა ბებიამისი აბაზანაში ჩაკეტა“

„გაჭირვებამ გამძლეობა შემმატა“

ახალი წლის ღამეს თეა სიჭინავა მაგიდის ქვეშ ძვრება

ტელეჟურნალისტის ეკრანული და პირადი ცხოვრება

გვ.6

გიორგი ბარბაქაძის დედ-მამა ჯეკოს მშობლებზე ეჭვიანობენ

გვ.30

ლუბა ელიაშვილი: „ქმარი თავის მომზადებულ ჩაიზე მპატიჟებს ხოლმე“

გვ.15

ნანიკო ხაზარაძის შეყვარებული ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორია

გვ.35

თეა გოგეჯიშვილი: „ჩემს შვილს რაღაც რომ აწუხებს, მაინც ღიმილით გიყურებს“

ISSN 1987-9369
9 771987 936002

იღბლიანი როგორ გადაირჩინა თავი მეცხრე სართულიდან გადმოფრენილმა ბიჭუნამ გვ.10

გპასუხობთ ექსპერტი

1. რა იწვევს საჭმლის მონელების დარღვევებს?

საჭმლის მონელების დარღვევები ვითარდება საჭმლის მომნელებელი ფერმენტების უკმარისობის შედეგად.

ხელშემწყობი ფაქტორებია:

- არარაციონალური კვება;
- ალკოჰოლის და თამბაქოს ჭარბი მოხმარება;
- კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავისა და სანაღვლე სისტემის დაავადებები;
- გენეტიკური ფაქტორები.

2. რა ნიშნებით ვლინდება?

- სიმძიმე ჭამის შემდეგ;
- მუცლის ტკივილი;
- შებერილობა;
- ბოყინი;
- ფაღარათი;
- წონაში კლება.

3. რა მივიღოთ?

კრეზამი — საჭმლის მონელების დარღვევების სამკურნალო ეფექტური ფერმენტული საშუალება.

4. რითი სჯობია კრეზამი სხვა პრეპარატებს?

- **კრეზამი** შეიცავს საჭმლის მომნელებელი ფერმენტების იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია სრულყოფილი ეფექტის მისაღებად;
- **კრეზამი** თანამედროვე ტექნოლოგიითაა დამზადებული;
- **კრეზამის** კაფსულა ფერმენტებს მცირე ზომის გრანულების სახით შეიცავს, რაც უზრუნველყოფს კუჭში პრეპარატის სწრაფ და მაქსიმალურ შერევას საკვებთან;
- სწორედ ამიტომ **კრეზამი** ყველაზე სწრაფად ხსნის სიმძიმეს და დისკომფორტს ჭამის შემდეგ და ეფექტურად აწესრიგებს საჭმლის მონელებას.

აქცია PSP -ში!
მეორე — ნახევარ ფასად!

მალე, მალე, მალე!

ახალი პროექტი ჟურნალ „სარკესთან“ ერთად

ქართული კულტურის ოქროს ფონდი

ტომი 1

კოტე მარჯანიშვილი

თაკო ჩხვიძე: „პლასტიკურ ქირურგს აუცილებლად მივმართავ“

ზვიად სიჭინავა: „თითქმის ყველა პროფესია „მოვიზოვე“

პაატა გულიაშვილი გურამ ოდიშარიაზე ნაწყენია

გუგა კუჭანოვი სამი საშინელი ავარიიდან უვნებელი გამოვიდა

ნომერში

ტელესახე

ახალი წლის ღამეს თეა სიჭინავა მაგიდის ქვეშ ძვრება 6

კონკურსანტი

- თიკა ჯამბურია ახალ სიყვარულს ასაიდუმლოებს 8
- მაგდა ჯასაძე: „იყო შემთხვევა, როცა სცენაზე ტირილით ვმღეროდი“ 9

ილბლიანი

როგორ გადაირჩინა თავი მეცხრე სართულიდან გადმოფრენილმა ბიჭუნამ 10

გულახდილი საუბრები 12-13

მათი მშობლები

გიორგი ბარბაქაძის დედ-მამა ჯეკოს მშობლებზე ეჭვიანობენ 14

ცხელ-ცხელი ამბავი

ნანიკო ხაზარაძის შეყვარებული ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორია 15

პოლიტიკა

- მანანა კობახიძე: „ირაკლი ღარიბაშვილს შს სამინისტროში არასწორი ინფორმაციები მიეწოდება“ 16
- კახი კახიშვილი: „2013 წელს იქნება პოლიტიკური ბრძოლა წესების გარეშე“ 17
- ირაკლი ოქრუაშვილს არც ერთი ბრალდება უმტკიცდება 18

გზა ტაძრისაკენ

ეკა ქუთათელაძე: „პატრიარქმა მითხრა, მსახიობობას თავი არ დაანებოო“ 20

სცენის მიღმა

პაატა გულიაშვილი გურამ ოდიშარიაზე ნაწყენია 22

ბურთი და მოედანი

საქართველოს წლის ფეხბურთელის ჰოლანდიური ცხოვრება 23

TV სალონი

ქეთი ელიეშვილი: „ქმარს დიდხანს ვყავდი დაბლოკილი“ 25

ცხოვრების საქმე

ოთარ ტატიშვილი: „ესტრადაზე ხალხს სასულელეებს ასმენინებენ“ 26

ეტაპი

ზურა ხაჩიძე სცენაზე შვილთან ერთად ბრუნდება 27

მოზარდები 28-29

საამზარეულო

ლუბა ელიაშვილმა ცომეულის მორჯულების საიდუმლო იცის 30

ცხოვრების გაკვეთილები

ზვიად სიჭინავას ბიოგრაფიის დეტალები 31

ავტომოყვარული

გუგა კუზანოვი სამი საშინელი ავარიიდან უვნებელი გამოვიდა 33

სარკის წინ

თაკო ჩხეიძე: „პლასტიკურ ქირურგს აუცილებლად მივმართავ“ 34

დედა-შვილი

თეა გობეჯიშვილი: „ჩემს შვილს რაღაც რომ აწუხებს, მაინც ღიმილით გიყურებს“ 35

ცხოვრება ჩემოდნებზე

როგორ მოგზაურობენ კოტე ფურცელაძე და „ბედნიერება“ 39

მეგზური

უილიამსბურგი — მოგზაურობა მე-18 საუკუნის ამერიკაში 40

ჩემი მშვენიერი ლედი

გოგი დოლიძე: „თუ კაცი გიყვარს, არ უნდა სთხოვო, ცოლი გაუშვი და მე შემირთეო“ 44

სახალისო 46-47

შეშლილი. შეშლილი. შეშლილი მსოფლიო 48-49

იყავით ჯანმრთელი

- მენიუ „რკინის“ ლედისთვის 50
- ზედმეტი ძილიც საშიშია! 50
- გვპასუხობს ექიმი 51

მხოლოდ ქალებისთვის

- როდის უნდა იყოს ცოლი ფხიზლად 52
- ვაქრობთ ღაბაბს 52

სიცილის გვერდი 53

ერთი ქალი და გათხოვების სამი უიღბლო მცდელობა

„კარგი მამაკაცები გვერდს მივლიან“

ადამიანის ცხოვრებას ბედისწერა განაგებს თუ თავად ადამიანია საკუთარი ბედის მჭედელი? ამ რიტორიკულ კითხვას, რომელიც ათასწლეულებს ითვლის, პასუხი დღესაც არ აქვს.

ჩვენი რესპონდენტი, ქალბატონი მადონა, იმ კატეგორიას ეკუთვნის, თავის მარცხს ბედისწერას რომ აბრალებს და საკუთარ როლს ცხოვრების უკეთესად წარმართვაში მინიმალურ მნიშვნელობას ანიჭებს: „განა მე არ მინდოდა, რომ იღბალი მქონოდა?!“. რასაკვირველია, ბედნიერება ყველას გვინდა, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ თუ მაინცდამაინც იღბლის გვჯერა, მან გაგვიღიმოს?

გვ.42

ქალური მოთხრობები

ლელა ცუცქირიძე — განსაკუთრებული ახალი წელი 58

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 60

ადამიანის ინსტიტუტი 62

გახმაურებული საქმე

ირაკლი მიქაბერიძე: „გვეუბნებოდნენ, იარაღის ტარება გვეღლიარებინა. მერე ბუტას სულისთვის რა პასუხი გამეცა?!“ 65

წმინდანები

იმაზე ბედნიერი არავინ არის, ვისაც ღვთის არსებობა ნამდვილად სწამს და ამაში ეჭვი არ ეპარება 67

კითხვები მოძღვარს

„ჩხუბის დროს იმან დათმოს, ვინც მეტი რამ იცის უფალზე“ 68

საბავშვო გვერდი 69

ხელსაქმე 70

№1 (768) 2 — 8 იანვარი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 30.12.2012, 21.00 სთ-ზე.

ილია II: „მატერიალური საუნჯე ადამიანს მხოლოდ სამარის კარამდე მიაცილებს“

ილია II

ლრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 30 დეკემბერს, საკვირაო ქადაგებისას, როცა სრულიად საქართველოს დამდეგი ახალი წელი და შობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა, მატერიალური და სულიერი საუნჯეების არსზე ისაუბრა.

— უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს, რომ სადაც იქნება საუნჯე შენი, იქ იქნება გული შენი. აი, ეს არის უდიდესი საკითხი, რომელიც ყოველი ადამიანის წინაშე დგას. სად არის და რაშია ჩვენი საუნჯე — მატერიალურ კეთილდღეობაში თუ სულიერ ამაღლებაში? მატერიალური ადამიანს მხოლოდ სამარის კარამდე მიაცილებს და სულიერი გაჰყვება სასუფეველში. უფალი არაერთხელ გვეუბნება, თუ რაშია ჩვენი ცხოვრების სიმდიდრე. წმინდა ილია მართალი ბრძანებდა — ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ეს სამი საუნჯე უნდა გვახსოვდეს. ღმერთი არის ჩვენი შემოქმედი და დამბადებელი. ის არის საფუძველი ყველაფრისა. ეს უდიდესი საუნჯეა, რომელსაც ადამიანი გრძნობს და ჩვენი სული აღიქვამს მას. ეს რომ არ იყოს, ჩვენს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა.

მეორე საუნჯე — ეს არის სამშობლო — ადამიანი სადაც უნდა წავიდეს, არ უნდა გაწყვიტოს კავშირი თავის სამშობლოსთან. ყოველთვის უნდა ახსოვდეს, თუ სად იყვნენ მისი მშობლები და სად არის მისი სამშობლო. მესამე საუნჯეა ადამიანი. ჩვენ უნდა ვაფასებდეთ და პატივს ვცემდეთ მას. ის არის უნიკალური ქმნილება. ეს სამი საუნჯე აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, — ბრძანა უწმინდესმა და მადლობა გადაუხადა უფალს იმისთვის, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც მართლმადიდებლური სარწმუნოება აქვს.

მერაბიშვილის ცოლი დაკითხვაზე გამოცხადდა, გურამ დონაძე პასუხების გაცემას „სკაიპით“ აპირებს


გურამ დონაძე

სამართალდამცავებისთვის კითხვებზე პასუხის გასაცემად მისვლა შს ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეუღლეს, თაკო სალაყაიასაც მოუწია. დაკითხვა მთავარ პროკურატურაში საათნახევარს გაგრძელდა. პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ სალაყაიას ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია. მისი ადვოკატის, გოგიტა გაბაიძის თქმით, სალაყაია მოწმის სახით დაიკითხა და გარკვეულ შეკითხვებს პასუხიც გასცა. მოგვიანებით კომენტარი თავად პროკურატურამ გააკეთა და აღნიშნა, რომ სალაყაია 2005 წელს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაიკითხა, რა დროსაც სალაყაიას შეურაცხყოფის ბრალდებით პოლიციელები სცემეს.

ამავე საქმეზე სასამართლომ პატიმრობა კუდ-ის ყოფილ უფროსს, დათა ახალაიას, კუდ-ის სხვა თანამშრომლებს — სოსო თოფურიძეს, გერონტი ალანიასა და ოლეგ მელნიკოვს დაუსწრებლად შეუფარდა. საქართველოში არც ერთი ბრალდებული იმყოფება.

გამოძიების დაინტერესების მორიგი ობიექტი გურამ დონაძე გახლავთ, რომელიც სალაყაიასთან ერთად გირგვლიანის საქმეში ფიგურირებს. დონაძე უცხოეთშია და მზად არის, გამოძიების შეკითხვებს „სკაიპით“ უპასუხოს.

თაკო სალაყაია

— მე არ ვიმალები და არც ვაპირებ, დავემალო გამოძიებას. ნებისმიერ დროს მზად ვარ, ნებისმიერ კითხვაზე პასუხი გავცე, რომელიც ჩემ მიმართ ექნებათ. ამ დროისათვის მე სასწავლებლად ვიმყოფები უცხოეთში და გადახდილი მაქვს გარკვეული თანხა. როცა საცხოვრებელ მისამართზე პროკურატურიდან მომივიდა პირველი უწყება, ჩემი პირადი ტელეფონით დავურეკე საქმის გამომძიებელს და ვაცნობე სიტუაცია. იქვე ვუთხარი, თუ ჩემი დაკითხვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას და გამოძიებას ხელი რომ არ შეეშალოს, მზად ვარ, თქვენს ნებისმიერ კითხვას ვუპასუხო „სკაიპით“ ჩემი ადვოკატების თანდასწრებით, რასაც გააჩნია მტკიცებულების ძალა. თუმცა, მიუხედავად ჩემი შეთავაზებისა, გამოძიების მხრიდან ამ დრომდე არავინ გამომხმაურებია. თუ ობიექტური და სამართლიანი გამოძიება იქნება, მხოლოდ ამ შემთხვევაში საზოგადოება ერთხელ და სამუდამოდ გაიგებს სიმართლეს და და თქვენც დარწმუნებდით ჩემი და სხვა ბევრი ადამიანის უდანაშაულობაში, — აცხადებს დონაძე.

გარდაცვლილი ბადრაგის ოჯახს 15 ათას ლარს გადაურიცხავენ

სასჯელაღსრულების სამინისტრომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი ბადრაგის, ჯამბულ ხოშურაულის ოჯახს 15 ათასი ლარი გადაურიცხა. ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა 29 დეკემბერს გაავრცელა განცხადება.

50 წლის ბადრაგი ღუდუშაურის კლინიკაში 22 ნოემბერს მომხდარი ინციდენტის შემდეგ გარდაიცვალა. საავადმყოფოში მყოფმა პატიმრებმა ექიმს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ხმაური ატეხეს. ჯამბულ ხოშურაულმა რეაგირება მოახდინა, ინციდენტის აღკვეთას შეეცადა, სიტუაციის განმუხტვის შემდეგ კი უეცარი სიკვდილით გარდაიცვალა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრმა „სარკესთან“ აღნიშნა, რომ საქმეს ჯერ კიდევ იძიებენ. ოჯახმა არ იცის, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მიუხედავად იმისა, რომ ჯამბულ ხოშურაულის სიკვდილის ოფიციალურ ვერსიად გულის შეტევა სახელდება, ვითარება, რომელშიც სრულიად ჯანმრთელი მამაკაცი დაიღუპა, ჯერ გაურკვეველია.

— ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ჯამბულმა ფეხზე მდგომმა გადაიტანა მიკროინფარქტი, მას აღენიშნებოდა სხვა დაზიანებებიც, ორი ნეკნი ჰქონდა გატეხილი. თვითმხილველები გვეუბნებიან, რომ პატიმარმა მას ხელი ჰკრა და ძირს დააგდო. ამ დროს უკვე ჰქონდა მიკროინფარქტი მიღებული, მერე ეს ტრავმაც დაემატა და ორგანიზმმა ალბათ ვეღარ გაუძლო. საქმე სამი პატიმრის წინააღმდეგ არის აღძრული. რაც შეეხება მისი დასაფლავების ხარჯებისთვის გამოყოფილ თანხას, როგორც გვეუბნებიან, ნაწილ-ნაწილ გადმოგვირიცხავენ, რადგან ბიუჯეტში საკმარისი ფული არ არის, — გვითხრა გარდაცვლილის დამ, მარინა ჟღენტმა, სოზარ სუბარის განცხადებიდან მეორე დღეს, 30 დეკემბერს.

ჯამბულ ხოშურაულს ორი ქალიშვილი დარჩა. ოჯახს მატერიალურად უჭირს. სარდაფის ტიპის ნაქირავებ ბინაში ბიბლიოთეკის დამლაგებლის მწირი ხელფასით ცხოვრობენ.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი; ოპერატორი – მარინა ჟღენტი; კორექტორი – ლანა გაბუნია, მაია ფიფია.

სარედაქციო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru

მდივანი – იზა ბარბაქაძე.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

რა რაოდენობის ნაღდი ფული აქვს ეკატერინე ხვედელიძეს და რა თანხა დახარჯეს მან და მისმა ქმარმა 2011 წელს უცხოეთის სასტუმროებში

ევროპაში ყველაზე მდიდარი პრემიერმინისტრის ქონებრივი დეკლარაცია

საქართველოს პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ქონებრივი დეკლარაცია 27 დეკემბრიდან საჯარო გახდა. დეკლარაციაში, რომელიც 30 გვერდისგან შედგება, აღნიშნულია, რომ ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრების მფლობელობაშია 49 მიწის ნაკვეთი საქართველოს მასშტაბით — ბაკურიანში, ჭორვილაში, საგურამოში, საირმეში, ნატანებსა და შეკვეთილში. მისი მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის სახელზე ირიცხება 6 700 კვ.მ მიწის ნაკვეთი რუსეთში. პრემიერის ოჯახი 47 საცხოვრებელი სახლისა და რამდენიმე არასაცხოვრებელი ფართის მფლობელიცაა. ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის შემდეგი კომპანიების ობლიგაციები და აქციები: „Raptor Pharmaceuticals Corp", „Investec Global Strategy Fund", „PIMGO Funds GIS PLc", „Goldman Sachs Group", „Equifax Inc Shares" და სხვა კომპანიებში, რომელთა ჯამური რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით 50-ს აჭარბებს. ასევე მის საკუთრებაშია ტექნოლოგიურ გიგანტ „Google"-ის 2 000 აქცია, თითოეულის ღირებულება 754 აშშ დოლარია. ივანიშვილის კუთვნილებაშია მსოფლიო ჰიპერმარკეტების ქსელის, „კარფურის" 30 000 აქცია, თითოეულის ღირებულება კი 1981 ევროა. პრემიერმინისტრს ეკუთვნის ასევე კომპანია „სიმენსის" 7 500, „Citigrup"-ის 7 500 და „პროგრესბანკის" 3 794 500 აქცია.

ბიძინა ივანიშვილი ეკატერინე ხვედელიძე

ივანიშვილის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული არ არის არც ერთი ავტომობილი, რომელსაც მისი ოჯახი ფლობს.

რაც შეეხება საქართველოს ან სხვა ქვეყნების საბანკო თუ საკრედიტო დაწესებულებებში არსებულ ანგარიშებსა და შენატანებს, ბიძინა ივანიშვილის სახელზე სოლიდური თანხები ფიქსირდება ბანკ „რასია"-ში, „რაიფაიზენბანკის" მოსკოვისა და ცენტრალურ ფილიალებში, ასევე „პროგრესბანკსა" და „ქართუში". ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ამჟამად ნაღდი ფულის სახით ეკატერინე ხვედელიძეს აქვს 295 000 დოლარი, 20 000 ევრო და 45 000 ლარი.

გასული წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით კომუნალურ გადასახადებში ბიძინა ივანიშვილის ოჯახს დახარჯული აქვს 160 966 ლარი, შემოწირულობის სახით — 21 467 040 ლარი, ხოლო ფიზიკურ პირებზე დახმარების სახით გაცემულია 660 631 ლარი.

ბიძინა ივანიშვილსა და ეკატერინე ხვედელიძეს 2011 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა სასტუმროებში გადახდილი აქვთ 195 000 აშშ დოლარამდე.

ამ დეკლარაციის მიხედვით, საქართველოს ევროპაში ყველაზე მდიდარი პრემიერმინისტრი ჰყავს.

განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი ცოლის ბინაში ცხოვრობს

დავით დარახველიძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე ცოლის ბინაში ცხოვრობს, მინისტრის მეუღლის, ნინო საგანელიძის სახელზეა გაფორმებული თბილისში არსებული 90 კვ.მ-ის ბინა.

სამაგიეროდ მინისტრის მფლობელობაშია ონისა და ამბროლაურის რაიონებში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელთა საერთო ფართობი 5.000 კვ.მ.-ია. დავით დარახველიძის სახელზეა ასევე გაფორმებული ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანაში 190 და 280 კვადრატულ მეტრზე განლაგებული 2 საცხოვრებელი სახლი. ასევე ამბროლაურში ფლობს 22 500 კვ.მ მიწის ნაკვეთს დავით დარახველიძის ვაჟი ალექსანდრე დარახველიძე.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მინისტრს მხოლოდ „ბეემვე იქს 5"-ის მარკის მსუბუქი ავტომანქანა ჰყავს. არც მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები ფასიან ქაღალდებს არ ფლობენ.

რაც შეეხება ბანკში გახსნილ ანაბრებს, აღმოჩნდა, რომ დავით დარახველიძეს ორი ანაბარი აქვს გახსნილი „თიბისი ბანკში" 9 000 ევროსა და 10 000 აშშ დოლარის ოდენობით. მინისტრის საკუთრებაში არსებული ნაღდი თანხა კი, დეკლარაციის მიხედვით, 20 000 ლარს შეადგენს.

მაია ფანჯიკიძე

მაია ფანჯიკიძე მდიდარი მინისტრების რიცხვში ვერ მოხვდა

საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ის მდიდარი მინისტრების რიცხვში არ შედის.

— როცა დეკლარაციას ვავსებდი, მივხვდი, რომ ჩემი ქონებრივი დეკლარაცია ბოლო წლების განმავლობაში არ შეცვლილა. მაქვს იგივე, რაც მქონდა მაშინ, როცა დიპლომატიური საქმიანობა დავიწყე. ეს არის ერთი ბინა და ერთი მანქანა, განსაკუთრებული არაფერი, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

საქართველოს მთავრობაში ყველაზე მდიდარი მინისტრი კახი კალაძეა

საქართველოს მთავრობაში ივანიშვილის შემდეგ ყველაზე მდიდარი, როგორც მოსალოდნელი იყო, ყოფილი ფეხბურთელი კახი კალაძე აღმოჩნდა. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი 4 ბინის, 3 საცხოვრებელი სახლის, 8 მიწის ნაკვეთისა და 2 არასაცხოვრებელი ფართის მფლობელია. მისი ოჯახის საკუთრებაშია 15 ავტომობილი და 2 მოტოსატრანსპორტო საშუალება, ხოლო შემოსავლის სახით ყოფილმა ფეხბურთელმა გასულ წელს 2 762 000 ევრო მიიღო.

კახი კალაძე

უძრავი ქონება, რომელიც მინისტრის საკუთრებაშია, ასე გამოიყურება: 364 კვ.მ ბინა თბილისში, 410 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი სახლი სამტრედიაში, 329,62 კვ.მ საცხოვრებელი სახლი წყნეთში და მეორე სახლი წყნეთში, რომლის ფართობიც 188,45 კვ.მეტრია. კალაძე მეორე ბინასაც ფლობს თბილისში, რომლის ფართობია 396 კვ.მ და მიწის ნაკვეთს სამტრედიაში, ფართობით 2400 კვ.მ. გარდა ამისა, კალაძე მიწის ნაკვეთს ფლობს ბორჯომში, დაბა ბაკურიანში. წყნეთშიც, ორი საცხოვრებელი სახლის გარდა, სამი მიწის ნაკვეთი აქვს, რომელთა ფართობიც 1060 კვ.მ, 1058 კვ.მ და 1139 კვ.მ-ია.

კალაძე ორ მიწის ნაკვეთს ფლობს თბილისში, რომელთა ფართობიცაა 271 კვ.მ და 3689 კვ.მ, ასევე ორ არასაცხოვრებელ ფართს ფართობით 359,5 კვ.მ და 897 კვ.მ.

მინისტრს უძრავი ქონება აქვს ქვეყნის ფარგლებგარეთაც. დეკლარაციის მიხედვით, კახი კალაძე ბინას ფლობს კიევში, რომლის ფართობი 220 კვ.მ-ია. ამავე ქალაქში მეორე ბინაც აქვს — 250 კვ.მ. მის მფლობელობაშია მიწის ნაკვეთი უკრაინაში, რომლის ფართობი 3000 კვ.მ-ია.

გიორგი მარგველაშვილს თავი ძალიან მდიდარი ჰგონია

საქართველოს განათლების მინისტრს, გიორგი მარგველაშვილს მიაჩნია, რომ ძალიან მდიდარია.

— ჩემს პროფესიასთან შედარებით, მე მგონი, ძალიან მდიდარი ვარ, რადგან ჩემი პროფესიის ხალხს იმდენი ფული არ აქვს, რამდენიც მე. ფილოსოფიური რომ გაქვს დამთავრებული და 60 ათასამდე გაქვს შემოსავალი, მგონი, ცუდი არ არის, მე მომწონს, მაგრამ ახლა იმდენი აღარაა, — განაცხადა მარგველაშვილმა, რომლის ქონება ასე გამოიყურება:

გიორგი მარგველაშვილი

თბილისში 120 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა იაშვილის ქუჩაზე, დუშეთში 200 კვ.მ.-ის საცხოვრებელი სახლი და სამი მიწის ნაკვეთი — 775 კვ.მ, 1200 კვ.მ, და 946 კვ.მ-ის ფართობის. მარგველაშვილს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორობის დროს, სადაც ლექტორადაც მუშაობდა, ანაზღაურების სახით ერთი წლის განმავლობაში აღებული აქვს 57 347 ლარი. მინისტრის დედა, მზეანა გომელაური, იმავე სასწავლებელში ლექტორი იყო და აღებული აქვს წლიური ანაზღაურება 1931 ლარი.

განათლების მინისტრი „თიბისი ბანკის" სახელფასო ანგარიშზე 10 829 ლარის, ანაბარზე 4 593 ლარის, „ბანკი ქართუს" სახელფასო ანგარიშზე კი 31 640 ლარის ოდენობის კრედიტს ფლობს.

Cyan Magenta Yellow Black

ახალი წლის ღამეს თეა სიჭინავა მაგიდის ქვეშ ძვრება

ტელეჟურნალისტის ეკრანული და პირადი ცხოვრება

ტელეჟურნალისტი, „მაესტროს“ ტოქ შოუ „არგუმენტების“ წამყვანი, თეა სიჭინავა, სოხუმელია, ამ ქალაქში დაბადებულ-გაზრდილი. დაახლოებით 20 წლის წინ თბილისში ლტოლვილის სტატუსით განაგრძო ცხოვრება. მისმა ოჯახმა ინჟინერი მამის დანაზოგით შეძლო დედაქალაქში ბინის შეძენა, ასე რომ, თეას ამ მხრივ გაუმართლა და ლტოლვილი თანამოძმეების მსგავსად არ მოუწია წლების განმავლობაში ჭერის ძებნა.

ჟურნალისტი დედისერთაა. მშობლების ხელისგულზე გაზრდილ ქალიშვილს ახლა კაცივით უწევს შრომა. მამა ინვალიდია, დედა — დიასახლისი. თეა ოჯახის ერთადერთი მარჩენალია. ამბობს, რომ ხშირად უჭირდა, მაგრამ არასოდეს მოქცეულა ისე, რომ ოდესმე ამის გამო შერცხვენოდა. „იმედის“ ჟურნალისტი გახლდათ. როცა მიხვდა, რომ ამ ეთერში სიმართლეს აღარავინ ათქმევინებდა, თბილ და კარგ შემოსავლიან პირობებს სახლში ჯდომა არჩია.

თეა სიჭინავა 35 წლისაა და დასაოჯახებელია. ყოველ ახალ წელს, შემორჩენილი სასაცილო ჩვეულებით, მაგიდის ქვეშ ხვდება ჩაფიქრებული სურვილით, თუმცა მერე არასოდეს ახსოვს, რა ჩაიფიქრა და აუსრულდა თუ არა. მიუხედავად ამისა, „ტრადიციას“ არ ღალატობს. სერიოზული იმიჯის მქონე ჟურნალისტი თურმე ბუნებით საოცრად მხიარული ადამიანია, მაგრამ ამის გამომჟღავნების საშუალება იშვიათად აქვს.

— თეა, ჟურნალისტის განათლება გაქვთ თუ მრავალი კოლეგის მსგავსად, თქვენც სხვა პროფესიიდან „მოხვედით“?

— ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე. მერე მუშაობა სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტის პრესსამსახურში დავიწყე. მაშინ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იყო. ვარდების რევოლუციამდე 6 თვით ადრე ჩემი მეგობარი მაია თაბაგარი „იმედში“ საინფორმაციო სამსახურის უფროსად დაინიშნა. მან წამიყვანა იქ და ასე აღმოვჩნდი ჟურნალისტიკაში.

ვინც ბავშვობიდან მიცნობს, ყველამ იცოდა, მუდამ როგორ მინდოდა ჟურნალისტობა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ფილოლოგიურზე ჩავაბარე და ვფიქრობ, კარგი განათლებაც მივიღე.

— როგორც წესი, ჟურნალისტები — პირიქით, კორესპონდენტობიდან პრესსამსახურისკენ ისწრაფვიან ხოლმე, რადგან იქ უფრო თბილი პირობებია.

— ნურავინ მიწყენს, მაგრამ ვფიქრობ, რომ პრესსამსახური ცოტა მოსაწყენია. მე აქტიური ადამიანი ვარ და „იმედში“ მუშაობის დაწყება ერთგვარი ტრამპლინი იყო ჩემთვის. როცა შემოთავაზება მივიღე, არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი. იქ ზუსტად იმ საქმეს გავაკეთებდი, რომელიც მიყვარდა. თავიდან რეგიონების კოორდინატორი ვიყავი, ანუ რაც „იმედის“ ეთერში რეგიონებთან დაკავშირებული მასალა გადიოდა, მე ვიღებდი და ვამზადებდი. კარგახნის განმავლობაში ოფისიდან არ გავდიოდი. საოფისე ჟურნალისტსაც მეძახდნენ. ყველაზე საზიზღარი მასალის გაკეთება მიწევდა. გადაღებიდან მოჰქონდათ მასალები და ნაკუწებიდან უნდა ამეწყო რაღაც. შემდეგ ნელ-ნელა დამავალეს სიუჟეტების კეთება, გარეთ „გამაგდეს“ და ასე აღმოვჩნდი აქტიურ ჟურნალისტიკაში, მოვლენების ეპიცენტრში. „იმედში“ 6 წელი ვიმუშავე. ვფიქრობ, რომ კორესპონდენტობა ყველა ჟურნალისტისთვის ყველაზე საინტერესოა. წამყვანობა კარგია, მაგრამ კორესპონდენტობას თავისი ხიბლი აქვს — საინტერესო ადამიანებთან კონტაქტი, მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა... არის სარისკო სიტუაციები, მაგრამ ამას ვერ გრძნობ. ჟურნალისტს ურჩევნია, მოვლენების ეპიცენტრში იყოს, ვიდრე გარედან აკვირდებოდეს.

— თუმცა ჟურნალისტობა ყველაზე სტრესულ პროფესიადაც არის აღიარებული. ეს ხომ თქვენც გამოგიცდიათ?

— კი, ასეა. ვიღაცას სცემენ, შენც გირტყამენ და ამ დროს მაინც ეთერში ხარ. ერთხელ გადაცემა „დროებიდან“ ზუგდიდში ვიყავი წასული და იქიდან მქონდა ჩართვა. მგონი, 2007 წლის ოქტომბრის ბოლო იყო, როცა გაერთიანებული ოპოზიციის აქციები იმართებოდა რეგიონებში. ჩვენმა ჟურნალისტმა, ნინი საყვარელიძემ, ისე მოიარა მთელი რეგიონები, ერთი ინციდენტიც არ მომხდარა. მე როგორც კი ჩავედი ზუგდიდში, მაშინვე რაღაცეები აირია. დაინგრა ქვეყანა, სცემეს მთელი ოპოზიცია. ბეჟან გუნავა მე მესაუბრებოდა, როცა სცემეს. კაცი სუპერმარკეტში ჩაიკეტა, იქიდან ვერ გამოდიოდა და ეს ყველაფერი პირდაპირ ეთერში ხდებოდა. 2007 წლის 7 ნოემბერზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! იმ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ. უნდა გავხსოვდეს ეს დღე იმისთვის, თუ როგორ არ შეიძლება ხელისუფლება მედიას ექცეოდეს. სრული ერთი წელი დამჭირდა, რომ სტრესიდან გამოვსულიყავი. მელანდებოდა, რომ ვიღაც შემომივარდებოდა სახლში, სულ მეგონა, რომ ვიღაც დამდევდა. იმ დღეს, 7 ნოემბერს, გადაღებაზე არ გავსულვარ, საეთეროში ვიყავი, როცა სპეცრაზმი შემოვარდა და დიდი ხანი დამჭირდა, რომ ამ ცხოვრებისკენ მოვბრუნებულიყავი.

„ისე გამზახდეს ეს დედისეთა ბოგო, ცივი ნიავი ახ მოუკახებით, საქმე საქმეზე ჰომ მიდგა, დამოუკიდებელი და აქტიური გავხდი“.

„იმედის“ მაუწყებლობა ჯერ აღდგა, მერე განახლდა. მფლობელი შეიცვალა, მაგრამ არხი არ დამიტოვებია და ველოდებოდი, რა მოხდებოდა. 8 თვე ვიმუშავე იმ შეცვლილ „იმედში“, რადგან მაშინ ასე თუ ისე ვახერხებდით ჩვენი აზრის გატანას. ნამდვილად ვერ შევადარებ იმ 8 თვეს შემდგომ პერიოდს. ინა გუდავაძემ გვთხოვა, რომ ვიდრე ჩვენს ღირსებას არ შელახავდნენ, არ დაგვეტოვებინა ტელევიზია. ეს მხოლოდ 8 თვის განმავლობაში გახდა შესაძლებელი, მერე — აღარ. ოპოზიციის აქციები იწყებოდა, როცა პატრიარქმა მოუწოდა ჯარს, ქართველ ჯარისკაცს ქართველი ხალხის წინააღმდეგ ძალა არ გამოეყენებინა და ზუსტად ეს, ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი, ამოჭრეს სიუჟეტიდან. როცა ვიკითხეთ, ეს რატომ მოხდა, გვიპასუხეს, თქვენი საქმე არ არისო. ეს იყო ნიშანი, რომ მოვლენები ისე განვითარდებოდა, ყველა საკითხზე გვეტყოდნენ, ეგ თქვენი საქმე არ არისო. მე კი ასეთ სამსახურში მუშაობა აღარ მინდოდა. ამიტომ მე და კიდევ ხუთმა ადამიანმა დავწერეთ განცხადება და წამოვედით.

— რამდენ ხანს მოგიწიათ უმუშევრად ყოფნა?

— ერთი თვე. შემდეგ დამირეკეს „მაესტროდან“, სადაც პირდაპირ ეთერში დამსვეს გადაცემის „პროფესია ჟურნალისტი“ წამყვანად. მამუკა ღლონტმა გადაწყვიტა ასე. „მაესტროში“ რომ მივედი, ისეთ არაადეკვატურ კითხვებს ვსვამდი, თანამშრომლები სულ დამცინოდნენ. „იმედში“ ყველაფერი იყო, რაც ჟურნალისტს სჭირდებოდა. „მაესტროში“ რომ გადაწყდა, პირდაპირ ეთერში დამსვამდნენ, ვიკითხე, პარიკმახერი ვინ არის-მეთქი. დამცინეს. მაშინ „მაესტროს“ ძალიან უჭირდა. პიჯაკიც კი არ მეცვა ჩემი. ვიზაჟისტის პიჯაკი ჩამაცვეს და პირდაპირ ეთერში შემაგდეს. ეს იყო 6 მაისს, როცა „უცნობი“ (მსახიობი გიორგი გაჩეჩილაძე, ავტ.) გადაძვრა პოლიციის სამმართველოს ღობეზე...

მერე ნელ-ნელა ყველაფერს შევეგუე. „მაესტროც“ განვითარდა და ბევრი რამ შეიცვალა. პარიკმახერიც გაჩნდა და საკუთარი ოთახიც. თავიდან არ მქონდა საკუთარი კომპიუტერი, სადაც მუშაობას შევძლებდი. ყველანი ერთად ვიყავით რამდენიმე ოთახში შეყუჟული. სტუდიის უკან, საიდანაც გადაცემა გადიოდა, უცნობის „საკანი“ იყო. გამაფრთხილეს, შეიძლება შუა ეთერის დროს კარი გაიღოს და ვიღაცეები შემოვიდნენ, მაგრამ შენ არ შეიმჩნიოო. შუა ეთერის დროს სტუდიის კარი იღებოდა, გაივლიდნენ სტუმრები და მესალმებოდნენ, თან ტუჩებზე ხელს იფარებდნენ...

— ბევრი თქვენი კოლეგა ოცნებობს, ისეთი დიდი ტოქ შოუ გააკეთოს, როგორიც თქვენი „არგუმენტებია“. თქვენც გოცნებიათ ამაზე

კარიერის დასაწყისში?

— მე არ მიოცნებია. თან, რომ იცოდეთ, როგორი შრომატევადია, საათნახევარი ქუსლიან ფეხსაცმელებზე როგორ ვიტანჯები. თუმცა სხვა ხიბლი აქვს და საინტერესოა. დარბაზის მართვა კი რთულია. როცა ამდენი ადამიანი გყავს სტუდიაში, უნდა ცდილობდე, არ გაგექცეს გადაცემა და ხმაურში არ გადაიზარდოს. ყველაზე რთული სტუმრების პრეტენზიებია. ყველას ჰგონია, რომ სხვაზე ცოტა ილაპარაკა. შეწუხებული სახით მეუბნებიან, რატომ დამჩაგრეთ, კიდევ მინდოდა, რაღაცეები მეთქვაო. არავის აინტერესებს, რომ მათთან ერთად კიდევ უამრავი სტუმარი მიზის, დრო მაქვს შეზღუდული. თან უნდა უსმინო რესპონდენტს, რას ამბობს, რომ შემხვედრი კითხვა დასვა და ა.შ.

„7 ნოემბეჩი უნდა გვახსოვდეს იმისთვის, თუ ჩოგოჩ ეჩ შეიძლება ხელისუფლება მედიას ექსეოდეს. სჩული ეჩთი წელი დამჭიჩდა, ჩომ სტჩესიდან გამოვსულიყავი. მელანდებოდა, ჩომ ვიღაც შემომივაჩდებოდა სახლში, სულ მეგონა, ჩომ ვიღაც დამდევდა".

— ახლა, როცა „იმედი" ნამდვილმა მფლობელმა დაიბრუნა, შემოთავაზება არ გქონდათ იქიდან?

— ნამდვილად არ მქონია. „იმედის" გულდამწვარი გულშემატკივარი ვარ და ყოველთვის გარკვეული სენტიმენტები მაქვს ამ ტელეკომპანიის მიმართ. მინდა, ისევ ისეთი გახდეს, როგორსაც წლები ენდობოდა ხალხი. რაც შემეხება მე, „მაესტროში" კარგად ვარ. ჩემთვის მთავარია, ჟურნალისტური საქმიანობა დაცული იყოს. აქ კი ეს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. მომავალში რა იქნება, არავინ იცის. არც იმ კატეგორიის ჟურნალისტი ვარ, რომელსაც უყვარს მონაცვლეობა ერთი ტელეკომპანიიდან მეორეში.

— რას ფიქრობთ იმ კოლეგებზე, რომლებიც შეეგუენ იმას, რაზეც თქვენ უარი თქვით? მერე ამბობდნენ, ჩომ უნდა გეკარსებაო.

— არაფერს ვიტყვი, რადგან ყველა თავისი გადმოსახედიდან მოქმედებს. ამბიციური ვიქნები, ვინმეს რომ შენიშვნა მივცე ან მივუთითო. მეც მინდოდა არსებობა. რომ იცოდეთ, „იმედიდან" „მაესტროში" რა ხელფასზე წავედი, შეიძლება თქვათ, სულელი ხარო. ყველანაირად რისკი იყო ჩემთვის ის ნაბიჯი. შემდგარი ტელეკომპანიიდან ისეთში წავედი, რომლის პერსპექტივაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მე ჩავთვალე, რომ ჯობდა, გამერისკა, ვიდრე მერე მუდმივად სირცხვილის შეგრძნება მქონოდა იმის გამო, რასაც ვაკეთებდი. კარგა ხნის განმავლობაში ძალიან მიჭირდა ფინანსურადაც, მაგრამ ყველაფერმა გადაიარა. ვამაყობ, რომ ჯერჯერობით არც ერთი ისეთი ნაბიჯი არ გადამიდგამს, რომელსაც ვინანებდი. მით უმეტეს, რომ ოჯახში ერთადერთი შემომტანი მე ვარ. მამა წლებია ავადმყოფობს. დედა კი დიასახლისია. დედისერთა ვარ. შენ როგორც ჩათვლი საჭიროდ, ისე მოიქეცი, მეუბნებოდნენ. მენდობიან.

— სოხუმის მერე თბილისში როგორ გაგრძელდა თქვენი ოჯახის ცხოვრება, ლტოლვილობის სიმწარე გამოსცადეთ?

— სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. იქ 14 წლამდე ვცხოვრობდი. მერე თბილისში ჩამოვედით და მამამ ბინაც შეიძინა დანაზოგი ფულით. პროფესიით ინჟინერია. ჩემზე ბევრად აქტიური იყო. როცა გადაღებაზე მივდიოდი, ისიც მოდიოდა ხოლმე და გვერდში მედგა, ეშინოდა, რამე არ დამმართნოდა. სულ ვეჩხუბებოდი, ნუ დადიხარ-მეთქი. მაშინ თავს უკვე შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა. მის ავადმყოფობაზე ჯერ სტრესმა იმოქმედა, მერე ავარიაში მოყვა და ახლა ჯანმრთელობა იმდენად აქვს შერყეული, გადაადგილება აღარ შეუძლია.

— ამბობენ ხოლმე, ჟურნალისტს სქესი არ აქვსო. თქვენც ხომ არ გიშლით ხელს ეს პროფესია ქალურობაში, ქალად ყოფნაში?

— დედაჩემი და მამაჩემი სულ მეუბნებიან, შენ ბიჭად უნდა დაბადებულიყავიო. ყველაფერს დამოუკიდებლად ვაკეთებ. მიუხედავად იმისა, რომ ისე გამზარდეს ეს დედისერთა გოგო, ცივი ნიავი არ მოუკარებიათ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, დამოუკიდებელი და აქტიური გავხდი. ყველაფერს ვაკეთებ ოჯახისთვის და საქმისთვის... რასაც ვაკეთებ, კი ხედავთ ეკრანზე. სახლის გარემონტების ორგანიზებაც მე შევძელი. სოხუმში დაგროვილი დანაზოგით ბინა კი ვიყიდეთ, მაგრამ რემონტის საშუალება აღარ გვქონდა. ნულიდან დავიწყეთ ცხოვრება. მე როგორც კი ცოტა მოვძლიერდი, სახლიც გავარემონტე და მანქანაც ვიყიდე. 7-8 თვეა მართვის მოწმობაც ავიღე და საჭესთან ვზივარ.

„სახლის გარემონტების ორგანიზებაც მე შევძელი. სოხუმში დაგროვილი დანაზოგით ბინა კი ვიყიდეთ, მაგრამ რემონტის საშუალება აღარ გვქონდა. ნულიდან დავიწყეთ ცხოვრება. მე როგორც კი ცოტა მოვძლიერდი, სახლიც გავარემონტე და მანქანაც ვიყიდე".

ტოქ შოუს წამყვანობამ ჩემი იმიჯი შეცვალა. ყოველდღე ფორმაში ყოფნა და მაკიაჟის გაკეთება მიწევს, რაც მაინცდამაინც არ მიყვარს. მკაცრ სტილში ვარ გამოწყობილი, სხვა მხრივ კი ისევ ისეთი ვარ, როგორიც ვიყავი. სუსტიც ვარ და ძლიერიც. ადრე ვერც ვიფიქრებდი, რომ ასეთი რისკიანი ვიქნებოდი. გაჭირვება გამძლეობას გმატებს. ზოგჯერ გული მწყდება და ვტირი. მთავარია, წყენა დიდხანს არ მიმყვება, მალე გადამივლის ხოლმე.

— ჩვენში დამკვიდრდა ტრადიცია, რომ ჟურნალისტები ბოლოს პოლიტიკაში მიდიან. თქვენ როგორ წარმოგიდგენია მომაყალი?

— არასოდეს ვგეგმავ მომავალს. რასაც დავგეგმავ, არასოდეს გამოდის. ჟურნალისტიკიდან წასვლას ჯერ არ ვფიქრობ და ვნახოთ, მომავალში რა იქნება. თან, როგორც წესი, ყველაფერი კარგი მოულოდნელად ხდება.

„ეჩთხელ ვიღაცამ მითხჩა, 12 საათი ჩომ შესჩულდება, სუჩვილი უნდა ჩაიფიქჩო და მაგიდის ქვეშ შეძვჩეო. ამის გამო ჩემები დამცინიან. 12 საათი ჩომ შესჩულდება, შევძვჩები და ეჩთი წუთის მეჩე გამოვდივაჩ".

— პროფესიის მიღმა რა ინტერესები, გატაცება, თუნდაც ჰობი გაქვთ?

— ბოლო ორი წელია, პოლიტიკის გარდა, არაფერი მაინტერესებს. ამ ხნის განმავლობაში არც კი დამისვენია. როცა ნორმალურ რეჟიმში ვცხოვრობდი და ნორმალური ადამიანი ვიყავი, ფეხბურთის ყურება მიყვარდა. ვხუმრობდი, როცა ქვეყანა დალაგდება და ყველას გვეშველება, სპორტული კორესპონდენტი ვიქნები-მეთქი. ცეკვაც მიყვარს. დიდხანს, 18 წლის განმავლობაში ვცეკვავდი. რაც მუშაობა დავიწყე, აღარ მივარჯიშია და ფორმაშიც აღარ ვარ.

— ფეხბურთიც გითამაშიათ?

— არა, არა! რამდენადაც ძალიან მიყვარს ფეხბურთი, იმდენად ვერ ვიტან ქალების ფეხბურთს. ზოგადად, მხიარული ადამიანი ვარ, მაგრამ ვერ ვამჟღავნებ. სულ კომპიუტერში ვიქექები და სულ რაღაცას ვკითხულობ. ისეთი სერიოზული და მკაცრი იმიჯი მაქვს, ხალხი წერს ხოლმე, ეს გოგო საერთოდ თუ იცინისო. ემოციებს სამსახურში ვამჟღავნებ ხოლმე. თან ისეთ ემოციურ ხალხთან ვზივარ... დიანა ტრაპაიძე ჩემზე ემოციურია. შალვა რამიშვილი საოცრად აქტიურია და ერთად ვიხარჯებით. ერთმანეთს წლებია ვიცნობთ და სამსახურში ოჯახური გარემო გვაქვს. როგორც უნდა გიყვარდეს შენი საქმე, თუ სამსახურში ვინმე დისკომფორტს გიქმნის, ყველაფერი გაღიზიანებს. უნდა გიყვარდეს ის ხალხი და გარემო, ვისთან ერთადაც ხარ. მე ყველა მიყვარს. ყველა თემას ხმამაღლა ვარჩევთ ხოლმე. გურული ტრაპაიძე და რამიშვილი ხმამაღლა აფიქსირებენ თავიანთ აზრს. იმერელია მაია თაბაგარი, მაგრამ არ ვიჩაგრავ თავს და მეგრულად გამოვხატავ ჩემს აზრს. სულ ვქოთქოთებთ. ჩვენი ოთახი ყველაზე ხმაურიანია „მაესტროში". შემოდიან და გვეუბნებიან, რაზე იცინით, ჩვენც გაგვაცინეთო.

— ყოველთვის ახერხებთ ემოციების მართვას?

— ხანდახან, როცა რთული ეთერია, ემოციები მძლევს ხოლმე. სუბიექტური ვხდები, როცა 7 ნოემბერზე ვინმე რამეს ნორმალურად არ იტყვის.

— ამას წინათ თეა თუთბერიძემ გაგაბრაზათ. თქვენს გაღიზიანებას ვეღარ მალავდით.

— კი, ახერხებს ხოლმე. ვცდილობ, დავმალო, რადგან მე მიმყავს გადაცემა და უნდა შემეძლოს ყველანაირი აზრის მოსმენა, როგორი მიუღებელიც უნდა იყოს ჩემთვის. თმენის ვალდებულება მაქვს და მეც ხშირად ვითმენ. ეთერის მიღმა კი ვქაქანებ.

— პირად ცხოვრებას რას უპირებთ? ალბათ ოჯახში ცდილობენ, „პატრონს ჩაგაბარონ".

— ყველას პატრონი მე ვარ და ჩემი პატრონი როგორ ვიპოვო?! კი, ასეა, მაგრამ ამ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს. ყველაფერს თავისი დრო აქვს. სამსახურში მეკითხებიან, შენს ქორწილში როდის უნდა გვაქეიფოო და ყველას ვპასუხობ, როცა ამის დრო მოვა-მეთქი. მორჩა! ჩემი პირადი ცხოვრება ჩემია და არ მგონია, ყველას აინტერესებდეს. მე კი სიამოვნებით ვკითხულობ სხვებისას... თუმცა ყველასი არც მე მაინტერესებს.

— ახალ წელს რა ტრადიციებით ხვდებით ხოლმე?

— ერთხელ ვიღაცამ მითხრა, 12 საათი რომ შესრულდება, სურვილი უნდა ჩაიფიქრო და მაგიდის ქვეშ შეძვრეო. ამის გამო ჩემები დამცინიან. 12 საათი რომ შესრულდება, შევძვრები და ერთი წუთის მერე გამოვდივარ.

— ჩაფიქრებული სურვილები გისდებათ?

— აღარ მახსოვს, რას ჩავიფიქრებ ხოლმე. წელს დავაკვირდები და ერთი წლის მერე გეტყვით.

— რას ელით ახალი წლისგან?

— წელს ჩემი წელი მოდის. გველის წელში ვარ დაბადებული. მგონი, კარგი წელი უნდა მოვიდეს. ბევრი სირთულე უკან მოვიტოვეთ და ახალი წელი უფრო მეტ სიმშვიდეს და თავისუფალ დროს მოიტანს.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

თიკა ჯამბურია ახალ სიყვარულს ასაიდუმლოებს

■ თიკა ჯამბურია

ომღერალ თიკა ჯამბურიას ცხოვრებაში გამოჩნდა ადამიანი, რომელთანაც თავს კარგად გრძნობს, მაგრამ არ იცის, ამას სიყვარული დაარქვას თუ არა. 2013 წელი ალბათ მისთვის მნიშვნელოვანი იქნება როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე კარიერისთვის, ყოველ შემთხვევაში, „ახალი ხმის“ შემდეგ გაჩერებას არ აპირებს, დიდი გეგმები აქვს.

წლის და 7 თვის ნინა ხოფერიასთვის თოვლის ბაბუა წელსაც მისი დედიკო, თიკა ჯამბურია იყო. მომღერალმა შვილისთვის საჩუქრები ერთი კვირით ადრე მოიმარაგა. 2013 წლის დადგომას კი ოჯახურ გარემოში ვერ შეეგება — კონცერტი ჰქონდა.

— თიკა, ხომ არ ნანობთ, რომ უკვე შემდგარი პოპულარული მომღერალი კონკურსანტად წარდექით მსმენელის წინაშე „ახალ ხმაში“? ეს თქვენთვის წინ გადადგმული ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს?

— არ ვნანობ. 5 წელი არსად ვჩანდი. ათასში ერთხელ თუ ვიმღერებდი რომელიმე ღონისძიებაზე. ვოკალის პედაგოგთანაც იშვიათად დავდიოდი. მეგონა, რომ საზოგადოებას აღარ ვახსოვდი. პრინციპში, ახალი თაობა არც მიცნობდა, ამ პროექტით კი გამიცნო.

— რა მოხდა იმ 5 წელიწადში, მოდით, ჭლუსმინუსები შეკაჯამოთ.

— საქართველოში კონცერტები აღარ იმართებოდა და, თუ ჩატარდებოდა, მე არ მეძახდნენ. მუსიკალური არხები გაუქმდა. თიკა ჯამბურია აღარავის ახსოვდა. მერე

„ახლა მის ჰოფესიას გაგიმხელთ, ახლა ვინაობას და ახლა ასაჯს. ჰინსიპში, ახლა ის ვიცი, შეყვარებული ვარ თუ არა. ეს ახის ახალი ეტაპი და ახლა ჰოგნოზების გაკეთება ახ შემიძლია“.

თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე, შემდეგ გავთხოვდი, შვილი გავაჩინე... მოკლედ, ბევრმა ფაქტორმა განაპირობა დროებით სცენიდან ჩემი გაუჩინარება.

— არ გაგიკვირდათ, რომ ბრმა კასტინგზე თქვენი ხმა მწყრონელებმა ვერ იცნეს?

— არ გამკვირვებია, რადგან ბავშვობის შემდეგ ხმა ძალიან შემეცვალა. ნინო ჩხეიძე რომ შემოტრიალდა, ძალიან გამიხარდა. თავიდანვე მის გუნდს ვუმიზნებდი. მართალია, ნინოსთან რადიოში ვმუშაობდი, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ მქონია. ის მართლაც საუკეთესო მწვრთნელია.

— პირადად თქვენ ნინო ჩხეიძემ რა შეგძინათ?

— ძალიან ბევრი რამ გვასწავლა. თავად, როგორც მომღერალმა, ურთულესი გზა გაიარა. გვასწავლიდა სცენაზე დგომას, მეტყველებას, ქცევის მანერას. ამბობს, რომ 14 ბავშვი იშვილა.

— ამბობენ, რომ ამ პროექტის ფარგლებში შემოქმედებითად ძალიან გაიზარდეთ. თქვენც იმაგეს ფიქრობთ?

— გავიზრდებოდი, აბა, რა! ყველა კონკურსანტისგან რაღაცას ვსწავლობ. მთელ დროს რეპეტიციებს ვუთმობ, ცოცხალ ბენდთან ვმუშაობ, ეს კი მომღერლისთვის დიდი ფუფუნებაა. მეშინია, ეს პროექტი რომ დამთავრდება, მერე რა მოხდება, რა მეშველება!

— იმასაც ამბობენ, რადგან თიკა ჯამბურიაა, ამიტომ გადაჰყავთ ტურიდან ტურშიო.

— ასეთი რამ მეც ბევრი მოვისმინე. არიან ადამიანები, რომლებიც ამ პროექტში ჩემს ყოფნას აპროტესტებენ, მლანძღავენ. ბავშვობაში რომ ვმღეროდი, თურმე ეს ყოფილა ჩემი დანაშაული... იმედი არ მქონდა, რომ ოდესმე მაინც თავიდან

„ჰობღემას ვეჰ ვხედავ იმაში, ჰომ მეოჰედ გავთხოვდე. ჩემი მეოჰე ნახევაჰი ისეთი უნდა იყოს, ჰომელსაც დავეყჰდნობი და ახა — ცანცაჰა!“.

დავიწყებდი ყველაფერს. წარმატებული პერიოდის შემდეგ ძნელია იმასთან შეგუება, რომ აღარავის ახსოვხარ. ვცდილობ, ისევ დავდგე სათანადო სიმაღლეზე და ამის გამო მლანძღავენ. ხშირად ამბობენ, რომ სხვები მჯობიან.

ნინომ მასწავლა, რაც მეტი უარყოფითი დამოკიდებულება იქნება შენ მიმართ, რაც უფრო გაგაკრიტიკებენ, მით უფრო უნდა გაძლიერდე, ყველას დაუმტკიცო, რომ კარგი ხარო. მისი დარიგება დიდ მუხტს მაძლევს. ვხვდები, რომ ფარ-ხმალი არ უნდა დავყარო, მუშაობა უნდა განვაგრძო და ყველაზე მაგარი ვიყო!

— ესემესლიდერი იყავით. ელოდით ამას?

— არ ველოდი, პირიქით, მეგონა, აუტსაიდერებს შორის ვიდგებოდი და იმასაც ვფიქრობდი, რომ ნინო აღარ გადამიყვანდა შემდეგ ტურში. მან ძალიან ბევრჯერ დამიჭირა მხარი და მეშინოდა, ხალხი ამით კიდევ უფრო არ გაღიზიანებულიყო. ასე რომც მომხდარიყო, ნინოს ყველანაირად გავუგებდი.

— ქუჩაში უცნობი ადამიანები რას გეუბნებიან?

— დიდი ხანია ქუჩაში არ მისეირნია, რეპეტიცია — სახლი, ამ მარშრუტით ვმოძრაობ. მეგობრები მიჭერენ მხარს, „ფეისბუქზე“ ჩემი სურათი უყენიათ. კოლეგებმაც დამირეკეს, ნახევარფინალში გადასვლა მომილოცეს. ზოგს უნდა, რომ მომავალ წელს თავადაც სცადოს ბედი და ამ პროექტში მიიღოს მონაწილეობა.

— თქვენს კონკურენტებად ვის თვლით, ვისი გეშინიათ?

— გულწრფელი ვიქნები და გეტყვით, რომ არც ერთის მეშინია, ყველას თავისი „კოზირი“ აქვს ხელში თავისი ხმით ან რაღაც სხვა მონაცემით. ჩვენი გუნდი უდავოდ ძლიერია, დავრჩით — მე, იაკო ტომაში, ლევან გვაზავა და ირინა ბაირამაშვილი. ოთხივე ერთმანეთისგან განსხვავდებით. 5 იანვარს ნახევარფინალში ოთხივენი ნინოსთან ერთად ვიმღერებთ. ამ

„ახლა ისეთი დიდი ვახ, ჰოგოჰიც ეჯახნეზ ვჩანვახ... ყველას ვთხოვ, ჩემს ჯილოგჰამებს ასე საჯახოდ ნუ განიხილავენ. ვთვლი, ჰომ ჯატასტჰოფული ახაფეჰი მჭიჰს, ეჰთი ხოჰსიანი გოგო ვახ“.

დღეს ყველა მოუთმენლად ველით. მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ შიდა სამზარეულოში არავინ არავის ჭამს და ერჩის.

— მოგების იმედი გაქვთ?

— ესემესლიდერობის შემდეგ იმედი მომეცა, რომ მოვიგებ, ეს ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. როცა კარგად ვმღერი, მსმენელი გვერდში მიდგას.

— თქვენს ცხოვრებაში ნამდვილად წარმატებული პერიოდია. ეს პროექტი დაიწყო და გამოჩნდა ადამიანი, რომლის გვერდითაც თავს კარგად გრძნობთ.

— დიახ, ასეა, მაგრამ ამის გარდა არაფრის თქმა შემიძლია. არც მის პროფესიას გაგიმხელთ, არც ვინაობას და არც ასაკს. პრინციპში, არც ის ვიცი, შეყვარებული ვარ თუ არა. ეს არის ახალი ეტაპი და ახლა პროგნოზების გაკეთება არ შემიძლია.

— ერთ-ერთ ტურში რომ გამოხვედით და სიმღერა დაასრულეთ, ხელებით „გული“ გააკეთეთ, ეს ფუსტი მას ეძღვნებოდა?

— ეს საიდუმლოა, თუმცა ბექა ხოფერიას (თიკას ყოფილი ქმარი. ავტ.) ნამდვილად არ ეძღვნებოდა.

— ახლო მომავალში აპირებთ ხელმეორედ ოჯახის შექმნას?

— თუ ადამიანი შემიყვარდა და მივხვდი, რომ ის არის, ვისთან ერთადაც მთელ ცხოვრებას გავატარებ, ამ ნაბიჯს გადავდგამ. პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ მეორედ გავთხოვდე. უფრო ყურადღებით, გონებით ვიმოქმედებ და ბავშვურ ემოციებს აღარ ავყვები. არ მინდა, მეორე ოჯახიც დამენგრეს. ჩემი მეორე ნახევარი ისეთი უნდა იყოს, რომელსაც დავეყრდნობი და არა — ცანცარა!

— ცანცარა რომ თქვით, ყოფილი ქმარი იგულისხმეთ?

— მას თავისი ცხოვრება აქვს, მალე ოჯახს შექმნის და არ მინდა, მის პიროვნებას შევეხო.

— ბექამ იცის, რომ შეყვარებული ხართ?

— არავინ არაფერი იცის. როგორც გითხარით, თავადაც არ ვიცი, შეყვარებული ვარ თუ არა. ახლა ადვილად აღარავინ შემიყვარდება.

— ბექა გქომაგობთ?

— კი, როგორ არა. დამირეკა და

Cyan Magenta Yellow Black

ძალიან ემოციური იყო მოლოცვის დროს. მითხრა, რომ ძალიან ვეამაყები და ეტირება ჩემს გამოსვლაზე. ზუსტად არც მახსოვს, რა მითხრა, რადგან სცენიდან 5 წუთის ჩამოსული ვიყავი და მილოცვებს ვიღებდი. ჩემს ყოფილ დედამთილს, ხათუნა ხოფერიას, ვერ დავუკარგავ იმ გვერდში დგომას და გულშემატკივრობას, რომელსაც ჩემ მიმართ იჩენს. ერთმანეთს არ ვკარგავთ, რაც ძალიან მიხარია. ნინა ბექას საოცრად ჰგავს.

— შვილი თუ გიყურებთ ტელევიზორში?

— ნინას ძალიან მოსწონს, ტელევიზორში რომ მხედავს. თურმე სიხარულისგან სალტოებს აკეთებს, სიმღერის დროს თვითონაც მყვება. მას კარგი სმენა აქვს და ალბათ ჩემსავით მომღერალი იქნება. ნინა წლის და 7 თვის არის, მისთვის დროს ყოველთვის ვპოულობ, მაგრამ მაინც სულ მენატრება. წელს თოვლის ბაბუამ ნინას ბევრი საჩუქარი მიუტანა. თოვლის ბაბუა კი მე ვიყავი.

— თქვენს წონაზეც ბევრს ლაპარაკობენ. ეს მოქმედებს თქვენზე?

— მშობიარობის შემდეგ წონაში დაკლება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ არც ისეთი დიდი ვარ, როგორიც ეკრანზე ვჩანვარ. სრულიად საქართველო ბჭობს ამ თემაზე. ჩემი წონა კი არ მაწუხებს, არამედ მათი რეპლიკები და ჭორაობა. მშობიარობის შემდეგ ზოგი ადვილად

„2013 წელი საუკეთესოს მომტანი იყოს და ნაკლები გვესისინოს, სიკეთე გვეკეთებინოს. მიხარია, რომ ბედობადღეს თქვენს ჟურნალს და მკითხველებს დავებედე!".

იკლებს, ზოგი — ძნელად. ვცდილობ, დავიკლო წონაში. ყველას ვთხოვ, ჩემს კილოგრამებს ასე საჯაროდ ნუ განიხილავენ. თუ უბრალოდ ენას იფხანენ ლაპარაკით, ვთხოვ, თავი შეიკავონ. თუ მგულშემატკივრობენ, მაშინ ნუ მლანძღავენ. ვთვლი, რომ კატასტროფული არაფერი მჭირს, ერთი ხორციანი გოგო ვარ. სცენაზე რომ დგახარ, გამხდარი უნდა იყო და იმედია ამასაც მალე შევძლებ.

— ამისთვის რაიმე პროცედურებს მიმართავთ?

— უბრალოდ არ ვჭამ. სხვათა შორის, ნინო ჩხეიძე ძალით მაჭმევს, რომ არ წავიქცე. წინა ტურში კონცერტამდე ოთხი დღით ადრე არაფერი მიჭამია. ნერვიულობისგან მადა დავკარგე.

— როგორ შეაფასებთ განვლილ წელს?

— უაზრო წელი იყო, წლის მიწურულს უფრო გავაქტიურდი. 2013 წლიდან ველოდები ყველაფერ საუკეთესოს, მინდა წარმატება, ბედნიერება, მშვიდობა!

— მთავრობის შეცვლის შემდეგ რა გეგმები და მოლოდინი გაქვთ? ესტრადაზე აქტიურად გამოჩნდებით?

— მინდა, რომ ყველა მომღერალი ბედნიერი იყოს. მსახიობებმა თეატრით უნდა იარსებონ, მომღერლებმა — სიმღერით და იმედია, ასეც იქნება. მთელ საქართველოს ვულოცავ ახალ წელს. 2013 წელი საუკეთესოს მომტანი იყოს და ნაკლები გვესისინოს, სიკეთე გვეკეთებინოს. მიხარია, რომ ბედობადღეს თქვენს ჟურნალს და მკითხველებს დავებედე!

✓ ლანა კიკნაძე

მაგდა ვასაძე: „იყო შემთხვევა, როცა სცენაზე ტირილით ვმღეროდი"

ქობულეთელი გოგო „ადამსების ოჯახიდან"

26 წლის მაგდა ვასაძე ქობულეთიდან თბილისში იმის დასამტკიცებლად ჩამოვიდა, რომ ზოგადად ქალებს და პირადად მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მიზანს მიაღწია — პროექტ „ახალ ხმაში" ზედიზედ ორჯერ გახდა ესემესლიდერი.

■ მაგდა ვასაძე

კონკურსამდე მაგდა ქობულეთში ცხოვრობდა და ერთ-ერთ რესტორანში მღეროდა. ქმართან გაყრილია. ჰყავს 6 წლის შვილი — ლუკა ბოლქვაძე.

— მაგდა, უკვე საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეთ, მაყურებელთა დიდმა მასამ გაგიცნოთ. როცა ქობულეთიდან თბილისში მოდიოდით, ასეთ შედეგზე ფიქრობდით?

— ყოველთვის ვიცოდი, რომ რაღაცას მივაღწევდი და ამის დრო მოვიდოდა. საკუთარი თავის მჯეროდა, თუმცა იყო პერიოდი, როცა აღარ მეგონა, რამე თუ შემეძლო... ბრმა კასტინგზე მწვრთნელების შემობრუნებას თან ველოდი და თან — არა. ამ პროექტში დედის დაჟინებული თხოვნით მივიღე მონაწილეობა.

— კონკურსში მისულმა თავიდანვე განაცხადეთ, რომ სტეფანეს და მაიას გუნდში გინდოდთ ყოფნა. რატომ? მათ ხომ არ იცნობდით?

— მათ არ ვიცნობდი, მაგრამ რატომღაც ყველასგან გამოვარჩიე ეს წყვილი. თითქოს თავიდანვე მივხვდი, რომ სტეფანეს და მაიას გუნდი „ადამსების ოჯახი" იქნებოდა და არ შევცდი. ნიჭიერები არიან. მაიას სიმღერას რომ ვისმენდი, თითქოს ჩემი იყო. ამიტომ ჩავთვალე, რომ მას შეეძლო, ბევრი რამ ესწავლებინა ჩემთვის. პროექტში სწორედ ამიტომ მივედი — უფრო რომ დავიხვეწო. პოპულარობა მხოლოდ შედეგია, რომელიც ამას მოჰყვება. მიხარია, რომ მწვრთნელების არჩევაში არ შევცდი. ჩვენ ნამდვილად ვართ „ადამსების ოჯახი".

— თქვენი გარეგნობის მკვეთრი ცვლილება ვისი იდეა? თავიდან ქერა თმით მიხვედით კონკურსში.

— ყოველთვის შავი თმა მქონდა, მაგრამ ერთხელ გადავწყვიტე, ქერა გავმხდარიყავი. კონკურსში მონაწილეობის მერე ყველა ახლობელი მირეკავდა და მთხოვდა, შავი თმა დამებრუნებინა. იმიჯი საკუთარი სურვილით შევიცვალე. პროექტში ვარცხნილობაც შემიცვალეს, თმა უკან გადამიწიეს.

— სტეფანე და მაია თქვენთან დაკავშირებით ხშირად ამბობენ, რომ ადამიანური ხართ. რა თვისებას გამოარჩევდით საკუთარ თავში, რის გამოც ამგვარ შეფასებას იმსახურებთ?

— ხანდახან ვფიქრობ, ჩემი მინუსიც კი არის ის, რომ ძალიან მიმნდობი ვარ. ყველას ადვილად ვენდობი, ყველასთან თბილი ვარ, არ მიყვარს კონფლიქტი და ა.შ. სტეფანე და მაია ალბათ ამას გულისხმობენ.

— ვის თვლით თქვენს მთავარ კონკურენტად?

— სალომე ქათამაძეს მხოლოდ რეპეტიციებზე ვხვდები, მაგრამ ერთმანეთს ვგულშემატკივრობთ. ნინი ცნობილაძესთან უკვე ვმეგობრობ. სალომესთან არ ვმეგობრობ, მაგრამ კარგი ურთიერთობა მაქვს. კონკურენცია, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ რომელიმეს უნდა მოვუგო, ამის ამბიცია არ მაქვს. ხალხის გადაწყვეტილებას ვარ მინდობილი.

„ქალებს მეტის მიღწევა შეგვიძლია, ვიდრე მამაკაცებს".

— ქობულეთში სახლში ვინ გელოდებათ?

— მყავს დედა, ირმა სურმანიძე, მამა — ჯიმშერ ვასაძე, ორი და, 27 წლის ხათუნა და 24 წლის მარიტა და შვილი, 6 წლის ლუკა. დედა და მამა თავიდანვე ხვდებოდნენ, რომ კარგი სმენა მქონდა. ცდილობდნენ, ყველგან მემღერა, სადაც შეიძლებოდა. ხშირად უკან ვიხევდი, მაგრამ მშობლები მეუბნებოდნენ, რომ სჯეროდათ ჩემი. რატომღაც იცოდნენ, რომ წარმატებას მივაღწევდი. ცნობილია, რომ მშობლის ინტუიცია ყოველთვის ამართლებს.

„ოცა მას გავყევი ცოლად, მე უფრო შევეგუე ოჯახის ჯეხას, ვიდრე ის. გოგოს უფრო შეუძლია შეეგუოს ოჯახს მცირე ასაკშიც. 20 წლის ბიჭი ჯი ამისთვის ძალიან პატარაა".

ოჯახის წევრებს ერთმანეთთან ძალიან თბილი ურთიერთობა გვაქვს. ზაფხულობით ზღვაზე სიარული გვიყვარს. ზღვაში ოთხი თავი თუ ჩანს, ამბობენ, ვასაძეები არიან შესულიო — სამი და და მამა.

— გადაცემის თქვენთვის მიძღვნილ ნაწილში, ე.წ. პროფაილში, ახსენეთ, რომ ვასაძეები ცეკვით და სიმღერით არიან ცნობილნი. თქვენი ოჯახის წევრებიც ხელოვანები არიან?

— ჩემი ბაბუის ძმები, ომარ და თემურ ვასაძეები, პროექტ „ნიჭიერშიც" იყვნენ საცეკვაო ნომრით გასული.

→10

Cyan Magenta Yellow Black

აჭარაში ცნობილი მოცეკვავეები არიან, მოსწავლეებიც ჰყავთ. ეს გვარი უფრო ცეკვით არის განთქმული, მაგრამ მომღერლებიც გვყავს, ოღონდ ამ მხრივ აქამდე ცნობილი არ ვიყავით. ეს ნიჭი მე გამოვიტანე ასპარეზზე და ძალიან მიხარია.

— პროფაილში ასეევ თქვით, ცდილობთ, დაამტკიცოთ, რომ ძლიერი ქალი ხართ. ვის უმტკიცებთ ამას?

— ბევრი იმედგაცრუების შემდეგ მინდოდა, ცხოვრება გამეხალისებინა, არა — სხვისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ მეტის გაკეთება შემიძლია. სანამ ქმართან ერთად ვცხოვრობდი, მანამდეც მიცდია სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობის მიღება, უბრალოდ არ გამიმართლა. „ახალი ხმა“ კი ის შემთხვევა იყო, როცა ძალიან მოვინდომე.

— რომელ კონკურსებში მიიღეთ მონაწილეობა?

— „ჯეოსტარში“ ორჯერ ვიყავი და არ მიმიღეს. მიზეზიც არ უთქვამთ.

— ქმართან ერთად ცხოვრება რატომ ვერ ააწყვეთ?

— მე 19 წლის ვიყავი, ჩემი მეუღლე 20 წლის იყო. გავიპარეთ. 6 წელი ვიცხოვრეთ ერთად. ეს იყო ძალიან დიდი სიყვარული, რომელზეც ჩვენთან ლეგენდები დადიოდა. მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა შეგვხვდა, რომ პატარები ვიყავით და ოჯახის შექმნის დრო არ იყო, მაგრამ არ დავუჯერეთ. გაგვიჩნდა შვილი, ლუკა ბოლქვაძე, რომელიც ახლა 6 წლისაა.

> **„ლუკა ძალიან ჭკვიანი ბიჭია. თავიდან მამაზე მელაპარაკებოდა, მაგრამ ხაც დრო გადის, თვითონაც ჰომ ვკითხო მასზე ჰამე, სხვა თემაზე გადამიტანს ხოლმე საუბარს. ხვდება, ჰომ ეს თემა ჩემთვის სასიამოვნო აჰ აჰის".**

რა თქმა უნდა, დეტალებზე არ ვისაუბრებ, მაგრამ ვიტყვი, რომ, როცა მას გავყევი ცოლად, მე უფრო შევეგუე ოჯახურ კერას, ვიდრე ის. გოგოს ალბათ უფრო შეუძლია შეეგუოს ოჯახს მცირე ასაკშიც, მაგრამ 20 წლის ბიჭი დასაქორწინებლად ძალიან პატარაა. ასეთ დროს ოჯახში ფინანსური პრობლემებიც ჩნდება, მაგრამ ეს პრობლემა მე არ შემხებია, გათხოვებისთანავე, 19 წლის ასაკში მუშაობა დავიწყე, რესტორანში ვმღეროდი და ფინანსურად იქით ვეხმარებოდი ყველას.

— ამ სამუშაოს გამო მეუღლე ჰომ არ ეჭვიანობდა? ქართველი კაცისთვის ცოტა საჩოთირო ა რესტორანში მომღერალი ცოლი.

— სხვათა შორის, არ ეჭვიანობდა. პირიქით, როცა დამირეკეს და სამსახური შემომთავაზეს, ვუთხარი, რომ ჯერ ჩემი ქმრისთვის ეკითხათ, მან კი თანხმობა განუცხადა. როცა ვკითხე, რატომ დათანხმდა ასე ადვილად, მიპასუხა, რომ იცოდა, როგორ მიყვარს სიმღერა და არ უნდოდა ხელისშეშლა. ოჯახი რატომ დამენგრა, ამ დეტალებზე არ ვისაუბრებ, ერთს ვიტყვი, რომ ეს ჩემი ბრალი არ იყო.

— შერიგებაზე არ ფიქრობთ?

— ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან წელიწადნახევარია ერთმანეთი არ გვინახავს. არ ვიტყვი, რომ ეს ადამიანი მძულს, რადგან საერთო შვილი გვყავს. არ მინდა, ჩემმა შვილმა დაინახოს, რომ მის მშობლებს ცუდი ურთიერთობა აქვთ. მას თავისი ცხოვრება აქვს, მე — ჩემი.

— როგორ ზრდით შვილს? მით უმეტეს, რომ ბიჭია და ალბათ მამა ძალიან სჭირდება.

— არ მინდა, შვილის ქება გამომივიდეს, მაგრამ ლუკა ძალიან ჭკვიანი ბიჭია. თავიდან მამაზე მელაპარაკებოდა, მაგრამ რაც დრო გადის, თვითონაც რომ ვკითხო მასზე რამე, სხვა თემაზე გადამიტანს ხოლმე საუბარს. ხვდება, რომ ეს თემა ჩემთვის სასიამოვნო არ არის. ან რა უნდა მითხრას? შვილთან ძალიან თბილი ურთიერთობა მაქვს. სახლში როცა ვარ, სულ კალთაში მიზის. ერთად ვმეცადინეობთ. მოვა და სახეს დამიკოცნის ხოლმე. ახლა ქობულეთშია, იქ დადის სკოლაში.

— კონკურსში გამოჩენას შემდეგ ყოფილი მეუღლე ან მისი საახლობლო არ გამოგეხმაურათ?

— ყოფილი მეუღლე — არა, მისი ნათესავები თუ მეგობრები კი მუდმივად მეხმაურებიან, მგულშემატკივრობენ. ყველას ძალიან უხარია, რასაც მივაღწიე და გული შესტკივათ იმის გამო, რომ ჩვენი ოჯახი დაინგრა. იმედი აქვთ, რომ შევრიგდებით, მაგრამ მე არ ვაპირებ. ადამიანი ერთხელ რომ დაუშვებს შეცდომას, მერე გაიმეორებს.

— ადვილი არ იქნებოდა ამ ტრაკმის გადატანა.

— ძალიან განვიცდიდი. იყო შემთხვევა, როცა სცენაზე ვიდექი და ტირილით ვმღეროდი, მაგრამ ეს ტკივილი გადავლახე.

— ძალიან ადრეა ახალ ურთიერთობებზე საუბარი, მაგრამ მაინც გკითხავთ — პირველმა წარუმატებელმა ოჯახურმა თანაცხოვრებამ მეორედ გათხოვების შიში ხომ არ გაგიჩინათ?

— შიში არ გამჩენია, მაგრამ ძალიან ფრთხილი გავხდი. დღეს არავინ მაინტერესებს, რადგან, რაც გამოვიარე, ამან მასწავლა, თუ რა ხდება ოჯახური თანაცხოვრების დროს. შეიძლება უკეთესიც მოხდეს, მაგრამ უარესს ნამდვილად ვერ გადავიტან. ჯერჯერობით არ მინდა, პირადი ცხოვრება მქონდეს — შვილი მყავს და კარიერაზე ვზრუნავ.

— ქალებს მოუწოდებთ, რომ მხარი დაგიჭიროს, რათა ერთად დაამტკიცოთ საკუთარი სიძლიერე. ცოტა ფემინისტური განცხადებაა. რატომ გადაწყვიტეთ, ასე მიგემართათ გულშემატკივრებისთვის?

— იმიტომ, რომ ძალიან ბევრია ჩემნაირი, ვისაც ოჯახი დაენგრა. უნდა გამაგრდნენ და დეპრესიაში არ ჩავარდნენ. მჯერა, რომ ქალებს ბევრი რამ გამოგვდის კარგად. უფრო ამბიციურები ვართ და მეტის მიღწევა შეგვიძლია, ვიდრე მამაკაცებს.

— ამ პროექტში მონაწილეობით საკუთარ თავს დაუმტკიცეთ, რომ ძლიერი ხართ?

— კი, საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ ძლიერი ვარ და მინდა, ასე გავაგრძელო.

✓ **მანანა ნოდია**

როგორ გადაირჩინა თავი მეცხრე სართულიდან გადმოფრენილმა ბიჭუნამ

6 წლის ნიკოლოზის „რბილი ვარდნა“

2012 წლის მიწურულს თბილისში ერთი საოცარი ფაქტი მოხდა და მოხარულები ვართ, რომ ძველ წელს ჩვენი ჟურნალი სხვებთან ერთად ამ ბედნიერ შემთხვევაზე გამოქვეყნებული ინფორმაციით დაემშვიდობა.

6 წლის ნიკოლოზ ღაჭავას თამამად შეიძლება ვუწოდოთ გასული წლის ყველაზე იღბლიანი ბავშვი. ის, რაც 25 დეკემბრის დილას გლდანის პირველ მიკრორაიონში მოხდა, ნამდვილი სასწაულია. ბავშვი მე-9 სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა და თითქმის უვნებელი გადარჩა. მოკლედ ამ ამბის გადმოცემა ასე შეიძლება: დედამ პატარა ბიჭი სახლში ცოტა ხნით მარტო დატოვა, თავად კი ორი მცირეწლოვანი შვილი საბავშვო ბაღში წაიყვანა. ბიჭმა დედის მოლოდინში ფანჯარას სკამი მიადგა, ზედ ავიდა, ფანჯარა გამოაღო და... უფრო დაწვრილებით თავად დედა, თამარ ჟღენტი და მისი გადარჩენილი ბიჭუნა, ნიკოლოზ ღაჭავა გვიამბობენ.

ქალბატონი თამარი იმ დღეს ემოციების გარეშე ვერ იხსენებს და მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც მისი შვილის გადარჩენას ცდილობდა.

— ქალბატონო თამარ, როცა ეს ამბავი მოხდა, იმ დღეს სად იყავით?

— როცა ნიკოლოზი გადმოვარდა, იმ დროს სახლში არ ვიყავი, ბავშვები ბაღში წავიყვანე. ეს ყველაფერი კი წუთებში

> **„აჰ მეშინოდა, მხოლოდ და მხოლოდ შვეილს ვეღოდებოდი და ვფიქჰობდი, ჰომ გადავჩებოდი".**

მოხდა. ნიკოლოზი ძალიან ჭკვიანი ბავშვია, ფანჯარასთან არასდროს მიდის, არ ვიცი, იმ დღეს რატომ მივიდა.

— სახლში მარტოს ხშირად ტოვებდით?

— არა, ამ შემთხვევამდე მხოლოდ ერთხელ დავტოვე და მაშინ ყველაფერი რიგზე იყო.

— ნიკოლოზი რას ამბობს, როგორ გადმოყარდა?

— ამბობს, რომ ფანჯარასთან დაიდგა სკამი, რომელიც გაუცურდა და გაღებული ფანჯრიდან გადავარდა. ჩვენივე ფანჯრის წინ სარეცხის თოკებს მოეჭიდა. შემდეგ, როგორც თვითონ ყვება, ხელები დაეღალა და გაუშვა. მესამე სართულზე მიშენება აქვთ გაკეთებული, კრამიტით არის გადახურული. მეზობლებმა, გამვლელებმა ბავშვს კრამიტზე საბნები და ლეიბები დაუფინეს. ნიკოლოზი ჯერ ნაძვის ხეზე დაეცა და შემდეგ იმ ლეიბებზე.

— თქვენ ეს ყველაფერი როდის გაიგეთ?

— მე როცა დავბრუნდი, ბავშვი უკვე ჩამოვარდნილი იყო და ჩემი კორპუსის ირგვლივ ტერიტორია ხალხით იყო სავსე. პატრული, სასწრაფო დახმარების მანქანები, სამაშველო ბრიგადა, ყველა და ყველაფერი მობილიზებული იყო... დღესაც ვერ

Cyan Magenta Yellow Black

— რა ტრავმები მიიღო?

— ძლიერი დაბეჟილობა აქვს. არც მოტეხილობები აქვს, არც ტვინის შერყევა. ექიმებს ნიკოლოზის გადარჩენა ძალიან უკვირთ. ასეთი სიმაღლიდან ჩამოვარდნა ძირითადად ტრაგიკულად მთავრდება. ღვთის წყალობით, ბავშვი გადარჩა.

მე ჯერ შოკიდან არ ვარ გამოსული. უფალს მადლობას ვწირავ, რომ შვილი გადამირჩინა. ეს მეზობლების და კეთილი ადამიანების დამსახურებაცაა, ისინი კორპუსის სახურავიდანაც ცდილობდნენ ბავშვთან ჩასვლას, მაგრამ ვერ მიუსწრეს, ზოგი კარის შემტვრევას ცდილობდა, მაგრამ მანამდე ნიკოლოზი ჩამოვარდა. ყველას ძალიან დიდი მადლობა, ვინც ჩემი შვილის დახმარებას ცდილობდა. დღემდე ყველა მირეკავს და ბავშვის მდგომარეობას კითხულობს.

— თვითონ ბავშვი თუ ხედავდა, რა მოხდა მის თავს?

— შოკურ მდგომარეობაშია. ყველა ამბობს, რომ თვითონ ყველაზე მეტად უშველა თავის თავს, რომ თოკებზე ჩამოეკიდა, ქვემოდან კიდევ მეზობლები, გამვლელები უყვიროდნენ, თოკისთვის ხელი არ გაეშვა, მაგრამ ნიკოლოზმა მითხრა, დედა, ხელი დამეღალა და მერე გავუშვიო. მას ეს ყველაფერი კარგად ახსოვს.

— რამდენი ხანი ეკიდა თოკზე?

— დაახლოებით 5-7 წუთის განმავლობაში.

— როგორც ვიცი, კიდევ ორი შვილი გყავთ. ისინი რამდენი წლისანი არიან?

— საბა 5 წლის არის, ლაშა — 3-ის.

— თქვენ და თქვენი ქმარი მეშაობთ?

— დიასახლისი ვარ. მეუღლეც უმუშევარია, მაგრამ იმ დილით სახლიდან გასული იყო. სოციალურად დაუცველები ვართ, აქ ქირით ვცხოვრობთ, ეს უკვე მერამდენე საცხოვრებელი ბინაა, არც ვიცი... ჩვენი ოჯახის უკიდურესი გაჭირვების და მდგომარეობის გამო ყველაზე იაფფასიანი ბინა ავარჩიეთ და ამ ბოლო სართულზეც იმიტომ ავედით. დასახმარებლად ვის არ მივმართეთ, მაგრამ არაფერი ჩანს. განცხადებებიც დაწერილი გვაქვს, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

— თბილისელები ხართ თუ რაიონიდან?

— ჩემი მეუღლე სამტრედიიდან არის, რაღაც პრობლემები შეგვემთხვა და იქიდან წამოვედით. ასე ქირით უკვე მერამდენე წელია ვცხოვრობთ. ქირის ფულს სოციალურად დაუცველების თანხით ვიხდით, მომდევნო თვის ქირას როგორ გადავიხდით, არ ვიცი.

— ნიკოლოზის მკურნალობის თანხას ვინ იხდის?

— ბავშვი დაზღვეულია.

— სკოლაში სწავლობს?

— კი, პირველ კლასშია და ძალიან ჭკვიანი ბავშვია, კარგად სწავლობს.

6 წლის ნიკოლოზი „სარკეს-თან“ დაწვრილებით იხსენებს თავისი ვარდნის ყოველ წუთს:

— დედიკოს ვეძებდი, ფანჯარასთან სკამი მივიდგი. უცებ სკამი იატაკზე გაცურდა და ფანჯრიდან გადავვარდი. მაშინვე სარეცხის თოკებს ჩავეჭიდე. ხელი რომ არ მომეკიდა, გადავვარდებოდი. 5 წუთი მაინც ვიყავი ასე, მერე ხელები დამეღალა, თან გამეყინა და გავუშვი.

„უცებ სკამი იატაკზე გაცურდა და ფანჯრიდან გადავვარდი. მაშინვე სარეცხის თოკებს ჩავეჭიდე. 5 წუთი მაინც ვიყავი ასე, მერე ხელები დამეღალა, თან გამეყინა და გავუშვი“.

— ვინმეს დაუძახე მიშველეთო თუ თვითონ შეგამჩნია ხალხმა თოკებზე ჩამოკიდებული?

— მეზობელი დავინახე და იმას ვთხოვე შველა.

— ალბათ ძალიან შეგეშინდა.

— არა, არ მეშინოდა, მხოლოდ და მხოლოდ შველას ველოდებოდი და ვფიქრობდი, რომ გადავრჩებოდი.

— მერე ხეს დაეცი, არა?

— კი, ხის ტოტზე დავვარდი, ამაგდო, ისევ ჩამომაგდო და ასე

■ თამარ ჟღენტი

რამდენჯერმე, მერე ლეიბზე დაეცი.

ღაჭავების მეზობელი: სახლში ვიყავი, ეზოში ყვირილის ხმა გავიგონე და გავედი. მაღლა რომ ავიხედე, მე-9 სართულის სარეცხის თოკზე ბავშვი იყო ჩამოკიდებული და მიშველეთო — ყვიროდა. ძალიან კარგი სამეზობლო გვყავს. მესამე სართულზე ფანჯარასთან მოშენებულია ფართი, იქ ლეიბები, საბნები დააფინეს. ბიჭები მე-9 სართულზე აცვივდნენ, კარს ამტვრევდნენ, რომ იქიდან ეშველათ, მაგრამ ვერ გატეხეს. ამასობაში ბავშვი ჩამოვარდა. ვუყურებდი, როგორ ვარდებოდა. ნაძვის ტოტებზე და შემდეგ ლეიბზე დაეცა. ვიღაც ბიჭმა, იქაური მაღაზიის დისტრიბუტორმა, ეს რომ დაინახა, გარედან მესამე სართულზე აძვრა, მივარდა ბავშვს, ხომ ცოცხალი ხარო. ბავშვმა ლაპარაკი რომ დაიწყო, ბიჭმა საბანში გაახვია, შემდეგ სასწრაფო დახმარებას დაელოდა. სასწრაფო დახმარება, მაშველები დროულად მოვიდნენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყველაფერი წამებში ხდება ხოლმე. სანამ ისინი მოვიდნენ, მეზობლებმა და იმ ბიჭმა უშველეს.

მთელი სამეზობლო ფეხზე იდგა. პირველად მეზობელს დაუნახავს. ამ ბავშვს მისთვის დაუძახია — დედა, მიშველეთო. ის კიდევ თურმე დაბლა იყურებოდა და ბავშვს ეძებდა, ხმა ესმოდა და ვერ ხედავდა.

— ბავშვი საავადმყოფოში რა მდგომარეობაში წაიყვანეს?

— მოტეხილობა არ ჰქონდა, მხოლოდ დაბეჟილი იყო. კარგი, თოჯინასავით ბავშვია, მაგრამ ძალიან მოძრავია.

დედა რომ მოვიდა და ამდენი ხალხი დაინახა, მკითხა, რა ამბავიაო. მე-9 სართულიდან ბავშვი

„ძლიერი დაბეჟილობა აქვს. არც მოტეხილობები აქვს, არც ტვინის შეერყევა. ექიმებს ნიკოლოზის გადარჩენა ძალიან უკვირთ. ასეთი სიმაღლიდან ჩამოვარდნა ძირითადად ტრაგიკულად მთავრდება“.

გადმოვარდა-მეთქი — ვუთხარი. ეს რომ გაიგო, ალბათ მიხვდა და ცუდად გახდა. ბავშვმა დედა რომ დაინახა, ტირილი დაიწყო. ორივე სასწრაფომ წაიყვანა. ეს ბავშვი მართლაც ღვთის წყალობით გადარჩა.

„მაღლა ხომ ავიხედე, მე-9 სართულის სარეცხის თოკზე ბავშვი იყო ჩამოკიდებული და მიშველეთო — ყვიროდა“.

❖

ნიკოლოზის გადარჩენა ექიმებსაც უკვირთ. ამ შემთხვევიდან სამი დღის შემდეგ, 28 დეკემბერს, იაშვილის კლინიკის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ზვიად ბულისკერიამ „სარკეს“ ბავშვის მდგომარეობის შესახებ უამბო:

— პაციენტი საშუალო სიმძიმის მდგომარეობაში შემოიყვანეს. მას ტრავმა და ზოგადი დაბეჟილობა ჰქონდა. ვუმკურნალეთ, გამოვიკვლიეთ, სათანადო მკურნალობა დავუნიშნეთ. საბედნიეროდ, მუცლის ღრუს შიდა ორგანოები დაზიანებული არ არის. ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია. ორ-სამ დღეში სახლში გავწერთ.

❖

იღბლიანი ბიჭუნა ახალ წელს თავის სახლში, დედ-მამასთან და ძმიკოებთან ერთად შეხვდა. „სარკე“ მას ბედნიერ ცხოვრებას და მაღლა-მაღლა ფრენას უსურვებს, ოღონდ ვარდნის გარეშე!

✓ ეკა ლემონჯავა

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება

ლიგა

სექსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

„ქმარმა ვალებში დამტოვა, მაგრამ არ მეშინია!“

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეხმარებით, როცა ძლიერ ქალებზე წერთ. ამ დროს ვფიქრობ, რომ უკანასკნელი ღონე უნდა მოვიკრიბო და ჩემი მომავალისთვის ვიბრძოლო. თქვენს ჟურნალში ჩემთვის ძალიან საყვარელი მსახიობის, თამარ სხირტლაძის ინტერვიუ დაიბეჭდა. ამდენი ჭირ-ვარამის მიუხედავად, დღემდე სცენაზე თამაშობს. სარკეში ჩავიხედე და ჩემს თავს ვუთხარი, რომ მეც ყველაფერს შევძლებდი, მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და სიძნელეს გადავლახავ! ეს შესავალი იმიტომ დავწერე, რომ თქვენ მიმართ მადლიერება გამომეხატა. კიდევ მრავალი, მრავალი წელი გაგეხარებინოთ მკითხველების გული!

ახლა ჩემს ამბავსაც მოგიყვებით. ჩემი წვალებით და შრომით იმდენი მოვახერხე, რომ ოჯახს არ უჭირდა, ბევრი თუ არა, ცოტა ყოველთვის გვქონდა და ავად თუ კარგად თავი გაგვქონდა. ჩემმა ქმარმა ამოიჩემა, ამდენს შრომობ და მაინც არაფერი ჩანს, მოდი, ცოტა დიდ საქმეს შევეჭიდოთ, მეც მხარში ამოგიდგები და ყველაფერი გამოგვივაო. ჩვენი ბიჭი წელს სკოლას ამთავრებს, კარგად სწავლობს, ალბათ სტუდენტიც გახდება და მას შენახვა ხომ უნდა. მეგონა, რომ ჩემი ქმარი ამ ყველაფერზე დაფიქრდა და ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობა იგრძნო. სტიმული მომეცა. მაშინვე შევუდექი საქმეს. გახარებული ვიყავი. ვფიქრობდი, როგორც იქნა, კაცი მყავს გვერდით-მეთქი.

თავიდან მართლა ყველანაირად მეხმარებოდა. ჩემზე მეტს ის შრომობდა, რომ მაღაზია გაგვეხსნა. ერთი სიტყვით, ბაზრობის დახლიდან მაღაზიაში გადავინაცვლე, მაგრამ ეს ბანკიდან გამოტანილი კრედიტებით მოვახერხე. არ ვნერვიულობდი, რადგან პროცენტსაც ვფარავდი და ცოტა მოგებაც მრჩებოდა. ჩემთვის ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ქმარი გვერდით მყავდა, უფრო სწორად, ყოველთვის კი ჩემ გვერდით იყო, მაგრამ ამას ვერ ვგრძნობდი, რადგან მთელ დღეებს სახლში ატარებდა. ჩემს მიტანილს ჭამდა და სვამდა. ამიტომაც გამიხარდა, საქმეს რომ მოეკიდა.

ხასიათიც შეეცვალა, უფრო გათამამდა, რაღაცნაირი გახდა. მაღაზიაში შემოსულ კლიენტ ქალებს ეფლირტავებოდა, მაგრამ ამაზე მეცინებოდა. სამაგიეროდ უცხო უბანში უცებ ყველამ გაგვიცნო, გაგვიშინაურდნენ. ერთ დღეს კი შემატყობინეს, რომ ჩემი ქმარი იქვე, იმ უბანში, ვიღაც ქალთან დაძვრებოდა. თავიდან არ დავიჯერე, მაგრამ მერე თავად დავრწმუნდი, რომ საყვარელი ჰყავდა. რა თქმა უნდა, ამაზე მძაფრი რეაქცია მქონდა. ქმართან საშინელი კონფლიქტი მომივიდა. ვიფიქრე, რომ იმ უბანში გაჩერება აღარ ღირდა და გადავწყვიტე, მაღაზია სხვაგან გამეხსნა. ქმარმაც პირობა მომცა, კარგი, წავიდეთ, აქ მეც აღარ დამედგომება, მისი შვილი მემტერებაო. მეუბნებოდა, ეს როგორ დამემართა, ძალიან შევცდიო. ის ქალი ქმართან იყო გაყრილი და დიდი ბიჭი ჰყავდა.

მაღაზია დავთმე და ისევ თავიდან დავიწყე საქმის კეთება. შუა გზაში არ ვიყავი მისული, რომ ქმარი სახლიდან გაიქცა. მითხრა, რა ვქნა, მის გარეშე არ შემიძლიაო და იმ ქალთან წავიდა. ვალები კი მე დამიტოვა. განერვიულებულმა ვერც საქმეს მოვაბი თავი და ვალები დამიგროვდა. ახლობლებმა მე გამამტყუნეს, მშვენივრად იყავი, ქმარს რატომ დაუჯერე, კრედიტი რატომ გამოიტანეო. ძმაც მეჩხუბება, ბანკი თუ სახლიდან გამოგაგდებს, მე არ მომადგე, მთელი ცხოვრება მუქთახორა ქმარს შესწირე და შვილების მომავალიც იმას დაანგრევინეო.

მართლები არიან, მაგრამ ამ ჩხუბით რა გამოვა? ისევ მე უნდა გავძლიერდე. ვიცი, შევძლებ და შვილებს სახლს არ დავუკარგავ. შრომა არ მეზარება, ოღონდ ვინმემ დამაიმედოს, მითხრას, რომ არ შემეშინდეს. ამას ჯერჯერობით მხოლოდ თქვენ აკეთებთ თქვენი სტატიებთ და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამისთვის!

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„ჩემი დაქალი მდიდარი კაცების ცოლებს აჰყვა“

ბავშვობის მეგობარზე ნაწყენი ვარ. რაც თავი მახსოვს, სულ მის გვერდით ვარ. ყველა დებს გვეძახდა. ახლაც ასეა, თითქმის სულ ერთად ვართ. უზომოდ მიყვარს. ყოველთვის მეუბნებოდნენ, შენ კი ხარ მისი მეგობარი, მაგრამ ის თუ არის ასეთივე ახლობელი შენთვისო. მის სიყვარულში ეჭვი არასოდეს შემპარვია, თუმცა ეგოისტურად რომ იქცევა, ფაქტია.

ჩემები მეუბნებიან, უკვე სასაცილოდ გამოიყურები, დაქალს ფინიად უნდიხარო. ამ ბოლო დროს მართლა ვატყობ, რომ მის ცუგად ვიქეცი. თან უნდა, ჩემ გვერდით იყოს, თან თითქოს არც მკადრულობს. ის გათხოვილია, მე — არა. მეჯვარედ არ წამიყვანა. ეს იმით ახსნა, რომ ოჯახის სურვილი სხვა იყო, თვითონ მე ვუნდოდი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე ბავშვიც არ მომანათლინა, ისევ სხვა ნათლიები აირჩია. არც ეს მწყენია, ისევ ჩავთვალე, რომ ოჯახი მისი სურვილის წინააღმდეგ წავიდა. ჩემს მშობლებს ფული არ აქვთ, მეც ხშირ შემთხვევაში უმუშევარი ვარ. ჩემს დაქალს კი შეძლებული ქმარი ჰყავს. სულ ცდილობენ, მაღალ წრეში იტრიალონ. ისეთ ხალხს ეტმასნებიან, ვისაც ფული აქვს.

ამ ბოლო დროს ჩემი დაქალი მდიდარი კაცების ცოლებს აჰყვა. სალონიდან სალონში დარბის, ბოტოქსებს იკეთებს, ახლა მას და მის სადაქალოს ცხვირების პრობლემა გაუჩნდათ. ყველას ერთაბაშად აღარ მოსწონთ თავიანთი ცხვირები და ოპერაციის გაკეთებას აპირებენ. ძალიან სასაცილოები არიან, როცა ასეთ რაღაცეებზე იწყებენ ლაპარაკს. როცა სახის კანის პროცედურებს იტარებს, ყოველთვის მე მივყავარ. ერთხელ არ უთქვამს, მოდი, შენც გაიკეთე რამეო, არადა იცის, რომ ხშირად ერთლარიან კრემსაც ვერ ვყიდულობ... მე ასე არ მოვიქცეოდი.

ალბათ ჩემები მართლები არიან, ეს მეგობრობა არც არის და მას მხოლოდ ფინიად ვჭირდები. ჯობია, მასთან კავშირი გავწყვიტო.

თქვენი ერთგული მკითხველი

„დას ვეძებ!“

თქვენთან და თქვენს მკითხველებთან ერთი თხოვნა მაქვს, ჩემი ამბავი გულთან მიიტანეთ და თუ შეგიძლიათ, დამეხმარეთ. ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს დას ვეძებ, რომელიც დიდი ხნის წინ დაკარგე და მისი პოვნა მინდა. იქნებ ყველა ერთად დამეხმაროთ ჩემი დიდი ოცნების ასრულებაში და და მაპოვნინოთ.

უგულო ადამიანებმა დიდი ხნის წინ დაგვაშორეს. მაშინ მე სამი წლის ვიყავი, ჩემი და კი ორი წლის იყო. მოგაწვდით ცნობებს, რის მიხედვითაც შეიძლება ჩვენი ისტორია ამოიცნოთ. მე ვარ ნინო შოთას ასული ქათამაძე. დავიბადე 1969 წელს, 26 აგვისტოს, ქალაქ სამტრედიაში. ჩემი და, მაია, დაიბადა 1970 წელს, ასევე სამტრედიაში. მე გამაშვილეს თბილისში, ჩემი და კი — ახმეტის რაიონში. დები დედამ, ბებიამ და ბებიის დაქალმა გაგვაშვილეს. თქვენი იმედი მაქვს, რომ გამომეხმაურებით .

„სარკის“ ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანჭაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

წერილი ციხიდან: „ჩემს ცოლს ოცნებები დავუმსხვრიე“

ეს წერილს საპატიმროდან გიგზავნით. მინდა, ჩემს ცოლ-შვილს ბოდიში მოვუხადო, მათ ბევრი რამ ვავნე. ბავშვობიდან მიყვარდა ქალი, რომელზეც ვიქორწინე. ის არასოდეს მომიტყუებია, მართლა გულით მიყვარდა. მასზე ვოცნებობდი. ვფიქრობდი, ოჯახი რომ გვექნებოდა, უბედნიერესები ვიქნებოდით. მერე კი ყველაფერი სხვანაირად აეწყო. ჩემს ცოლს იმედებიც გავუცრუე და ოცნებებიც დავუმსხვრიე. ახლა ბევრი დრო მაქვს საფიქრალად და ბევრ რამეს ვაანალიზებ. მახსენდება თითოეული ჩემი ნაბიჯი, რომელსაც ოჯახის საზიანოდ ვდგამდი. ახლა მიკვირს, ჩემი ცოლი ამდენს როგორ უძლებდა, თურმე მართლა ძალიან ვყვარებივარ, მე კი ამ გრძნობას არ ვაფასებდი.

ფული ვიშოვე თუ არა, იმის ნაცვლად, ცოლ-შვილი გამეხარებინა, ვენებში გავუშვი. ნარკოტიკებს მივეძალე და მერე ამ უბედურებამ ათასი საშინელება მაკეთებინა. საბოლოოდ კი ციხის კარამდე მიმიყვანა. არც კი ვიცი, მინდა თუ არა სახლში მისვლა. იქნებ ჯობს, მუდმივად ჩემი შვილების თვალებში ყურებას და დანაშაულის შეგრძნების განცდას, ისევ აქ, ციხეში ვიყო. სინდისის ქენჯნისგან ეს კედლები ცოტათი მაინც მიცავს.

ჩემი ცოლი ძალიან ერთგულია. რას არ აკეთებს იმისთვის, რომ შვილებს არ გაუჭირდეთ. მშობლები მეუბნებიან, ამ ქალის ღირსი არ ხარო. მართლები არიან. მისი ღირსი ნამდვილად არ ვარ. როგორ მინდა, თითოეული ის დღე ავუნაზღაურო, რაც ჩემ გამო ტირილში გაატარა. როგორ მინდა, ბევრი ბედნიერი დღე ვაჩუქო, მაგრამ კარგად ვიცი, ფუჭი ოცნებაა. ჩემი შერყეული ჯანმრთელობით ამას მაინც ვერ ავასრულებ. ერთადერთი, იქნებ კარგი მამობა მაინც შევძლო. ზუსტად ვიცი, რომ ჩემი ბიჭი ვერაფერს გამომაპარებს. თავის გაწირვა რომ დამჭირდეს, ჩემს შვილს უფლებას არ მივცემ, სწორ გზას ასცდეს.

ახალგაზრდებს, ვისაც საკუთარი თავი ვერ უპოვიათ, ვურჩევ, კარგად დაფიქრდნენ, სანამ ცხოვრებასაც მოისპობენ და ჯანმრთელობასაც. თუ ცოლი უყვართ, ნურასოდეს აწყენინებენ, დააფასეთ ახალგაზრდული წლებიც და ის სიყვარულიც, რასაც მეუღლე გჩუქნით. ნურასოდეს აატირებთ მას.

„სარკის“ მუდმივი მკითხველი

„ახალი წლის ღამეს ქმარ-შვილმა ისე გამაბრაზეს, მშობლებთან წავედი“

ქაცებმა, მგონი, სულ „დაუბერეს“. ჩემს ქმარს დიდი ხანია ვატყობ, რომ სრულ ჭკუაზე არ არის, მაგრამ სხვის ქმრებიც არ არიან მთლად დალაგებულად. ჩემ გარშემო თითქმის ყველა ქალს პრობლემა აქვს კაცთან, ზოგს ქმართან, ზოგს — შეყვარებულთან, ზოგს — მამასთან.

ჩემი ქმარი საახალწლოდ ბაზარში წასასვლელად დიდხანს ემზადებოდა. ერთ დღეს წავიდა და რომ მეგონა, პროდუქტებით დაბრუნდებოდა, ნაქეიფარი მოვიდა. თურმე ძმაკაცებთან ერთად გამოთვრა. მეორე დღეს ისევ ბაზრისკენ გაუყვა გზას, საყიდლების გრძელი სია წაიღო. იქიდან კი საახალწლო ნობათის ნაცვლად კავკასიური ნაგაზით დაბრუნდა. თან ტომრით მისი საჭმელი მოაყოლა, კიდევ ქამარი თუ რაღაცეები. წივილი რომ ავტეხე, გაოცდა, ბავშვებს ეს უფრო უხარიათ, სულ არ უნდათ შენი ნამცხვარი და საცივი, ეს ურჩევნიათო. ბავშვები კი გადაირივნენ, აუ, რა მაგარი ძაღლიაო, მაგრამ ისინი პატარები არიან და ვერაფერს ხვდებიან. ქმარმა სულ ღორმუცელა მიძახა, თითქოს ის საჭმელები ჩემთვის მინდოდა. გარდა იმისა, რომ პროდუქტები არ იყიდა, ხომ უნდა ეთქვა ჩემთვის, რომ ძაღლის მოყვანას აპირებდა? იმას მოვლა ხომ უნდა? რატომ არ მკითხა, შემიძლია თუ არა მისი მოვლა-პატრონობა?

ისე გავბრაზდი, შვილებიც დავტოვე და მშობლებთან წავედი. ქმარს ვუთხარი, ჩემებს საახალწლოდ ყველაფერი აქვთ, მე კარგ ახალ წელს გავითენებ და თქვენ რაც გინდათ, ის ქენით-მეთქი. მართლაც ასე მოვიქეცი. გული კი ჩამწყდა, მაგრამ ამით მინდა, ჭკუა ვასწავლო, იქნებ 39 წლის ასაკში მაინც რაღაცას მიხვდეს!

„სარკის“ ერთგული მკითხველი

გამოხმაურება

„ცოლი ყოველდღე მაყვედრიდა, სხვა მიყვარდა და შენ გამოგყევით“

ჟურნალ „სარკის“ 52-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „უსიყვარულოდ გავთხოვდე თუ ველოდო კაცს, რომელსაც არასოდეს შევუყვარდები?“. მე მამაკაცი ვარ და ამ გოგოს მინდა ვუპასუხო, რომ უსიყვარულოდ არ გათხოვდეს და ის ბიჭი არ მოატყუოს, რომელსაც მისი ცოლად შერთვა უნდა.

მე გარიგებით შევირთე ცოლი. 34 წლის ვიყავი და ღრუბლებში აღარ დავფრინავდი. კარგი გარეგნობის გოგო იყო, კარგი ოჯახის შვილი, განათლებაც ჰქონდა მიღებული. ასე რომ, ჩემი მომავალი შვილებისთვის თითქოს კარგი კანდიდატურა შევარჩიე. ვიფიქრე, რომ სიყვარული თანდათან მოვიდოდა და ერთმანეთს შევეწყობოდით.

მალევე მივხვდი, რომ შევცდი. ის ქალი ცოლად არ უნდა მომეყვანა, მაგრამ მას რომ ეთქვა, სხვა მიყვარსო, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი. მერე გამომიტყდა, რომ სხვა უყვარდა. მე კი იმიტომ გამომყვა ცოლად, რომ მშობლებმა დააძალეს.

ერთ დღეს ტელეფონზე ლაპარაკის დროს შევუსწარი, ვიღაცას ეუბნებოდა, ვერ გივიწყებ, ისევ შენ მიყვარხარო. რა თქმა უნდა, მოვთხოვე, სიმართლე ეთქვა. მანაც მომახალა, უსიყვარულოდ გამოგყევიო. ბავშვურ საქციელად ჩავუთვალე, ვაპატიე, მაგრამ ისევ შევცდი. მეგონა, შემიყვარებდა, ოჯახის ქალად იქცეოდა. არაფერი გამოვიდა. რადგან საიდუმლო გამიმხილა, მერე ყოველდღე მაყვედრიდა, არ მიყვარდი და ისე გამოგეყევი, შენ კი არ მაფასებო. რომ მომატყუა და ცუდად მოიქცა, ამას ვერ ხვდებოდა. ბოლოს ყელში ამომივიდა, ჩავულაგე თავისი ბარგი, დედამისის სახლთან მივუზიდე და ვუთხარი, სადაც გინდა, იქ წადი, შეგიძლია, შენს შეყვარებულს დაუბრუნდე-მეთქი. ბევრმა მე გამამტყუნა, რადგან ჩემზე ამბობდა, ეჭვიანი იყოო, ახლობლებთან თავს იკატუნებდა. ამის საბაბი რომ მქონდა, იმას არ ამხელდა...

ქალებო, კაცებთან გულახდილები იყავით, მათ ნურასოდეს მოატყუებთ!

მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი ბარბაქაძის დედ-მამა ჯეკოს მშობლებზე ეჭვიანობენ

„ჩემმა შვილმა ბებიამისი აბაზანაში ჩაკეტა“

■ გიორგი დედასთან ერთად

ჯეკო — ეს სახელი 11 წლის მსახიობ გიორგი ბარბაქაძეს ალბათ დიდხანს შერჩება, მით უმეტეს, რომ ამ თავის გმირს სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“ ძალიან ჰგავს. ოჯახის წევრებს ორინებს მსავავით ხშირად უწყობს. ის სამ დედმამიშვილში ყველაზე პატარაა. და, მარიამი, 16 წლის არის და გიორგის ძალიან ათამამებს, 14 წლის ვიქტორი კი უმცროს ძმასთან ხშირად კინკლაობს. მათი უთანხმოების მთავარი მიზეზი, ისევე როგორც სერიალში, კომპიუტერია. დედას, ნანა ხაბეიშვილს, ზოგჯერ ბიჭების გაშველებაც უწევს.

„სარკე“ ქალბატონ ნანას ინტერვიუსთვის სერიალის პავილიონში შეხვდა. ხუჭუჭა თმით შვილებიდან მას ყველაზე მეტად გიორგი ჰგავს. პატარა მსახიობი გადაღებაზე იყო, ინტერვიუს დასასრულს ისიც დაბრუნდა, მოსვლისთანავე კომპიუტერს მიუსკუპდა და ფოტოების გადასაღებად ძლივს მოვიტყუეთ. ბოლო დროს გადაღებულ ქართულ ფილმებში გიორგის ძმაც მონაწილეობს. თურმე ბავშვობაში ქალბატონ ნანასაც ჰქონდა მსახიობური მონაცემები, პაროდიის ნიჭით გამოირჩეოდა. ჩვენი საუბარიც მსუბუქი იუმორით გაანავა.

— ქალბატონო ნანა, თითქმის ერთი თვეა, ინტერვიუს შესათანხმებლად ვირეკავთ, მაგრამ გიორგის გრაფიკის გამო ჩვენი შეხვედრა ვერ შედგა. ასეთი რეჟიმი ბავშვს არ ეღლის?

— წუწუნებს, მაგრამ დილით, ვითომც არაფერი, იმავე ენერგიით იწყებს ყველაფრის კეთებას. ახლა დაემთხვა ასეთი რთული რეჟიმი, რადგან სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ პარალელურად ფილმს იღებენ. თავისუფალი დრო თითქმის არ გვაქვს. დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე გადასაღებ მოედანზე ვართ.

■ და-ძმები

— პოპულარობა, გადაღებები თავიდან ბავშვებს ძალიან მისწონთ, მაგრამ, როცა ამ ყველაფერს ყოველდღიური მუშაობის სახე ეძლევა, მათთვის, ცოტა არ იყოს, მობეზრებელიც ხდება.

— არა, გიორგის შემთხვევაში ასე არ არის. გადასაღებ მოედანზე ქეთასთან (ქეთა ორბელაძე, სერიალში ტასოს როლის შემსრულებელი. ავტ.) ერთად კარგად ერთობა და ისე შეეჩვია, რომ პატარა და ჰგონია. გადასაღებ მოედანზე სიხარულით მიდის, რომ იქ ქეთას შეხვდეს. ხანდახან, როცა ქეთას გადაღება აქვს, გიორგი კი თავისუფალია ან — პირიქით, იმ დღეს ყურებჩამოყრილია. გამრთობი და გვერდზე მდგომი ხომ უნდა? ასეთ დროს სულ მეკითხება: „დე, მალე მოვრჩებით, გადაღება არ მთავრდება?“. ქეთას გარეშე გადასაღებ მოედანზე ძალიან უჭირს. ერთმანეთი სერიალზე მუშაობისას გაიცნეს. პირველივე დღიდან დამეგობრდნენ.

— საერთოდ რიგორ აღმოჩნდა გიორგი ამ სერიალში?

— ეს ეკა მჟავანაძის დამსახურებაა. მან გვითხრა, რომ გიორგი კასტინგზე მიგვეყვანა.

— მანამდე ატყობდით გიორგის მსახიობურ მონაცემებს?

— არა, მანამდე არაფერი შემიმჩნევია. გადაღებებზე თავის ძმას დაჰყვებოდა, მაგრამ ჩემთვის არასდროს უთქვამს, რომ თვითონაც უნდოდა. გიორგიმ სერიალით უფრო მოიპოვა პოპულარობა, ვიდრე მისმა ძმამ ფილმით. არადა, ვიქტორი 7 ფილმშია გადაღებული. გიორგი ვიქტორს პოპულარობაში ეჯიბრება.

— უფროსი ასაკის მსახიობებთან ურთიერთობა არ გაუჭირდა?

— არა და ეს მსახიობების დამსახურებაა. ბავშვები, როგორც დიდ ოჯახში, ისე მიიღეს. „მშობლები“ — ანი ტყებუჩავა და ლევან ყოჩიაშვილი, ბავშვებს ძალიან თბილად ექცევიან.

■ გიორგი

— ხომ არ ეჭვიანობთ მათზე?

— კი, გიორგის იმდენად თბილად ექცევიან, ხანდახან მიეჭვიანია კიდეც. მათი თეთრი შურით მშურს, რადგან „შვილებს“ კარგად ზრდიან. ლევან ყოჩიაშვილი გიორგისთვის ყველაფრის ეტალონია. როცა ეთერში სერიალის პირველი რეკლამა გავიდა, გიორგიმ თქვა, აი, ჩემი მამიკოო. ამ დროს ჩემი მეუღლის რეაქცია ასეთი იყო — რა მამა, კაცო, მამა მე ვარო!

„ლევან ყოჩიაშვილი გიორგისთვის ყველაფრის ეტალონია. როცა ეთერში სერიალის პირველი რეკლამა გავიდა, გიორგიმ თქვა, აი, ჩემი მამიკო. ჩემი მეუღლის რეაქცია ასეთი იყო — რა მამა, კაცო, მამა მე ვარო“.

— ანუ ნამდვილი მამაც ეჭვიანობს?

— შვილის წარმატება მოსწონს და ეამაყება, მაგრამ გიორგი ლევანის მიმართ უფრო მეტ სითბოს ამჟღავნებს, ვიდრე მამამისის მიმართ.

— და ეს მამას სწყინს?

— ახლა შეიძლება ჭკუა ისწავლოს.

— ჭკუის სასწავლებელი რა სჭირს თქვენს მეუღლეს?

— ის რაღაცეებთან მიმართებაში უფრო მკაცრია. ვეუბნები, ამ სერიალის მაგალითიდან ისწავლე, რომ ბავშვთან დიდი ბავშვი უნდა იყო-მეთქი.

— თქვენს და ჯეკოს დედას შორის რა პარალელს გაავლებდით?

— ნინა ჩემზე ლმობიერია. ანი ძალიან მომწონს, კარგი პიროვნებაა და სერიალშიც კარგი დედის როლს თამაშობს.

**— სერიალში ჯეკო და ტასო ხშირად ეჩხუბებიან ერთმანეთს. ეს ბავშვობაში ასეთ ასაკში ბევრ ბავშვს ახასიათებს. ეს ბავშვობის ერთ-ერთი ნაწილია. ეს ბავშვობა

დად ამის გამო მოგვდის, თორემ გაკვეთილებს ისე მეცადინეობს, ვერც ვიგებ. რომ მეტყვის, ვისწავლეო, არ ვამოწმებ, ვენდობი. დამოუკიდებლად მეცადინეობს.

— გიორგი სკოლაში ალბათ ძალიან პოპულარული.

— მასწავლებლები ამის პოპულარობას ყურადღებას არ აქცევენ, ეუბნებიან, რომ სწავლას არ უნდა ჩამორჩეს. გიორგის პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აქვს. სკოლა ზედიზედ ორი კვირაც გაუცდენია და იმ ორი კვირის მასალა მასწავლებლისთვის ჩაუბარებია. რამდენჯერმე შემეცოდა და ვუთხარი, სკოლაში ხომ იციან, რომ გადაღებები გაქვს და დაიძინე-მეთქი. გიორგიმ მითხრა, რომ ამაყენებენ, რატომ უნდა ვთქვა, გაკვეთილი არ ვიცი, მაშინ რა მინდა სკოლაშიო. ღამის 2 საათამდე მეცადინეობს ხოლმე.

— სკოლის, სერიალისა და კომპიუტერის პარალელურად კიდევ რა ინტერესები აქვს?

— ჭადრაკი უყვარს. თუ თავისუფალი დრო აქვს, ოლიმპიადა ისე არ ჩაივლის, არ წავიყვანო. 10 წლის ასაკში 106 ბავშვში მეხუთე თანრიგი მოიპოვა. ფეხბურთიც ძალიან უყვარს. ცოტა ხანი ფეხბურთზეც დამყავდა, მაგრამ ამ რეჟიმში იქ სიარულს აზრი არ აქვს. მირჩევნია, ცეკვას გაჰყვეს. ამის მონაცემები აქვს.

— შუათანა შვილზე ვიქტორზეც გვიამბეთ. მას უფრო დიდი „არტისტული“ სტაჟი ჰქონია.

— ვიქტორი 2007 წელს „ანაბანაში“ გამოვიდა, შემდეგ პროექტ „ერალაშის“ ქართულ ვერსიაში აღმოჩნდა. მერე ალეკო ცაბაძემ ფილმში „რენე მიდის ჰოლივუდში“

„ხადგან დედისეხითა ვიყავი, ეხთი შვილი ახ ვიკმახე და შვილები ასე, ტეტეს ტყვიებივით მივაყოლე“.

გადაიღო, სადაც ვიქტორმა ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა. მაშინ 10 წლის იყო და მისი ეს ნაბიჯი საკმაოდ საპასუხისმგებლო იყო, რადგან ალეკო ცაბაძე ხელწამოსაკრავი რეჟისორი არ არის. ვიქტორი ფილმში ისე თამაშობდა, დუბლს არ აფუჭებდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ნიკა თავაძე ფილმის გმირს ახრჩობს. ვიქტორი როლში იმდენად შევიდა, როცა დაინახა, ნიკა კინოგმირს ახრჩობდა, მივიდა და სახეში მუშტი დაარტყა. ეს ნიკასთვის მოულოდნელი იყო. სცენარის მიხედვით, ვიქტორს ნიკასთვის უნდა ეთქვა, შეეშვი, არ დაახრჩოო. ვიქტორმა ტირილი დაიწყო, მიხვდა, ასე არ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ ყველაფერი იმდენად ბუნებრივი გამოვიდა, ეს კადრი დატოვეს. ვიქტორმა სერიოზულ ფილმს თავი კარგად გაართვა. ერთი პერიოდი ყველა იმ გმირის სახელს, უჩას ეძახდა და ეს სახელი კარგა ხანს, თითქმის ორი წელი შერჩა.

— ფილმში „სიყვარული აქცენტით“ დუტა სხირტლაძის მგზავრასაც თამაშობს.

— კი და ამ როლში ძალიან მომწონს. დუტა და ვიქტორიც დამეგობრდნენ. მიხარია, რომ ჩემი შვილები კინოინდუსტრიაში აღმოჩნდნენ.

— ძმების ურთიერთობაზე გვიამბეთ. ხშირად ძიძგილაობენ?

— მათი დატაკების საბაბი კომპიუტერია. გიორგის ვიქტორის გასაბრაზებლად ბევრჯერ უთქვამს, შენზე პოპულარული ვარო. ის კი ეუბნება, ეკა მყავნაძეს ჩემთან ერთად რომ არ ენახე, ასე არ იქნებოდაო. ასეთი წალაპარაკება მოსდით ხოლმე. იყო შემთხვევა, მაგრად იჩხუბეს, ვიქტორმა დასარტყამად ვერ გაიმეტა და ამან კი მაგრად სცემა. დას კი ორივე ეფერება.

— მარადაც ხომ არ ეჭვიანობს ტასიზე?

— არა, პირიქით, ტასო ძალიან უყვარს. გამოდის, რომ შიგადაშიგ მხოლოდ მშობლები ვეჭვიანობთ.

— ქალბატონი ნანა, თქვენ მუშაობთ თუ სამი შვილის გამო ვერ ახერხებთ?

— ბავშვების გაზრდით და აღზრდით ვარ დაკავებული. ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე, რომელიც დღემდე არაფერში გამომდგომია. მეუღლე, თამაზ ბარბაქაძე, აგრონომია. ამჟამად არ მუშაობს.

— რიგორ შეეჩნა თქვენი ოჯახი?

— „გეპეი“-ს ბაზაზე კალათბურთის პირველი ლიგის გუნდში ვთამაშობდი. სხვათა შორის, 27 წლამდე ვიჭრიჭინე. დედისერთა ვიყავი და მშობლები სულ იმას მეუბნებოდნენ, ხტუნაობა გეყოფა, ოჯახს მოეკიდეო. მე და თამაზი ერთმანეთს სუფრასთან შევხვდით, მოწონებით დაიწყო ყველაფერი. როცა დავქორწინდით, ჩემი მეუღლე 48 წლის იყო. 28 წლის ასაკში უკვე მარი შემეძინა. რადგან დედისერთა ვიყავი, ერთი შვილი არ ვიკმარე და შვილები ასე, ტეტეს ტყვიებივით მივაყოლე.

✓ ეკა ლეჩხოჯაია

ცხელ-ცხელი ამბავი

ნანიკო ხაზარაძის შეყვარებული ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორია

გიორგი ჯეჯელიძე: „ჩვენი საქმიანი შეხვედრა იმავე საღამოს არასაქმიან ურთიერთობაში გადაიზარდა“

ს ულ ცოტა ხნის წინ „ფეისბუქზე“ გამოჩნდა ტელეწამყვან ნანიკო ხაზარაძის და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, პოეტ გიორგი კეკელიძის ე.წ. რელეიშენშიფი, რაც იმას ნიშნავს, რომ წყვილმა თავისი ურთიერთობა გააცხადა. ამ სიახლეზე საუბარი მხოლოდ გიორგი კეკელიძესთან მოვახერხეთ, რადგან ნანიკო ხაზარაძემ დატვირთული დღის რეჟიმის გამო ვერ მოიცალა. როგორც გიორგი კეკელიძე ამბობს, მას და ნანიკოს ევროპული ურთიერთობა აქვთ, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო, თავს კარგად გრძნობენ და ჯერჯერობით პროგნოზებს არ აკეთებენ. გიორგი თავს იკავებს, ამ ურთიერთობას სიყვარული უწოდოს.

■ ნანიკო და გიორგი

„ჩემთვის ის იმაზე უფრო საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეკრანზე ჩანდა“.

— გიორგი, „ფეისბუქით“ შეიტყეთ, რომ თქვენ და ნანიკო ხაზარაძე შეყვარებულები ხართ. ეს ბეჭდვითის მოულოდნელი იყო და ალბათ ყველას ინტერესებს დეტალები. რა შეგიძლიათ „გასაჯაროთ“, ანუ გაგვიმხილოთ ამ ურთიერთობაზე?

— ზოგადად, ჩემი ცხოვრება მოწესრიგებულია იმ თვალსაზრისით, რომ ერთდროულად ბევრ საქმეს ვაკეთებ, რასაც თავისთავად რეჟიმი სჭირდება, მაგრამ პირადი ცხოვრება ყოველთვის ქაოტური და სპონტანური მქონდა. ნანიკოსთან ურთიერთობაც სრულიად სპონტანური შეხვედრის ერთ-ერთი შედეგია. რამდენად გრძელვადიანი და სერიოზულია ეს ყველაფერი, ამას დრო გვაჩვენებს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ გვაქვს ურთიერთობა, რომელსაც „ფეისბუქის“ ენაზე „რელეიშენშიფს“ უწოდებენ.

— რამდენი ხანია, რაც ერთად ხართ?

— ორი კვირაა. როგორც უკვე აღვნიშნე, რადგან სპონტანური ვარ ამ მიმართულებით, ყველაფერი იმაზე სწრაფად მოხდა, ვიდრე ეს ხდება ხოლმე. ჩემს პირად ცხოვრებას იშვიათად ახლავს რომანტიკული ვახშმები, ფინჯან ყავასთან ერთად საუბარი და ა.შ. ამ მიმართულებით სწრაფი ვარ, რაც შეიძლება ცუდიც იყოს.

— მანამდე იცნობდით ნანიკოს?

— ბუნებრივია, ვიცნობდი. რამდენჯერმე ვიყავი მიწვეული „დღის შოუში“ (ნანიკო ხაზარაძე ამ გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი იყო. ავტ) და იქიდან ვიცნობდი. არ ვმეგობრობდით. ჩვენი ურთიერთობა უცბათ დაიწყო. საინტერესო ადამიანია, მასაც ახასიათებს ის სპონტანურობა, რაც — მე. ურთიერთობას სპეციფიკურს ხდის ისიც, რომ ჩვენ ერთად არ ვცხოვრობთ და ამ თვალსაზრისით ერთმანეთზე დამოკიდებული არ ვართ, ვგულისხმობ ერთმანეთის გადაჭარბებულ კონტროლს.

— რიგორც აღნიშნეთ, რომანტიკული შეხვედრა ყავასთან საუბარი არ გქონიათ, სპონტანური შეხვედრა რა ეთაურებაში მოხდა?

— პირველი შეხვედრა იყო საქმიანი და ბიბლიოთეკაში მოხდა, რომელიც ძალიან მალე, იმავე საღამოს, გადაიზარდა სხვა, არასაქმიან ურთიერთობაში. ჩვენ მივხვდით, რომ ამგვარი ურთიერთობისთვის რაც იყო საჭირო, ყველაფერი არსებობდა.

— ურთიერთობის ინიციატორი თქვენ იყავით?

— მე მგონი, რომ ეს იყო სინქრონული. არ ყოფილა სატელეფონო ზარები და ა.შ. ამაში დღეს „ფეისბუქი“ გვიწყობს ხელს.

— ეს სიყვარულია?

— მე ამას კლასიკური სახის შეყვარებულობას ვერ დავარქმევ. ეს არის ურთიერთობა ორ ადამიანს შორის. სიყვარული ძალიან სუბიექტური ცნებაა. რა იქნება მომავალში და რა სახეს მიიღებს, ამის პროგნოზს ვერ ვაკეთებ, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავიდან გამომდინარე.

— რით მოგწონთ ნანიკო?

— ჩემთვის ის იმაზე უფრო საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეკრანზე ჩანდა. მას აღმოაჩნდა სხვა მახასიათებლები, რამაც დამაინტერესა. მგონი, ხასიათის თვალსაზრისით, საერთო გვაქვს ის, რომ, როგორც გითხარით, ორივე ძალიან სპონტანური აღმოვჩნდით. ჯერჯერობთ ურთიერთობა ძალიან საინტერესოდ მიდის.

— თქვენ ჯერედით ცხობდი სანე, მგონი, პირველად დგას ასე ანაა?

— ღიად — კი.

— პაპელარული ადამიანთან „არასაქმიან“ ურთიერთობას უკეე მიჰყავ თქვენთვის უნერეულობები?

— ალბათ გადაჭარბებული ინტერესი და იმაზე მეტი ინტერპრეტაციები, რომელთა უმეტესობა ხშირ შემთხვევაში ჭორებს ეფუძნება, მაგრამ საჯარო პირს აქვს ჭორების თმენის ვალდებულება.

— თქვენ და ნანიკო ბევრ დროს ატარებთ ერთად?

— მე საერთოდ ინტერნეტის ადამიანი ვარ. ვირტუალურად მე და ნანიკო გაცილებით ხშირად ვართ ერთად, ვიდრე — ისე. მე მგონი, ყველა ადამიანი დღეს ასეა.

— ადრე ინტერვიუში გვითხარით, რომ ეყავდათ მგზავრი ქალი. მას ალბათ დაშორდით.

— მე არავის ვშორდები. ჩემთვის სიტყვა „დაშორება“ სრულიად გაუგებარია, თუ ეს მეორე მხარეს არ აქვს გადაწყვეტილი. ყველა იმ ადამიანთან, ვისთანაც მქონია რაღაც ტიპის სასიყვარულო კავშირი, შენარჩუნებული მაქვს ნორმალური ურთიერთობა. რაც შეეხება იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც ცხოვრობდი, ეს პიროვნება რჩება ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას და ახლობელ ადამიანად. ნანიკომდე ჩვენ უკვე იმ გაგებით, რა გაგებითაც თქვენ მეკითხებით, დაშორებულები ვიყავით.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

მანანა კობახიძე: „ირაკლი ღარიბაშვილს შს სამინისტროში არასწორი ინფორმაციები მიეწოდება“

«პრეზიდენტი იტყუება, როცა აცხადებს, რომ ჩვენ ციხიდან პედოფილებს ვუშვებთ!»

■ მანანა კობახიძე

პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონი დაამტკიცა. კანონს მხარი 80-მა დეპუტატმა 0-ის წინააღმდეგ დაუჭირა. პრეზიდენტის ვეტოდაძლეული ამნისტიის კანონი ხელმოსაწერად ისევ პრეზიდენტს გადაეგზავნა. თუ პრეზიდენტი კვლავ გადაწყვეტს, რომ 7 დღის განმავლობაში კანონს ხელი არ მოაწეროს, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე მოაწერს ხელს კანონპროექტს და იმ დღიდან ის უკვე ძალაში შევა. საქართველოს პრეზიდენტი ირწმუნება, რომ საკანონმდებლო ორგანოს ეს გადაწყვეტილება ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში სამარცხვინო ფურცლად ჩაიწერება. ამის შესახებ ის საჯარო განცხადებებს აკეთებს შეკრებებსა თუ ოჯახებში, სადაც საახალწლოდ სტუმრად მიდის:

— მე დავადე ამ კანონს ვეტო იმიტომ, რომ მინდოდა, ქვეყნისთვის თავიდან ამეცილებინა ამ კანონის ყველაზე უარყოფითი ასპექტები, რაც ეხებოდა პედოფილების, რუსეთის ჯაშუშებისა და სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეების გარეთ გამოშვებას... იმედი მაქვს, ამათ ჩემს ჯინაზე უშვებენ, რადგან რუსეთის აგენტი შეიძლება ორი მიზეზით გაუშვა ციხიდან — ან ჩემს ჯინაზე, რაც გასაგებია ჩემთვის, ან რუსეთის დაკვეთით. ჯერჯერობით ამ პარლამენტმა ხალხს თავი დაამახსოვრა მხოლოდ ორი რამით — პრეზერვატივებზე ბუსუსების აკრძალვით და პედოფილებისა და ჯაშუშების გარეთ გაშვებით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს სამარცხვინოა. ამას ვამბობ დიდი გულისტკივილითა და დანანებით, არა, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ როგორც მოქალაქე!

პარლამენტის ვიცესპიკერს, ქალბატონ მანანა კობახიძეს საუბარი ვეტოს დაძლევის და მისგან გამომდინარე მოვლენების თემაზე ვთხოვეთ.

— ქალბატონო მანანა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს ამნისტია საქართველოს დამარცხებაა და მალე ყველაფერს უკან შეატრიალებს. რას გულისხმობდა, ნომ არ იცით?

— პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ პოლიტიკურად მართლაც მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტი იყოს ის ორგანო, რომელიც შეძლებს, თავისი გადაწყვეტილებები ბოლომდე მიიყვანოს. თუკი პარლამენტს არ ექნება ვეტოს დაძლევის შესაძლებლობა, ის ყოველთვის დამოკიდებული იქნება პრეზიდენტის ნება-სურვილზე. საკანომდებლო ორგანომ ამ გადაწყვეტილებით უკვე აჩვენა თავისი დამოუკიდებლობის ხარისხი. ბოლო 9 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნები არ გაიზიარა.

სააკაშვილმა ისაუბრა პედოფილების გამოშვებაზე, ამ დროს კი პირიქით, ამნისტიის სიაში კი არ მოხვდნენ ასეთი პირები, არამედ იმ რეჟიმში, რასაც ჰქვია — ერთი მეოთხედით სასჯელის შემსუბუქება ყველასთვის. პრინციპი იყო ის, რომ ეს ხალხი სასჯელს არაადამიანური მოპყრობის პირობებში იხდიდა და ამიტომ მათ მიმართსახელმწიფო ჰუმანურობას იჩენს. რაც შეეხება სექსუალური ძალადობის მუხლით გასამართლებულ პირებს, რომლებსაც 2 წლამდე პატიმრობა აქვთ მისჯილი, ეს სასჯელი არის ნაკლებად მძიმე და დიახაც, შეეხო მას ამნისტია. თუ რატომ არის ასეთი დაბალი სასჯელი ამ მუხლზე, პრეზიდენტმა მოახდინოს ინიცირება და სანქცია გაზარდოს. იმ ლოგიკით, რომ ეს ხალხი ავადმყოფია და ამიტომ მათი გამოშვება არ შეიძლება, 2 წლის მერე რომ გამოვლენ, მაშინ რა ვქნათ? სამუდამო პატიმრობაში დავტოვოთ თუ დავხვრიტოთ? პრეზიდენტის ლოგიკა იყო აბსოლუტურად არასწორი. სიცრუეს ამბობს, როცა აცხადებს, რომ ჩვენ ციხიდან ვუშვებთ პედოფილებს.

— მას ასევე ჰქონდა პრეტენზია პოლიტპატიმართა სიაზე.

— მოდით, ვთქვათ, რომ ეს ხალხი დაკავებულია სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და ცხადია, ის ამ სიას მთლიანად ვერ დაუჭერდა მხარს. მაშინ მას უნდა ეღიარებინა, რომ პოლიტიკური დაპატიმრებები მისი რეჟიმისთვის დამახასიათებელი იყო. გარდა ამისა, მოახდინა რამდენიმე საქმის გამოყოფა — ეს არის ენვერი, მუხროვანის და კავკასიის ინციდენტი. მე აქ მქონდა კითხვა, რატომ გამოყო ეს სამი საქმე? თუ ის არ აღიარებს დანარჩენ პოლიტპატიმრებს, არც ამ სამი საქმის გამოყოფა უნდა მომხდარიყო. ისე, თავად პრეზიდენტმა გამოუშვა სექსუალური მოძალადეებიც, მკვლელებიც, ნარკოდილერებიც... თუ მისთვის ეს დასაშვებია, რატომ არ შეიძლება ამნისტია გარკვეული დოზით შეეხოს ყველას?!

იმუქრება, რომ თურმე დაბრუნდება. ვერ დაბრუნდება! დაივიწყოს ეს ამბავი! უფრო სწორად, გაიხსენოს, რომ მან პრეზიდენტობის ყველანაირი ვადა ამოწურა და აბსოლუტურად არაკანონიერად გაიგრძელა — იანვრიდან ოქტომბრამდე. როცა ამ ვადას ამოწურავს, უფლება აქვს, დარჩეს პოლიტიკაში, მაგრამ ნუ იმუქრება, რომ დაბრუნდება.

— შს მინისტრიც მიმბრე იყო, რომ ამნისტია არ შეეხებოდა ჯაშუშებს და ნარკომოყვარეებს, მაგრამ არც მისი რეკომენდაცია გაითვალისწინეთ. ეს კი თითზე დასაცეცეს ნაცვლად.

— მინდა, საზოგადოებამ კარგად გაიგოს, რომ ამნისტია შეეხო არა ნარკომოვაჭრეებს, არამედ ნარკომომხმარებლებს და ეს განაჩენში კარგად უნდა ყოფილიყო გამოკვეთილი. შეიძლება ადამიანი ფლობდეს დიდი რაოდენობით მძიმე ნარკოტიკს, ანუ მისთვის წაყენებული იყო 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ასევე მოიცავს ნარკორეალიზაციას, მაგრამ თუ სასამართლომ არ დაუდგინა, რომ ის იყო გამსაღებელი, ამნისტია უნდა შეხებოდა, რადგან ის არის ავადმყოფი და სჭირდება მკურნალობა. ეს ყველაფერი საზოგადოებას არასწორად მიაწოდეს.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, ჩვენ ერთი გუნდი ვართ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება მას გარკვეული ინფორმაციები არასწორად მიეწოდება იმ ხალხის მიერ, ვინც დღესაც მუშაობენ სამინისტროში და რომლებიც თავის დროზე პირადად მონაწილეობდნენ ამ ხალხის დევნასა და დაპატიმრებაში. ამ საქმეების რევიზია თუ ისევ მათ ხელში აღმოჩნდა, ვინც ის ადამიანები დააპატიმრა, ცხადია, ვერ იტყვიან, კი, ჩვენ ეს ხალხი პოლიტიკური ნიშნით დავაკავეთო. ქალბატონმა თინა ხიდაშელმა სწორად თქვა, დიახაც, ჩვენ ვართ ერთი გუნდი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ყოველთვის ერთ პოზიციაზე ვიყოთო. შეიძლება მინისტრის რაღაც პოზიციას უმრავლესობა არ დაეთანხმოს. ეს არის დემოკრატია და არა — განხეთქილება გუნდში.

— ვაა ბარამიძემ თქვა, ამ ამნისტიამ ბუტანი გაანარცხა. ალბათ მისგდით, რაც იგულისხმა.

— 1937 წელს, როცა ხალხს ხვრეტდნენ, ბრალად მათაც ჯაშუშობა და სამშობლოს ღალატი ჰქონდათ წაყენებული. ასე რომ, მთავარი ის არ არის, რა ბრალდება აქვს წაყენებული, არამედ რამდენად სწორია და ამ საქმეების აღძვრა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა თუ არა. თქვენ გახსოვთ, რომ 2007 წლის ნოემბრის აქციების შემდეგ გოგა ხაინდრავა, შალვა ნათელაშვილი, ლევან ბერძენიშვილი რუსეთის აგენტობაში დაადანაშაულეს. იმავეს ამბობდნენ ცოტნე გამსახურდიაზე. სად არის ეს საქმეები? რატომ არ განიხილეს? რატომ არ დასაჯეს ეს ხალხი? იმიტომ, რომ მტკიცებულებები არ არსებობს! სხვა საქმეებზე სამართლიანი განხილვა არ მომხდარა, არც მათი ბრალი დასტურდება, რადგან ეს იყო პოლიტიკურ ნიადაგზე ინიცირებული. მაგალითად, მუხროვანის ამბოხი პირდაპირ იყო დაკავშირებული პოლიტიკასთან. წლის 6 მაისს ოპოზიცია ქუჩაში გამოსვლას აპირებდა, 5 მაისს კი ამ საქმის ინიცირება მოხდა.

— პრეზიდენტმა პარლამენტზე თქვა, ხალხს თავი პრეზერვატივზე ბუსუსების აკრძალვით დაამახსოვრაო.

— ეტყობა, ეს არის მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა. არა მგონია, ამ სიტყვების კომენტარი ღირდეს.

— პრეზიდენტმა ლევან ჯარშალომიძე და ალექსანდრე ნეთაგურიც ახსენა და დასძინა, რომ ახალი მთავრობა ჯერაჯის დააპატიმრებს, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით.

— პრეზიდენტი ამბობს, რომ ვერ დავიჭერთ ან არ უნდა დავიჭიროთ. პარლამენტი არ ერევა ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობაში, მაგრამ ქვეყანაში წესრიგი უნდა დამყარდეს. სამართლიანობის აღდგენა კი ნიშნავს იმას, რომ ვინმეს თუ რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, პასუხი უნდა აგოს და არ აქვს მნიშვნელობა, ეს ვარშალომიძე იქნება თუ მერაბიშვილი. ხალხი ითხოვს, რომ ყველა საქმე უნდა გამოვიძიოთ. ჩვენ კი პირობა მივეცით მოსახლეობას, რომ სამართლიანობას აღვადგენდით.

— პრემიერმა საკმაოდ სასტიკესი ინიციატივა გააჟღერა, რომელიც პრეზიდენტის მიერ მთავრობის დათხოვნის უფლებას ეხება. ეს კონსტრუქციაა?

— ეს არის საღი აზრი იმ დროს, როცა პრეზიდენტი იმუქრება, რომ ექვს თვეში თუ რვა თვეში სასწაულ ამბებს დაატრიალებს. თუ მას უნდა უნდა პარლამენტის დათხოვნა, დაითხოვოს, ჩვენ მივცემთ უფლებას, ეს სამ თვეში გააკეთოს. ქართველი ხალხი თავის არჩევანს ხვალაც გააკეთებს და ზეგაც. დარწმუნებული ვარ, ნაცმოძრაობა იმ ხმების ნახევარსაც ვერ მიიღებს, რაც მიიღო. შეიძლება ვერც კი გადალახოს ბარიერი.

— რას ელოდებით 2013 წლისგან პოლიტიკაში?

— დარწმუნებელი ვარ, სიძნელეებს, რაც მოდის პრეზიდენტის არაადეკვატური ქმედებებიდან, გადავლახავთ, მაგრამ ამაზე მთავარი ჩვენთვის არის დაიწყოს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება, ამას ხალხი გაზაფხულზე უკვე იგრძნობს. დანარჩენი, რა თქმა უნდა, იქნება თავდასხმები პრეზიდენტისგანაც და უმცირესობისგანაც, მაგრამ ეს არ შექმნის რაიმე სერიოზულ პრობლემას, ეს ვეტოს დაძლევამაც აჩვენა.

Cyan Magenta Yellow Black

კახი კახიშვილი: „2013 წელს იქნება პოლიტიკური ბრძოლა წესების გარეშე“

„პრეზიდენტივის ჯანონის ნაცვლად საჭიროა ანტიკრიზისული პროექტების შემუშავება“

■ კახი კახიშვილი

პრემიერმინისტრმა საკონსტიტუციო ინიციატივით პრეზიდენტი კუთხეში მიიმწყვდია. ინიციატივივა გულისხმობს, რომ კონსტიტუციაში შევა ცვლილება და პრეზიდენტს მიენიჭება უფლება, პარლამენტი დაითხოვოს არა ექვს, არამედ სამ თვეშიც. ივანიშვილმა სააკაშვილს მიმართა, რომ გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და დაითხოვოს მთავრობა, პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები. ივანიშვილის თქმით, პრეზიდენტმა სიტუაციის გასამწვავებლად ყველაფერი გააკეთა, „დაავადებამ პიკს მიაღწია“ და ახლა პრემიერმა მისი პრევენცია უნდა მოახდინოს — გაფინოს ხალიჩა, რომ ისევ სააკაშვილმა კისერი არ მოიტეხოს.

— ეს კაცი მზად არის, გადაიხვეწოს თვითონ და ჰგონია, საქართველოსაც წაიყვანს, მაგრამ საქართველოს ვერ წაიყვანს. აქაც ბოლომდე არ იცის, რა ხდება. მგონია, დაავადებამ პიკს მიაღწია და ახლა მე მისი პრევენცია უნდა მოვახდინო... ამ კაცმა აჩვენა, რომ მზადაა და თანახმაა, გამოიყენოს ის ყველაზე დიდი დარღვევა, რაც მან ჩადო კონსტიტუციაში, — განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი განმარტავს, კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტის თანახმად, პრეზიდენტს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბების უფლება ერთმევა. მოქმედი კონსტიტუციით კი, პრეზიდენტს შეუძლია, მოქმედი მთავრობა ნებისმიერ დროს უმიზეზოდ დაითხოვოს და თუ პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული მთავრობის შემადგენლობა 3-ჯერ არ დაამტკიცა, მთავრობა თავად დანიშნოს, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება უკან დაიბრუნოს.

> **„ახჩევნებით პარლამენტში ვერც ერთი ნაციონალი ვეღარ შევა და ეს ყველაზე ჯანაგად თავად ნაცმოძრაობამ იცის. დღეს პრეზიდენტი შიდა დარტყმის ქვეშაც არის. უკვე ბევრი ნაციონალი დეპუტატი დაფიქრდება თავის მომავალზე“.**

ექსპერტები ბიძინა ივანიშვილის ამ „პენალტს“ ლოგიკურ ნაბიჯად აფასებენ, თუმცა საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი კახი კახიშვილი პრემიერს სიფრთხილისკენ მოუწოდებს. „სარკემ“ ექსპერტს პრემიერ-პრეზიდენტის ბოლოდროინდელი დუელის ანალიზთან ერთად ახალი პარლამენტის მუშაობის შეფასებაც სთხოვა.

— ბატონო კახი, ახალი პარლამენტი 2 თვეზე ოდნავ მეტია, რაც ქვეყანას მართავს. მცირე ვადის მისედვით, როგორი სურათი იკვეთება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მუშაობის ეფექტურობის კუთხით?

— ხელისუფლებაში მოვიდა ხალხი, ვინც, ვფიქრობ, არ იყო მზად ამისთვის, ყოველ შემთხვევაში, მათ ასეთი მოლოდინი არ ჰქონდათ. ისინი ორიენტირებული იყვნენ სადღაც 40 პროცენტზე, ეს მთავრობის ფორმირების დროსაც აისახა და პარლამენტშიც. პარლამენტი თავიდან ინერტული იყო. ალბათ დამეთანხმებით, რომ პრეზერვატივის გაყიდვის ადგილის პრიორიტეტების განსაზღვრა მოსახლეობის ინტერესებში არ იჯდა, ყოველ შემთხვევაში, იმ ეტაპზე. სახეზეა ასევე არაორგანიზებულობა და არასათანადო კომუნიკაცია მთავრობასა და პარლამენტს შორის. მეტიც, შიგნით, „ქართული ოცნების“ ფრაქციაშიც, არ არის პოზიციები შეჯერებული, რაც საკითხების განხილვის დროსაც ჩანს. ვიმედოვნებ, რომ ეს იქნება აღმოფხვრილი, რადგან წინ ბევრი საქმე ელოდებათ. მოსახლეობამ მათ ძალიან დიდი ნდობა გამოუცხადა და ამას გამართლება სჭირდება. მით უმეტეს, როცა ვხედავთ, რომ პრეზიდენტი ყოველდღიურად ქმნის პრობლემებს.

— ვარაუდობდნენ, რომ პრეზიდენტი ვეტოს არ გამოიყენებდა, დასავლეთიდან საკრანსნეფი კოჰაბიტაციის გათვალისწინებით, მაგრამ სააკაშვილმა უკვე აჩვენა, რომ ამასაც არ მოერიდება.

— ამას არასოდეს გამოვრიცხავდი, ველოდებოდი, უფრო მეტიც, რაც უფრო მივუახლოვდებით საპრეზიდენტო არჩევნებს, მით უფრო მოიმატებს დაძაბულობა. როცა პარლამენტმა დაიწყო შესწავლა, არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები, დაძაბულობას მოველოდი, რადგან საქართველოს პრეზიდენტი და ყოფილი უმრავლესობა არასოდეს აღიარებდა, რომ მათ ისეთი მმართველობა ჰქონდათ, რომ ჰყავდათ პოლიტპატიმრები. ამიტომაც აშკარა იყო, რომ პრეზიდენტი ამნისტიის კანონს ხელს არ მოაწერდა. საბედნიეროდ, პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია და აგრძნობინა, რომ პოლიტიკური მუქარებით შორს ვერ წავა.

ბუნებრივია, სააკაშვილისთვის ეს იყო დიდი დარტყმა. ალბათ ნაცმოძრაობაშიც უკვე მოხდა იმ აზრის ფორმირება, რომ ამ ბერკეტს ისინი დიდი ხანი ვერ გამოიყენებენ. თუ ისევ უარს იტყვიან საპარლამენტო ინიციატივაზე, უკვე იციან, რომ მიიღებენ ადეკვატურ პასუხს. ამით მიხვდნენ, რომ სააკაშვილი ძლევამოსილი პრეზიდენტი აღარ არის. მისი მომხრეების იმედი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ აპრილში „ფოკუს-მოკუსს“ მოახდენდა და ისევ მოვიდოდა ხელისუფლებაში, დაიმსხვრა. ამით ნაცმოძრაობაშიც შეიქმნა პრობლემა და საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უკვე ბევრი იფიქრებს.

— თქვენი აზრით, როგორ განსაზღვრავ პარლამენტისა და პრეზიდენტის ურთიერთობა?

— მათი ურთიერთობა ისეთი ვარდისფერი არ იქნება, როგორიც პრეზიდენტს წარმოედგინა. აქედან გამომდინარე, გამოსვლებში უფრო ფრთხილი იქნება. ბოლოს ისევ აგრესიული იყო, მართლაც დაიჯერა, რომ შეეძლო ხელისუფლებაში დაბრუნება. პრინციპში, მას ჰქონდა მოლოდინი თუ გეგმა, რომ აპრილში დაშლიდა მთავრობას, დანიშნავდა თავის ხალხს და საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად შექმნიდა რაღაც პრობლემას. შეიძლება საგანგებო მდგომარეობაც გამოეცხადებინა და საპრეზიდენტო არჩევნები გადაედო.

„ოცნებამ“ კიდევ ერთი პენალტი აუღო. უთხრა, ნუ გვაშინებ, პატივცემულო, თუ რამის თავი გაქვს, მოდი, კონფიგურაციით ვიმსჯელოთ, დაშლი მთავრობას და პარლამენტს, მაგრამ დღეს თუ ხარ მზად ვადამდელი არჩევნებისთვისო. ნაცმოძრაობისთვის ეს არის სერიოზული დარტმა, რადგან არჩევნებით პარლამენტში ვერც ერთი ნაციონალი ვეღარ შევა და ეს ყველაზე კარგად თავად ნაცმოძრაობამ იცის. დღეს პრეზიდენტი შიდა დარტყმის ქვეშაც არის. უკვე ბევრი ნაციონალი დეპუტატი დაფიქრდება თავის მომავალზე.

— რატომ გაგდა აუცილებელი ივანიშვილის ეს ინიციატივა?

— ეს იყო პასუხი ბოლოდროინდელ, ყველანაირი ჩარჩოდან ამოვარდნილ რიტორიკაზე. სააკაშვილი, როგორც ისტერიკული ქალი, ისე იწყევლებოდა და ეჩხუბებოდა საკუთარ მოსახლეობას. სამწუხაროდ, ის 8 წლის განმავლობაში

> **„სააკაშვილი ახის ახპრეზიდენტობიებადი და მისი გადანყვეტილება მიდის აქეთ — ახლა მე და ახლა შენ! შესაძლებელია, პრეზიდენტი მახთლა დაითხოვოს. თუ იგრძნო, ომ მის გენდში პრობლემებია, შეიძლება ისიც განიხოს. მთავრობა ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს“.**

ვერ მიხვდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი იყო და არა — ნაცმოძრაობის. მხოლოდ ორი კვირა თუ იყო, როცა არ ჩანდა ტელეეკრანზე. ეტყობა, მისი მოთმინების ფიალა სულ 10 დღიანი იყო. ასე რომ არ გაეკეთებინა ივანიშვილს, გაგრძელდებოდა ამ მითურ აპრილზე საუბარი. ამიტომაც საჭირო იყო, ამ კუთხით ძალა დაენახვებინათ და თან ეს მაშინ, როცა რეალურად იანვარში გასდის საპრეზიდენტო ვადა. ვფიქრობ, ასეთ პრეზიდენტს მოსახლეობასთან უფრო დელიკატური საუბარი მართებს. ვიმედოვნებ, რომ ამ ცვლილებებს მიიღებენ, რადგან საქართველოში ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტი აღარ უნდა იყოს. აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება უნდა დაბალანსდეს. საპრეზიდენტო ინსტიტუტი ჩარჩოში უნდა მოექცეს, რადგან ამ საკონსტიტუციო ჩანაწერებით, პრეზიდენტი იყო ფაშა, რომელსაც შეეძლო მემკვიდრეობით გადაეცა ხელისუფლება სხვისთვის. ამიტომაც ველოდები დემოკრატიულ ცვლილებებს, რაც ხელისუფლების ყველა შტოს დააბალანსებს.

— ივანიშვილი მხოლოდ ერთ კონკრეტ

→18

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტარო
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

ტულ ცვლილებაზეა ორიენტირებული, რომელიც მთავრობის დათხოვნის საკითხს შეეხება.

— სწორი შეთავაზებაა. თუ დაითხოვ მთავრობას, რომელიც არის პარლამენტის მიერ ნდობამინიჭებული, მაშინ დაითხოვე პარლამენტიც. ეს ლოგიკურია. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ სააკაშვილს ამაზე საუბრის სურვილი აღარ ექნება, რადგან კარგად იცის, რომ მას 5 პროცენტიანი ბარიერის გადალახვის პერსპექტივაც არ აქვს. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელმა პარლამენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს ახალი საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო სისტემები, სამართლიანი საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, სამართლიანი რეგულაციები, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები განვითარდეს.

უსამართლო წინასაარჩევნო კამპანიის გამო პარლამენტგარეთ ძალიან ბევრი პარტია დარჩა. სწორი იყო, რომ ოპოზიცია გაერთიანდა და ხმები არ გაიხლიჩა, მაგრამ ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, აუცილებელია ახალი საარჩევნო კოდექსის პირობებში სამართლიანი არჩევნების ჩატარება, რათა ყველა პოლიტიკურ სუბიექტს მიეცეს საშუალება, მიიღოს იმდენი ხმა, რამდენი მხარდაჭერაც აქვს.

— რიცა ამაზე იყო საუბარი, სიზარ სუბარი ამბობდა, რომ „ოცნება“ მრავალპარტიულია და ამ თვალსაზრისით პრობლემა არ იქნებაო.

— „ოცნება“ მრავალპარტიულია და მის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დემოკრატია სწორედ ეს არის. მე ვსაუბრობ ადამიანებზე, რომლებიც სააკაშვილის ერთმმართველობას წლების განმავლობაში ებრძოდნენ და ახლა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რომ არ იყოს იმაზე ლაპარაკი, თქვენ დამინგრიეთ პარტიაო, უნდა ჩატარდეს ღირსეული არჩევნები ერთიან სასტარტო პირობებში.

— რამდენად რეალურია, რომ ეს მოხდეს და მსგავსი არჩევნები ჩატარდეს?

— ვადამდელ არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი და ეს დამოკიდებულია იმაზე, რაზე წავა სააკაშვილი. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაიძაბება სიტუაცია და, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სააკაშვილს მისი პარტიის წევრებიც არ ეთანხმებოდნენ, პარლამენტი მაინც დაითხოვოს. ის არის არაპროგნოზირებადი და მისი გადაწყვეტილება მიდის აქეთ — არც მე და არც შენ! თუ ასე გააგრძელა, შესაძლებელია, საკანონმდებლო ორგანო მართლა დაითხოვოს. ამის შანსი დღეს ნაკლებადაა, მაგრამ თუ იგრძნო, რომ მის გუნდში პრობლემებია, შეიძლება ისიც გაწიროს. პროგნოზის გაკეთება რთულია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მთავრობაც ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. თან, კანონპროექტის ინიცირება ერთია, მაგრამ კონსტიტუციაში არის ვადები — ერთი თვე და ამ ერთ თვეში სააკაშვილი კიდევ რას მოიმოქმედებს, არავინ იცის. შეიძლება, მთავრობა დაითხოვოს კიდეც.

2013 წელს იქნება პოლიტიკური ბრძოლა წესების გარეშე, ყოველ შემთხვევაში, ნაცმოძრაობის მხრიდან. ამ მხრივ მართლა რთული წელი იქნება. სააკაშვილი ყველა ბერკეტს გამოიყენებს, რომ შექმნას პოლიტიკური კრიზისი, რათა დარჩეს ხელისუფლებაში, თუნდაც ამისთვის საერთოდ დაკარგოს დემოკრატის იმიჯი, თუ ასეთი რამ სადმე კიდევ შერჩა. მაგრამ ეს რომ არ გააკეთოს, საჭიროა პროფესიონალიზმი, პრევენციაზე ზრუნვა და პრეზერვატივის კანონის ნაცვლად ისეთი პროექტების შემუშავება, რაც პოლიტიკურ კრიზისს თავიდან აგვაცილებს.

ირაკლი ოქრუაშვილს არც ერთი ბრალდება უმტკიცდება

თავდაცვის ყოფილ მინისტრს პოლიტდევნილის სტატუსის გარეშეც გაათავისუფლებენ?!

საქართველოს პარლამენტმა ამნისტიის კანონზე პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტო დაძლია და ამით დაადასტურა, რომ საკანონმდებლო ორგანო პოლიტამნისტიის საკითხში შეუვალია, ანუ ეს ფართომასშტაბიანი აქცია დღეს თუ ხვალ აუცილებლად განხორციელდება. თუმცა პოლიტპატიმართა სიაში ვერ ან არ მოხვდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც 2012 წლის 20 ნოემბერს პოლიტიკური ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნდა. ის ჩამოსვლისთანავე აეროპორტში აიყვანეს, რადგან მანამდე 11 წლიანი პატიმრობა დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის გარშემო თითქოს მოჯადოებული წრე შეიკრა. ის საქართველოში მას შემდეგ დაბრუნდა, რაც პარლამენტთან არსებულმა სამუშაო ჯგუფმა პოლიტიკურ დევნილთა სიაში შეიყვანა. მანამდე იმავე ჯგუფმა პარლამენტის წინაშე იშუამდგომლა, რომ რამდენიმე პოლიტიკური დევნილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვეტილიყო. ამ ჩამონათვალში ირაკლი ოქრუაშვილიც იყო. პარლამენტმა კი მომდევნო დღეებში ის პოლიტდევნილთა სიიდან იმ მოტივით ამოიღო, რომ აღარ იმყოფებოდა პოლიტიკურ ემიგრაციაში.



■ ზვიად კორძაძე

„ამნისტია ნიშნავს გათავისუფლებას სასჯელისგან, მაგრამ იხაული ოქრუაშვილი აპირებს, დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა".

სწორედ ამიტომაც ოქრუაშვილი ვეღარ მოხვდა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში იმ პოლიტპატიმართა შორის, რომლებსაც ამნისტია უნდა შეეხოთ.

პარლამენტის განცხადებით, სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მუშაობას იმ პირთა საქმეებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ვერ მოხვდნენ პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიაში. მათ შორის იქნება ირაკლი ოქრუაშვილის საქმეც, თუმცა ადამიანის უფლებათა ცენტრი ირწმუნება, რომ სამუშაო ჯგუფს 5 იანვარს ვადა ეწურება. შესაბამისად, გაურკვეველია, რა ფორმით გააგრძელებს იგი მუშაობას და საერთოდ, სამომავლოდ გავრცელდება თუ არა ციხეებში დარჩენილ პოლიტპატიმრებზე აღნიშნული ამნისტია. ამიტომაც ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს პარლამენტს, რომ დროულად განიხილოს ირაკლი ოქრუაშვილის საქმე და დღის წესრიგში დააყენოს მისი, როგორც პოლიტპატიმრის, გათავისუფლების საკითხი.

პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რომელიც ციხეში ჩაიწერა, ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტპატიმართა სიიდან მის ამოღებაში მთავარ მონაწილედ თავის ყოფილ ადვოკატს ასახელებს, რომელმაც ყველაზე კარგად იცის, როგორ შეიკერა მის წინააღმდეგ საქმე. „ყოფილი ადვოკატი“ კი ამჟამად პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია გახლავთ. ოქრუაშვილის განცხადებაზე ის მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

— ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა კორძაძემ განაცხადა, რომ ოქრუაშვილი არ აპირებს, ისარგებლოს პოლიტდევნილის სტატუსით. ვფიქრობ, მათ ერთმანეთში უნდა გაარკვიონ პოზიციები. გაუგებარია, ადვოკატი სხვა განცხადებას აკეთებს, „ქართული პარტია“ — სხვას. გადაწყვეტილება კომიტეტმა მიიღო. მინდა გითხრათ, რომ იქ არ ხდება ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება. როგორც ჩანს, ოქრუაშვილს არ უნდოდა ამ სტატუსით სარგებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაელოდებოდა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც პარლამენტს უნდა მიეღო და არ ჩამოვიდოდა, თუმცა ეს საკითხი ჯერ არ დასრულებულა.

ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატს, ზვიად კორძაძეს პოლიტპატიმრის თუ პოლიტდევნილის სტატუსი უკვე ჩავლილ თემად მიაჩნია და უფრო დიდი გამარჯვებისთვის — მისი დასაცავის გამართლებისთვის ემზადება. ადვოკატი ვარაუდობს, რომ ოქრუაშვილის საქმე სასამართლომდე არ მივა.

ზვიად კორძაძე:

— პოლიტიკური სტატუსის თემა ჩემთვის უკვე არასაინტერესოა, ყოველ შემთხვევაში, გადავლილი. ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური დევნილობა აღიარა საფრანგეთის სასამართლომ და ამას არ უარყოფენ არც ის ადამიანები, რომლებმაც ეს საკითხები განიხილეს. ანუ, როგორც მივხვდი, რაღაც პროცედურული ნიუანსების გამო არ მოხდა მისი შეყვანა ამ სიაში. თქვეს, რომ, რადგან მისი საქმე სასამართლო განხილვაშია, ამიტომ დაველოდებით სასამართლო გადაწყვეტილებას და მერე დავუბრუნდებით ამ საქმესო.

— ეკა ბესელიას ვანცხადებით ისე გამოდგა, რომ პოლიტდევნილის სტატუსის გამოყენებას არც აპირებთ.

— ეკამ არ დაამთავრა ფრაზის მეორე ნაწილი. ჩვენ ვთქვით, რომ არ ვაპირებთ პოლიტსტატუსის გამოყენებას და აქ დაამთავრა, მაგრამ მას ჰქონდა მეორე ნაწილიც — სარჩელისგან გათავისუფლების მიზნით. ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ ირაკლი ოქრუაშვილი აპირებს, სიმართლისთვის ბოლომდე იბრძოლოს. მაგრამ ფრაზას თუ არ დაამთავრებ, სულ სხვა რამე გამოდის. თან, ეს ჩვენი უფლებაა — შენ მომეცი სტატუსი და როგორ გამოვიყენებ, ეს უკვე ჩემი ნებაა.

— რატომ არ დაამთავრა ფრაზა ეკა ბესელიამ?

— არ ვიცი. თან მე განცხადება გავაკეთე მას მერე, რაც პოლიტპატიმრის სიიდან ამოიღეს. ამიტომ გაუგებარია, ჩემმა იმ განცხადებამ, რომლის ფრაზა ბოლომდე არც იქნა დაამთავრებული, როგორ ამოაღებინა პოლიტპატიმართა სიიდან ოქრუაშვილი. სიმართლე გითხრათ, არც არის საინტერესო, რადგან ჩვენ სულ სხვა გზა გვაქვს არჩეული და ახლა ვამტკიცებთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი უდანაშაულოა.

— გულწრფელად მითხარით, რომ შეეტანათ სიაში, მართლა არ აპირებდით ამ უფლების გამოყენებას?

— რომ შეეტანათ, შეიძლება გამოსულიყო ციხიდან, მაგრამ ჩვენ გამართლებისთვის ყველა ვარიანტში ვიბრძოლებდით. ამნისტია ნიშნავს გათავისუფლებას სასჯელისგან, მაგრამ ირაკლი

ოქრუაშვილი აპირებს, დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ჩვენ ეს ვიგულისხმეთ და არათუ ვიგულისხმეთ, ხმამაღლაც განვაცხადეთ, ის კი ნამდვილად არ გვითქვამს, პოლიპატიმართა სიიდან ამოიღეთ-თქო. სიაში უნდა ყოფილიყო!

— ეკა ბესელიამ ისიც თქვა, პოლიტდევნილის სტატუსი რომ ნდომებიდა, ჩამოსულას არ აჩქარებდა.

— ამაზე აქამდე არ გამისვამს ხაზი, მაგრამ ახლა ძალიან კონკრეტულად ვიტყვი: 20 ნოემბერს იყო პროცესი ჩანიშნული და რას გვირჩევდნენ, არ ჩამოსულიყო? ირაკლი ოქრუაშვილი რომ არ დაბრუნებულიყო, ვერ გაასაჩივრებდა თავის 11 წლიან განაჩენს. მისი საქართველოში ჩამოსვლა, პროცედურების დაწყება და ის სტატუსი ერთმანეთთან კავშირში არ არის და ნუ ცდილობენ ამ ყველაფრის ერთმანეთთან დაკავშირებას.

— მაგრამ ოქრუაშვილი ციხეში ხომ შიმშილობდა ამ ადამიანებთან ერთად, რომლებიც თავს პოლიტპატიმრებად მიიჩნევენ, მაგრამ სიაში ვერ მოხვდნენ?

— ციხეში შიმშილობა დაიწყეს იმ პირებმა, რომლებიც ვერ მოხვდნენ სიაში. ანუ ისე გამოვიდა, რომ ერთსა და იმავე საქმეზე დაპატიმრებულთა ნაწილი მოხვდა სიაში და ნაწილი — ვერა. ამიტომ დაიწყეს შიმშილობა და ირაკლი შეუერთდა, რომ დანარჩენებიც შესულიყვნენ სიაში და არა — თვითონ ირაკლი.

— ირაკლი ოქრუაშვილის საქმე სასამართლოში სამ ნაწილად ისმება. დავიკონკრეტეთ ბრალდებები.

— კი, ასეა. ამჟამად ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სამი ბრალდებაა. სამივე ბრალდებასთან მიმართებაში ჩატარდა სასამართლო სხდომა და, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ბრალდება აღარ აქვს.

პირველი ბრალდება ეხება სამსახურებრივ გულგრილობას — თითქოსდა ირაკლი ოქრუაშვილის დროს შემოვიდა უხარისხო ტყვია-წამალი. სასამართლო ექსპერტებმა, რომლებიც დაიკითხნენ, დადასტურეს, რომ 1.650 ტყვია, რაც ექსპერტიზაზე დაიდო, ყველა ვარგისი იყო და მეორე კატეგორიაში ეს ტყვია-წამალი იმიტომ შეიტანეს, რომ ყუთები იყო დაჭეჭყილი. ტყვია-წამალი რომ იყო ვარგისი, პრაქტიკულადაც დამტკიცდა, რადგან გამოიყენეს აგვისტოს ომში და არ უმტყუნია. ამას ემატება ისიც, რომ ექსპერტების მიერ კატეგორიების მინიჭება მოხდა თვითნებურად, თავდაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული რუსულენოვანი, ბეჭედდაურტყმელი დოკუმენტის საფუძველზე. ექსპერტმა, რომელმაც ამგვარი კატეგორია მიანიჭა, პროცესზე აღიარა, რომ ეს საქმე მან პირველად გააკეთა და ამაში კომპეტენტური არ იყო.

ყველაზე მთავარი — ის ტყვიები, რომლებზედაც არის დავა, რომ გაფუჭებული იყო, ოქრუაშვილის მინისტრობის დროს არ შემოუტანიათ. ის რომ წამოვიდა სამინისტროდან, მერე შემოიტანეს და ეს პროცედურაც მერე ჩატარდა. თანაც ოქრუაშვილს ედავებიან არა იმაზე, ეს ყველაფერი წინასწარ იცოდიო, არამედ — შენ ვერ უზრუნველყავი, ასეთი რამ არ მომხდარიყოო. მაშინ ყველა მინისტრი დასაჭერი იქნება, თუ მათი წასვლის შემდეგ სამინისტროში რაღაც არასწორად მოხდება. ეს არის აბსურდული ბრალდება. დასტურდება, რომ ტყვია-წამალი, რომელიც შემოვიდა, ყველა კარგი ხარისხის იყო და, თუ რამე არასწორად გაკეთდა, იმის ფული გადახდილი არ არის. სახელმწიფომ ამის გამო არათუ იზარალა, ნახევარი მილიონი დაზოგა. ჩემთვის აქ კითხვები არ არის და, იმედია, არც — პროკურატურისთვის.

— მეორე ბრალდება „ჯეოსელს“ უკავშირდება.

— „ჯეოსელის“ თემაზე გუშინ (ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის 28 დეკემბერს) ისეთი რაღაცეები გაირკვა, რომ მომდევნო სხდომა როგორ გაგრძელდება, ვერ გეტყვით. რაც შეეხება საქმეს: ბრალმდებელი ედავება ოქრუაშვილს ქრთამის აღებას. ამტკიცებს, ქრთამი რომ აიღო, ამაში გადაიხადა 250 ათასი დოლარი. ანუ რა გამოდის? თვითონ რომ აიღო ქრთამი, ოქრუაშვილმა ამაში თანხა სხვას გადაუხადა?! 17 წელია ადვოკატი ვარ და ამაზე მეტი აბსურდი არ შემხვედრია. ჯერ ერთი, თუ ოქრუაშვილს ამხელა გავლენა ჰქონდა, ფულს რატომ იხდიდა? მეორე, თუ ვინმეს ართმევდა წილს, ამას ქრთამის აღება კი არა, სხვა სახელი ჰქვია. მესამე, ვინც ამბობს, მე ვარ დაზარალებული და ჩემი წილი წაიღოო, შესაბამისი დოკუმენტი არ აქვს. ამბობს, სხვებზე მქონდა გაფორმებულიო, მაგრამ თვითონ რომ მესაკუთრეა ამ წილის, საქმეში არ ჩანს. საქმეში ასევე არ ჩანს არანაირი პირდაპირი ჩვენება ოქრუაშვილთან დაკავშირებით — ან ამას შეხვდა, ან სხვა ვინმეს.

■ ირაკლი ოქრუაშვილი

ოქრუაშვილს მხოლოდ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი ადებდა ხელს. მან ბოლო სასამართლო სხდომაზე დეტალურად აღწერა ის ქმედებები, საათები და ადგილები, სადაც უშუალოდ ხდებოდა მასზე ზეწოლა. განაცხადა, როგორ ათქმევინეს მას ოქრუაშვილის სახელი. დაასაბუთა, რა აქვს თავიდან ნათქვამი და რატომ თქვა. ასე რომ, ამ საქმეზეც არანაირი მტკიცებულება არ დარჩა.

— ქიტოშვილი რას ამბობს სინამდვილეში რა მოხდა?

— ყიდვა-გაყიდვა განხორციელდა. ყველაზე საინტერესო ის არის, ვითომ დაზარალებულმა აღიარა, რომ აიღო 250 ათასი დოლარი, ჩაიდო ჯიბეში და პირადი მიზნისთვის მოიხმარა ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე. ამავდროულად თქვა, რომ სასამართლომ გააუქმა ეს ტრანსაქცია და წილი მას დაუბრუნა. მერე განაცხადა, რომ ეს წილი წაართვა სახელმწიფომ. ჯერ არავინ ინტერესდება, ვინ წაართვა. თუ ოქრუაშვილის საქმეს სწორედ ამის გამო იძიებენ, მერე ვინ წაართვა, ამით რატომ არ ინტერესდებიან?

— 250 ათასი დოლარი ვის ვადასახადი?

— კონკრეტულმა პირმა, გოგუამ, მართლა გადაუხადა მას ფული, რომელმაც იყიდა ეს წილი, არსებობს ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტი, რასაც ორივე აწერს ხელს.

— მაშინ რა შუაშია ოქრუაშვილი?

— ვერ ვარკვევ. გოგუას წაართვეს და დაუბრუნეს იმ ადამიანს წილი, მაგრამ ფული არ უნდა დაებრუნებინათ გოგუასთვის? არ დაუბრუნებიათ. აი, ასეთი ტიპისაა მეორე ბრალდება.

— მესამე ბრალდება შეიარაღებული ფორმირების შექმნას და მის ხელმძღვანელობას ეხება.

— აი, ამ საქმეში ირაკლი ოქრუაშვილი საერთოდ არ ჩანს. ორნი ამბობენ, ვიცით ადამიანი, ვინც ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა ვლადიკავკაზში. ჯერ ერთი, მოწმეები, რომლებიც უთვალთვალებდნენ იარაღის დაფლვას, ურთიერთსაწინააღმდეგო რაღაცეებს ამტკიცებენ. ერთი ამბობს, რომ არ ჩანდა, რას მარხავდნენ, მეორე აცხადებს, ვნახეო. ერთი ამბობს, რომ ისინი წამოვიდნენ და მათი უფროსი დარჩა, მეორე ამბობს, ყველა ერთად წამოვედითო... მათი ჩვენებები იდენტურია. წარმოგიდგენიათ სამი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა დროს იკითხებიან ერთსა და იმავე ფაქტთან დაკავშირებით და ერთი სიტყვა, ერთი მძიმეც კი არ არის განსხვავება!

— ანუ ვანდათ, თქვათ, რომ ჩვენებების ასლები გაკეთდა?

— ასეა. ეს სასამართლოზეც დადასტურდა. ასეთი ექსპერიმენტი ჩავატარე: მოწმეს წავუკითხე სხვისი ჩვენება და ჩემიაო, თქვა. ასევე, ინსპექტორმა დაადასტურა, რომ იარაღი, რომელიც მას მიუტანეს, გაპრიალებული, მშრალი იყო. ბოლო სასამართლო სხდომაზე კი პირებმა, რომლებმაც ეს იარაღი ამოთხარეს, განაცხადეს, რომ წვიმიან ამინდში ამოიღეს მიწიდან, დააწყვეს სველ, ტალახიან ბალახზე და მერე წაიღეს ექსპერტიზაზე. ახლა მითხარით, ეს ის იარაღი როგორ არის? და, რაც ყველაზე მთავარია, პირებმა, რომლებმაც თქვეს, რომ უყურეს დაფლვას, ასევე განაცხადეს, რომ იარაღი ერთი თვის შემდეგ ამოიღეს და ამ პერიოდში იმ ადგილს არავინ უთვალთვალებდა.

ეს უშუალოდ რაც ეხება საქმეს, მაგრამ საინტერესო ისიცაა, რომ ამოღებული ტყვია, ავტომატი და მჭიდი ერთმანეთზე არ მიდის. გამოდის, რომ ადამიანებს, რომლებიც მოდიან, მოაწყონ გადატრიალება, მოაქვთ ისეთი იარაღი, რომელსაც ვერ გამოიყენებენ. ამის დაჯერება ცოტა რთულია. თანაც, ამ ყველაფერს რომ ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა, ეს არაფრით დასტურდება, გარდა იმისა, რომ ორი ადამიანი ამბობს, ირაკლი ოქრუაშვილს შევხვდი ვლადიკავკაზშიო. ეს მაშინ, როცა ირაკლის უკვე ჰქონდა მიცემული თავშესაფარი საფრანგეთში და იქ კვირაში ორჯერ პოლიციაში გამოცხადება ევალებოდა.

„ის ტყვიები, ჰომლებზედაც ახის დავა, ჰომ გაფუჭებული იყო, ოქჩუაშვილის მინისტჩობის დჩოს ახ შემოუტანიათ. ის ჩომ ნამოვიდა სამინისტჩოდან, მეჩე შემოიტანეს. თანაც ოქჩუაშვილს ედავებიან ახა იმაზე, ეს ყველაფეჩი ნინასწაჩ იცოდიო, ახამედ — შენ ვეჩ უზჩუნველყავი, ასეთი ჩამ ახ მომხდაჩიყოო. მაშინ ყველა მინისტჩი დასაჭეჩი იქნება, თუ მათი ნასვლის შემდეგ სამინისტჩოში ჩაღაც ახასწოჩად მოხდება. ეს ახის აბსუჩდული ბჩალდება“.

ოქტომბერი ამბობს, ეს ერთი ოფერი „ოპელი“ ერთია გორის სამმართველოში და მისი პატრონი ამბობს, ეს „ოპელი“ მარტო მე მყავს და ვინმეს რომ 3-4 დღით წაეყვანა, აუცილებლად მეცოდინებოდაო. ეს შინდისფერი მანქანა გახდა საკრალური, რომელიც თურმე თავისით დადის.

საბოლოოდ რა გამოდის? ის, რომ ოქრუაშვილს უხარისხო ტყვია-წამალი შემოჰქონდა, ტყუილი გამოდგა; ქრთამს რომ იღებდა, არ დასტურდება და არც ის, რომ შეიარაღებული ფორმირება შექმნა. სხვათა შორის, გამოვითხოვეთ მეტეოროლოგიური ცნობა და, როგორც აღმოჩნდა, იმ ერთი თვიდან 28 დღე წვიმდა და როგორ ამოიღეს ისე, რომ გაპრიალებული და მშრალი მოხვდა ექსპერტებთან, გაურკვეველია. კიდევ გვაქვს რაღაცეები შემონახული, მაგრამ ამაზე მერე.

— „ჯეოსელი“ შემთხვევითი არ არის ნასესხები, ოქრუაშვილი წლების განმავლობაში ამ კომპანიის ადვოკატი იყო. არც არასოდეს ჰქონია წილი?

— არა. მე გესაუბრებით ჩემ ხელთ არსებული მასალებით, ასეთი რამ არ დასტურდება.

✓ პოლიტიკის რუბრიკა
მოამზადა მანანა გეგეშიძ

Cyan Magenta Yellow Black

ეკა ქუთათელაძე: „პატრიარქმა მითხრა, მსახიობობას თავი არ დაანებოო“

მსახიობი ცოლ-ქმრის სულიერი ფერიცვალება

ეკა ქუთათელაძე

გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მაყურებელს ალბათ ეხსომება ნაზი, რომანტიკული გოგონა რუსთავის თეატრის სპექტაკლში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. მის გმირს ნინიკო ერქვა და ის ახალგაზრდა მსახიობი ეკა ქუთათელაძე გახლდათ, ხოლო მისი პარტნიორიახალგაზრდა რეზო ჩხიკვიშვილი იყო, რომელიც მისი შეყვარებულის, კოკას როლს თამაშობდა. ეს სპექტაკლი, თანამედროვე ტრაგიკული სიყვარულის შესახებ, მაშინდელი თაობის ცხოვრებისა და მისწრაფებების გარკვეულ სიმბოლოდ იქცა. მისი პოპულარობა ქუხდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, სულ რამდენიმე წელიწადში როგორ შეიცვლებოდა, ამოყირავდებოდა სამყარო ამ გმირების ირგვლივ, რა ქარტეხილები დაატყდებოდა თავს მთელი საბჭოთა საქართველოს მოსახლეობას.

მსახიობებმა ეკა ქუთათელაძემ და ვაჟა მინდიაშვილმა ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში, სტუდენტობისას გაიცნეს. პირველივე კურსზე ოჯახი შექმნეს. ისინი სამ შვილს, არჩილს, ნატალიას და ალექსანდრეს ზრდიდნენ, რუსთავის თეატრში თამაშობდნენ და დროდადრო ეკლესიაშიც დადიოდნენ. ერთმა დღემ კი, რომელიც არამარტო მათთვის, მთელი საქართველოსთვის იქცა ტარეგდიად, ამ ოჯახის ცხოვრება მთლიანად შეცვალა.

ეს იყო 1989 წლის 9 აპრილი. ვაჟამ მღვდლობა სწორედ 9 აპრილის ღამეს ნანახი და გადატანილი საშინელების შემდეგ გადაწყვიტა. შემდგომ ის დეკანოზი ნიკოლოზი გახდა და წლების განმავლობაში საბურთალოს სასაფლაოსთან მდებარე ამაღლების ტაძრის წინამძღვარი იყო. სამწუხაროდ, უკვე 7 წელია, რაც გარდაიცვალა. ქალბატონი ეკა კი იმ გზაზე გვიამბობს, რომელიც მათმა ოჯახმა ტაძრამდე განვლო.

ეკა ქუთათელაძე:

— რწმენა ჩემში ბავშვობიდანვე იყო, მაგრამ კარგად ვერ ვაცნობიერებდი. როცა გავიზარდე, ამ ყველაფერს მერე და მერე მივხვდი. ჩემი ძიძა რუსი იყო და ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ ეკლესიაში დავყავდი, სადაც ვეზიარებოდი კიდეც. მცხეთაში აგარაკი გვქონდა და ზაფხულში იქ ყოფნის დროს ჩემებს სვეტიცხოველში მივყავდი. შემდეგ ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ გარკვეული პერიოდი ტაძარში კი დავდიოდი და სანთელსაც ვანთებდი, მაგრამ ჩემი ეკლესიურობა მხოლოდ ამით შემოიფარგლებოდა. რწმენა მაინც არასოდეს დამიკარგავს. ჩემს ცხოვრებაში გარდატეხა მაშინ მოხდა, როცა უკვე გათხოვილი ვიყავი. მე და ვაჟამ (ჩემმა მეუღლემ) მამა არჩილი (მინდიაშვილი) გავიცანით და მასთან დავდიოდით, ვეზიარებოდით. ჩემი მეუღლე სტიქაროსანი იყო, მაგრამ ჯვარი დაწერილი არ გვქონდა.

— ჯვარი რიდის დაწერეთ?

— სანამ ჩემი მეუღლე მღვდლად ეკურთხებოდა. მაშინ უკვე ორი შვილი გვყავდა — არჩილი და ნატალია, მესამეზე ფეხმძიმედ ვიყავი. ჯვარი მამა არჩილმა ქაშუეთის ტაძარში დაგვწერა. ყველა ხუმრობდა ჩემს მეუღლეზე, ცოლად ორშვილიანი და თან ფეხმძიმე ქალი მოჰყავსო. ბედნიერი ვარ იმით, რომ კათოლიკოს-პატრიარქს დავუნათესავდი, რადგან ჩემი შვილიშვილები მისი ნათლულები არიან. ჩემი ორივე ბიჭი უწმინდესის სტიქაროსანი იყო. უმცროსი მაშინ მხოლოდ 6 წლის იყო. პირველად მოხდა, რომ პატრიარქს ასეთი პატარა სტიქაროსანი ჰყავდა. ალექსანდრეს თმა არ ევარცხნებოდა, ზღარბივით ჰქონდა გაბურძგნული. უწმინდესს ის ძალიან უყვარდა და როცა სიონში მობრძანდებოდა, მამები ალექსანდრეს მიაგებებდნენ, რადგან მის დანახვაზე პატრიარქს სულ ეღიმებოდა. მართალია, საკმაოდ პატარა იყო, მაგრამ საკურთხეველში ყველაფერი იცოდა და უფრო მეტიც, სხვებსაც ასწავლიდა, რა უნდა გაეკეთებინათ.

„9 აპრილის ღამეს მის თვალწინ საშინელებები მოხდა. მიხვდა, რომ ღმერთმა გადაარჩინა და გზა უჩვენა, რომლითაც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ევლო“.

— როგორ გახდა თქვენი მსახიობი ქმარი მღვდელი? ეს იმ პერიოდში საკმაოდ იშვათი მოვლენა იყო.

— 9 აპრილის ტრაგედიამ ჩვენი ოჯახის ცხოვრება სრულიად შეცვალა, განსაკუთრებით ჩემი მეუღლის. იმ ღამეს რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა და თავს მხატვრის სახლს აფარებდა. ერთი დღე დაკარგული იყო. მის თვალწინ საშინელებები მოხდა, რისი გახსენებაც მერე არ უნდოდა. მიხვდა, რომ ღმერთმა გადაარჩინა და გზა უჩვენა, რომლითაც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ევლო. როდესაც სახლში დაბრუნდა, რადიკალურად იყო შეცვლილი. სასულიერო სემინარიაში ჩააბარა და მერე მღვდელი გახდა. ასე ერთად მივედით ტაძრამდე. სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა, რა თქმა უნდა, ცოტაოდენი ჭოჭმანიც იყო. ჩემი მეუღლე დეკანოზი ნიკოლოზი გახდა და საბურთალოს სასაფლაოსთან მდებარე ამაღლების ტაძრის წინამძღვარი იყო.

— სანამ სულიერი მამის ჯვარს იტვირთავდა, როგორი იყო თქვენი ცხოვრება, საქმიანობა?

— მანამდე ბოჰემურად ვცხოვრობდით. მუდმივად რეპეტიციები, სპექტაკლები და გასტროლები გვქონდა. ახალგაზრდები ვიყავით, მარტო ვცხოვრობდით და ჩვენი სახლის კარი არ იკეტებოდა. მთელი სამეგობრო ჩვენთან იკრიბებოდა. შეძლებისდაგვარად ეკლესიაში სიარულს ვახერხებდით, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოგვდიოდა. ორივენი რუსთავის თეატრის მსახიობები ვიყავით და, ბუნებრივია, ყველა დღესასწაულზე ტაძარში ვერ მივდიოდით. ისე ხდებოდა, რომ წმინდა დღეებშიც სცენაზე დგომა გვიწევდა, თუმცა ამას მაშინ ვერც კი ვაცნობიერებდით. მარხვასაც ვერ ვინახავდით. ყველაფერი მერე და მერე დავიწყეთ. მე უკვე 31 წელია ვმარხულობ.

— მარხვის დაწყება ვინმემ ვარჩიათ?

— ერთი საოცარი სიზმარი ვნახე. მაშინ უკვე გათხოვილიც ვიყავი და ორი პატარა შვილიც მყავდა. სიზმარში ჩემი გარდაცვლილი ბაბუა მსაყვედურობდა, რატომ არ მარხულობო, არადა სიცოცხლეში თვითონ ის არ იყო მორწმუნე, ბებია კი ეკლესიურად ცხოვრობდა. ამ სიზმრის შემდეგ მარხვა დავიწყე. მას მერე ამდენი წელია გასული და ეს ჩემი ცხოვრების წესად იქცა. ამაში რთული არაფერია, პირიქით, სიხარულით ველოდები მარხვის დაწყებას. მთავარია, რომ რწმენით იმარხულო და არა — მხოლოდ საჩვენებლად. საბედნიეროდ, ამ ბოლო წლებში უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დამსახურებით, ოჯახების უმეტესობა მარხულობს.

— თავიდან რთული არ იყო თქვენთვის ცხოვრების წესის შეცვლა, მღვდლის ცოლობა?

— ფაქტობრივად, მე და ჩემი მეუღლე ერთად გავიზარდეთ. ჩვენ ერთ კურსზე ვსწავლობდით და პირველივე კურსზე ოჯახი შევქმენით. მაშინ მე 17 წლის ვიყავი, ის — 18-ის. როდესაც მღვდლად ეკურთხა, ყველანაირად ვცდილობდი, მისთვის ხელი შემეწყო და მისი ცხოვრებით მეცხოვრა. ამაღლების ტაძარი რომ გაიხსნა, მესანთლედ, დამლაგებლად და ტრაპეზარად ვმუშაობდი, ეს ყველაფერი რთული იყო და თან საინტერესოც. ალბათ ამიტომაც თეატრში თამაშის სურვილი დამეკარგა და სხვა ინტერესები გამიჩნდა. ერთხელაც, როდესაც მთელი ოჯახით უწმინდესსა და უნეტარესს ვესტუმრეთ, მან მკითხა, მამაო ხელს ხომ არ გიშლის, მსახიობობას ხომ არ გიკრძალავსო. ვუპასუხე, არა-მეთქი. პატრიარქმა მითხრა, მსახიობობას თავი არ უნდა დაანებო, ის უნდა აკეთო, რაც შენი საქმეაო. ისე მოხდა, რომ მალე მესამე შვილიც შეგვძინა. როგორც უკვე გითხარით, ჩემი ინტერესებიც შეიცვალა და თეატრს თავი დავანებე.

— არასოდეს გინანანათ, რომ თეატრს ჩამოშორდით? არ გენატრებოდათ სცენა?

— ალბათ შინაგანად განვიცადე, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, დიდი გულისწყვეტა არ მქონია. თანაც ამ სფეროში მაინც ვარ, სერიალებშიც ვთამაშობ და სერიალებსაც ვახმოვანებ. თეატრიდან გარკვეული შემოთავაზებები მქონია, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი. ერთი საინტერესო რაღაც მაგონდება. მაშინ უკვე მე და ჩემი მეუღლე მამა არჩილის მრევლი ვიყავით. მან მითხრა, მე ვფიქრობ, მსახიობობას თავი უნდა დაანებოო. მისი ნათქვამი გამიკვირდა, რადგან მაშინ წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, ამ საქმეს ჩამოვშორებოდი. მას გაეცინა და მითხრა, ახლა ვერ ხვდები, მაგრამ წლები რომ გავა, ნახავ, რაც მოხდებაო. მართლაც წლების გასვლის შემდეგ მამა არჩილის სიტყვები წინასწარმეტყველებასავით ამიხდა. ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩემი გონება თავისთავად მივიდა იქამდე, რომ სცენისათვის თავი უნდა დამენებებინა.

მართალია, სცენაზე აღარ ვდგავარ, მაგრამ უკვე 20 წელია თეატრალურ უნივერსიტეტში ვასწავლი. აგრეთვე სასულიერო სემინარიაში მეტყველების კულტურას ვკითხულობ და უნარშეზღუდულ ბავშვებთან ვმუშაობ. ეს სამუშაო კი ერთდროულად დიდი ტვირთი და

Cyan Magenta Yellow Black

„მანამდე ბოჰემურად ვცხოვრობდით. მუდმივად ჰიპეტიციები, სპექტაკლები და გასტროლები გვქონდა. ისე ხდებოდა, რომ წმინდა დღეებშიც სცენაზე დგომა გვინევდა, მახვასაც ვეი ვინახავდით".

დიდი სიხარულია. თავიდან, როდესაც ამ ბავშვებთან ურთიერთობა დავიწყე, ვერ ვხდებოდი, კარგ ხასიათზე რატომ ვიყავი. მერე მახსენდებოდა, რომ ერთმა ბავშვმა ბგერა წარმოთქვა, მეორემ — სიტყვა და ა.შ. როცა მეგობრებმა მკითხეს, ამ ბავშვებთან ურთიერთობით რა სიამოვნებას იღებო, მე ამგვარად ავუხსენი: როდესაც სცენაზე ტაშს მიკრავენ, დიდ სიამოვნებას ვიღებ, დაახლოებით იგივე გრძნობა მიჩნდება, როცა უნარშეზღუდულ ბავშვებს ბგერებისა და სიტყვების წარმოთქმაში ვეხმარები-მეთქი.

— როგორი იყო მამა ნიკოლოზი? მღვდლობამ ძალიან შეცვალა?

— დიდად არ შეცვლილა, ისევ ისეთი დარჩა, უბრალოდ პასუხისმგებლობა მოემატა. ჩემს ქმარს თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა ძალიან უყვარდა. მართალია, მღვდელი იყო, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ. ზოგჯერ მღვდლების მიმართ ხალხს სხვანაირი შეხედულება აქვს. არადა ისინიც ჩვენნაირები არიან ერთი განსხვავებით — მათ დიდი ჯვარი ადევთ. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანის ცოდვასა და გაჭირვებას ისმენენ, ეს უნდა გაითავისონ და ყველას საჭირო რჩევა მისცენ. რაც ყველაზე მთავარია, მოძღვარმა ამ ადამიანთა გულებისკენ მიმავალი გზები უნდა იპოვოს. ასე რომ, თუ ამ თვალით შევხედავთ მოძღვრის საქმიანობას, მაშინ მათალარ განვიკითხავთ და ცოდვაშიც აღარ ჩავვარდებით.

— მამა ნიკოლოზის სასულიერო ცხოვრებიდან რა გახსენდებათ ყველაზე ხშირად?

— ამაღლების ტაძარში უამრავი შვილმკვდარი დედა დადიოდა. ისინი დღემდე მამა ნიკოლოზს მისტირიან და ამბობენ, ის რომ არა, ამ დიდ უბედურებას ვერ გადავიტანდითო. ერთ შემთხვევას მოგიყვებით, რაც მე საკუთარი თვალით ვნახე. ტაძარს წმინდა ნიკოლოზის ხატი შესწირეს, რომელიც იმდენად ძველი და ულოცველი იყო, რომ სულ შავი გახლდათ და არაფერი ეტყობოდა. ისე მოხდა, რომ წირვა-ლოცვის დროს ეს ხატი თანდათან ამონათდა, სახეც გამოჩნდა, მერე სამოსელიც გამოიკვეთა. ახლა ეს ხატი რომ ნახოთ, აბსოლუტურად განწმენდილია, არადა რესტავრატორის ხელი არ შეხებია. მამა ნიკოლოზს ბევრი საოცარი რამ გადახდენია, მაგრამ ალბათ მართებული არ იქნება, ამ ყველაფერზე მე ვილაპარაკო. სახლში უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ნაჩუქარი წმინდა გიორგის მირონმდინარე ხატი გვაქვს. ჩემი მეუღლე ავარიაში მოყვა, პატრიარქმა საავადმყოფოში მოინახულა და ხატიც იქ მოგვიბრძანა. დღეს ეს მირონი ხატის მინის უკანა მხარეს ისევ შემხმარია.

■ ეკა ქუთათელაძის ქმარ-შვილი პატრიარქთან

„მაშინ მე 17 წლის ვიყავი, ის — 18-ის. ოდესაც მღვდლად ეკუთხა, ყველანაირად ვცდილობდი, მისთვის ხელი შემეწყო და მისი ცხოვრებით მეცხოვრა. ამაღლების ტაძარი რომ გაიხსნა, მესანთლედ, დამღაგებლად და ტრაპეზარად ვმუშაობდი, ეს ყველაფერი ოთელი იყო და თან სანტერესოც".

— მამა ნიკოლოზი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაცვლილა. რა გახდა მიზეზი?

— 9 აპრილის ღამეს ტრავმა მიიღო, ხერხემალი დაუზიანდა. სამი ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. ამასთან ერთად, გულზეც პრობლემები შეექმნა და 7 წლის წინ 49 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

✓ ოლონა კენჭოაშვილი

www.abdiibrahim.com.tr

ᲨᲔᲤᲣᲗᲜᲔᲗ „ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ“ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲧᲔᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠ-ᲮᲐᲮᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠ-ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ, ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

- ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲮᲜᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲡ
- ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕ ᲒᲐᲣᲢᲙᲘᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ
- ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲦᲔᲭᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲚᲐᲞᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲡ
- ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ: ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲔᲑᲨᲘ
- ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲡᲘᲛᲝᲕᲜᲝ ᲒᲔᲛᲝ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲡᲞᲠᲔᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲛᲘᲛ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 0112,
Დ. ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ/ᲥᲚᲝᲠᲰᲔᲥᲡᲘᲓᲘᲜᲘ

Cyan Magenta Yellow Black

პაატა გულიაშვილი გურამ ოდიშარიაზე ნაწყენია

„ზოგს ავიწუდება, თელავის თეატრის გამო ჩემს ოჯახს რა დაემართა“

■ პაატა და ნინო

ეკვე 7 თვე გავიდა, რაც მსახიობმა პაატა გულიაშვილმა თელავის თეატრის მმართველის თანამდებობა დაიკავა. მას შემდეგ იქ ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელია, ფული კი არაა. მმართველი, ცოტა არ იყოს, კულტურის მინისტრზე ნაწყენია. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

პაატა გულიაშვილს თავისი მეორე ნახევრისგან, ნინო ტარიელაშვილისგან, მაქსიმალური ხელშეწყობა აქვს. ის მოთმინებით იტანს ქმრის მოუცლელობას. უკვე 9 წელია ერთად ცხოვრობენ, ამ დროის განმავლობაში ბევრი გაჭირვებაც ნახეს, სიხარულიც ბევრი იგემეს. ორი ბიჭის მშობლები არიან. უფროსი, 7 წლის გუგა, მამას უკვე კაცურ თემებზე ელაპარაკება. ნინო ჯერჯერობით მხოლოდ შვილების აღზრდითაა დაკავებული და, როგორც პაატამ გვითხრა, მათ ზედმეტადაც კი აკონტროლებს.

მსახიობის სასცენო და სცენის მიღმა ცხოვრებაზე მკითხველი ცოლ-ქმრის ინტერვიუდან შეიტყობს.

— პაატა, თელავის თეატრის პრობლემები, იქ შექმნილი მდგომარეობა დიდი ხნის განმავლობაში იყო განსჯის თემა. როგორ დაარეგულირეთ სიტუაცია, რა შედეგებამდე მისწვდით, მსახიობებთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?

— თეატრი კიდევ არ არის იმ მდგომარეობამდე მისული, რომ მსახიობებს კარგი ხელფასი ჰქონდეთ და ამოისუნთქონ. თი-

> **პაატა: „ბავშვებს ჯეჯეჰობით ჩემი ესმით. სხვათა შორის, ბუგა ჯაცუჰ თემებზე მელაპარაკება. ცოტა ხნის წინ მითხა, ჰომ შეყვარებულია. მკითხა, ის გოგო სპექტაკლზე ხომ არ დავპატიჟოო. ის უკვე თვლის, ჰომ მამაკაცებმა ასეთ თემებზე უნდა დავილაპარაკოთ“.**

თოეული დღე-ღამეს ასწორებს, თავს არ ზოგავს. თეატრში მცირე სცენა არ არსებობდა და დღეს იქ უკვე სპექტაკლები ტარდება. 7 თვეში სამი პრემიერა ვითამაშეთ. რეჟისორი ლევან ხვიჩია ჩავიყვანე, რომელმაც ძალიან კარგი პიესა გააკეთა. გასვლითი სპექტაკლები გვქონდა. მთელი კახეთი მოვიარეთ „თეთრი ბაირაღებით“. ბევრი ვალი დამხვდა, ნული კი არა, მინუსი იყო თეატრის ბიუჯეტი! არ იყო გაზი, დენი, წყალი, მაგრამ ყველაფერი გავაკეთეთ. ამას გარდა, გაკეთდა სასტუმრო ოთახი, სადაც ჩასული რეჟისორი ცხოვრობს. გავხსენით ბუფეტიც, სადაც რეჟისორები თუ მსახიობები უფასოდ იკვებებიან. ხალხი თეატრში დადის და კმაყოფილები ვართ. თეატრისთვის შემოწირულობაც კი გაკეთდა. ამან საგრიმიოროების გარემონტების საშუალება მოგვცა.

— კულტურის ახალ მინისტრთან გქონდათ შეხვედრა? მის გეგმებს თუ იცნობთ კონკრეტულად თელავის თეატრთან დაკავშირებით?

— ბატონ გურამ ოდიშარიას ორჯერ შევხვდი და გულისყურით მომისმინა. გამიხარდა, რომ თეატრის სატკივარი გულთან ახლოს მიიტანა, მაგრამ ცოტა ხნის წინ თელავში იყო ჩამოსული. თეატრის წინ იდგა, ველოდეთ, მაგრამ არ მოვიდა. თელავში რომ კულტურის მინისტრი ჩამოვა და თეატრის წინ დადგება, როგორ არ უნდა შემოიხედოს და არ დაინტერესდეს, რა ხდება?! გაოგნებული დავრჩი. მის შესახებ ბევრი კარგი რამ მესმის, ვიცი, რომ კარგი მწერალია, მაგრამ კულტურის მინისტრი რომელ ქალაქშიც უნდა იყოს, კეთილი უნდა ინებოს, თეატრში შევიდეს და მსახიობებს

> **ნინო: „ისეც ყოფილა, ერთი ნაჭერი ჰური გვქონია და შუაზე გაგვიყვია. თავისუფალ თეატრში ერთ სპექტაკლში 5 ლარს იღებდა. იმ ფულით ცივ ჩაის ყიდულობდა და სახლში მოჰქონდა. ბნელ, ერთოთახიან ბინაში ფეხმძიმე ველოდებოდი, ჰოდის მოვიდოდა“.**

დაელაპარაკოს. იქ ის ადამიანები მუშაობენ, ვინც თავისი ზურგით მოიტანეს თეატრი და იმის ღირსი მაინც არიან, რომ დაელაპარაკონ. მრჩეველმა მაინც როგორ არ ურჩია, თუ თავად მინისტრი ვერ მიხვდა?! ცოტა უნდა გამოფხიზლდნენ და რეგიონების თეატრებს მიხედონ. ძალიან ნაწყენი ვარ!

დიდი იმედი მაქვს ახლანდელი ხელისუფლების და კონკრეტულად იმ პირების, ვისაც ეს საქმე ეხება. თელავის თეატრი 253 წლის არის და ახალმა მთავრობამ თავის თავზე მეტი უნდა აიღოს. კახეთს თუ სახელმწიფო თეატრი სჭირდება, ყველამ უნდა გაიგოს, რომ თავისთავად ვერ იარსებებს. წელიწადში ჩვენთვის 180.000 ლარი გამოიყოფა, რაც მხოლოდ ხელფასებზე გაიცემა. ლაპარაკი არ არის კომუნალურ გადასახადებსა და სადადგმო ფულზე. საიდან მოვიტანო სპექტაკლების დასადგმი ფული? ინვესტორებთან მათხოვრად ვარ ქცეული, რომ ფინანსები მოვიზიდო და ამის ხარჯზე დაიდგას სპექტაკლები. როგორც კი ჩავედი, სამხატვრო საბჭო შევქმენი, რადგან არ მინდოდა, ერთპიროვნულად მიმეღო გადაწყვეტილებები.

— ადგილობრივი მთავრობა არ გეხმარებათ?

— რატომღაც აღმოჩნდა, რომ ჩვენ მუნიციპალიტეტს არ ვეკუთვნით. კულტურის მინისტრმა თქვა, ამ ეტაპზე ფინანსები არ გვაქვს და არ ვიცი, ხვალ რა იქნებაო. ვერ გავიგე, ვის დაველაპარაკო, რომ თელავის თეატრის გასაჭირი ვუთხრა. ამჟამად დაახლოებით 13.000 ლარი გვაქვს ანგარიშზე, ვალების გადახდას ვეღარ ავუდივარ.

— იქურმა რეჟისორებმა და მსახიობებმა თბილისიდან თქვენ მიერ ჩაყვანილი რეჟისორი როგორ მიიღეს?

— ლევან ხვიჩია რობიკო სტურუას მაგისტრანტია. თუ ვერ გაუგებენ, მათი

> **პაატა: „თელავში ჰომ ჯეტუჰის მინისტჰი ჩამოვა და თეატჰის წინ დადგება, ჰოგოჰ ეჰ უნდა შემოიხედოს და ეჰ დაინტეჰესდეს, ჰა ხდება?! გაოგნებული დავჩჩი“.**

პრობლემა იქნება, მაგრამ მან დასი მოხიბლა და ერთმანეთი ძალიან უყვართ.

— ნინო, თქვენ თუ ჩადიხართ თელავში და სპექტაკლებს ნახულობთ?

ნინო: არდადეგებზე, ზაფხულობით ჩავდივარ და მაშინაც, როდესაც პრემიერას უშვებენ. „ესპრესოს“ პრემიერაზეც ვიყავი. ამ სპექტაკლით გაიხსნა თელავის თეატრი. შეყვარებულები რომ ვიყავით, მაშინაც ხშირად ჩავდიოდი.

პაატა: ჩვენ ახლაც შეყვარებულები ვართ.

ნინო: ძალიან მიყვარს თელავი, თბილი ქალაქია და კარგი ხალხი ცხოვრობს.

— პაატა სახლში მხოლოდ ცოლ-შვილს ეკუთვნის თუ იქაც საქმეზე ფიქრობს?

ნინო: სახლში თუ რამე ფუჭდება, ძირითადად მამაჩემს ვურეკავ. პაატას საერთოდ არ გამოსდის ასეთი საქმეები, შეიძლება აგაფეთქოს, სახლი გადაწვას. ოჯახში ყოველთვის ისაა პრობლემა, რომ ვერასოდეს ახერხებს ბავშვებთან ყოფნას, სულ ტელეფონი უჭირავს ხელში და თავის სამყაროშია. ყოველთვის ვცდილობდი, მისთვის ხელი შემეწყო, არაფრით დამეტვირთა და ახლაც ასეა.

— შვილები როგორ ეგუებიან ამ ფაქტს, რომ მამა ძირითადად სახლიდან არის გასული?

ნინო: გუგა უკვე 7 წლის არის. ნიკოლოზი პატარაა, 4 წლის. პაატას იმდენი დრო კი რჩება, რომ ბავშვებს მოეფეროს, ჩაეხუტოს.

პაატა: ამიტომაც ამბობენ, რომ მამა უფრო უყვართ.

— ნინო, თქვენ მხოლოდ შვილების მოვლით ხართ დაკავებული, სამსახურის დაწყებას ვერ ახერხებთ?

ნინო: რაც გავთხოვდი, მას შემდეგ არ მიმუშავია. ჩემი აზრით, შვილი დედამ უნდა გაზარდოს. ცოტა კიდევ რომ წამოიზრდებიან, მერე დავიწყებ მუშაობას.

— მკაცრი დედა ხომ არ ხართ?

ნინო: აბსოლუტურად ყველაფერს ვაკონტროლებ.

პაატა: მგონი, გუგას ზედმეტადაც კი აკონტროლებს, მაგრამ ეს დადებითად აისახება გუგაზე. ძალიან კარგად სწავლობს.

Cyan Magenta Yellow Black

ინგლისურზეც დადის. ჭკვიანი ბიჭი იზრდება, ალბათ მთლად მამას არ დაემსგავსება. ბავშვებს ჯერჯერობით ჩემი ესმით. სხვათა შორის, გუგა კაცურ თემებზე მელაპარაკება. ცოტა ხნის წინ მითხრა, რომ შეყვარებულია. მკითხა, ის გოგო სპექტაკლზე ხომ არ დავპატიჟოო. ის უკვე თვლის, რომ მამაკაცებმა ასეთ თემებზე უნდა დავილაპარაკოთ.

ნინო: ცოტა ხნის წინ გუგა ღამით ადგა და ოთახებში დადიოდა. ჩვენ ფილმს ვუყურებდით, პაატამ ჰკითხა, რატომ არ იძინებო. მაშინ უთხრა, რომ შეყვარებულია და თავისი კლასელი ქეთი ისე უყვარს, მის გამო ძალიან ნერვიულობს და ვერ იძინებს.

პაატა: ის გოგო სხვასაც მოსწონს და ამიტომ განიცდის. კარგი ბავშვები მყავს. ნიკოლოზი უფრო ხულიგანი და გათამამებულია.

— ორი ბიჭის შშობლები ხართ. გოგო არ გინდათ?

ნინო: ძალიან მინდოდა, მაგრამ მეტი შვილის გაჩენას აღარ ვაპირებ... დედისთვის გოგო მაინც სხვაა.

პაატა: მამისთვისაც. სხვა თუ არაფერი, დამტირებელი მაინც მეყოლებოდა.

— თბილისში გაქვთ ბინა?

პაატა: სამწუხაროდ, კვლავ გირაოთი აღებულ ბინაში ვცხოვრობთ. არ არის იმდენი საშუალება, რომ თბილისში სახლი ვიყიდოთ. იმის გამო, რომ ჩვენი კუთვნილი ბინა ვერ მივიღეთ, კომპენსაციის სახით გარკვეული თანხა მომცეს და იმით ვიგირავეთ ბინა. თელავში კი მაქვს სახლი, მაგრამ აქაც ვმუშაობ და იქ როგორ ვიცხოვრებთ. თელავში რომ ვარ, მაშინაც არ მივდივარ იმ სახლში, სულ თეატრში ვარ.

— ნინო, პაატა სახლშიც ასეთივე მხიარული და იუმორით სავსეა, როგორიც გარეთ ჩანს?

ნინო: არა, სახლში ისეთი არ არის, პირიქით, ძალიან სევდიანი და ემოციურია. ესაა ადამიანი, რომელსაც ყველა და ყველაფერი უყვარს. ცოტა ხნის წინ ამბობდა, რაც ასაკში შევდივარ, სარეცხი საშუალების რეკლამაზეც კი მეტირებაო. ამავდროულად

> **პაატა: „თელავის თეატრი 253 წლის ახის და ახალმა მთავრობამ თავის თავზე მეტი უნდა აიღოს".**

ცვალებადი ხასიათი აქვს. ვერ გაიგებ, რა დროს რა გაუხარდება, რა ეწყინება.

პაატა: პირდაპირ თქვი, ტვინის მბურღველიაო.

ნინო: მთლიანობაში კარგი ადამიანია, მაგრამ თავისებური მიდგომა სჭირდება. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ბავშვივით სჭირდება მოვლა.

პაატა: ვაა, არ ვიცოდი, ნინოს ჩემზე ასეთი შეხედულება თუ ჰქონდა!

ნინო: თბილიცაა და ამავე დროს ძალიან მძიმეც.

— თქვენი სიყვარული, ოჯახი როგორ გამოიწრთო, დღემდე როგორ მოსულდით?

ნინო: მე და პაატამ ყველაფრის ერთად გადატანა შევძელით. ნულიდან დავიწყეთ ცხოვრება. რომ დავქორწინდით, სახლიც კი არ გვქონდა.

პაატა: ახლა ხომ გვაქვს, რა!

ნინო: მაშინ იმის საშუალებაც არ გვქონდა, რომ ბინა გვექირავებინა. რუსთავში, პაატას დეიდის სახლში ვცხოვრობდით. მაშინ თავისუფალ თეატრში მუშაობდა. მძიმე პერიოდი იყო, იმ წლებმა მთელ ჩვენს ცხოვრებას დიდი დაღი დაასვა. ისეც ყოფილა, ერთი ნაჭერი პური გვქონია და შუაზე გაგვიყვია. თავისუფალ თეატრში ერთ სპექტაკლში 5 ლარს იღებდა. იმ ფულით ცივ ჩაის ყიდულობდა და სახლში მოჰქონდა. ბნელ, ერთოთახიან ბინაში ფეხმძიმე ველოდებოდი, როდის მოვიდოდა. თითოეული ჭიქა და თეფში ერთად შევიძინეთ, დიდი წვალებით. პაატამ ყველაფერს თავისი შრომით მიაღწია.

პაატა: ზოგი ამ თანამდებობაზე ყოფნას ჩემს წარმატებად თვლის, მე კი წელიწადნახევარი ვამბობდი უარს. ზოგს ავიწყდება, ამ თეატრის გამო ჩემს ოჯახს რა დაემართა. ცოტა უკან ვერ იყურებიან და ვერ ხვდებიან, თეატრში ჩემი მისვლის მიზეზი რა იყო. მამაჩემმა იმ თეატრს შესწირა თავი. არ ვიცი, რას მაყვედრიან. ჩემს კაბინეტში რომ სკამი დგას, ისიც კი ჩემი მიტანილია. ყველას თელავის თეატრის ხელმძღვანელობა მოუნდა. თუ ასეთი პრესტიჟულია, მაშინ არ დავთმობ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

✓ ქეთი დინოშვილი

საქართველოს წლის ფეხბურთელის ჰოლანდიური ცხოვრება

გუჩამ ჯაშია: „ჩემზე, როგორც „ვიტესის" კაპიტანზე, ყველაზე მეტი ჯიტიჯა მოდის"

25 წლის ფეხბურთელი გურამ კაშია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2012 წლის ფეხბურთელად დაასახელა, ხოლო „ფეისბუქის" გამოკითხვებით, წლის ლეგიონერი გახდა. ამჟამად იგი ჰოლანდიის ერედივიზიის კლუბ „ვიტესში" თამაშობს, კაპიტანია. თავს არ ზოგავს, რომ კლუბის ხელმძღვანელი, თავისი თანამემამულე მერაბ ჟორდანია არ შეარცხვინოს.

გურამზე ჰოლანდიაში ცოლი, თამთუკა გიგაშვილი ზრუნავს. ცოლი ქმრის თამაშებს არ ტოვებს, ყოველთვის ესწრება, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ძალიან ნერვიულობს. ქმრის ხათრით, მისი გულშემატკივარი გოგონების შემოტევასაც გმირულად უმკლავდება.

— გურამ, პირველ რიგში, გილოცავთ წარმატებას! როგორ დაიწყო თქვენი საფეხბურთო გზა?

— მამამ ჩემი ძმა, შოთა, შეიყვანა ფეხბურთზე და მე ეჭვიანობა დავიწყე. ავტირდი, მეც მიმიყვანეთ-მეთქი. მაშინ შოთა 9 წლის იყო, მე — 6-ის. მანამდე ფეხბურთი ტელევიზიითაც არ მქონდა ნანახი. ფაქტობრივად ძალით მივედი ფეხბურთზე. როცა ყველაფერში გავერკვიე, ძალიან შემიყვარდა. მას შემდეგ ყოველდღე, ყოველ დილა-საღამოს ფეხბურთით და ბურთით ვცხოვრობ.

> **გუჩამი: „ყოველი გოლი ჩვენს ჯაჭში დიდი ტიაგედიაა ჩემთვის. მცველი ვაჰ და საჯუთაჰ თავს ვადანაშაულებ ხოლმე".**

ბავშვობიდანვე წარმატებულ გუნდებში ვთამაშობ. ჯერ „ნორჩ დინამოში" ვიყავი, მერე აკადემია ჩამოაყალიბეს და დაახლოებით 400 ბავშვიდან 60 შეგვარჩიეს. მაშინ 14-15 წლის ვიქნებოდი. იქიდან დაიწყო ჩემი პროფესიონალური თამაში. მალევე „დინამოს" დუბლებში გადამიყვანეს, ხელფასიც დამინიშნეს. პრემია 50 ლარი მქონდა, ხელფასი — 100 ლარი. ძალიან ვამაყობდი, რომ 17 წლისას ჩემი ფული მქონდა. ბავშვობიდან ვოცნებობდი, „დინამოში" მეთამაშა. 18 წლის ვიყავი, ოცნება რომ ამიხდა. ჩემი ძმაც იქ თამაშობდა, ისიც დამეხმარა და ყველაფერი კარგად აეწყო. მაშინ მოვიგე თასიც და სუპერთასიც. 22 წლისამ გადავწყვიტე, ევროპაში წავსულიყავი. ჩემს მენეჯერებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მერაბ ჟორდანიასთან. მან თავის გუნდში წამიყვანა და ასე დაიწყო ჩემი ევროპული კარიერა. 2010 წლიდან „ვიტესში" ვთამაშობ.

— თქვენზე ამბობენ, რომ ძლიერი თავური დარტყმა გაქვთ. თავად როგორ შეაფასებთ საკუთარ პროფესიონალურ თვისებებს?

— ერთხელ ხუმრობით ვთქვი, თავს მაგრად ვურტყამ-მეთქი და ასე ალბათ ამიტომ ლაპარაკობენ. სინამდვილეში ჩემი პლუსი ის არის, რომ საქმის პროფესიონალი ვარ. ჩემთვის ყველა დეტალი მნიშვნელოვანია და ალბათ ფეხბურთის ნიჭიც მაქვს. ამას ემატება შრომისმოყვარეობაც და ამ ყველაფერმა ერთად ამდენისთვის მიმაღწევინა.

— მშობლების როლი თქვენს წარმატებაში როგორია?

— მათი მხრიდან მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი, მეხმარებოდნენ, რომ რეჟიმში მეცხოვრა, ადრე დამეძინა, კარგად მეკვება... როცა ბავშვს მშობლები მხოლოდ იმას ეუბნებიან, რომ აუცილებლად კარგად უნდა ითამაშოს, როცა მოედანზე კივიან, მიდი, გოლი გაიტანეო, ეს ფსიქოლოგიურად საკმაოდ რთულია. ჩემ მიმართ კი მშობლებს ასეთი დამოკიდებულება არასოდეს ჰქონიათ. რა თქმა უნდა, მგულშემატკივრობდნენ, მაგრამ არასოდეს უქვამთ, აუცილებლად ფეხბურთელი უნდა გამოხვიდე და თავი ამით ირჩინოო. ცხოვრების რიტმს მივყვებოდი და, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად აეწყო.

— თქვენს ოჯახში სპორტსმენები არიან?

— მამა, ლევანი, მორაგბე იყო, მაგრამ არც მახსოვს, როდის თამაშობდა. მამა უსაქმური უფრო მახსოვს, ვიდრე დასაქმებული. ბაბუას ძალიან უყვარდა ფეხბურთი და სულ ესაა. სპორტსმენი არავინ მყოლია. სპორტთან არც დედაჩემს, მარინას აქვს რაიმე სახის შეხება.

— ოჯახის წევრები სტადიონზე ხშირად დადიან თქვენ საგულშემატკივროდ?

გურამი: დედა და ბებია ყოველთვის მოდიან, მაგრამ მამას ხანდახან ეზარება. ფეხბურთის ყურება დიდად არ უყვარს.

თამთუკა: მე გურამის თითქმის ყველა მატჩზე დავდივარ. გასვლითი თამაშები რომ აქვთ, შეიძლება მაშინაც კი წავყვე. სანამ გურამს გავიცნობდი, ფეხბურთი ძალიან მიყვარდა, მაგრამ ახლა, როცა ეს არის მოედანზე, საოცრად ვნერვიულობ. ერთი სული მაქვს, როდის დამთავრდება, რომ შედეგები გაირკვეს. იმაზეც ვნერვიულობ, რომ შეიძლება თამაშის დროს ტრავმა მიიღოს.

— სანამ ჰოლანდიაში წახვიდოდით, დაქორწინებაც მოასწარით. რამდენი ხანია, რაც ცოლ-ქმარი ხართ?

→24

Cyan Magenta Yellow Black

თამთუკა: ერთმანეთი 2008 წელს გავიცანით. ჩვენ შორის სიყვარული ძალიან მალე გაჩნდა და დაახლოებით ერთ წელში დავქორწინდით. საბედნიეროდ, გურამის კარიერა კარგად აეწყო და ქორწინებიდან ერთ წელში საცხოვრებლად ჰოლანდიაში გადავედით. მას შემდეგ სულ იქ ვართ, საქართველოში იშვიათად ჩამოვდივართ.

— ფეხბურთელის ცოლობა ალბათ ბევრ სირთულეს გულისხმობს.

თამთუკა: ვერ გეტყვით, რომ გურამი შეყვარებული სხვანაირი იყო და მერე

გუჩამი: „საქართველოში მაშინ უყვარხარ ხალხს, თუ თამაშს იგებ. თუ აგებ, გლანძღავენ. ჰოლანდიაში ყველა შემთხვევაში შენ გვერდით არიან, მხარს გიჭერენ".

შეიცვალა. უბრალოდ ახლა ბევრად დატვირთულია. ფეხბურთელის ცოლობა მართლაც ძალიან რთულია, მაგრამ მთავარია, ხელი შეუწყო. გურამისთვის კარიერა უმნიშვნელოვანესია, ამიტომ ვცდილობ, ჩემგან მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს. ყურადღებას ვაქცევ მის კვებას, დასვენებას, შუადღის ძილს. ვერ იტყვის, რომ მის წინსვლას რამით ვაფერხებ, პირიქით.

— როცა გუნდი მარცხდება, ამ დროს სახლში როგორ იქცევა?

თამთუკა: სახლში რომ მოდის, ორი საათი ხმა არ უნდა ამოვიღო. მერე ნელ-ნელა ყველაფერს აანალიზებს, ხასიათზე მოდის და თვითონ მეკონტაქტება, თამაშის შესახებაც მიყვება. სანამ ხასიათზე არ მოვა, ვერაფერს ვეკითხები.

გურამი: როცა ვმარცხდებით, საშინელი იმედგაცრუება მეუფლება. მთელი კვირა სათამაშოდ ვემზადები და რომ ვაგებ, საშინელი შეგრძნება მაქვს. სულ ვფიქრობ, რა შეცდომები დავუშვი. ყოველი გოლი ჩვენს კარში დიდი ტრაგედიაა ჩემთვის. მცველი ვარ და საკუთარ თავს ვადანაშაულებ ხოლმე. ყოველი წაგებული თამაში უფრო ძლიერს მხდის.

— გურამ, თქვენი თამაშებისა და ყარჯიშების გამო ცოლი ხომ არ გეჩაგრებათ?

გურამი: ოჯახისთვის საკმარისი დრო მაქვს. თავისუფალ დროს სახლში ყოფნა მიყვარს. მე და თამთუკა ყველგან ერთად დავდივართ, მათ შორის — საყიდლებზეც. ამიტომ ჩემს ცოლს საწუწუნო არაფერი აქვს.

თამთუკა: გურამი საკმაოდ რომანტიკულია. იცის, რა მახარებს და ყოველთვის შესაბამისად იქცევა. ძალიან უყვარს საჩუქრების კეთება.

— არ ვიცი, ჰოლანდიაში რა ხდება, მაგრამ გურამს საქართველოში ბევრი გულშემატკივარი ეოგო ჰყავს. თამთუკა, არ ეჭვიანობთ?

თამთუკა: ამას შეგუებული ვარ. ჰოლანდიაში უფრო პოპულარულია, ყველა იცნობს და ეს ძალიან მსიამოვნებს. გაანალიზებული მაქვს, რომ გოგოებისგან განებივრებულია. გურამი რომ ბევრ გოგოს მოსწონს, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

გურამი: ფეხბურთს გულშემატკივარი ქმნის. ვერ ვიტყვი, საქართველოში ისეთი პოპულარული ვარ, გარეთ ვერ გამოვდივარ-მეთქი. ჰოლანდიაში უფრო მცნობენ და ძალიანაც მიხარია. ხანდახან ღონისძიებაზე, სადაც უამრავი ბავშვია, მოდიან და ავტოგრაფებს მთხოვენ. 4-5 საათი ამ საქმით ვარ ხოლმე დაკავებული.

— ალბათ ძალიან განსხვავდებიან ქართველი და ჰოლანდიელი გულშემატკივრები ერთმანეთისგან.

გურამი: საქართველოში მაშინ უყვარხარ ხალხს, თუ თამაშს იგებ, თუ აგებ, გლანძღავენ. ჰოლანდიაში ყველა შემთხვევაში შენ გვერდით არიან, მხარს გიჭერენ. ზოგი იქაც გლანძღავს, მაგრამ არა ისე, როგორც აქ. სოციალური ქსელებით უამრავი ადამიანი მწერს. წაგების შემთხვევაში ყველა მამხნევებს, მხარს მიჭერენ. აქ კი უმრავლესობა მწერს, რატომ ფეხებში არ ჩაუვარდი, რატომ არ გადაგვარჩინეო. მადანაშაულებენ და უფრო მეტიც, ბევრი გულშემატკივარი ჭკუას მასწავლის, თუ როგორ უნდა მეთამაშა.

■ გურამი და თამთუკა

— ჰოლანდიურ კლუბში თაყვის დამკვიდრება რთული იყო?

გურამი: პირველივე თამაშიდან გამიმართლა და მას შემდეგ „ვიტესის" ყველა მატჩში ვითამაშე. ალბათ მეც გამოვიჩინე თავი, თამაშს მოვუმატე და ყველაფერი ისე წავიდა, რასაც თვითონაც არ ველოდი. რადგან გუნდის პრეზიდენტი ქართველია, ჩემთვის ეს მეტი პასუხისმგებლობაა. სულ ვფიქრობდი, მერაბი არ შევარცხვინო-მეთქი. ყოველი წაგებული თამაშის შემდეგ, როგორც კაპიტანზე, ყველაზე მეტი კრიტიკა ჩემზე მოდის.

გუჩამი: „სტუმრად ხომ მიდიხარ, ფეხსაცმელი აუცილებლად უნდა გაიხადო. ჩემთან ვინც მოდის, ყველას ვეხვეწები, არ გაიხადოთ-მეთქი... ჯერ ეხთი თავისებურება აქვთ — ღამის 10 საათზე იძინებენ და დილის 6-ზე დგებიან. ღამე „ფეისბუქზე" ხომ შევდივარ, მარტო ქართველები არიან ონლაინში და არც ერთი ჰოლანდიელი.

— ჰოლანდიელების ჩვეულებებს, ცხოვრების წესს ადვილად შეეჩვიეთ თუ გაგიჭირდათ?

გურამი: იქაურ წესებთან შეგუება ცოტა გაგვიჭირდა. ადამიანს რომ შეხვდები, აუცილებლად სამჯერ უნდა გადაკოცნო.

თამთუკა: ვერაფრით ვეჩვეოდი იმას, რომ, როცა მეგობარს ვნახულობდი, სამჯერ უნდა გადამეკოცნა. ახლა კი ისე მივეჩვიე, მგონია, რომ აქაც ასე უნდა მოვიქცე.

გურამი: ამას გარდა, სტუმრად რომ მიდიხარ, ფეხსაცმელი აუცილებლად უნდა გაიხადო. ჩემთან ვინც მოდის, ყველას ვეხვეწები, არ გაიხადოთ-მეთქი. ჩემს გუნდელთან რომ მივდივარ, ჩუსტები მიმაქვს იქ ჩასაცმელად. კიდევ ერთი თავისებურება აქვთ — ღამის 10 საათზე იძინებენ და დილის 6-ზე დგებიან. ღამე „ფეისბუქზე" რომ შევდივარ, მარტო ქართველები არიან ონლაინში და არც ერთი ჰოლანდიელი.

— ჰოლანდიაში რა გეანატრებათ ყველაზე მეტად?

გურამი: ოჯახი და მეგობრები. ყველაზე მაგრად ქართული საჭმელი მენატრება — ხინკალი, მწვადი. თამთუკა ძალიან მაგარი მზარეულია, ყველა ქართველი ჩვენთან მოდის საჭმელად, მაგრამ იქ ხაჭაპურების და ხინკლების გაკეთების საშუალება არ არის.

სულ რამდენიმე ქართული ოჯახი ვცხოვრობთ — გიორგი ჭანტურიასი, ვაკო ყაზაიშვილის და მერაბ ჟორდანიასი. ერთ ოჯახად ვცხოვრობთ. ვარჯიშებზე ერთად მივდივართ, ვბრუნდებით, ერთდროულად ვიძინებთ, ერთ რეჟიმში ვცხოვრობთ. მერაბის ბიჭთან, ლევანთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ვცდილობთ, გარშემო ქართული სიტუაცია გვქონდეს. ჰოლანდიელები ურთიერთობაში, მეგობრობაში ოფიციალურობას იჩენენ.

— შვილს ხომ არ ელოდებით?

გურამი: ჯერ — არა, მაგრამ აუცილებლად გვეყოლება. ისე, ჩემმა შვილმა რომ მითხრას, მეც ფეხბურთელობა მინდაო, არ დავუშლი. ყველა სფეროს ახლავს ტკივილიც და იმედგაცრუებაც, თუკი ბურთის გორაობა ეყვარება, დადგეს და აგორაოს.

თამთუკა: როგორ შეიძლება შვილს რაღაც დააძალო?! თუკი არ დაინტერესებს ფეხბურთი და სხვა სფეროში წავა, პრობლემა არ იქნება.

— საქართველოში დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?

გურამი: სურვილი მაქვს, ჩემი კარიერა „დინამოში" დავამთავრო, თუკი მიმიღებენ. „დინამოში" ძველ ფეხბურთელებს პატივს აღარ სცემენ, ბევრი მათგანი მივიდა იქ, მაგრამ ბაზაზე არ შეუშვეს. შეიძლება მეც რომ მივიდე, გამომაგდონ. ჯერ არ გამირისკავს, არ მივსულვარ. რაც მე წავედი, გუნდში ბევრი რამ შეიცვალა, ალბათ მალე სახელსაც შეუცვლიან. არ ვიცი, ეს რატომ ხდება, ალბათ ახლა იქ ისეთი ხალხია, ვინც ქართული ფეხბურთის ტრადიციები არ იცის. სამწუხაროდ, საქართველოში ის დონე არ არის, რომ ჩამოვიდე და აქ ვითამაშო. ვნახე „დინამოს" ბაზა, მოედანი, ფინანსურადაც გაცილებით კარგად არიან და შემიძლია გითხრათ, რომ ყველანაირი პირობაა, „დინამო" ევროპული გუნდი გახდეს. საქართველოში ზოგი ისეთი მოედანია, სადაც ფეხბურთის თამაში არ შეიძლება. ამ პრობლემების გამო ამ ეტაპზე აქ არ ჩამოვალ. არაფრის შეცვლა მინდა, რაც მაქვს, ამით ძალიან ბედნიერი ვარ, თამთუკაც ბედნიერია და ამიტომ, როგორც არის, ისე ვცხოვებთ ყველაფერს.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

ქეთი ელიეშვილი: „ქმარს დიდხანს ვყავდი დაბლოკილი“

ქეთი ელიეშვილი დიდი ხანია ტელევიზიაშია, მაგრამ ბოლო დრომდე ეკრანზე გამოჩენის საშუალებას არ აძლევდნენ. ის, ვინც ხელს უშლიდა, მისი ოჯახის წევრი — ქმარი გახლდათ. მუშაობდა საზოგადოებრივ რადიოში, ერთ-ერთ ჟურნალში, იყო თბილისში აჭარის საინფორმაციო ბიუროს უფროსი. რამდენიმე თვის წინ კი საზოგადოებრივ არხზე გადაცემის „დღეს 13:30 წუთზე“ წამყვანად მოგვევლინა. მისი მეუღლე, „პირველი არხის“ გენერალური პროდიუსერი გიორგი გაჩეჩილაძე, თავის თანამდებობას მაქსიმალურად იყენებდა, რათა ცოლი ეთერში არ გაეშვა. პარადოქსია, მაგრამ არც ჟურნალისტის პროფესია მოსწონს და ცოლისთვის ულტიმატუმიც წაუყენებია — ან მე, ან შენი სამსახურიო. საბოლოოდ შეთანხმდნენ და ცოლ-ქმარს რადიკალური ნაბიჯების გადადგმა არ მოუწიათ.

— ქეთი, ტელევიზიის პლუსები და მინუსები რა არის?

— ჩვენს სფეროში სასწაული კონკურენციაა, ამიტომ თავის დამკვიდრება ძალიან რთულია. რადიოში რომ ვმუშაობდი, ორი წლის განმავლობაში ყოველ დილას 6 საათზე ვიღვიძებდი და პირდაპირი ეთერი მიმყავდა, მაგრამ ტელევიზიის პირდაპირი ეთერი რადიოსგან სრულიად განსხვავებულია. ქალისთვის ვიზუალი ძალიან მნიშვნელოვანია. არ არსებობს, კამერისკენ თვალი არ გაგეპაროს. პირველ სამ გადაცემაში სულ იმაზე ვფიქრობდი, ეკრანზე როგორ გამოვიყურებოდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მაყურებელს ვიზუალი კი არა, ინფორმაცია აინტერესებს. მით უმეტეს, როდესაც შემეცნებითი გადაცემა მიგყავს.

— თქვენთვის რა ხიბლი აქვს ჟურნალისტობას?

— ის, რომ არაჩვეულებრივ ადამიანებთან მიწევს ურთიერთობა. დედაჩემის ოცნება იყო, ექიმი გამოვსულიყავი და სულ ვფიქრობ, რა ჭკვიანურად მოვიქეცი, რომ არ დავთანხმდი-მეთქი. პრობლემებს რომ კარგი რაღაცეები გადაეწონა, აუცილებლად გამოვიცვლიდი პროფესიას და მთლიანად სცენარისტობას მოვკიდებდი ხელს (მე „ღამის შოუს სტუდიის“ ერთ-ერთი სცენარისტიც ვარ), მაგრამ ისე ვგიჟდები შეკითხვების დასმაზე, ამ საქმეს ვერ შეველევი. რადიოსა და ჟურნალში მუშაობის დროს ძალიან რთული რესპონდენტები მყოლია. მათ გულწრფელად ასალაპარაკებლად რა არ გამიკეთებია, საკუთარი ისტორიებიც კი მომიყოლია. ჩემმა 15 წლიანმა პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ რაც უფრო ნიჭიერი და კარგია ადამიანი, მით უფრო თავმდაბალია და ინტერვიუზეც ადვილად გთანხმდება, რადგან არანაირი კომპლექსი არ აწუხებს.

„ეთი შვილს ნითელა ჰქონდა, მეოხეს — ქუნთრუშა, ჩემი ქმარი თეთრი ხალათით და თერმომეტრით დარბოდა. მაშინ მითხრა, დიდი ბოდიში, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ იქნებ სხვა სამსახური მოძებნოო“.

— ყველაზე მძიმე რადიოეთერი როდის გქონდათ?

— რამდენჯერმე მართლა ძალიან მძიმე ეთერი მქონდა. რადიოში კვირაში ერთხელ ჩემთან ერთად რომელიმე ცნობილი ადამიანი იყო წამყვანი. ერთხელაც ჩემმა თანაწამყვანმა „გადამაგდო“, ნაბახუსევზე მყოფს დაეძინა და ეთერში ორსაათნახევარი სრულიად მარტო ვიჯექი. ასევე ძალიან მძიმედ მახსენდება ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დროს პირდაპირი ჩართვები. უმძიმესი იყო, რადგან იმ ფაქტით ყველა იყო შეძრული.

ერთხელ მოწამლული ვიჯექი ეთერში. ხმის რეჟისორს იქვე ელაგა წამლები და გაზიანი სასმელი. რამდენი წუთიც მქონდა სალაპარაკო, იმდენ ხანს ვძლებდი და მერე ხან გული მიმდიოდა და ხან რა მემართებოდა. რადიოში ძალიან ადრე ნახევრად მძინარე შევდიოდით ეთერში მე და ჩემი თანაწამყვანი ბიჭი. ბოლოს ორი წლის შემდეგ გავარკვიეთ, რომ თურმე სხვადასხვა სქესი გვქონია. სულ ვამბობ, რომ ეს უსქესო პროფესიაა, ამიტომ ყოველთვის მიკვირს, როდესაც ჟურნალისტები წყვილდებიან.

ქეთი ელიეშვილი

— ჟურნალისტობასთან ერთად დედისა და ცოლის „პროფესიებს“ როგორ უმკლავდებით, ესეც ხომ არანაკლები სამუშაოა?

— რა თქმა უნდა, რთულია. მაგალითად, ძალიან ძნელია პირდაპირ ეთერში ჯდომა მაშინ, როდესაც შენი შვილები მაღალი ტემპერატურით სახლში წვანან. ჩემი ქმარიც მუდმივად გადარბენაზეა. შარშან, 31 დეკემბერს, აღმოვაჩინე, რომ სამსახურში უამრავი საქმე მქონდა და სახლში არამც თუ საახალწლო სუფრა მქონდა მომზადებული, ელემენტარულად, საჭმელიც კი არ იყო. ბედად, პროდიუსერმა ბაზრიდან ჩართვა დაგეგმა. ეთერში კორესპონდენტი გვერთვებოდა და იმას ვეუბნებოდი, თუ ფული გაქვს, გოჭი, ინდაური გამომიყოლე-მეთქი. საახალწლოდ პირდაპირი ეთერიდან ვივაჭრე. სახლში საღამოს დავიწყე ყველაფრის კეთება.

„ჰაც უფრო ნიჭიერი და ჯარგია ადამიანი, მით უფრო თავმდაბალია და ინტერვიუზეც ადვილად გთანხმდება, რადგან არანაირი კომპლექსი არ აწუხებს“.

— მეუღლე როგორ მიეჩვია თქვენს სამუშაო გრაფიკს?

— ჩემი ქმარი, გიორგი გაჩეჩილაძე, ჟურნალისტი არ არის, მაგრამ ამ სფეროშია და ჩემს ასეთ რეჟიმს მიჩვეულია. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერია.და მაინც, ორჯერ ძალიან გააპროტესტა, ან მე, ან სამსახურიო. ქართველი მამაკაცები სახლში ცოლზე ადრე მისვლას ვერ იტანენ. საინფორმაციო ბიუროში რომ ვმუშაობდი, საოცარი რეჟიმი მქონდა, შეიძლებოდა, ღამე სადღაც გადავფრენილიყავი და მეორე დღეს დავბრუნებულიყავი. ერთხელაც, სახლში დაბრუნებულს, ორივე შვილი ცუდად დამხვდა, ერთს წითელა ჰქონდა, მეორეს — ქუნთრუშა, ჩემი ქმარი კი თეთრი ხალათით და თერმომეტრით დარბოდა. მაშინ მითხრა, დიდი ბოდიში, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ იქნებ სხვა სამსახური მოძებნოო. ამ დროს „კოსმოპოლიტენიდან“ დამირეკეს და სამსახური შემომთავაზეს.

— როცა ცოლად მოჰყავდით, თქვენმა ქმარმა ხომ იცოდა, რომ ჟურნალისტის რთული პროფესია გქონდათ?

— მისი მხრიდან დიდხანს ვიყავი დაბლოკილი. თავის დროზე რადიოში ისე მოვხვდი, მან არ იცოდა და როცა გაიგო, ძალიან გააპროტესტა. ადრე გიორგი „იმედში“ მუშაობდა. ძალიან დიდი სატელევიზიო გამოცდილება აქვს. სანამ ამ გადაცემაში დამამტკიცებდნენ, თანამშრომლებს ჩემი ქმრის დარწმუნება მოუწიათ, რომ ამ პროექტისთვის კარგი სახე ვიყავი. სამხატვრო საბჭოზე ერთადერთი ჩემი ქმარი იყო, ვინც ჩემს კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა.

— ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ მისი ცოლი ხართ თუ სხვა პრობლემაც ჰქონდა?

— მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ცოლი ვარ. ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, იმაზე გვიწევს ფიქრი, რომ ხალხი არ ვალაპარაკოთ. სულ იმას ვეუბნებოდი, ეს ჩემი პროფესიაა, ხალხი სწორედ ჟურნალისტად მიცნობს და არა — შენს მეუღლედ-მეთქი. ზუსტად ვიცოდი, რომ წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ შემოქმედებითმა ჯგუფმა მიშველა.

— შვილები არ გსაყვედურობენ, რომ მათთვის ნაკლები დრო გრჩებათ?

— ნიკასაც და რეზისაც ძალიან მოსწონთ, რასაც ვაკეთებ. რომ ჰკითხოთ, რომელი გირჩევნიათ, დედას ეკრანზე ხედავდეთ თუ სკოლაში გაკითხავდეთო, დარწმუნებული ვარ, გიპასუხებენ, ჯობია, ეკრანზე ვხედავდეთო. პარასკევს, დაახლოებით 4 საათზე, კაფეში ვსხდებით და მთელი კვირის ამბებს ერთად განვიხილავთ. არ მინდა, მათი ცხოვრებიდან რამე გამომეპაროს და ამიტომ რაღაცეებს ვაკონტროლებ. მაინტერესებს, ჩემი შვილები მთელი დღის განმავლობაში რა დროს უთმობენ „ფეისბუქს“, რა მუსიკას უსმენენ... ვერ გეტყვით, რომ ჩემი მომზადებული ცხელ-ცხელი კერძებით პირი აქვთ დამწვარი, მაგრამ ინტელექტუალური თვალსაზრისით ყველაფერს ვუკეთებ, რაც შემიძლია.

ცოტათი მკაცრიც ვარ, ისინი კი გეტყვიან, ძალიან მკაცრიაო. ჩვენ ასეთი შეთანხმება გვაქვს, საღამოს 6 საათამდე, ანუ, სანამ ორივე გაკვეთილებს ჩამაბარებს, დედა-შვილი ვართ და, როცა ჩავიბარებ, მერე — მეგობრები. ამ სახლში არ იკრძალება არც ხმაური, არც წინ და უკან სირბილი. ოთახებში დადიან ველოსიპედით. მირჩევნია, სახლში დაიხარჯონ და ყველაფერი აკეთონ, რაც უნდათ. ერთად ვჩხუბობთ, ერთად ვცეკვავთ, ვღრიალებთ... ნიკას უკვე გარდატეხის ასაკი ეწყება და, მგონი, მისთვის ის წლები დგება, როდესაც ჰგონია, რომ თვითონ იცის ყველაფერი და არა — დედამ. მათდა სასახელოდ ისიც უნდა ვთქვა, რომ მშვენივრად სწავლობენ.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

ოთარ ტატიშვილი: „ესტრადაზე ხალხს სისულელეებს ასმენინებენ“

ჰას ფიქრობს შოუბიზნესზე ქართველი ვარსკვლავების მასწავლებელი

■ ოთარ ტატიშვილი

ოთარ ტატიშვილი, როგორც კომპოზიტორი, საზოგადოებამ პოპულარული ჟანრის სიმღერების ავტორად გაიცნო. ახლა იმ წლებს, როცა პოპმუსიკას წერდა და დამწყებ მომღერლებს ესტრადისკენ გზას უკვალავდა, დაკარგულად მიიჩნევს, რადგან ამით მისთვის უფრო ღირებულს, კლასიკურ მუსიკას ბევრი რამ დააკლო. დიდიხნის ოცნება ახლა აისრულა, როცა კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში სიმფონიური მუსიკის საავტორო საღამო გამართა.

კომპოზიტორი ორ ქალს უმადლის იმას, რომ საყვარელ საქმეს ემსახურება — დედას და ცოლს. თავის დროზე სწორედ დედამ აზიარა მუსიკას, ცოლმა კი გაჭირვების წლებში, როცა უმუშევარი დარჩა, ოჯახის მარჩენალის ტვირთი საკუთარ თავზე აიღო და ქმარს ყველანაირად დაეხმარა, რომ შემოქმედებაზე ხელი არ აეღო.

— ბატონო ოთარ, როდის მისჯდით, რომ მუსიკა თქვენი ცხოვრების საქმე იყო?

— საკუთარი თავის ქება უხერხულია, მაგრამ ბავშვობიდან ალბათ ძალიან ნიჭიერი ვიყავი. ხატვაც მიტაცებდა და მსახიობური ნიჭიც გამაჩნდა, მაგრამ საბოლოოდ მუსიკამ მძლია, რაშიც დედაჩემმა, ნუნუ ტატიშვილმა ითამაშა დიდი როლი. თვითონ დედაც ძალიან ნიჭიერი იყო, მღეროდა. სამწუხაროდ, მერე ხმის პრობლემა შეექმნა და სიმღერა ვეღარ გააგრძელა. თუ საქართველოში ვინმე კარგი შემსრულებელი ჩამოვიდოდა, ყველა კონცერტზე დავყავდი და იქიდან ისეთი შთაბეჭდილებით ვბრუნდებოდი, რომ მეც მინდებოდა მუსიკაში რაღაცის გაკეთება. მამაც უნიჭიერესი კაცი გახლდათ, თუმცა ჩემს სწავლა-განათლებაში დიდად არ ერეოდა.

— მუსიკის შექმნა როდის დაიწყეთ?

— კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ფილარმონიის სოლისტი გავხდი. პარალელურად ყოველთვის ვქმნიდი მუსიკას, ოღონდ ჩემთვის, დიდხანს არავის ვუმხელდი. როცა ჩემი სიმღერები გამოვამზეურე, ცნობილი მომღერლები დაინტერესდნენ. თანდათან საკუთარი თავის რწმენა გამიძლიერდა. დედაც ისევ შემიჩნდა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, საკომპოზიტოროზე ჩაბარეო. დიდი ყოყმანის შემდეგ ჩავაბარე კიდეც. კომპოზიციაში ჩემი პედაგოგები ისეთი კორიფეები გახლდნენ, როგორებიც იყვნენ ბატონები დავით თორაძე, ოთარ თაქთაქიშვილი და სულხან ცინცაძე.

— 2012 წელი, შეიძლება ითქვას, თქვენი კლასიკური მუსიკის საღამოთი გააცილეთ. მგონი, ამ ჟანრში ეს თქვენი პირველი კონცერტი იყო. აქამდე რა გიშლიდათ ხელს?

— არა, კლასიკური მუსიკის საღამო პირველად 2007 წელს გავმართე, მაგრამ სიმფონიურ ჟანრში ასეთი მასშტაბით პირველად მქონდა. კონცერტის მოწყობა ფინანსებთან იყო დაკავშირებული. ვახტანგ კახიძის ორკესტრმა საკმაოდ ბევრი მოითხოვა, მერიამ კი 25.000 ლარი გამომიყო და თანხებში ვერ ვეტეოდი. ქვეყანაში არსებული ვითარების გამო სპონსორების ძიება არც მიცდია. დავით საყვარელიძესთან მოლაპარაკება შედარებით შედეგიანი აღმოჩნდა, მაგრამ ჩემი ფული მაინც დავამატე. მუსიკოსებს საკმაოდ რთული მუსიკა ჰქონდათ შესასრულებელი და, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ კიდეც. ამის მიუხედავად, მუსიკოსებმა და არაჩვეულებრივმა დირიჟორმა, დავით მუქერიამ პროგრამას თავი კარგად გაართვეს.

საღამოს ესწრებოდნენ მუსიკათმცოდნეები, კომპოზიტორები, ფილოსოფოსები, პოლიტიკოსები და ინტელექტუალები. ძალიან ვღელავდი... საოცარი ტაში გრიალებდა. ისეთ სიტყვებს მეუბნებოდნენ, მერიდება კიდეც გამეორება.

— თქვენ საესტრადო მუსიკის კომპოზიტორად გიცნობდათ ხალხი. როგორ შეიფასებთ დღევანდელ ქართულ ესტრადას და მის მსმენელს?

— დღეს საზოგადოება ტელევიზორს არის მიჯაჭვული და რასაც სთავაზობენ, იმას უსმენს. დიდი განუკითხაობაა და ხალხს სისულელეებს ასმენინებენ. საესტრადო ჟანრში ძირითადად საშინელებები ხდებოდა. მომღერლებიდან ვინც საუკეთესო იყო, სწორედ ისინი არ ჩანდნენ ესტრადაზე.

— მაგალითად, ვის გულისხმობთ?

— ქვეყანას ეკა კვალიაშვილი ჰყავდეს და უნიჭოებს აჩხავლებდეს?! ვისაც ემღერება, იმღეროს! თუ, რა თქმა უნდა, არ რცხვენია! ბევრი პროფესიონალი მომღერალიც გვყავს, მაგრამ სადავეები ისეთმა ხალხმა ჩაიგდო ხელში, ვისაც მუსიკის სფეროში არაფერი შეუქმნია და სხვის დამსახურებას თვითონ მიიწერს. ახალგაზრდა შემსრულებლებიდან ბევრი მართლა ნიჭიერია, მაგრამ ხშირად ისინი ესემეს-ების უკმარისობის გამო იჩაგრებიან. მიმდინარე მუსიკალური კონკურსები უფრო მეტად შოუზეა გათვლილი, ვიდრე ბავშვების მომავალზე.

— საესტრადო ჟანრში აღარ იმუშავებთ?

— რასაკვირველია, ვიმუშავებ, მაგრამ ისე აღარ, როგორც ადრე. ადამიანმა უნდა იცოდეს, როდის გაჩერდეს.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი პოპ მუსიკა სათანადოდ არის დაფასებული?

— ჩემი სიმღერები „გჯეროდეს“, „თოლია“... ხალხმა თავიდანვე შეიყვარა და პოპულარულიც გავხდი. ჩემს სიმღერებს ქართულ შოუბიზნესში თითქმის ყველა წარმატებული და ნაკლებად ცნობილი მომღერლებიც მღერიან — ნანი ბრეგვაძე, თამარ გვერდწითელი, თემურ თათარაშვილი, ეკა კვალიაშვილი, მერაბ სეფაშვილი, თამარ გაჩეჩილაძე... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. დღეს უფრო მყარად უნდა ვიდგე ფეხზე და ჩემი ხელოვნება არამხოლოდ საქართველოში, უცხოეთშიც უნდა ჟღერდეს. იმედია, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ მაქვს.

— დღეს ესტრადის სცენაზე თქვენი ბევრი მოსწავლე დგას.

— დიახ. ქეთა თოფურია ჩემი გაზრდილია. მარიკო ებრალიძე, ელენე ფოჩხუა ჩემი სტუდენტები იყვნენ.

— კმაყოფილი ხართ მათი მუშაობით?

— რასაკვირველია, მეც კმაყოფილი ვარ და ისინიც თვლიან, რომ მათ ძალიან ბევრი მივეცი, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ეს ჩემთვის დაკარგული დროა... ადამიანი ერთხელ ცხოვრობ და ისე უნდა წახვიდე, რომ რაღაც ფასეული დატოვო. მოწაფეები ჩემი შემოსავლის წყაროც იყვნენ, მაგრამ რასაც ხელს ვკიდებ, ყველაფერს პროფესიონალურად ვეკიდები. ზოგჯერ ჩემთან ისეთი შემსრულებელი მოდის, რომელიც შეიძლება არც მომეწონოს, მაგრამ ჩემს კლასს არ დავაგდებ და შევეცდები, კარგი სიმღერა შევქმნა, რაც მთავარია, მის ვოკალურ შესაძლებლობებს მოვარგო.

— ქეთა თოფურია როგორი ბავშვი იყო?

— 9 წლის იყო, როცა ჩემთან მოიყვანეს. ჯერ კერძოდ დადიოდა და შემდეგ მეორე მუსიკალურ სასწავლებელში ჩემთან გაგრძელა სწავლა, სადაც ფაკულტეტის დეკანი გახლდით. უნიჭიერესი, მაგრამ ძალიან ზარმაცი ბავშვი იყო. მომთხოვნი ვიყავი და მასთან მუშაობა ძალიან მიმძიმდა, ზოგჯერ ჩხუბამდეც კი მივდიოდი და სასურველ შედეგს ასე თუ ვაღწევდი. ქეთა ძალიან ამაყი და თავმოყვარეა. მუსიკალურ სასწავლებელში რომ ჩაბარა, მაშინ უკვე პოპულარული იყო. გამოცდაზე საკმაოდ სერიოზული ხალხი იჯდა. მის სიმღერას საოცარი ტაში მოჰყვა და ძალიან მეამაყებოდა. საპასუხისმგებლო გამოსვლისთვის საოცარი მობილიზების უნარი აქვს. ჩვენ ერთმანეთს „ფეისბუქით“ ვეხმიანებით. ნატა (ქეთას დედა. ავტ.) საქართველოში რომ ჩამოდის, ღამის ჯერ ჩვენთან მოდის და მერე თავის სახლში. ქეთას ამბებს სულ დაწვრილებით მიყვება ხოლმე.

— ხელოვან ადამიანს ოჯახისგან დიდი ხელშეწყობა სჭირდება. გვერდით გამგები ადამიანები გიდგანან?

— ვთვლი, რომ ღმერთს ვუყვარვარ, რადგან არაჩვეულებრივი ცოლი შემხვდა. ჩემი მეუღლე, რუსულან კონჯარია, პროფესიით პროვიზორია, მაგრამ მუსიკალური განათლებაც აქვს. მისი ხელშეწყობა რომ არა, ვერაფერს გავაკეთებდი. მეორე მუსიკალური სასწავლებელი რომ დაიხურა, უმუშევარი დავრჩი და ძალიან განვიცდიდი. რაც ჩემმა მეუღლემ მაშინ მითხრა, ამას ყველა ქალი არ იტყვის — საჭმელი და სასმელი არ გაკლია, დაჯექი და იმუშავეო. მას და მის დას საკმაოდ მაღალი კლასის სასტუმრო აქვთ. 14 წლის მიხეილი გვყავს. კომაროვის სკოლაში სწავლობს, რამდენიმე ენას ფლობს და ძალიან მიხარია, როცა მეგობრები მეუბნებიან, მასთან ისე ვლაპარაკობთ, როგორც დიდთანო.

— თქვენი ნიჭი თუ გამოჰყყავ?

— ხატვის ნიჭი გამოჰყვა. ვიცი, რომ მუსიკის ნიჭიც აქვს. 2 წელი ჩემს მეგობართან დადიოდა მუსიკაზე. მეგობარმა მითხრა, ასეთი ნიჭიერი ბავშვი 20 წელია არ მყოლიაო, მაგრამ ჩემს ბიჭს არ უნდოდა და ამიტომ ცოტა ხანს თავი გავანებებინე. ბანაობის დროს მღერის ხოლმე, ისე ხმას ვერ ვაღებინებ. სადღაც მაინც მწყდება გული, თუმცა მჯერა, რომ მუსიკისკენ აუცილებლად მობრუნდება. იმდენი მაინც უნდა იცოდეს, რომ ჩემს შემოქმედებას უპატრონოს.

— ახლაც ხატავთ?

— მანგლისში ძალიან კარგი აგარაკი გვაქვს, საოცარი ბუნება და ღვთაებრივი ადგილია. ჩემი სახლის წინ უძველესი ტაძარია. ზაფხულში თან ვმუშაობ და თან ვხატავ. ისეთი შთაგონება მაქვს ხოლმე, რომ არ დავხატო, არც შემიძლია. შეიძლება ღამეც დავჯდე და ვხატო, მაგრამ ვიცი, როდის გავჩერდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი უდიდებულესობა მუსიკა გამიბრაზდება და აღარ გამანებივრებს.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

ზურა ხაჩიძე სცენაზე შვილთან ერთად ბრუნდება

„მაცადეთ, ბატონო, იქნება პოლიტიკაშიც გამიმართლოს!“

ზურა ხაჩიძე

ქომელერალი ზურა ხაჩიძე პოლიტიკურ ასპარეზზე ორჯერ გამოჩნდა და ორივეჯერ მარცხი განიცადა, თუმცა თავის არჩევანს შეცდომად მაინც არ მიიჩნევს. პოლიტიკის გამო მომღერალს თავისი საქმის მიტოვება მოუწია, აპროტესტებდა მმართველი პარტიის იდეოლოგიას, „ნომენკლატურულ“ შოუბიზნესს. საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი თვლის, რომ მისი სიმღერის დრო ისევ მოვიდა და იმედი აქვს, კონცერტებზე გამომსვლელების სიიდან მის გვარს აღარავინ ამოშლის.

25 დეკემბერს ზურა 34 წლის გახდა. ოჯახმა მას დიდი ზეიმი მოუწყო. ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ და ზურას მთელი ოჯახი ახალი წლის მობრძანებას ერთად შეეგება, რაც დიდიხანია აღარ გაუკეთებიათ. ჯგუფისთვის 2013 წელი საკმაოდ ნაყოფიერად დაიწყო, რეგიონებში არაერთი კონცერტი გამართეს. „ნინი და ქუჩის ბიჭები“ — ეს სიმღერა, რომელიც ალბათ ყველას ახსოვს, ამჯერად ზურამ შვილთან, 6 წლის ანასტასიასთან ერთად ჩაწერა. ბედნიერი მამა ირწმუნება, რომ ბავშვი მასზე უკეთ მღერის.

— ზურა, პოლიტიკურ ასპარეზზე მარცხი უკვე მეორედ განიცადეთ. არ ფიქრობთ, რომ პოლიტიკაში წასვლა შეცდომა იყო?

— შეცდომა — არა, წარუმატებელი ნაბიჯი იყო. არც უზნეობა ჩამიდენია. ყოველ მარცხზე ვიზრდები. ცხოვრება ასეთია. ისე, სიმღერა რომ დავიწყეთ, მაშინაც ბევრს ეგონა, არასწორი არჩევანი იყო. დღეს პირველ სამ სიმღერას რომ ვუსმენ, გული მერევა. მაგრამ, აბა, ნახეთ, ბოლო სიმღერები რა ხარისხისაა, შედარებაც კი არ შეიძლება. ეს არის პროგრესი. მაცადეთ, ბატონო, იქნება პოლიტიკაშიც გამიმართლოს... (იცინის).

— საერთოდ, რამ გადაგაწყვეტინათ პოლიტიკაში გარეკა?

— ჯერ კიდევ 2008 წელს ბორჯომში გაერთიანებული ოპოზიციის სახელით მაჟორიტარ დეპუტადად ვიყრიდი კენჭს, ამ ბოლო არჩევნებზე კი — ქრისტიან-დემოკრატების სახელით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. თქვენ იცით, რომ 2007 წლიდან ვაპროტესტებდი წინა მთავრობის რეჟიმს, ფაქტობრივად, არც ერთი მიტინგი გამომიტოვებია. ვხედავდი, რომ ქვეყანაში იყო შერჩევითი სამართალი, ვხედავდი, როგორ გვეცლებოდა ხელიდან ახალგაზრდა თაობა. ეს კი შემაძრწუნებელი იყო. პოლიტიკა არასოდეს მაინტერესებდა, უბრალოდ მინდოდა, ამ ქვეყანაში სამართალი ყოფილიყო. რაც სცენაზე გამოვჩნდი, მას მერე ყოველთვის იყო შემოთავაზება სხვადასხვა პოლიტიკური გუნდიდან, მაგრამ ამის სურვილი არასოდეს გამომიხატავს. თუმცა იმ პოლიტიკურმა ფონმა მიმიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ ჩემი ქვეყანა დამეცვა და პოლიტიკურ ფერხულში ჩავბმულიყავი.

— თქვენი ბოლო არჩევანი როგორ მიიღო საზოგადოებამ?

— შეფასებები არაერთგვაროვანი იყო. ზოგმა მისაყვედურა, რატომ წახვედი ქრისტიან-დემოკრატებთანო, ზოგმა — პირიქით, მომიწონა. როცა რომელიმე პოლიტიკური გუნდის წევრი ხდები, უკვე მხარე ხარ და, ბუნებრივია, შენი არჩევანი ყველას არ მოეწონება.

— რატომ არ დადექით „ქართული ოცნების“ გვერდით? როგორც ვიცით, მათ იდეოლოგიას ემხრობოდით.

— მათი მხრიდან უნდა ყოფილიყო ინტერესი. იმ გარდამტეხ მომენტში, როცა ასეთი პოლიტიკური ფონი იყო, თავს პასიურობის უფლება ვერ მივეცი და ჩემი პოზიცია დავაფიქსირე. ავირჩიე ქრისტიან-დემოკრატები, რომლებსაც ამ ეტაპზე მორატორიუმიაქვთ გამოცხადებული. ახალ ხელისუფლებას უნდა აცადონ, დააკვირდნენ. თუმცა ქრისტიან-დემოკრატების გეგმებზე ცოტა გამიჭირდება საუბარი, რადგან არ ვიცი, რას გეგმავენ.

— თქვენმა ყოფილმა თანამებრძოლმა ინგა გრიგოლიამ, შეიძლება ითქვას, ბოლო წუთს მოსსნა თავისი კანდიდატურა და გააკეთა განცხადება, რომ პოლიტიკიდან წაიყიდა. თქვენც ხომ არ აპირებთ, პოლიტიკას დაემშვიდობოთ?

— საბოლოოდ მივხვდი, რომ პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის და სიმღერას უნდა დავუბრუნდე. რაც შეეხება ინგას, მიჭირს ადამიანების გადაწყვეტილებებზე ლაპარაკი. შეიძლება საკუთარ თავზე ვთქვა, რომ რაღაც სიტუაციაში შეცდომა დავუშვი, მაგრამ სხვაზე როგორ ვთქვა, მისი მხრიდან ეს შეცდომა იყო-მეთქი?! თუმცა ინგას რომ თავისი კანდიდატურა არ მოეხსნა, დარწმუნებული ვარ, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია 6 პროცენტს აიღებდა, ბარიერს გადალახავდა და პარლამენტში შევიდოდა.

— სცენაზე თქვენს დაბრუნებას ალბათ მოჰყვება კრიტიკა, თუ სიმღერა უნდოდა, ემღერა, პოლიტიკაში რას მიდიოდათ.

— ამას შეჩვეული ვარ. როცა ხათუნა (ჟორდანია. ავტ.) მოვიყვანე ცოლად, ჩვენს ურთიერთობაზე დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ. პოლიტიკურ ასპარეზზე რომ გამოვჩნდი, არანაკლები კრიტიკის ქარცეცხლში მოვყევი. ზოგიერთისთვის პირდაპირ შოკისმომგვრელი იყო ქრისტიან-დემოკრატებში ჩემი გამოჩენა. ასე რომ, როცა რაღაცას აკეთებ, კრიტიკისგან თავის დაძვრენა გარდაუვალია, ამაში დავრწმუნდი.

— ხელისუფლების ორგანიზებულ კონცერტებში მიიღებთ მონაწილეობას?

— ჯერ არ ვიცი, ამ ახალ წელს ქუჩაში არანაირი კონცერტი არ ჩატარებულა... ვაცადოთ, არ იქნება სწორი, ახლავე დავეტაკოთ და რაღაცეები მოვითხოვოთ. უამრავი სხვა პრობლემაა, რაც უნდა მოგვარდეს და კონცერტებზე შემდეგ ვიმსჯელოთ.

— ყოველ შემთხვევაში, შაჯ სიაში ალბათ აღარ მოხვდებით.

— ყველა კონცერტზე გვბლოკავდნენ და არამარტო ჩვენს ჯგუფს, ნინი ქარსელაძესაც. ჩვენს სახელებსა და გვარებზე წითელი ხაზი იყო გადასმული, არსად უნდა გავჭაჭანებულიყავით. ხელოვანებისთვის ნამდვილად რთული წლები იყო. მინდოდა, მემღერა, მაგრამ საქართველოში ამის დრო არ იყო. ნათქვამიც მქონდა, სანამ ჩვენს ქვეყანაში მთავრობა არ შეიცვლება, სიმღერას არ დავუბრუნდები-მეთქი. შიგადაშიგ ახალ სიმღერებს ვწერდი, უბრალოდ ეს საქმე მენატრებოდა.

— როგორ ფიქრობთ, ახალ თაობას მოსწონს თქვენი ჯგუფის რეპერტუარი? იქნებით ისეთიც წარმატებული, როგორიც წლების წინ?

— რა გგონიათ, თინეიჯერები რასაც უსმენენ, ჩვენ იმავე ჟანრს არ ვუსმენთ? არ ვიცით, მათ რა მოსწონთ? ახალი თაობის მოხიბლვას ძალიან მარტივად შევძლებთ. თუ ქვეყანაში ყველაფერი დალაგდება, მუსიკალური არხები გაიხსნება, აქტიურად გამოვჩნდებით. თუ იგივე ვაკუუმი გაგრძელდება, რა თქმა უნდა, უძლურები ვიქნებით.

> „ჯიდიეს“-ზე ჰასაც ვუყურებ, იქ მომღერალ ბერას ბეჰას გაჰდა ასავინ ჩანს. ამ ეტაპზე წელიწადში ერთხელ მხოლოდ მაია ასათიანის „პროფილში“ ვმღერით.

— ხედავთ იმის ნიშნებს, რომ ეს ვაკუუმი შესანარჩუნდეს?

— არა მგონია, ასე იყოს, თუმცა „ჯიდიეს“-ზე რასაც ვუყურებ, იქ მომღერალ ბერას გარდა არავინ ჩანს. ამ ეტაპზე წელიწადში ერთხელ მხოლოდ მაია ასათიანის „პროფილში“ ვმღერით. მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ეს არ ჰყოფნის მუსიკის და კლიპის გაპიარებას.

„ქუჩის ბიჭებმა“ შარშან ორი სიმღერა ჩავწერეთ — „დაბრუნება“ და „გასულები ვართ სხვაგან“. კლიპიც გადავიღეთ. ახალი სიმღერებიც გვაქვს. ჩემს შვილთან, ანასტასიასთან, დუეტი ჩავწერე. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ესტრადას ეშველება. არავინ გაბედავს იმას, რომ ე.წ. წინა ხელისუფლების მომღერლები დაიჩრდილონ. სამთავრობო კონცერტების ორგანიზატორებს ყოველთვის მივცემ შენიშვნას, თუ მომღერალს მხოლოდ იმიტომ დაბლოკავენ, რომ ადრე მიშა სააკაშვილს უჭერდა მხარს. ყველას აქვს იმის უფლება, ვიღაცას მოსწონდეს ბიძინა ივანიშვილი და ვიღაცას — მიშა სააკაშვილი. თავისუფალი აზრი არ უნდა შეიზღუდოს.

— 2013 წლისგან რას ელოდებით?

— ყველაფერ კარგს. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი კარგი მოძღვარი, ოჯახი და მეგობრები მყავს. მადლობა ჩემს ოჯახს, რომელიც მყავს ბორჯომში და მადლობა ხათუნას, მის ძმას, მერაბს. მყავს ანგელოზივით ორი გოგო — ანასტასია და ნინი. ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა უნდოდეს კაცს?! ვინც მიცნობს, მათ იციან, რომ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის არასოდეს მიცხოვრია. ვცხოვრობ ადამიანების კარგად ყოფნისთვის. ყველას გილოცავთ ახალ წელს! უფალი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

✓ ლანა კინაძე

Cyan Magenta Yellow Black



„ვაითუ, მართლა გეი მიყვარს?“

მიყვარს ადამიანი, რომელიც, არ ვიცი, სინამდვილეში ვინ არის და როგორია. ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო. ჩემები მეუბნებიან, რომ ნამდვილი გეივით იქცევა. ეს გულს მტკენს, მათ ვეწინააღმდეგები კიდეც, მაგრამ ვაითუ სიმართლეა და მართლა გეი მიყვარს? ამაზე ფიქრით ღამის თავი გამისკდეს, არადა ის წრფელი გულით მიყვარს.

ჩემზე ხუთი წლით უფროსია. მეგობარმა გამაცნო. პირველივე ნახვისას მომეწონა, ყველასგან გამოირჩევა — ჩაცმულობით, საქციელით... უზომოდ ყურადღებიანია, შეგიძლია, რომ მისი იმედი ყველაფერში გქონდეს. საოცრად გულჩვილია, თუ რამე გაწუხებს, გვერდიდან არ მოგშორდება და საერთოდ ყველას მიმართ ასეთია. ჩემები კი მეუბნებიან, რომ ეს გეის თვისებებია. მათ ვუსვამ კითხვას: თუ ასეთია, მაშინ გოგო რატომ უყვარს ან ცოლად რატომ ვუნდივარ? ამის პასუხიც აქვთ, რომ მას ფასადად ვჭირდები.

ის სხვა ბიჭებივით არ ყვირის, მუშტებს არ იქნევს და არც ჩაჩაჩული შარვლით დადის. ძალიან აკურატულია, ყველას ნაზად ექცევა და არა — უხეშად. არ შეიძლება, არ გიყვარდეს და მეც ის უზომოდ მიყვარს. იმდენს მიჩიჩინებენ, რომ ზოგჯერ ეჭვი მეპარება მასში, ვფიქრობ, იქნებ მართლაც შესანიღბად მიყენებს, მაგრამ ისეთი ალალი თვალები აქვს... მას რომ ვხედავ, მერე მრცხვენია საკუთარი ფიქრების.

ერთხელ გაღიზიანებულმა ვუთხარი, რომ წითელი შარვლით არ უნდა ევლო. მას ძალიან გაუკვირდა, მერე კი მითხრა, მე ასეთი ვარ და ასეთი უნდა მიმიღოო. ვკითხე, რას გულისხმობდა, როგორი იყო ის. აღარაფერი უთქვამს.

ახლახან მითხრა, რომ უნდა, ცოლად მომიყვანოს. მართალია, ჯერ სკოლა არ მაქვს დამთავრებული, მაგრამ მას უნდა, რომ ოჯახი შევქმნათ. მე კი ჩემს მშობლებს ამის თქმას ვერასოდეს გავუბედავ. არადა ზოგჯერ ვფიქრობ, დავთანხმდე და ცოლად გავყვე, რადგან შეიძლება ერთმანეთს დაგვაშორონ. ბოლოს და ბოლოს, მართლა ისეთს მივიღებ, როგორიც არის.

მკითხველი, 17 წლის

«მეშინია, შეყვარებულმა ევროპელ გოგოებში არ გამცვალოს»

ჩემი შეყვარებული მშობლებს უცხოეთში მიჰყავთ. მეუბნება, რომ ჩემ გარდა სხვა გოგოებს არ შეხედავს, მაგრამ ამაში დარწმუნებული არ ვარ. ევროპელი გოგოები ზედმეტად თავისუფლები არიან, მათ პრობლემა არ აქვთ, თუნდაც ბიჭს ლოგინში ჩაუგორდნენ. მე კი კოცნის უფლებაც არასოდეს მიმიცია მისთვის. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ სხვაში გამცვლის და სამუდამოდ დამივიწყებს. ამის გამო სულ ვტირი. მამშვიდებს, ყოველთვის შენ მეყვარებიო, მაგრამ მაინც არ მჯერა, ძალიან მეშინია.

ერთი წელია ერთმანეთს ვხვდებით. ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია. შეყვარებულები ხშირად ჩხუბობენ, ჩვენ კი ერთხელაც არ მოგვსვლია კამათი. ერთმანეთს ყოველთვის ვენდობოდით. დაქალებიც მეუბნებიან, ჯობია, შეეგუო იმას, რომ დაკარგეო. სამი წელი აქ ვერ ჩამოვა, ეს კი იმხელა დროა. „სკაიპით“ ყოველთვის დაველაპარაკები, მაგრამ ეჭვი მეპარება, ეს თავად მოინდომოს. მის გარეშე არც სწავლა შემიძლია და არც ჩემს ცხოვრებას ექნება აზრი.

მკითხველი, 16 წლის

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. **შედით sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

„ოჯახში ვერავინ მიგებს“

ვერავინ მიგებს, ყველას გულქვა გოგო ვგონივარ, სინამდვილეში კი სულ სხვანაირი ვარ. უბრალოდ არ ვიცი, ჩემი ემოციები როგორ გამოვხატო. რამდენჯერაც ვცადე რამის თქმა, ვერ გამიგეს. მეგობრები მყავდნენ, მაგრამ შემომეცალნენ, რადგან ჩემთან საერთოს ვერ პოულობენ. არც მე მესმის მათი.

შემიძლია მთელი დღე კომპიუტერთან გავატარო, მაგრამ არავის არაფერი მივწერო. იქ ჩემთვის საინტერესო საიტებს ვეძებ. ვუსმენ მუსიკას, რომელიც ჩემი ოჯახის წევრებს აღიზიანებთ. მიყვარს ბნელ ოთახში ჯდომა, რაც დედაჩემს არ მოსწონს და ყვირილს იწყებს. ჩემს სამყაროში იჭრებიან. იმის უფლება მაინც არ უნდა მქონდეს, რომ ფარდა ჩამოვაფარო? თუ სინათლე მაღიზიანებს, არ შეიძლება, რომ ოთახი ჩავაბნელო? დედა კი მეუბნება, რომ ასე არ შეიძლება და ცუდად ვიქცევი.

ამას წინათ ჩემი დის დაბადების დღე იყო. დედამ მთხოვა, მივხმარებოდი, მაგრამ ბებოსთან წავედი. სტუმრები რომ მოვიდნენ, დამირეკა, ახლავე მოდი სახლშიო, მიბრძანა. ბებომ მთხოვა, ნუ გააბრაზებ, წადიო. იქ ჩემი დის დაქალები და ძმაკაცები დამხვდნენ, თუმცა არა მგონია, რომელიმეს მეგობრობა შეეძლოს. საშინელ მუსიკაზე საშინლად ცეკვავდნენ, ხელოვნურად იცინოდნენ. ერთი შეყვარებულთან ერთად იყო მოსული და აშკარად ეტყობოდა, რომ არ უყვარდა. ალბათ საჩვენებლად და სატრაბახოდ უნდოდა, რომ ვითომ რა მაგარი გოგოა.

მე ასეთი ტიპები ყოველთვის მაღიზიანებს. ასეთებს არ ვეკონტაქტები, ჩემს საქციელს კი გულცივობით ხსნიან. ამბობენ, რომ არავინ და არაფერი მაინტერესებს, რაც სიმართლე არ არის. ვოცნებობ ადგილზე, სადაც ჩემთვის ვიქნები და არავინ შემაწუხებს. ბევრს ხომ არაფერს ვითხოვ? მინდა, მარტო დამტოვონ, ესენი კი თავს არ მანებებენ. საშინელებაა, როცა ვერავინ გიგებს!

მკითხველი, 15 წლის

„ჩემსა და ეოფილ შეყვარებულს შორის კოჰაბიტაცია არ შედგა“

რა კარგი სიტყვაა ეს კოჰაბიტაცია. როგორ მომეწონა! არადა სანამ არჩევნები არ ჩატარდა, ამ სიტყვის გაგებაში არ ვიყავი, მერე რა, რომ 18 წლის გოგო ვარ. რაც შუშებიან დარბაზში „განთავსდნენ“ ჩვენი დეპუტატები, ყურში სულ მხვდებოდა ეს კოჰაბიტაცია, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი და ამიტომ ჩემმა შეყვარებულმაც რომ ეს სიტყვა ახსენა, ყურები ვცქვიტე. მოვიდა და პირდაპირ მითხრა, ჩვენ შორის საჭიროა კოჰაბიტაციაო.

მეგონა, ღადაობდა, მაგრამ არა! ისევ გამიმეორა. ისევ ვერ გავიგე. მერე ამიხსნა, რომ ეს სიტყვა ნიშნავს თანაცხოვრებას. მაინც ვერ მივხვდი. ბოლოს ქართულ-კაცურად ამიხსნა, რომ სხვა გოგო შეუყვარდა და ჩემთან კი მეგობრობა სურდა. ჩემდა ბედად, იუმორი მაქვს ძალიან მაგარი. ჰოდა, ჩემი ექსშეყვარებულის ლოღლოღზე ბევრი ვიხარხარე.

ალბათ გაინტერესებთ, ჩვენ შორის შედგა თუ არა ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია. არა! ჩემი შეყვარებული „კოჰაბიტირებული“ გავუშვი თავის გზაზე. აწი სულ არ მაინტერესებს, სად და როგორ იქნება.

ერთმა დაქალმა მითხრა, არაცივილურად მოქცეულხარო. ახლა კიდევ ეს „ცივილურობა!“. რა, ოდესღაც ჩემთვის საყვარელი ბიჭის სიყვარულის ისტორიები მესმინა, როგორ უყვარს ის ვიღაც?! არავითარ შემთხვევაში! ასე რომ, შორს ჩემგან თქვენი კოჰაბიტაციაც და ცივილიზაციაც! გაუმარჯოს გოჭ-საცივ-ღომ-ღრეობიან ქართულ ახალ წელს! „სარკე“, გაგიმარჯოთ!

თქვენი ერთგული მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„დაქალს თაყვანისმცემლების სიმრავლით თავი მოაქვს“

ჩემი დაქალი კარგი გოგო კი არის, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, სულ თავის თაყვანისმცემლებზე ტრაბახობს და მათი სიმრავლით თავი მოაქვს. ყველას თვალში სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ ამას პირში არავინ ეუბნება. მე კი სულ ვაფრთხილებ, რომ ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვერ შევაგნებინე.

ის მართლა ბევრ ბიჭს უყვარს, რადგან ძალიან ლამაზია. ყველას ელაპარაკება და მეგობრობას სთავაზობს. ისინიც ამაზე თანახმა არიან და სულ მის გარშემო ტრიალებენ, აღარ იციან, რითი ასიამოვნონ.

ჩემი დაქალის საქციელი არ მომწონს, ვეუბნები, რომ მათ გრძნობებზე თამაში არ შეიძლება, მაგრამ მაინც არ მიჯერებს. ერთმა გოგომ უთხრა, თაყვანისმცემლების კოლექციას აგროვებ და ეს სიამოვნებას განიჭებსო. ამის გამო ძალიან გაუბრაზდა, თქვა, შურიანია, თვითონ რომ არავის უყვარს, ასეთი რამ ამიტომ მითხრაო.

სინამდვილეში ის გოგო მართალი იყო. მეც სულ ვცდილობ, თვალები ავუხილო და სიმართლე დავანახვო, მაგრამ იმისიც მეშინია, ჩემზეც არ თქვას, შურიანიო. დედა მიშლის მასთან სიარულს, მაგრამ პირველი კლასიდან ერთად ვართ და როგორ ვუღალატო? იმედია, თვითონაც მიხვდება, რომ ცუდად იქცევა და ბიჭების გრძნობებზე თამაშს თავს დაანებებს.

მკითხველი, 15 წლის

„მადლობა თქვას, რომ მიყვარს“

ყველა მეუბნება, რომ შეყვარებული არ შემეფერება და მას ყველანაირად ვჯობივარ. ჩემი შეყვარებულის ნათესავები კი თურმე პირიქით ფიქრობენ, ამბობენ, რომ მე ვარ მისთვის შეუფერებელი და თავი უნდა დამანებოს. თავიდან ამას არ ვიჯერებდი, მაგრამ მერე ბებიამისი შემხვდა ავტობუსში და მითხრა, შვილო, თავი შეიკავე ასეთი აქტიურობისგან, ჯერ პატარა ბიჭია, ნუ გადარიეო. ხალხში ხომ ვერ დავუწყებდი ყვირილს, ამიტომ გავჩუმდი და ცრემლებიც შევიკავე. არადა მინდოდა, პირში მიმეხალა, რომ მისმა შვილიშვილმა მადლობა უნდა მითხრას, რომ მიყვარს.

გეფიცებით, მე არ მიაქტიურია. თვეების განმავლობაში დამდევდა, რომ ჩემი ყურადღება მიექცია. ჩემ გამო რას არ აკეთებდა, მერე კი მართლა შემიყვარდა. ის კარგი ადამიანია, დარწმუნებული ვარ, თვითონ ასე არ ფიქრობს, მაგრამ იმდენი ძალა ხომ უნდა ჰქონდეს, რომ მისმა ახლობლებმა ასე არ იფიქრონ. ამის გამო ვიჩხუბეთ კიდეც. მერე ის წავიდა და თავისი ოჯახის წევრებს ეჩხუბა. ამან კიდევ უფრო გაართულა ჩვენი მდგომარეობა.

არ ვიცი, ღირდა თუ არა ამ ადამიანთან ურთიერთობა ან ღირს თუ არა გაგრძელება. ჩემი დაქალი მეუბნება, რომ თავი უნდა დავანებო და ამით მის ოჯახს ჭკუა ვასწავლო, მაგრამ იმდენად მიყვარს, მისი წყენინება არ მინდა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

მკითხველი, 16 წლის

„მამას გოჭის და ინდაურის ფული აღმოაჩნდა, ჩემი ფეხსაცმელების — არა“

დაზამთრების შემდეგ მშობლებს გამუდმებით ვეხვეწები, რომ ფეხსაცმელების საყიდელი ფული მომცენ, მაგრამ ამას ვერ მივაღწიე. მამას ვერ გაუგია, ზაფხულის ფეხსაცმელი ზამთარში რატომ უნდა ვიყიდო. ვუხსნი, რომ ახლა იაფია. მპასუხობს, ეგ არაფერი, ზაფხულში რასაც შესწვდები, ის იყიდეო. კომპიუტერს რომ ვრთავ, პირველ რიგში, იმ საიტზე შევდივარ და ვათვალიერებ, ისევ დევს თუ არა, ისე მინდა, გამოვიწერო, მაგრამ...

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად მამა აქოთქოთდა, აბა, ეს ვიყიდოთ, აბა, ის არ გამოგვრჩესო. ინდაურიც იყიდა, გოჭიც და კიდევ ათასი რამ, ამისთვის ფული აღმოაჩნდა, ჩემი ფეხსაცმელებისთვის კი — არა. საშინლად ვბრაზობ. ერთი ინდაურის ფასი ღირდა, მეტი კი არა. გოჭის ფული რომ მოეცა, ისეთ მაგარ ფეხსაცმელებს ვიყიდდი... მშობლებს რომ ჰკითხო, ეს ყველაფერი ჩვენ გამო გააკეთეს, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ გოჭ-ინდაურს ფეხსაცმელები მერჩივნა.

მკითხველი, 16 წლის

„ჩემი დაქალების გათხოვების შემდეგ მშობლები მკაცრად მაკონტროლებენ“

სკოლაში ოთხი საუკეთესო დაქალი ვიყავით, აქედან ორი გათხოვდა, ერთს კი შეყვარებული ჰყავს და დღე დღეზე გათხოვდება. პირველი დაქალი რომ გამითხოვდა, მის ქორწილშიც ვიყავი და ძალიან კარგი დრო ვატარეთ. იქ ჩვენმა ერთმა დაქალმა ბიჭი გაიცნო, სიძის ნათესავი. მთელი საღამო ერთად ცეკვაში გაატარეს. მათი ურთიერთობა მერეც გაგრძელდა და საბოლოოდ ქორწინებით დასრულდა. ჩემი მეორე დაქალიც გაიპარა.

ამის შემდეგ ჩვენი სადაქალო სალაქლაქო გახდა, ჩვენზე რას არ ლაპარაკობდნენ. მასწავლებლები ირონიით გვეუბნებოდნენ, ახლა რიგში რომელი ხართო. მეორე დაქალმაც გადაიხადა ქორწილი და როგორც მოლაპარაკებულები ვიყავით, მეჯვარე მე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ჩემმა მშობლებმა ხელისმომკიდედ კი არა, საერთოდ ქორწილშიც არ გამიშვეს. მითხრეს, შეიძლება იქ შენც ვინმე აგეკიდოს და შეცდომა დაუშვაო.

მშობლები გოგოს ადრე გათხოვებას შეცდომად თვლიან და შეიძლება მართლებიც არიან. ჩემი დაქალები დიდად ბედნიერები მართლა არ აღმოჩნდნენ. მას, ვისაც შეყვარებული ჰყავს და გათხოვებას აპირებს, ეუბნებიან, რომ ეს არ ჩაიდინოს, მაგრამ ის ისეა შეყვარებული, არაფრის გაგონება არ უნდა.

ვთქვათ, ჩემმა დაქალებმა დაუშვეს შეცდომა, მაგრამ მე რა დავაშავე? მათ გამო მე რატომ უნდა დავისაჯო? მშობლები განსაკუთრებით მაკონტროლებენ. მამა სკოლაშიც კი მომყვება ხოლმე. საათებს კი არა, წუთებსაც მითვლიან. ფაქტობრივად სახლში გამომკეტეს. მეზობელთან რომ გავდივარ, დედა იქაც კი მამოწმებს, ზოგჯერ თვითონაც მომყვება. ვეუბნები, რომ არავინ მიყვარს, მაგრამ მაინც ვერ ვაჯერებ. არ ვიცი, მშობლები როგორ დავარწმუნო, რომ გათხოვებაზე არ ვფიქრობ.

მკითხველი, 17 წლის

„ბიჭმა მითხრა, შენ ვერასოდეს შეგიყვარებო“

ასე დამცირებულად თავი არასოდეს მიგრძვნია. მირჩევნია, ვინმემ მომკლას და ასეთი სირცხვილით აღარ ვიცხოვრო. ძალიან შევცდი, ბიჭს რომ სიყვარული ავუხსენი. ასეთი არ ვარ და ახლაც არ ვიცი, ეს როგორ გავბედე, მაგრამ კლასელი შემიჩნდა. სანამ ესემესი არ მიმაწერინა, არ მომასვენა. მან იცოდა, რომ სიგიჟემდე მიყვარდა, ბევრჯერ მასთანაც მიტირია.

ის ბიჭი ყურადღებას არ მაქცევდა, მაგრამ მაინც იმედი მქონდა, რომ ოდესმე ჩემ მიმართ ინტერესი გაუჩნდებოდა. ერთ დღეს გამბედაობა მოვიკრიბე და ესემესი გავუგზავნე. ვუთხარი, რომ თქმას ვერ ვუბედავდი, მაგრამ ძალიან მიყვარდა. პასუხი მომწერა, ძალიან ვაფასებ შენს გრძნობას, მაგრამ ვერ შეგიყვარებ, უკვე სხვა მიყვარსო. ვერავინ გამიგებს, იმ წუთში რა ვიგრძენი... სიმართლე რომ მცოდნოდა, პრინციპში, არც არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ წერილს ნამდვილად არ გავუგზავნიდი.

უფრო უარესი ის იყო, როცა დამშვიდება დამიწყო. ესემეს-ები მომწერა, ძალიან მაგარი გოგო ხარ, რა ცუდია, რომ შენი შეყვარება არ შემიძლიაო. ამ შეცოდებამ სულ გამანადგურა, თითქოს ნაწილებად დამშალა. მზერაც ისეთი გაუხდა, რომ ვითომ მიბრალებს.

ისე, ამ ბოლო დღეებში უცნაური რაღაც ვიგრძენი, თითქოს არც ისეთი კარგია, როგორც ადრე მეჩვენებოდა. მისი მზერა კი საერთოდ არ მომწონს. იქნებ გადამიყვარდეს კიდეც.

მკითხველი, 15 წლის

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

■ ლუბა ელიაშვილი

ლუბა ელიაშვილმა ცომეულის მორჯულების საიდუმლო იცის

„ქმარი თავის მომზადებულ ჩაიზე მპატიჟებს ხოლმე“

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ჟურნალისტი ლუბა ელიაშვილი ყოველ ახალ წელს ცომმიკრული წინსაფრით ხვდება, ეს მისთვის ჩვეული მდგომარეობაა. წინასაახალწლო დღეებში ყოველთვის დატვირთულია, სახლში გვიან ბრუნდება და სადღესასწაულო სამზადისში ღამეების თენება უწევს. ტრადიციულთან ერთად ოჯახის ყველა წევრისთვის ამზადებს მათთვის გამორჩეულად საყვარელ კერძებს, მაგალითად, ქმრისთვის (ცნობილი ადვოკატი, ამჟამად პარლამენტის დეპუტატი, შალვა შავგულიძე) — მუჟუჟს, ქალიშვილ ელენესთვის — ვაშლის ნამცხვარს... მათ სახლში ხშირად ეწყობა მეგობრული წვეულებები სხვადასხვა სახალისო მიზეზით. ხანდახან კი ცოლ-ქმარი ჭიქა ჩაისთან განმარტოვდებიან და საუბრობენ. თუმცა ახლა ეს სასიამოვნო მომენტები ლუბას უკვე სანატრელი აქვს, რადგან მისი მეუღლე დროის ძირითად ნაწილს ქუთაისში, პარლამენტში ატარებს.

— ქალბატონო ლუბა, გვითხარით დრო საახალწლო სამზადისისთვის, კერძების გასაკეთებლად?

— საერთოდ, წესად მაქვს, ახალ წელს სახლში ჩემი გაკეთებული კერძი აუცილებლად უნდა იყოს. ეს კი ძირითადად ღამეების თენების ხარჯზე ხდება. ყოფილა შემთხვევა, 11 საათზე დამიმთავრებია ეთერი და სახლში მისულს საახალწლო სამზადისი მაინც დამიწყია. ახალ წელს ყოველთვის ძალიან დაღლილი ვხვდები და სასწრაფოდ ვიძინებ. 1 იანვარს სახლში უამრავი სტუმარი მოდის და არც წელს ყოფილა გამონაკლისი. იციან, რომ ამ დღეს სტუმრების გამასპინძლება ძალიან მიყვარს.

— თქვენს საახალწლო სუფრას რა ამშვენებს ხოლმე?

— ქართულ ტრადიციულ სუფრებს ვშლით, მაგრამ, როგორც წესი, რაღაც ახალი, „მოულოდნელი“ კერძითაც ვუმასპინძლდები სტუმრებს. სხვათა შორის, შეიძ-

„ახ ვენევი, შემიძლია ბევრი ვიმუშაო და ცოტა დავიძინო, ახლა ჩაცმაზე მაქვს გახთელება, მაგრამ, ხაშილ ზომიერებას ვეხ ვიცავ და ეს მეტყობა ჯიდეც, გემრიელი საჭმელების ჭამაა“.

ლება ძალიან სასაცილოა, მაგრამ ყოველთვის ვაქცევ ყურადღებას, რისი წელი მოდის და როგორ უნდა შევხვდე.

— 2013 წელს, ანუ „ჩინურად“ გველის წელს, როგორ შეხვდით?

— ჩვენს სუფრაზე თევზეული ჭარბობდა. ოჯახში აქტუალური ფერები იყო ლურჯი, ნაცრისფერი, შავი, მაგრამ მე, როგორ წესი, ცომმიკრული წინსაფრით შევხვდი ახალ წელს.

— საერთოდ თქვენს ოჯახში ტრადიციული კერძები უფრო უყვართ თუ ექსპერიმენტული?

— ტრადიციულსაც ვაკეთებ და ახალსაც. დედაჩემი იმერელია და ხომ იცით, იმერლებს განსაკუთრებული გემოვნება აქვთ. შესანიშნავი კულინარია. ბაზრიდან რომ ვბრუნდები, პროდუქტებს ათვალიერებს და ეძებს, რა მომიწონოს და რა — არა. სხვათა შორის, ერთ გადახვევას გავაკეთებ და გეტყვით, ხორცის გამყიდველები მეუბნებიან, რომ კარგი არჩევა ვიცი. ყველის გამოცნობაც არ მეშლება. ერთხელ გამყიდველი მატყუებდა, სხვა ყველი გამასინჯა და სხვას მატანდა, მაგრამ არ გამოუვიდა...

დედა 85 წლის არის, მაგრამ საცივს ყოველთვის ის ამზადებს, დანარჩენები ვეხმარებით. ჩემს მეუღლეს მუჟუჟი უყვარს, ოღონდ ჩემი გაკეთებული, სხვის ნახელავს ვერ ჭამს. ხომ იცით, როგორი გასუფთავება უნდა და რთული პროცესია. საკმაოდ გემრიელი გამომდის და ვიზუალურადაც ძალიან ლამაზია. ხაჭაპურსაც ვაცხობ და ხორცის ღვეზელებსაც. ჩემს ქალიშვილს ძალიან უყვარს ვაშლის ნამცხვარი, რომელიც მეგობრის დედამ მასწავლა. ნახევარ ანტონოვკას რომელიმე ნამცხვრის ცომში ჩავდებთ, ჩავამატებთ შაქარს, ნიგოზს, ცოტა დარიჩინს და გამოვაცხობთ. ძალიან გემრიელია, ამას ჩემი წუნია ქალიშვილიც კი

„ჰეის ნაჭეს ამოვჭი, შიგნით ჯვეცხს ვახლი და ვწვავ. ეს ფიანგული საჭმელია“.

აღიარებს. ძალიან ცოტა რამეს ჭამს და ამბობს, რომ ეს ნამცხვარი ყველაზე გემრიელია, რაც კი ცხოვრებაში უჭამია.

— როგორც ჩანს, ცხობის საიდუმლოს ფლობთ, რადგან ეს საქმე ბევრ დიასახლისს არ გამოსდის.

— კი, ნამდვილად მაქვს ერთი პატარა საიდუმლო. ყოველთვის, როდესაც ნამცხვარს თუ ღვეზელებს ჰაერღუმელში ვდგამ, ვეუბნები, აბა, შენ იცი, კარგად უნდა გამოცხვე-მეთქი და „მიჯერებს“. ამ ყველაფერთან ძალიან ხალისიანი დამოკიდებულება მაქვს და, როგორც წესი, ამართლებს. ისე, ცხობა ჩემს დას უკეთესად გამოსდის, ამიტომ ის ზრუნავს ამაზე. ცხობას დიდი ნებისყოფა სჭირდება, კარგად უნდა ათქვიფო, ყურადღება უნდა მიაქციო, ალი ზუსტად დააყენო და ა.შ. მე კი ამის დრო არ მაქვს.

— თქვენი დატვირთული სამუშაოს გადამკიდე, ალბათ სწრაფად და მარტივად მოსამზადებელი კერძებიც გეცოდინებათ.

— რასაკვირველია, ბევრი ასეთი კერძი ვიცი. სწრაფად და ხარისხიანად მომზადებაში სამზარეულოს თანამედროვე ნივთებიც მეხმარება. როცა ძალიან მეჩქარება, შეიძლება მარტივად მოსამზადებელი სალათი ან სულაც ბუტერბროდი გავიკეთო. ჩემი შვილები, ელენე და გიორგი, ჭამაზე არ გიჟდებიან, ამიტომ სულ ვფიქრობ, ისეთი რაღაც გავაკეთო, რაც ლამაზი იქნება და მათ ეს მაინც მიიზიდავთ. მაგალითად, პურის ნაჭერს ამოვჭრი, შიგნით კვერცხს ვახლი და ვწვავ. ეს ფრანგული საჭმელია.

— უცხოეთში აკვირდებით იქაურ სამზარეულოს, ინტერესდებით მათი რეცეპტებით?

— კი, ყოველთვის ვაკვირდები, რა ინგრედიენტები აქვს, როგორ არის გაკეთებული და მერე სახლში ვამზადებ. ძალიან მინდოდა, ჩინური კერძები გამეკეთებინა,

„შაღვას მუჟეჟი ეყვარს, ოღონდ ჩემი გაკეთებული, სხვის ნახელავს ვერ ჭამს“.

მაგრამ ჯერჯერობით არ გამომდის. მათ კერძებს რაღაც აქვს დამატებული, ვერაფრით ვხვდები, რა არის. ასევე ძალიან მიყვარს იაპონური სამზარეულო, მაგრამ სუშის გაკეთებას ნერვები და კარგი ცოდნა უნდა. ყველაზე მეტი დრო ბრინჯის მოხარშვას მიაქვს, თორემ დანარჩენი უცებ კეთდება.

— გეტყობათ, გურმანი ხართ.

— კი, ეს არის ჩემი სერიოზული მინუსი, რომელსაც ჩემი ნებისყოფა ვერ უმკლავდება. არ ვეწევი, შემიძლია ბევრი ვიმუშაო და ცოტა დავიძინო, არც ჩაცმაზე მაქვს გართულება, მაგრამ, რაშიც ზომიერებას ვერ ვიცავ და ეს მეტყობა კიდეც, გემრიელი საჭმელების ჭამაა. ალბათ მართალი არ ვარ, ზომიერება ყველგან საჭიროა.

— ჩვენც გვასწავლეთ რომელიმე გემრიელი კერძის რეცეპტი.

— ამ სალათს ზოგი ფრანგულს ეძახის, მაგრამ საქართველოში მაწვნიელას ეძახიან. მაწონს დავასხამთ ანადუღარ წყალს, შემდეგ ჩავაყრით დაჭრილ კიტრს, კამას, მწვანე ხახვს, 1 მოხარშული კვერცხის ჩახეხვაც შეიძლება. ვისაც გიყვართ, შეგიძლიათ არაყანიც დაუმატოთ, უფრო აგემრიელებს. ცივი აკროშკასავით გამოდის.

ძალიან მიყვარს ავოკადოს სალათი და თქვენც გასწავლით. სალათის ფურცლებს და ავოკადოს დაჭრით, ზეითუნის ზეთს მოვასხამთ, გემოვნებით ვუზამთ მარილს და ძმრის მაგივრად ლიმონს ჩავაწურავთ. ძალიან გემრიელია.

ქართული სამზარეულოდან ერთადერთი, რასაც არ ვჭამ, ხაშია. მეტიც, სადაც კეთდება, იქ ვერ ვჩერდები. სამაგიეროდ, ჩემს მეუღლეს უყვარს და წარმოიდგინეთ, რა უბედურებაა! დედასაც ძალიან უყვარს და ამიტომ, როცა ვყიდულობთ, მასთან მიმაქვს და სიძეს ის უკეთებს.

— სანამ სადილების კეთებაში ხელს გაიწაფავდით, ალბათ ექსპერიმენტებსაც ატარებდით. ოდესმე „ჩაფლავებულხართ“?

— რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ! შალვა რომ გავიცანი, მოსკოვში სწავლობდა ასპირანტურაში და იქ წავყევი. სუში გავუკეთე, მაგრამ მთლიანი ქვაბი გადავღვარე. მიმეწვა, რაღაცეები დაემართა და არ იჭმეოდა. კერძების კეთება გათხოვებიდან დიდი ხნის შემდეგ ვისწავლე. მე და ჩემს მეუღლეს ერთნაირად გვიქროდა თავში და სულ

Cyan Magenta Yellow Black

გადარბენაზე ვიყავით. კაფეში ვჭამდით. პირველად სალათების კეთება დავიწყე, უცნაურ ინგრედიენტებს ერთმანეთში ვურევდი და გემრიელი გამოდიოდა. ნელ-ნელა ყველაფერი ვისწავლე. წლების წინ სახლში შეშის ღუმელი გვედგა, რომელშიც ნამცხვრის გამოცხობაც შეიძლებოდა. მახსოვს პირველი ახალი წელი მთაწმინდის სახლში, რომელიც მაშინ ცოტა დანგრეული იყო. საჭმლის სუნი რომ დატრიალდა, სოროებიდან წრუწუნები გამოძვრნენ და აქეთ-იქით დარბოდნენ...

— თქვენი სულ პირველი ნახელავი, თუნდაც ბავშვობაში, რა იყო, გახსოვთ?

— პირველად ერბოკვერცხი ჩემს მეგობარ ლეილა ხომერიკთან ერთად შევწვი და არ ვიცოდი, რომ კარაქი სჭირდებოდა. წარმოიდგინეთ, იმ კვერცხს რა დაემართებოდა! მაშინ მერვე კლასში ვსწავლობდით.

— თქვენს ქმარს თუ ეხერხება რამის მომზადება?

— შალვას ჩაის რიტუალი აქვს და ამას არავის უთმობს. გიჟდება ჩაიზე და სახლში მხოლოდ თვითონ აკეთებს. ჩემი დაყენებული ჩაი არ უყვარს. ეს საკმაოდ ხანგრძლივი რიტუალია. მან იცის, როგორ უნდა დამდუღროს ჩაიდანი, ჩაი როგორ ჩაყაროს, გადაწუროს... მოკლედ, მთელი ამბავია. ჩემზე ბევრად ლამაზად ჭრის ძეხვს. საუზმეს სულ ის ამზადებს. ჭამა-სმაში ძალიანაკურატულია. მე თუ შემიძლია ფეხზე დამდგარმა უცებ ბუტერბროდი შევჭამო, შალვას ეს არ შეუძლია. მაგიდა გადაკრიალებული უნდა იყოს, ხელსახოციც უნდა ედოს. შალვა თავის მომზადებულ ჩაიზე მპატიჟებს ხოლმე.

„ეჭიძების ეთეკა გათხოვებიდან დიდი ხნის შემდეგ ვისწავლე. მე და ჩემს მეუღლეს ეთნაირად გვიჭიროდა თავში და სუფრაზე ვიყავით. ეკაფეში ვჭამდით".

ეს ის ერთადერთი დროა, როდესაც ერთმანეთს ვესაუბრებით, აზრების გაცვლა-გამოცვლაში ვართ. მოგეხსენებათ, ახლა ქუთაისშია და უკვე ვოცნებობ იმ დროზე, როცა აქ იქნება.

— დიდი სუფრების მომზადებას, ბევრი სტუმრის გამასპინძლებას მარტო უმკლავდებით თუ დამხმარე გჭირდებათ?

— ზოგჯერ რაღაცეებს ვუკვეთავ, მაგრამ ძირითადი მე უნდა მოვამზადო. 6 საათზე თუ ვეპატიჟებით ხალხს და სუფრას 7-ზე მაინც გავშლი, მიღწევაა. ამაზე შალვა სულ შაყირობს. ვერანდაზე ვშლით სუფრებს. თბილ ამინდში ჩვენ და ჩვენი შვილები ერთმანეთს ვასწრებთ, ვინ მოიპატიჟებს თავის მეგობრებს. წინა წლის სეზონი ელენემ დახურა, თავისი მეგობრები მოიპატიჟა. რაც შეეხება დაბადების დღეებს, ყველა ისეთ დროს დავიბადეთ, როცა ცივა და ვერანდაზე ვერ ვშლით სუფრებს. სამაგიეროდ, ვმართავთ ლუდის ფართებს, კიბორჩხალებს ვხარშავ. ასევე გაზაფხულზე ვაწყობთ მარწყვის ფართებს, მწვადის, ნამცხვრების წვეულებებს. ყველა ერთად ვშლით სუფრებს და ვხალისობთ.

— ზამთრის მარაგი — მურაბები, კონსერვები კეთდება თქვენთან?

— ყოველ წელს ვაკეთებ მურაბებს, უფრო სწორად, დედა მიკეთებს, მე კი ბაზარში სიარული მევალება. ხშირად ვაკეთებ ჩირს, ქლიავის ჩირი ძალიან გემრიელია. სოკოს მარინადების მეშინია. ჯემებს და საწებლებსაც ვამზადებ.

— გოზინაყი ყველა ქართულ ოჯახში ორიგინალური რეცეპტით მზადდება, თქვენი როგორია?

— დედა აკეთებს ძალიან გემრიელ გოზინაყს, მეც ვიცი მისი მომზადება. ცოტა დიდად დაჭრით ნიგოზს, მოხალავთ და გაანიავებთ, რომ ქერქი არ შეჰყვეს. აუცილებელია, თაფლში ორი ნატეხი შაქარი ჩააგდოთ, რომ კნაწუნა გამოვიდეს. მერე ნიგოზს ჩაყრით. რომ მომზადდება, სველ დაფაზე გააბრტყელებთ და მაშინვე ცხელ-ცხელს დაჭრით.

✓ ქეთი დინოშვილი

„თითქმის ყველა პროფესია „მოვიზომე"

ზვიად სიჭინავას ბიოგრაფიის დეტალები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, 47 წლის ზვიად სიჭინავა, სანამ ამ სფეროში მოხვდებოდა, მრავალფეროვან საქმიანობას ეწეოდა, ერთ-ერთი კი თეატრი გახლდათ. მოსკოვის ტერეზა დუროვას სახელობის სახელმწიფო თეატრის გენერალური დირექტორი იყო. თეატრი მისი სისუსტეა. ამბობს, ოდესმე ფეხბურთს თუ ჩამოშორდება, თეატრს აუცილებლად დაუბრუნდება.

ზვიად სიჭინავა რუსეთში, სოფელ სპარტაში დაიბადა. დედით ბერძენი დღემდე ამაყობს, რომ სპარტელია, თუმცა იქ სიცოცხლის მხოლოდ პირველი ორი წელი გაატარა, მერე კი ზუგდიდში გაიზარდა. თავისი ბედი ხან უკრაინაში ეძია, ხან — რუსეთში. პირველი ქორწინებიდან ორი ვაჟი ჰყავს — 29 წლის ვადიმი და 20 წლის კობა, მეორე ქორწინებიდან კი — წლის და 9 თვის ანამარია, რომელიც 21 წლით უმცროსმა ცოლმა გაუჩინა.

— ბატონო ზვიად, როგორ იყო ზუგდიდური ბავშვობა?

— ის პერიოდი, როცა კაცი კარგს თუ ცუდს ითვისებს, ზუგდიდში გავატარე.ჩემს კლასში სწავლობდნენ ოსები, აფხაზები, აზერბაიჯანელები, რუსები... ამ ადამიანებთან ურთიერთობამ ბევრი კარგი და ცუდი რამ მასწავლა. მაშინ გავაცნობიერე, რომ თუ სხვების ადათწესებს პატივს არ სცემ, არც ისინი დააფასებენ შენსას.

ყოველთვის თავისუფლებისმოყვარე ვიყავი. ის მაინტერესებდა, რაზეც მეუბნებოდნენ, არ შეიძლებაო. ამიტომაც მშობლებთან მუდმივი კონფლიქტი მქონდა. გამორჩეული მოწაფე არ ვიყავი, თუმცა იყო ისეთი საგნები, რომლებიც

„ადამიანი მაშინ ბეჭდება, ოდესაც თავად ისუჭვებს ამას. პასპორტში მითითებული ასაკი ახაფეს ნიშნავს. დღესაც მზად ვარ, ოომ 25 წლის ბიჭებს გავეჯიბჰო გინდ ცეკვაში, გინდ — ვაჟკაცობაში, თამაშში, სოოლაში".

ძალიან მიყვარდა. მაშინ „მალბოროს" სიგარეტი 3 მანეთად ზუგდიდის მხოლოდ ერთ სოფელში იყიდებოდა. თუ ვინმესგან რამის გადაწერა მინდოდა, ერთ კოლოფ სიგარეტს მივუტანდი და პრობლემა მოგვარებული იყო. მეც ვეწეოდი.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში წავედი, მერე უკრაინაში, რუსეთში ვცხოვრობდი და რომ დავბერდი, ჩემს სახლს დავუბრუნდი.

— რუსეთში როგორ მოხვდა თქვენი ოჯახი?

— ბაბუაჩემი, დედის მხრიდან, ბერძენი იყო. 1937 წელს ის და ბებია საბერძნეთიდან ნოვოროსიისკში ჩავიდნენ. რატომღაც ბაბუაჩემს სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირი იყო ის ქვეყანა, რომელიც მას დაიცავდა. შეიქმნა სოფელი სპარტა, სადაც ბერძნები დაასახლეს. ვამაყობ, რომ სპარტაში ვარ დაბადებული. ახლა დედაჩემის ყველა ნათესავი საბერძნეთში ცხოვრობს. იქ რომ ჩავდივარ, ყველას ვეუბნები, სპარტელი ვარმეთქი. მეორე მსოფლიო ომის დროს ახალგაზრდებს სხვადასხვა რესპუბლიკაში აგზავნიდნენ სამუშაოდ, რომ ფრონტის მონაწილეებს ზურგიდან დახმარებოდნენ. დედაჩემი, მარია პოპულიდისი, საქართველოში წამოიყვანეს. აქ ჩაის ამზადებდნენ. მერე მამაჩემი, ამირან სიჭინავა გაიცნო, რომელიც ზუგდიდში თავისი რესტორნით იყო განთქმული და იქორწინეს. შემდეგ ცოტა ხნით რუსეთში წავიდნენ, სადაც მე გავჩნდი.

— ბავშვობაში როგორ გქონდათ თქვენი მომავალი წარმოდგენილი, რაზე ოცნებობდით?

— მინდოდა, კოსმონავტი, მილიციელი, ექიმი ან კანონიერი ქურდი ვყოფილიყავი. ჩემს ქუჩაზე ყველა ფენის და პროფესიის ხალხი ცხოვრობდა. ჩვენ გვერდით ხორავები ცხოვრობდნენ, ორივე ძმას ციხეში სამ-სამჯერ ჰქონდა სასჯელი მოხდილი. მათ რომ ვხედავდი, ჩემთვის ამაზე მეტი რომანტიკა არ არსებობდა. ერთ-ერთი მათგანი რომ დაიჭირეს, ვნახე, დედამისი როგორ გაჭირვებაში იყო და რომ დავფიქრდი, დედაჩემი შემეცოდა. მეორე ძმამ ციხეში ტუბერკულოზი აიკიდა და მივხვდი, რომ იქ ძალიან ცუდი პირობები იყო. სანამ ჩამოვყალიბდებოდი, თითქოს ყველა პროფესია „მოვიზომე". ვიღაც თუ კარგი მანქანით დადიოდა და ვიღაც — „ჟიგულით", ე.ი. პირველის პროფესია სჯობდა. ცხოვრება ესაა, ყველაფერი საკუთარ თავზე უნდა გადაიტანო. ჩვენი ცხოვრების გზა ზემოთაა გადაწყვეტილი. რაც უნდა გააკეთო, იმაზე მეტს ვერ მიიღებ, რაც შენთვისაა დაწერილი. 3 წლის წინ, როდესაც ფეხბურთის ფედერაციაში მოვედი, ყველას ვუთხარი, არ ვიცი, აქედან როდის წავალ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ დედა არავინ მიგინოს-მეთქი. ჩემი თაობის მამაკაცებმა კარგად ვიცით, რას ნიშნავს დედა და მისი შეურაცხყოფა. ჩემთვის დედაზე მაღლა მხოლოდ ღმერთია.

„ფეხბურთის ფედერაციაში ყველას ვუთხარი, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, ოომ დედა არავინ მიგინოს-მეთქი. ჩემთვის დედაზე მაღლა მხოლოდ ღმერთია".

— ცოტა ხნის წინ გოჩა ჯაბარაულის ინტერვიუს ვკითხულობდი, თქვენზე ამბობდა, რომ სკამზე ხართ გამოკერებული მაშინ, როცა ბევრი მისეულ ყველაშვილის კანდიდატურას უჭერს მხარს. ოპონენტებთან გისაუბრიათ, რა შენიშვნები, რა პრეტენზიები აქვთ თქვენთან?

— რას ჰქვია, ჩემი თანამდებობიდან წასვლა უნდათ! მეც მინდა, საქართველოში თამარ მეფის დრო დაბრუნდეს და დამიბრუნეთ, აბა! მათ თავიდანვე არ უნდოდათ ამ თანამდებობაზე ჩემი მოსვლა და დღემდე ასე არიან განწყობილი.მათთან შეხვედრა არ მქონია.

— არც საკუთარი თავისთვის გიკითხავთ, რატომ გეკადრა მოწინააღმდეგეები?

— ოპონენტებთან დიალოგის- →32

Cyan Magenta Yellow Black

თვის ყოველთვის მზად ვარ. წელიწადში 5 ორგანიზაცია მამოწმებს, ფედერაციის საბუთები დღესაც პროკურატურაშია. შეცდომებს ისინიც არ გვაპატიებენ.

დიდ პატივს ვცემ ნებისმიერ იმ ფეხბურთელს, ვისაც ერთი დღე მაინც უთამაშია ქართულ ფეხბურთში. მათგან განსხვავებით, მე არასოდეს მითამაშია, მაგრამ მინდა, ვუთხრა, რომ ჩემი გვარის ხალხს მათზე ნაკლები ფეხბურთი არ უთამაშია. ესეც ნურავის დაავიწყდება! არ მინდა მათთან შეჯიბრი. როგორც ფეხბურთელებს, ყველა მათგანს ვაფასებ. მათი ისტორია შევისწავლე და ბოლო 10 წლის განმავლობაში ვერსად ვნახე, რომ ფეხბურთში ან სხვა საქმეში რამე გაეკეთებინოთ. ამიტომ, როგორც ფეხბურთელებს, ვაფასებ, მაგრამ, როგორც მენეჯერებს — არა! აგერ ვარ მეც და ისინიც, თუ ვიღაცამ რაღაც მომიძებნა და ამ თანამდებობიდან გამიშვეს, დათა თუთაშხიასი არ იყოს — „თუ დავბრუნდები, კი დაგიბრუნებთ ვაღს, თუ არა და, მოგჭამათ ჭირი!“. მოვა დრო, წავალ და სხვა საქმეს მივხედავ.



ზვიად სიჭინავა

— რა სფეროში წასვალთ?

— სპორტში თუ არა, თეატრის სფეროში წავალ. როცა მოსკოვში თეატრის ხელმძღვანელი ვიყავი, ბევრი კარგი რამ გავაკეთე. საქართველოში შიმშილი რომ იყო, მოსკოვში გასტროლებზე ბევრი ქართული თეატრი წამოყვანია. დღემდე ნიკო გომელაურის ფანად ვრჩები. ავთო ვარსიმაშვილთან ვმეგობრობ და, ხვალ რომ დამჭირდეს, „თავისუფალ თეატრში“ ალბათ მოიძებნება ჩემთვის პროდიუსერის ადგილი.

— თქვენს არჩევას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად საკმაო ხმაური უძღოდა წინ. მოდით, გავიხსენოთ, როგორ მოსვდით ამ პოსტზე. ფეხბურთთან რა გაკავშირებდათ იქამდე, მოსკოვის თეატრიდან რატომ და როგორ წამოსვედით.

— თეატრში 10 წელი წარმატებით ვიმუშავე და დადგა დრო, რომ სხვა ეტაპზე გადავსულიყავი, რადგან ადამიანი მუდმივად უნდა იზრდებოდეს. ზუგდიდში დაწყებული საფეხბურთო საქმიანობის შემდეგ, სადაც საფეხბურთო კლუბ „ბაიას“ პრეზიდენტი გახლდით, სურვილი გამიჩნდა, ქართულ ფეხბურთში უფრო აქტიურად ვყოფილიყავი ჩართული და სხვადასხვა პროექტები განმეხორციელებინა.

„სანამ 18 წლის გავხდებოდი, ოთი დღით აღრე მეყოლა ვაღიმი. 17 წლის ბავშვმა ხა ვიცოდი, ცხოვრებისგან ხა მინდოდა? მაშინ თავისუფლება მნყუხოდა“.

— სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამ, საკუთარ თავს არ უსვამთ კითხვას, არ აანალიზებთ, შეძლებთ თუ არა იმ საქმის გაკეთებას?

— არა და გეტყვით — რატომ. ათონის მთაზე, ერთ-ერთ მონასტერში დავდივარ. იქ არის მამა ზენონი, რომელსაც ხშირად ვეკამათები. სულ მაინტერესებს, ბიბლიაში ესა თუ ის რაღაც ასე რატომ წერია. ერთხელ ჩვენი კამათის შემდეგ ვკითხე: „მამაო ზენონ, მითხარი, რა, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არის?“. შენ როგორ ფიქრობო, შემომიბრუნა კითხვა. ვუთხარი, როგორც ვფიქრობ, ეგ მე ვიცი და შენ მიპასუხე-მეთქი. მისი პასუხი არასოდეს დამავიწყდება, მითხრა, მაგაზე არ მიფიქრია, შენ თუ ფიქრობ, შენვე გაეცი პასუხიო. სულ ამბობს, ადამიანი ყოველთვის იმას ელოდება, რაც თავად უნდაო და ასე არ უნდა იყოს... არ მესმის, საკუთარ თავს რატომ აშინებ, შეძლებ თუ ვერა. შენ გარისკე და დიდი შანსია, კარგ შედეგამდე მიხვიდე. და თუ საკუთარ თავში ეჭვი გეპარება, მაშინ წადი და დაიძინე!

— როგორც მოგსვდი, ფარხმლის დაყრა არ გჩვევათ.

— ძალიან მიმწოლი ვარ და მიზნის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძვი. 10 წლის ვიქნებოდი, ზაფხულში ბებია-ბაბუსთან რომ ჩავედი სპარტაში. ფეხბურთის მოედანზე ჩემზე უფროს ბიჭთან კამათი მომივიდა, მაგრად მცემა. 1998 წელს სალონიკში ჩავედი და ეს ბიჭი მოვძებნე. გავახსენე სოფელი სპარტა და ბიჭი, რომელიც მან სცემა. ბევრი წელი ვეძებდი იმ ბიჭს იმის გამო, რომ უსამართლოდ მომხვდა მისი ხელი. აქედან მიხვდებით, რომ ძალიან მიზანდასახული ვარ. ცხოვრების გზაზე ყველაფერი შემხვდა — გაჭირვება, სიხარული, კარგი, ცუდი, მაგრამ არაფრის მეშინია.

„ანის პირველად სიყვარული ტელეფონით ავუხსენი... ასაკით ჩემზე პატარა ყი არის, მაგრამ აზროვნებით, მგონი, ჩემზე ბებერია“.

— გოგონა მამასთვის, თანაც თქვენს ასაკში შეძენილი, ძალიან ძვირფასია. ბევრ დროს ატარებთ მასთან?

— ძალიან ცოტას. ჩემი პატარა გოგო, ანა-მარია, ახლა წლის და 9 თვის არის. ანა ჩემი ცოლის სახელია, მარია — დედაჩემის. ამიტომ არც ერთს ვაწყენინე. სულ ვნატრობ, ღამე 12 საათამდე არ დაიძინოს, რომ ცოტა ხანს მასთან თამაში მოვასწრო. ზოგჯერ კვირაში მხოლოდ ორჯერ ვხედავ. დილით 7 საათზე ვდგები, ამ დროს ანა-მარიას სძინავს და ღამე ზოგჯერ 3 საათზე შევდივარ სახლში და ისევ მძინარეს თუ ვნახავ. ვფიქრობ, როცა ჩემი საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება, აუცილებლად ისეთ ბიზნესს ავირჩევ, რომ შვილისთვის მეტი დრო მქონდეს და ყურადღება არ მოაკლდეს.

— ცნობილია, რომ 21 წლით უმცროსი ცოლი გყავთ, ანი ლიმთაძე როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა?

— თავის დროზე ანი მეგობრების საშუალებით გავიცანი. მამამისი მოსკოვში ცნობილი სახე იყო და ვიცნობდი, ჩემზე რამდენიმე წლით უფროსია. ანის პირველად სიყვარული ტელეფონით ავუხსენი. მაშინ ქუთაისის სტადიონის რეკონსტრუქციას ვაკეთებდი და სულ გადარბენაზე ვიყავი. ამიტომ გადავწყვიტე, ტელეფონით მეთქვა, რომ მიყვარდა. ასაკით ჩემზე პატარა კი არის, მაგრამ აზროვნებით, მგონი, ჩემზე ბებერია. არ არის ისეთი ახალგაზრდა, რომელიც „ტუსოვკებზე“ დადის.

— გინდათ თქვათ, რომ თქვენს მისწრაფებებში, შეხედულებებში თაობებს შორის განსხვავება არ იგრძნობა?

— კი, როგორ არა. ანის სხვა ინტერესები აქვს, მე — სხვა. ამაში ვგულისხმობ ფილმებს, წიგნებს. ანი სასწაულ წიგნებს კითხულობს. კიდევ კარგი, სახლში ძველი ღუმელი არ გვაქვს, თორემ აუცილებლად ყველას დავწვავდი! ლინგვისტია, ესპანური, ინგლისური, ფრანგული, რუსული ენები კარგად იცის. ახლა მეგრულსაც სწავლობს. ინგლისში სწავლობდა, განათლებული გოგოა, შექსპირიც იცის და ჩეხოვიც. არ ვიტყვი, რომ ანიზე ჭკვიანი ვარ, მაგრამ მასზე ბრძენი რომ ვარ, ორი აზრი ნამდვილად არ არსებობს. მასზე მეტი გამოცდილებაც მაქვს.

ვფიქრობ, ადამიანი მაშინ ბერდება, როდესაც თავად ისურვებს ამას. პასპორტში მითითებული ასაკი არაფერს ნიშნავს. დღესაც მზად ვარ, რომ 25 წლის ბიჭებს გავეჯიბრო გინდ ცეკვაში, გინდ— ვაუკაცობაში, თამაშში, სროლაში... როცა ადამიანს საკუთარი თავის რწმენა გაქვს, კედელს თავით გაიტანს.

— ანის ფეხბურთი უყვარს?

— არა, ეს ჩემია, ანის კი თავისი სამყარო აქვს. ერთხელ დაესწრო მატჩს. ყოველთვის უნდა თამაშზე დასწრება, მაგრამ ვეუბნები, ბილეთები არ არის, თუ გინდა, შენ წადი, იყიდე და დაესწარი-მეთქი.

— ანი როგორ ეგუება, რომ აშკანთად ხართ სახლში?

— ამბობს, რომ წინ დიდი დრო გვაქვს და ამაში ვეთანხმები. ადამიანს იმის შეგრძნება აბერებს, რომ არავის სჭირდება. სულ მუშაობის პროცესში უნდა იყო და არ დაბერდები.

— რომანტიკული ხართ?

— არ მეტყობა? ხანდახან ვარ, მაგრამ ამას ვმალავ. ჩვენთან ერთი სოფელი არის, ინგირი. იქ რუსები ყვავილებს ყიდდნენ. მამაჩემს ფულს ვართმევდი, ვყიდულობდი და მერე გოგონების აივნებზე ვალაგებდი. მაშინ ალბათ 14 წლის ვიქნებოდი. ყვავილები, გიტარით ხელში სიმღერა ჩემთვის დიდი რომანტიკა იყო. დღეს კი ეს ყველაფერი არავის სჭირდება.

— პირველად ძალიან ადრე გამხდარხართ მამა. ალბათ მაშინ ეს პასუხისმგებლობა ისე ვერ გააცნობიერეთ, როგორც ანა-მარიას დაბადების შემთხვევაში.

— კი, მართალი ხართ, მაშინ ვერანაირ პასუხისმგებლობას ვერ ვგრძნობდი. 17 წლის ვიყავი, ცოლი რომ მოვიყვანე და 18 წლის არც ვიყავი, მამა რომ გავხდი. სანამ 18 წლის გავხდებოდი, ორი დღით ადრე მეყოლა ვადიმი. 17 წლის ბავშვმა რა ვიცოდი, ცხოვრებისგან რა მინდოდა? მაშინ თავისუფლება მნყუროდა, მინდოდა, მოსკოვში წავსულიყავი და იქაურობა დამეპყრო.

— როგორც ვიცი, თქვენი ორი ვაჟი პირველი ქორწინებიდან გერმანიაში დედასთან ერთად ცხოვრობს. რას საქმიანობენ?

— ვადიმი ცხოვრობს გერმანიაში, კობა — მოსკოვში. ვადიმი 29 წლის არის, კობა — 20-ის. გერმანიაში ჩავდივარ ხოლმე შვილის სანახავად, რუსეთში კი — არა. კობასთან არ მაქვს ურთიერთობა. უფროსი ბიჭი მუშაობს, თავისი ბინა აქვს, მანქანა ჰყავს და კარგად არის. კობა სწავლობს.

— სახლში მთლიანად ოჯახს ეკუთვნით თუ იქაც საქმეებს აგვარებთ?

— სახლში სულ კონფლიქტი მაქვს იმის გამო, რომ ტელევიზორთანტელეფონით ხელში ვზივარ. მეუბნებიან, ცოტა ხანს დაგველაპარაკეო. დღის განმავლობაში ბევრ რაღაცაზე შეიძლება ნერვები მომეშალოს, ზოგჯერ ჩემზე საოცარ რაღაცეებს წერენ, რაც ნერვებს მიშლის და ეს ჩემზე ყოველთვის აისახება.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

გუგა კუზანოვი სამი საშინელი ავარიიდან უვნებელი გამოვიდა

■ გუგა კუზანოვი

ველასტიკური ქირურგი გუგა კუზანოვი ერთ დროს, მისივე თქმით, ისეთი თავქარიანი მძღოლი იყო, საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე დაუფიქრებლად დებდა. სამჯერ მოყვა კიდეც ავარიაში და მხოლოდ მესამე შემთხვევა აღმოჩნდა მისთვის ჭკუისასწავლებელი გაკვეთილი.

ბატონი გუგასთვის მანქანის მართვა დიდი სიამოვნებაა და თავს ახალ-ახალი ავტომობილებითაც ინებივრებს. მაქსიმუმი 6 თვე და უკვე ბეზრდება, თუმცა ეს არ ეხება მის საყვარელ „მიცუბიში პაჯეროს“ მარკის „ოფროუდერს“. ის წლებია ჰყავს და მის გაყიდვაზე არასოდეს უფიქრია.

— ბატონი გუგა, გვასწავლეთ, პირველად რიდის გაგიჩნდათ სურვილი, ავტომობილის საქმეს მისჯდომოდით?

— მანქანა ბავშვობიდან მაინტერესებდა, სატვირთოს მძღოლობაც კი მინდოდა. სადაც გადატვირთული მოძრაობა არ იყო, მამაჩემი საჭესთან დამსვამდა ხოლმე და 12 წლისა უკვე კარგად ვატარებდი. მართვის მოწმობა 18 წლის ასაკში უპრობლემოდ ავიღე.

— და რიმელ მანქანას მოუჯექით?

— „უიგულის“ მარკის მანქანა მყავდა და იმდენად მიხაროდა, რომ დედამიწაზე ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა. მერე ბევრი მანქანა გამოვიცვალე — „მიცუბიში“, „იქს ხუთი“, „ბეემვესა“ და „მერსედესის“ რამდენიმე მოდელი და კიდევ რა აღარ. არ ვიცი, ეს ჩემი დადებითი თვისებაა თუ უარყოფითი, მაგრამ ავტომობილს ყოველ მეექვსე თვეს ვიცვლი, რადგან მალე მბეზრდება. ბოლოს ე კლასის „მერსედესი“ მყავდა და ჩემს ხელში რვა თვე შეუსრულდა თუ არა, გავყიდე.

— ამჟამად რა მარკას ატარებთ?

— „მიცუბიში პაჯეროს“ ჯიპი, „ოფროუდერი“ მყავს, რომლის გაყიდვაც არასდროს მიფიქრია, ჩემი მუდმივი მანქანაა. მე, მამაჩემს და ჩემს ძმას ბუნებაში გასვლა ძალიან გვიყვარს, ეს მანქანა კი ყველანაირ სიტუაციაზეა გათვლილი. ზოგჯერ ცუდ გზებზე სპეციალურადაც გავდივარ. სხვათა შორის, საქართველოში ოფროუდერების საკმაოდ სერიოზული ასოციაციაა და ამ წელს სომხეთში ჩემპიონატზე საქართველომ პირველი ადგილი აიღო. ამ ასოციაციის წევრი ჩემი ძმაცაა. მე თუ დროს გამოვნახავ, შაბათ-კვირას აუცილებლად სადმე უნდა გავიდე. მიუხედავად იმისა, რომ ძველი მანქანაა, ძალიან კმაყოფილი ვარ, ერთხელაც არ „დაუხვნეშია“. „ბეემვეს“ ჯიპმაც ძალიან მასიამოვნა და ისევ ვფიქრობ მის შეძენას.

— ავტომობილებთან მხილოდ კარგი მოგონებები გაკავშირებთ?

— სამწუხაროდ, ჩემს განვლილ ცხოვრებას ავარიების გარეშე არ ჩაუვლია. 1995 წელს მამაჩემის მანქანაში ვიჯექი ძმაკაცებთან ერთად. საპირისპირო მხრიდან აწყვეტილი „მერსედესი“ მოდიოდა. საჭე ოდნავ გვერდით რომ არ ამეღო, პირდაპირ შეგვეჯახებოდა. ცოტა გვერდულად დაგვარტყა, მაგრამ ორჯერ ამოვბრუნდით, სახურავზე დავეცით და 20 მეტრი ვიხოხიალეთ. ვხედავდი, მანქანა ნაპერწკლებს როგორ ყრიდა... საშინელი ხმა იყო, დღემდე მახსოვს. ხალხი ყვიროდა, ეგონათ, რომ დავიღუპეთ. მთელმა ცხოვრებამ წამებში გამირბინა თავშიო, რომ ამბობდნენ, არასდროს მჯეროდა, მაგრამ მართლა ასე ყოფილა. სხეულის ყველა ნაწილი სათითაოდ გავანძრიე და მაშინ მივხვდი, რომ გადავრჩი. მანქანიდან 5 კაცი ისე გადმოვედით, ნაკაწრიც არ გვქონია, მაგრამ მანქანა გადავაგდეთ. ჩვენი გადარჩენა უფლის ნება იყო. სანამ ოჯახში ცუდ ამბავს მიიტანდა ვინმე, მეგობარი გავგზავნე იმის სათქმელად, რომ კარგად ვიყავი, მე კი იქ დავრჩი და პოლიციას დაველოდე. მისულა ეს მეგობარი ჩემებთან და დედა-ჩემისთვის უთქვამს, მანქანა ისე

„მწვანე შუქზე მანქანას თუ ახ დაძრავ, ეთი ამბავი ატყდება. ნუთუ ყველას ასე ეჩქარება?! რა მოხდა, თუ ადამიანი რამდენიმე წამით ფიქრებში წავიდა და დროულად არ დაიძრა?“.

დაიმტვრა, გადასაგდებია და გუგაც ადგილზე დარჩაო. დედაჩემს უფიქრია, რომ მოვკვდი და გონება დაუკარგავს.

— მაშინ ნინო უკვე თქვენი ცოლი იყო?

— კი. თურმე ფეხმძიმედ ყოფილა და არ ვიცოდით. კი ძალიან ინერვიულა, მაგრამ მერე მეხუმრებოდა, შენ რომ გარდაცვლილიყავი, ბავშვი მაინც დამრჩებოდაო.

— კიდევ გქონდათ რაიმე შემთხვევა?

— 1996 წელს ამერიკიდან სპორტული მანქანა ჩამოვიყვანე. მაშინ თბილისში ასეთი მანქანა საერთოდ არ დადიოდა, ძალიან მაგარი ძრავი ჰქონდა. ქუჩაში ჩემი მანქანისკენ ყველა თითს იშვერდა. მე და ჩემმა ძმამ ამ მანქანით სტუმრები მცხეთაში წავიყვანეთ. მოგეხსენებათ, იქ როგორი დახვეული გზაა. ვმარიაჟობდი და დიდი სიჩქარით მივქროდი. ხრეშზე მოვსრიალდით და ხევში უნდა გადავცვენილიყავით. იმ ადგილზე „დედისერთა“ ხე იდგა, გადავეშვით და იმ ხეში გავიჭედეთ. მანქანა დაიხარა, გაჩერდა და სანამ ამწეკრანი არ მოვიდა, იქ ვისხედით.

— ალბათ ეს ორი შემთხვევა თქვენთვის გაკვეთილი იყო.

— არა, რადგან მესამედაც სერიოზულ ავარიაში მოვყევი ახალი „მიცუბიშით“. 1997 წელს ცოლ-შვილთან და მეგობართან ერთად ქობულეთიდან ვბრუნდებოდი. ჩემი გოგო მაშინ 1 წლის იყო. ის ჩემს მეგობართან ერთად უკან იჯდა, ნინო კი — ჩემ გვერდით. კასპთან ახლოს ვიყავი უკვე. ჩემ წინ უზარმაზარი ტრაილერი მიდიოდა და რომ გადავუსწარი, უკვე გვიანი იყო — საპირისპირო მხარეს ისევ „მერსედესი“ მოქროდა. მასთან პირდაპირ შეჯახებას ვარჩიე, საჭე მარჯვნივ ამეღო და ტრაილერს შევუვარდი. სატვირთო მანქანას უზარმაზარი მილები გადაჰქონდა და იმ ხმაურში ვერაფერი გაიგო. სანამ სხვა მძღოლებმა არ ანიშნეს, ვერ მიხვდა, რომ მიგვათრევდა. მანქანა განადგურდა, წინა ნაწილი საერთოდ აღარ არსებობდა. უსაფრთხოების ბალიშებმა გადაგვარჩინა, მაგრამ ნინოს თვალთან გაუსკდა კანი და მხარი დაუშავდა. ეგონა, თვალი დაკარგა და დავბრმავდიო, ყვიროდა. ჩემს ძმაკაცს კი შუბლი აღარ უჩანდა. მე საერთოდ უვნებელი გადმოვედი. ამდენი სისხლი რომ დავინახე, გადავირიე. გონს მოვედი თუ არა, ბავშვი მოვიკითხე. ვერ ვპოულობდი. თურმე მძინარე ბავშვი დარტყმისგან სავარძლის ქვეშ შევარდა, ვერაფერი გაიგო. ჩვენს ხმაურზე შეშინდა და ტირილი რომ დაიწყო, პირიდან სისხლი წამოუვიდა. ამან უარესად შემაშინა, ვიფიქრე, რომ ფუძის მოტეხილობა ჰქონდა, მაგრამ ტუჩი ჰქონია გახეთქილი. ფანჯარა ფეხებით ჩავამტვრიე, გადმოვედი, ჯერ ბავშვი გადმოვიყვანე, მერე ცოლი და მეგობარი. პირველივე ავტომობილი გავაჩერე და საავადმყოფოში წავედით. სულ სისხლით დავსვარეთ ის მანქანა, მაგრამ პატრონს ხმა არ ამოუღია. მას შემდეგ ის კაცი აღარ მინახავს, არადა ძალიან მინდოდა, მადლობა გადამეხადა. ამ სტატიას თუ წაიკითხავს, მინდა, ვუთხრა, რომ მისი დიდი მადლობელი ვარ. ეს იყო ჩემი მესამე და უკანასკნელი ავარია.

— რა გასწავლათ ამ უბედურმა შემთხვევებმა, რომლებსაც ბედნიერად გადაურჩით?

— მიუხედავად იმისა, რომ ახლა ავტობანზე იმ სიჩქარით სიარული დაშვებულია, ჩქარა აღარ დავდივარ. ამდენი ავარიის მერე მივხვდი, რომ დავჭკვიანდი და ალბათ სწორიც არის — ოჯახი მყავს, მხოლოდ საკუთარ თავზე არ უნდა მეფიქრა. ძალიან რისკიანი მძღოლი ვიყავი. რომ მცოდნოდა, გადარჩენის 1 პროცენტიც არ მქონდა, ჩემთვის სასურველ მანქანას მაინც გავაკეთებდი. ალბათ არ ვარ ძალიან ცუდი ადამიანი და უფალმა ამიტომაც გადამარჩინა, თორემ სამივე ავარია უმძიმესი იყო.

— ალბათ ბევრი ქვეყნის საგზაო მოძრაობა გინახავთ. მათთან შედარებით თბილისური რიგორია?

— ჩვენი ქალაქი საგზაო მოძრაობით ძალიან ჰგავს ბაქოს. აქაური მოძრაობა საშინელებაა! ევროპას ვერ შეედრება, იქ სრული წესრიგია. ევროპაში ჩემი მეგობრის მანქანით დავდივარ ხოლმე. შუქნიშანთან რომ გავჩერდი, რამდენჯერმე მწვანეზე მანქანა არ დავძარი, მძღოლების რეაქცია მაინტერესებდა. არავის დაუსიგნალებია. ჩვენთან კი მწვანე შუქზე მანქანას თუ არ დაძრავ, ერთი ამბავი ატყდება. ნუთუ ყველას ასე ეჩქარება?! რა მოხდა, თუ ადამიანი რამდენიმე წამით ფიქრებში წავიდა და დროულად არ დაიძრა?

კანონმორჩილება იმას არ ნიშნავს, რომ ინტელიგენტი მძღოლი ხარ. კანონმორჩილმა ადამიანმა შეიძლება გზა სხვას არ დაუთმოს, რადგან, წესით, მის გზაზე მოძრაობს. რადგან შენი გზაა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არც ქალს და არც კაცს არ უნდა დაუთმო. ბევრი მძღოლი მინახავს, ქალებს რომ აგინებს.

„ხევში უნდა გადავცვენილიყავით. იმ ადგილზე „დედისერთა“ ხე იდგა, გადავეშვით და იმ ხეში გავიჭედეთ. მანქანა დაიხარა, გაჩერდა და სანამ ამწეკრანი არ მოვიდა, იქ ვისხედით“.

— თქვენ არ გაბრაზებენ ქალი მძღოლები?

— არც ქალი მძღოლებით ვარ კმაყოფილი და არც კაცი მძღოლებით. უბრალოდ ქალი მამაკაცთან შედარებით სხვანაირად მოძრაობს, რადგან თვითონ ქალის ფსიქიკაა სხვანაირი და მამაკაცივით როგორ უნდა ატაროს? ქალი დღე-ღამის განმავლობაში 24 საათი იპრანჭება, მათ შორის — საჭესთანაც. ის კი არა, მანქანის მართვის დროს სარკეში მეც ჩამიხედავს!

— თქვენი ცოლი, ნინო ნადირაძე რიგორი მძღოლია?

— ძალიან აქტიური და ამავდროულად საშინელი მძღოლია. თვითონ რომ ჰკითხოთ, მაგარია. შენ ბევრი მანქანა დაამტვრიე და მე არც ერთთიო, მეუბნება. მე და ნინო მანქანაში ერთად არ უნდა ვისხდეთ. მეტნაკლებად ნინო ჩემს მანქანაში ზის ხოლმე, მაგრამ მე ვერ ჩავუჯდები. გამუდმებით შენიშვნებს ვაძლევ, რაც არ შეიძლება, რადგან ამ დროს შეიძლება უარესად დაიბნეს. ამიტომაც თუ ძმაკაცებთან ერთად ვსვამ, მაშინ უკვე სხვა გზა არ მაქვს, ნინო მოდის და მივყავარ. მეუბნება, საშინელი მძღოლი ხარო.

— თქვენ რას პასუხობთ?

— ამდენ ავარიაში მოვყევი, ერთხელ ლამის ადგილზე დავტოვე და რაღა მეთქმის?

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

თაკო ჩხეიძე: „პლასტიკურ ქირურგს აუცილებლად მივმართავ“

სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელი, მოდელი თაკო ჩხეიძე ძველ წელს მოდის კვირეულით დაემშვიდობა და კმაყოფილი დარჩა, რადგან თვლის, რომ მოდის მოყვარულებს საინტერესო ჩვენებები წარუდგინა. თავადაც ყოველთვის მოდურად და ეფექტურად გამოიყურება, საკუთარ თავს მოდუნების უფლებას არ აძლევს — იოგას მისდევს, ცურავს, დღის განმავლობაში ბევრ საქმეს აგვარებს. სამი ბიჭის დედა არც სახლშია უქმად და ამიტომაც მუდმივად ტონუსშია. თუ შეატყო, რომ აქტიური ცხოვრება ზედმეტი მოუვიდა, საკუთარ თავს ერთთვიან დასვენებას უწყობს.

■ თაკო ჩხეიძე

— თაკო, პირველ რიგში, გკითხავთ, მოდის კვირეული როგორ შეგიფასეს კოლეგებმა და მოყვარულებმა.

— ლამაზი საღამოები გამოგვივიდა. მოდის მიმდევრებს ეს კვირეული ძალიან მოეწონათ. გაეცნენ ახალ კოლექციებს, მოდის ტენდენციებს და ა.შ. ახალბედა დიზაინერებმაც მიიღეს მონაწილეობა. როგორც იცით, სამოდელო სააგენტო-სტუდია „ჯეო მოდელსის“ მფლობელი ვარ. 26 დეკემბერს ამ სტუდიის მოსწავლეებისთვის გამოსაშვები-საქველმოქმედო საღამო გავაკეთე. მოვიყვანეთ 200 უმწეო ბავშვი და მოდელებმა ამ საპატიო სტუმრებისთვის მოაწყვეს ჩვენება. ბავშვებს საახალწლო განწყობა შევუქმენით. მოკლედ, ბევრ რამეში ვარ ჩართული, მაგრამ დეკემბერი განსაკუთრებით აქტიური იყო ჩემთვის.

— ცნობილია, რომ საქმიან ქალს მძიმე რეჟიმი და გამუდმებული მუშაობა ქალურობას აკარგვინებს. თქვენ ისეთ სფეროში ხართ, ეს ნაკლებად გეშუქრებათ, მაგრამ მაინც გკითხავთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქალური შარმი შეინარჩუნო?

— ჩემი მაგალითიდან გეტყვით, არის პერიოდი, როცა ყველაფრისგან ძალიან ვიღლები და არაფერი მინდა, მაგრამ ჩემს თავს მოშვების უფლებას არასოდეს ვაძლევ. ქალი ყოველთვის მოვლილი, ფორმაში უნდა იყოს.

— რა მეთოდებს და რეცეპტებს იყენებთ ამისთვის?

— იოგას ვვარჯიშობ, რაც ყველაფერში მეხმარება, თან ვისვენებ და ფორმაშიც ვარ. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად, მაგრამ შეძლებისდაგვარად ნამდვილად ვუვლი თავს.

— ძალიან კარგი სახის კანი გაქვთ. რისი დამსახურებაა, გენეტიკის თუ მოვლის?

— გენეტიკასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და, ბუნებრივია, ქალის მონდომებასაც. ვსვამ დიდი რაოდენობით წყალს, რაც კანისთვის კარგია. საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რომ თუ მინდა, კარგად გამოვიყურებოდე, გამოძინებული უნდა ვიყო. მაგრამ ამის ფუფუნება ხშირად არ მაქვს. ფორმის შენარჩუნებაში ვარჯიში და ცურვა მეხმარება.

— ბუნებრივად გამხდარი ხართ თუ წონას დიეტით ინარჩუნებთ?

— ღმერთს მადლობა, წონის პრობლემა არასდროს მქონია და არც დიეტაზე ვყოფილვარ. საკვებს საერთოდ არ ვიზღუდავ, რაც მინდა, ყველაფერს მივირთმევ, მათ შორის — ცომეულს და ტკბილეულს. უბრალოდ ვვარჯიშობ და ფიზიკური აქტივობაც მიწევს, თუნდაც ბავშვების მოვლა ბევრ ენერგიას მოითხოვს, ჩემი სამი ბიჭის გამო სახლში დიდი ხმაურია. შესაბამისად სულ ტონუსში ვარ.

„იოგას ვვარჯიშობ, რაც ყველაფერში მეხმარება, თან ვისვენებ და ფორმაშიც ვარ“.

— ალბათ სწორად იკვებებით. როგორ აღგენთ რაციონს?

— სწორი კვება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერასდროს ვიცავ. საზღვარგარეთ როცა ვარ, იქ მეტი თავისუფალი დრო მაქვს იმისთვის, რომ თავს მივხედო. სწორი კვებაა, მიიღო საჭირო მინერალები, წვენები და ბევრი სითხე. ამ წესს კი ნამდვილად ვერ ვიცავ.

„საჯვებს საერთოდ არ ვიზღუდავ, რაც მინდა, ყველაფერს მივირთმევ, მათ შორის — ცომეულს და ტკბილეულს“.

— კანის მოსავლელად სახლში მომზადებულ ნიღბებს ნაკლებად ენდობით?

— ვენდობი, მაგრამ ამის დრო არ მაქვს. მირჩევნია, თუნდაც ჩემს კოსმეტოლოგთან წავიდე და მან ჩამიტაროს კანის მოვლის პროცედურები. საერთოდ, ყველა ქალს შეუძლია თავს მოუაროს, როგორც სალონში, ასევე — სახლის პირობებში.

— მაგნე ჩვევა თუ გაქვთ?

— მავნე ჩვევაა ალბათ ის, რომ ყავაზე უარს ვერ ვამბობ, ვერც ზუსტად ვიცავ ყველა მოთხოვნას, რაც სრულფასოვანი ჯანსაღი ცხოვრებისთვის არის საჭირო. ვცდილობ, დავაბალანსო — თუ რამდენიმე თვე ძალიან აქტიური რეჟიმით ვცხოვრობ, შემდეგ ერთი თვე მაინც ყველაფერს ვეთიშები და ვისვენებ.

— რომელი ქვეყნის ქალები მოგწონთ სილამაზით, მოვლილობით?

— სკანდინავიელ ქალებს გამოვარჩევდი. დანიელი ქალებით აღვფრთოვანდი, მაღლები და ლამაზები არიან.

— ქართველ ქალებზე რა აზრის ხართ, ევროპელებს ამ კუთხით ბევრად ჩამორჩებიან?

— საქართველოში ამის კულტურა და ტრადიცია ნამდვილად გვაქვს, თუმცა, სამწუხაროდ, იმის გამო, რომ უმრავლესობას უჭირს, ისე სრულფასოვნად მოვლილი ვერ არიან, როგორც ალბათ თავად სურთ. როცა გაჩნდება საშუალო ფენა, მეტი საშუალება იქნება ამისთვის, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ქართველი ქალი მოვლილია.

— თმის ფერას მოდა ხშირად იცვლება, ხან ქერაა მოდური, ხან — ყავისფერი. თქვენ კი მუდმივად ერთი ფერი გაქვთ. არ გიყვართ შეღებვა?

— თმის შეღებვა არ მიყვარს, ფერს არ ვიცვლი. ბავშვობაში შევიღებე, არ მომიხდა და ძალიან გამიჭირდა საკუთარი ფერის დაბრუნება.

— პლასტიკური ქირურგიით გარეგნობის კორექცია რამდენად მისაღებია თქვენთვის?

— მივესალმები პლასტიკურ ოპერაციებს. ქალს გარეგნობის გამო კომპლექსი თუ აწუხებს, მისთვის პლასტიკური ოპერაციით გალამაზება ყოველთვის დიდი ბედნიერებაა. ჯერ-ჯერობით არ მაქვს სურვილი, მაგრამ, როცა დამჭირდება, პლასტიკურ ქირურგს აუცილებლად მივმართავ.

— თქვენი დღის და ღამის მაკიაჟი განსხვავებულია?

— დღისით მაკიაჟს თითქმის არ ვიყენებ, თუ, რა თქმა უნდა, სადმე არ მივდივარ. ყოველთვის ვითვალისწინებ იმას, რომ არსებობს დღის და საღამოს მაკიაჟი. საერთოდ, სარკესთან დიდხანს ტრიალი არ მიყვარს.

— ქალმა სხეულის მოვლას უნდა დაუთმოს მეტი დრო თუ სახისას?

— ორივეს. ფორმაში ყოფნას ბევრი რამ სჭირდება, მაგრამ ადამიანმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა მოახერხოს, კარგად გამოიყურებოდეს.

— თუკი ფინანსები აქვს, არა?

— რა თქმა უნდა, ფინანსები საჭიროა, მაგრამ თუ მონდომებს, სახლის პირობებშიც შეიძლება კარგად გამოიყურებოდეს. იმისთვის, რომ ქალი ყოველთვის ლამაზი იყოს, პირადი ბედნიერებაა აუცილებელი. ეს გარეგნობაზე მაშინვე აისახება. ქალს სიყვარული ალამაზებს.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

თეა გობეჯიშვილი: „ჩემს შვილს რაღაც რომ აწუხებს, მაინც ღიმილით გიყურებს“

როგორ იზრუნა ნიტა ლომიძემ თოვლის ბაბუაზე

ოცეკვავე თეა გობეჯიშვილისა და შოუმენ ნიკა ლომიძის 9 წლის ქალიშვილი, ნიტა, მალე მშობლებს პოპულარობით უკან ჩამოიტოვებს. ამ ასაკში დათო დოიაშვილის მუსიკალურ სპექტაკლ „მუსიკის ჰანგებში“ და ორ საბავშვო კომედიურ ფილმში მიიღო მონაწილეობა. ახალ ფილმში „ცელქი ბავშვები: ოპერაცია ახალი წელი“ მოუსვენარ, ძალიან ცელქ, ცოტა ბოროტ წითურ გოგონას თამაშობს, ამ როლისთვის თმა სპეციალურად შეუღებეს. ცხოვრებაში კი უწყინარი და მშობლებისთვის „კომფორტული“ ბავშვია, უფროსებს კარგად უგებს, არ უყვარს წუწუნი და ჭიჭყინი. მამის ნებიერაა, რასაც დედა ცოტათი აპროტესტებს კიდეც, მაგრამ არაფერი გამოსდის.

ნიტას უკვე არჩეული აქვს პროფესიული „პრიორიტეტები“ — კინო, ცეკვა და სიმღერა. 4 წლიდან ტანვარჯიშზე დადის, წინ კი დედის, მკაცრი ქორეოგრაფის გაკვეთილები ელოდება.

— თეა, ნიტა ცხოვრებაშიც ასეთივე ცელქი და დაუდგრომელია, როგორიც ახალ ფილმში?

თეა: არა, ცელქი ბავშვი ნამდვილად არ არის, უბრალოდ ძალიან ენერგიულია. კარგი ზნე აქვს, ძალიან უპრეტენზიო, დამჯერი და დამყოლია. არ მახსოვს, რომელიმე ასაკში ნიტა ჭირვეული და

■ ნიტა მშობლებთან ერთად

თეა: „ნიტამ ძალიან ჯანგად იცის, როგორ მიუდგეს მამამისს, რომ გაუჯეთებელი გააჯეთებინოს. სულ ერთმანეთის გამახთილებაში ახიან. ერთად დადიან ჯაფეში, იწყობენ ვახშამს, ერთმანეთს საჩუქრებითაც ანებივრებენ“.

დამღლელი ყოფილიყოს. სასწაული ბავშვია, სულ ღიმილით იღვიძებს. რაღაცა რომ აწუხებდეს, მაინც ღიმილიანი სახით გიყურებს, ამით მამამისს ჰგავს. მამას დაემსგავსა კომუნიკაბელურობაშიც. უდაბნოში რომ დასვა, იქაც იპოვის გასართობს და თავს კომფორტულად

→36

■ თეა და ნიტა

იგრძნობს. ყველანაირ ადამიანთან საერთოს გამონახავს, ყველაფერი უხარია, ელემენტარული საჩუქარიც კი მისთვის დღესასწაულია.

ნიტა: ძალიან ცელქი ბავშვი ნამდვილად არ ვარ, ისეთი გოგო არ ვარ, როგორსაც ფილმში ვთამაშობ. მიყვარს ადამიანები, სცენა, კამერა და მხიარულება.

— თეა, შინ მარტო რომ დატოვოთ თქვენი შვილი, სახლს ყირაზე არ დააყენებს?

თეა: საერთოდ, ნიტას სახლში მარტო თითქმის არ ვტოვებ. ძალიან რისკიანი მაშინ გახლდით, როცა 18-20 წლის ვიყავი და ნიკუშა (პირველი ქორწინებიდან. ავტ.) მყავდა. სხვადასხვანაირი მიდგომები მაქვს უფროსი და უმცროსი შვილების მიმართ. ნიტაზე ტიპური ფეთიანი დედა გავხდი. თუ ნიკუშას პატარა სიცხე ჰქონდა ან რამე აწუხებდა, შემეძლო მაინც დამეტოვებინა და სადმე წავსულიყავი. ნიტას შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქითაა. ალბათ ეს ასაკის ბრალია. ადრე უფრო თავქარიანი ვიყავი, ახლა გამოცდილებამ ჩემში სხვა თვისებები გააღვიძა. მეზობელთანაც კი არ ვუშვებ მარტო, მეშინია, კიბეზე რამე არ დაიშავოს. ხანდახან ვფიქრობ, როგორ მოვახერხე და მთელი ერთი თვე მარტო გავუშვი „ანოს და ვანოს თავგადასავლის“ გადაღებებზე მწვანე კონცხზე. აღმოჩნდა, რომ უჩემოდ მშვენივრად გრძნობს თავს. ახლაც „ცელქი ბავშვების“ გადაღებებზე, თუ დამიჯერებთ, ერთხელაც არ მივსულვარ. დილით მიჰყავთ, საღამოს მოჰყავთ.

ნიტა: დედას და მამას გარეშე ყოფნა არ მიყვარს, რადგან მალე მენატრებიან, თუმცა ხანდახან ისიც მიხარია, დამოუკიდებლად რომ ვარ. მაგალითად, მწვანე კონცხზე ერთი თვე რომ ვიყავი, ძალიან ვიღლებოდი, მაგრამ ვიცოდი, ეს დედასთვის არ უნდა მეთქვა. ყოველღამე ძილის წინ ვნატრობდი, რა კარგი იქნება, ახლა დედიკოსთან და მამიკოსთან რომ ვიყო-მეთქი, მაგრამ ეს მარტო მე ვიცოდი. სახლში მარტო დარჩენა არ მიყვარს. ერთხელ ბებიასთან და ბაბუასთან ვიყავი, ნაგვის გადასაყრელად წავიდნენ და ერთი ადგილიდან არ გავნძრეულვარ, ისე მეშინოდა.

— ესე იგი ნიტა ძალიან მოწესრიგებული, შშვიდი გოგონა ყოფილა.

თეა: სამწუხაროდ, ვერ დავიკვეხნი, რომ წესრიგის მოყვარულია, პირიქით, სულ იმას ვეჩხუბები, გოგო ხარ და მეტად მოგეთხოვება ნივთების გაფრთხილება და მოწესრიგება-მეთქი. ერთი კარგი თვისება აქვს — ძალიან უყვარს თავისი ნივთებისა და ტანსაცმლის გაჩუქება. როცა ვინმე მოდის სტუმრად, აუცილებლად თავისი ოთახიდან რაღაც უნდა გაატანოს. რაც შეეხება ოთახის მილაგებას, ნამდვილი ბიჭივით იქცევა, თავდაყირა აყენებს.

— სკოლა უყვარს, კარგად სწავლობს?

თეა: ზარმაცი ნამდვილად არ არის, უბრალოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ყოველდღე დავდივართ ტანვარჯიშზე და ოთხი საათი ვარჯიშობს, სახლში რომ მოდის, თუ არ დავუჯექი და ვამეცადინე, ველარ მოასწრებს. დადის სიმღერაზეც. ახლა გადაღებების გამო ერთი თვე სკოლაში არ უვლია, მაგრამ არდადეგებზე დაჯდება და პროგრამას ამოქაჩავს.

ნიტა: მიყვარს სკოლა. ცელქი კლასელები მყავს, შესვენებაზე სულ დავრბივართ, ვცეკვავთ ან უბრალოდ ბევრს ვლაპარაკობთ. თითქმის ყველა საგანი მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებით მათემატიკა მომწონს. ადვილად ვხსნი ამოცანებს და მიხარია.

— თეა, დათო დოიაშვილის სპექტაკლ „მუსიკის ჰანგებში“ როგორ მოხვდა ნიტა, თქვენ შესთავაზეთ რეჟისორს თუ თვითონ მიიწვიეს?

თეა: სხვათა შორის, მე არ მომინდომებია, ამ სპექტაკლში ნიტა ჩაერთოთ. მაშინ 6 წლისაც არ იყო. დიო ჩვენი ოჯახის მეგობარია, იცოდა ნიტას შესაძლებლობები, რომ საოცრად პლასტიკური ბავშვი იყო და ცოტას მღეროდა კიდეც. თავიდან ვერც კი წარმოვიდგინე, ასეთი პატარა სცენაზე როგორ უნდა გაეყვანა. ნიტას ძალიან მოეწონა მუშაობა. ბუნებით არის ისეთი, რომ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. როდესაც ჩვენთან ჟურნალისტები მოდიოდნენ, რომლებიც სულ არ აპირებდნენ მის გადაღებას, ის ყველაფერს აკეთებდა, მათ ყურადღებას იქცევდა და ფოტოობიექტივის წინ პოზირებდა. ამ პროცესზე გიჟდება.

ნიტა: „ოცა თოვლის ბაბუასთვის ნეჰიილს ვნეჰდი, მივხვდი, ომ ეს ძაღიან ჯეთიღი ადამიანი მსოფღიოში ყველა ბავშვზე ზჰუნავს, მასზე ჯი აჰავინ ფიქჰობს, ამიტომ მე ვიზჰუნე მის საჩუქაჰზე, ჰაღაცეები შევუგჰოვე და გავუგზავნე".

ნიტა: ძალიან მიყვარს სცენა და კამერასთან მუშაობა, დიდ ადამიანებთან ურთიერთობა. ხანდახან ვიღლები, მაგრამ არა უშავს. მაგალითად, „მუსიკის ჰანგებზე“ მუშაობისას, მახსოვს, დაღლილობისგან როგორ მეძინებოდა. ამ დროს, რომ არ შემემჩნეს, თამაშს ვიწყებ. „ცელქი ბავშვების“ გადასაღებ მოედანზე პატარა მაღაზია მოვაწყვე და პროდუქტებს „ვყიდდი“.

— თეა, სათ ხედავთ ნიტას მომავალს?

თეა: დარწმუნებული ვარ, კარგი მოცეკვავე იქნება, კარგი გამომსახველობითი უნარი აქვს. 4 წლიდან შევიყვანე ტანვარჯიშზე. ყველა გოგოს მშობელს ვურჩევ, რომ შვილი 4 წლიდან ტანვარჯიშზე ატარონ. სამი წელი საკმარისია, რომ ბავშვი პლასტიკური გახდეს და შემდეგ ყველანაირი ცეკვისათვის იდეალურ ფორმაში იქნება.

— ნიტას ცეკვას თვითონ ასწავლით?

თეა: როცა გადაღებისთვის სჭირდება რაიმე ცეკვა, მაშინ ვეხმარები. შვილთან ძალიან რთულია, ქორეოგრაფი იყო, ყოველ შემთხვევაში, სახლის პირობებში ეს შეუძლებელია. ძალიან უყვარს ჩემთან სტუდიაში მოსვლა. გიჟდება, როდესაც მოცეკვავე ბიჭები ჰაერში აიტაცებენ და რაღაც ილეთებს აკეთებინებენ.

ნიტა: ჯერჯერობით არ მაქვს გადაწყვეტილი, რა მინდა მომავალში. მე რომ მკითხო, ყველაფერი ერთად მინდა — მსახიობობა, მომღერლობა და ცეკვა.

— თეა, როგორი მიდგომა გაქვთ შვილებთან, მკაცრი თუ რბილი?

თეა: ორივე შვილმა ძალიან კარგად იცის, რა ზღვარს არ უნდა გადასცდნენ. ორივეს უდავოდ აქვს მშობლების პატივისცემა. მათთან ურთიერთობაში სერიოზული პრობლემა არ მქონია. ვაღიარებ, რომ ნიკუშას მიმართ უფრო მკაცრი ვიყავი. არ ვიცი, ეს რისი ბრალია, შეიძლება იმის, რომ ის ბიჭია და უფრო მეტი თვალყური და ყურადღება სჭირდებოდა. ნიტასთან კი ერთი გახედვაც საკმარისია, რომ მიხვდეს, რას აკეთებს არასწორად. ნიკუშა კარგი დემაგოგია, ყოველთვის ცდილობს, საწინააღმდეგო დაგიმტკიცოს და იმდენს გელაპარაკება, სანამ შავზე არ დაგაჯერებს, თეთრიაო.

ნიტა: „ძაღიან მიყვაჰს სცენა და ჯამეჰასთან მუშაობა, ღიდ ადამიანებთან ურთიერთობა. ზანდახან ვიღღები, მაგჰამ ჰა უშავს".

— შვილებთან ხმის აწევა გჭირდებათ?

თეა: არა, სახლში არასოდეს ვიკივლებ. ყოფილა შემთხვევა, ნიკუშას მდგომარეობიდან გამოვუყვანივარ და ცოტა მიმიტყეპავს, მაგრამ ძალიან უნდა ეცადოს, რომ ამ ეტაპამდე მიმიყვანოს. ნიტასთან ასეთი რამეები არ მახსენდება. ვცდილობ, ჩემი მშვიდი ლაპარაკით და გაწონასწორებული ხასიათით მოვაგვარო პრობლემები შვილებთან.

— ნიტა პრანჭია გოგონაა?

თეა: ზუსტად ახლა აქვს ის ეტაპი, როდესაც პრანჭიობა დაიწყო და დამოუკიდებლად წყვეტს, რა ჩაიცვას. განსაკუთრებულად უყვარს კაბები.

ნიტა: შარვლები ნაკლებად მიყვარს, ძალიან მიყვარს დედას გარდერობი.

თეა: შეიძლება ითქვას, რომ ჩემს გარდერობში ცხოვრობს. ერთხელ საზღვარგარეთ მომიწია წასვლა და ნიკასთან ერთად ჩვენს ლოგინში ეძინა. მიზეზად დაასახელა, დედა მენატრებაო. ერთხელ უცხოეთში დამირეკეს და მითხრეს, ნიტას ისე ენატრები, შენს საწოლში შენი პერანგი აცვია და ისე იძინებსო. რომ ჩამოვედი, ის პერანგი საღამოს კაბა აღმოჩნდა. ნიტას ქცევებში არაფერი მიკვირს, მეც ვიყავი პატარა და ყველაფერ ბრჭყვიალაზე ვგიჟდებოდი. ეს სიყვარული დღემდე შემომრჩა. ალბათ პროფესიული თვისებაცაა.

— მამა-შვილის ურთიერთობა როგორია?

თეა: ეს არის ნამდვილი იდილია, ნიკასა და ნიტას ურთიერთობაზე

უკეთესი ვერაფერი წარმომიდგენია. ნიტამ ძალიან კარგად იცის, როგორ მიუდგეს მამამისს, რომ გაუკეთებელი გააკეთებინოს. სულ ერთმანეთის გამართლებაში არიან. ერთად დადიან კაფეში, იწყობენ ვახშამს, ხანდახან მეც შევუერთდები ხოლმე. ერთმანეთს საჩუქრებიც ანებივრებენ. მე კი მგონია, რომ ბავშვის ბევრი საჩუქრით განებივრება არ შეიძლება. არ არის აუცილებელი, ყოველდღე რაღაც აჩუქო. ნიკა ამ ყველაფერს სერიოზული სახით ისმენს და მაინც იმავეს აკეთებს. ნიკასგან განსხვავებით, ვერაფრით წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ზღვაში შეხვიდე და სამი საათი ნიტას ეთამაშო. არანორმალურად უგებენ ერთმანეთს!

— არ გეშინიათ, რომ ის ყველაფერი, რაც ახლა ნიტას გარშემო ხდება, საზიანო არ აღმოჩნდეს მისი პიროვნებისთვის, თუნდაც პატარა ასაკში პოპულარობის ხიბლი, ყურადღების ცენტრში ყოფნა?

თეა: როგორც აღვნიშნე, ნიტა კარგი ზნის ბავშვია. ჯერჯერობით მის გარშემო მოვლენებს არასწორად არ აღიქვამს, რაც ძალიან მახარებს. სულ მეშინოდა, თავისი მსახიობობით და იმ ყურადღებით, რაც მის მიმართ არის, ზედმეტად მატრაკვეცა არ გამხდარიყო.

— ნიტას არ უნდა, კიდევ ჰყავდეს და-ძმა?

თეა: კი, უნდა, რომ მასზე უმცროსი და-ძმა ჰყავდეს, მაგრამ ჯერ ამაზე არ ვფიქრობთ. ხანდახან მთელი დღე სჭირდება ნიტაზე ზრუნვას, ამიტომ ძნელია კიდევ ერთი ბავშვი დაგეგმო. ჩემი ცხოვრება ისეთ რიტმშია, მუდმივად დროის დეფიციტს განვიცდი. ვერ ვრისკავ, კიდევ ერთი შვილი გავაჩინო. თუ ეს მოხდება, მინდა, მესამეც გოგო იყოს. ვგიჟდები გოგოებზე!

— ნიტა, თოვლის ბაბუა გისრულებს ხოლმე სურვილებს?

ნიტა: ყოველთვის მიხარია ახალი წლის მოსვლა, რადგან მომწონს ჯადოსნური სამყარო, მიყვარს თოვლი და ნაძვის ხე. ყოველთვის მონაწილეობას ვიღებ მის აწყობაში, თან სათამაშოებსაც ვამტვრევ. იცით, ახალი წლის ღამეს რა ჩავიფიქრე? მინდა, მშვიდობიანი და ყველასთვის კარგი ახალი წელი იყოს. როცა თოვლის ბაბუასთვის წერილს ვწერდი, მივხვდი, რომ ეს ძალიან კეთილი ადამიანი მსოფლიოში ყველა ბავშვზე ზრუნავს, მასზე კი არავინ ფიქრობს, ამიტომ მე ვიზრუნე მის საჩუქარზე, რაღაცეები შევუგროვე და გავუგზავნე. კარგი იქნება, თუ სხვა ბავშვებიც ჩემნაირად მოიქცევიან.

✓ ავთო ჩიტაძე

**თეა: „ეს ეს ეს

ვიქტორია სიკრეტის „ანგელოზები“ ცირკის არენაზე

ყოველი წლის ბოლოს ვიქტორია სიკრეტის „ანგელოზები“ ნიუ იორკში ყველაზე მასშტაბურ შოუს აწყობენ. ეს ჩვენება მოდის სფეროში განსხვავდება ყველაფრით — ორიგინალური საცვლებითა და ცეცხლოვანი ატმოსფეროთი. ამ დღეს მსოფლიოს წამყვან მოდელებს პოდიუმზე მკაცრი სახით სიარული არ მოეთხოვებათ, რაც შეიძლება მეტი ღიმილი და სექსუალური ენერგია.

2012 წლის შოუს მთავარი თემა ცირკი იყო. ორიგინალური დეკორაციები, საოცარი სადღესასწაულო კოსტიუმები, პოპულარული მომღერლები და მომხიბვლელი მოდელები. ამ ყველაფერმა შექმნა შოუ, რომელიც მნახველს მთელი წელი არ უნდა დაავიწყდეს. წელს ჩვენებაში მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მოდელები გამოვიდნენ — დატცენ კრეზი, კარლი კლოსი, ადრიანა ლიმა, ალესანდრა ამბროსიო, მირანდა კერი და სხვა ლამაზმანები. ისინი რიანას, ჯასტინ ბიბერის და ბრუნო მარსის ცოცხალი შესრულების ფონზე გამოვიდნენ პოდიუმზე.

ბრაზილიელ ალესანდრა ამბროსიოს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული, 2,5 მილიონ დოლარად ღირებული ბიუსტჰალტერი ეცვა, რომელიც ბრილიანტებით, ლალის თვლებითა და საფირონით იყო გაწყობილი.

როგორ მოგზაურობენ კოტე ფურცელაძე და „ბედნიერება“

„ფრანგი გოგონების თვალებში ხვალინდელზე ფიქრს ვერ ამოიკითხავთ, ჩვენი გოგოები კი ძალიან დარდიანები არიან“

ქორეოგრაფ კოტე ფურცელაძისთვის მოგზაურობის დროს მთავარია, ვინ ჰყავს გვერდით. თუ კოლექტივი არ მოეწონა, შეიძლება გასტროლი გადადოს კიდეც. ყველაზე მეტად მეგობრებთან ერთად უყვარს უცხო ქვეყნების დათვალიერება. „ბედნიერება“ — ასე ეწოდება მეგობრების ჯგუფს. შეიყრებიან, ერთ დღეში გადაწყვეტენ გამგზავრებას, გააკეთებენ ვიზებს, ჩასხდებიან თვითმფრინავში და დაუვიწყარი მოგზაურობაც იწყება.

კოტე ფურცელაძე:

— მოგზაურობა იმდენად მიყვარს, რომ ამაზე დიდი სიამოვნება არაფერი მგონია. ჩემთვის მთავარია, ვისთან ერთად ვმოგზაურობ, თორემ ქვეყანას მნიშვნელობა არ აქვს. თუ კოლექტივი არ მომეწონება, შემიძლია გასტროლიც კი გადავდო. ვყოფილვარ ქვეყანაში, რომელიც ყველას უყვარს, მაგრამ მე დიდად არ აღვფრთოვანებულვარ და მხოლოდ იმიტომ, რომ სასურველ ხალხთან ერთად არ ვიყავი. როცა სამეგობროდან ბევრნი ვმოგზაურობთ ერთად, ეს ყველაზე კარგია.

— ვინ არიან თქვენი ბედნიერი თანამგზავრები?

— ძირითადად დათო დოიაშვილთან, დათუნა გერსამიასთან, მათ მეუღლეებთან, ეკა კახიანთან, ნატო მეტონიძესთან ერთად ვმოგზაურობ. ჩვენს ჯგუფს „ბედნიერება“ დავარქვით. უცებ გადავწყვეტთ ხოლმე სადღაც გაფრენას და მივდივართ. მაგალითად, ერთხელ ისრაელში რომ მოვინდომეთ წასვლა, ვიზებიც არ გვქონდა. ეკა კახიანს ხომ პასპორტიც არ გააჩნდა. ერთ დღეში გავაკეთეთ ვიზებიც, პასპორტიც და ჯგუფი „ბედნიერება“ იმავე დღეს გავფრინდით.

— რა ხდება, როცა „ბედნიერება“ მოგზაურობს?

— დოი (რეჟისორი დათო დოიაშვილი. ავტ.) არაჩვეულებრივი თანამგზავრია. ყოველთვის კარგ ხასიათზეა, ბედნიერია და სულ ცდილობს, სხვას ასიამოვნოს. დათუნა გერსამია ხომ მოგზაურობისას თავისი ხუმრობებითა და კურიოზებით გენიალურია! ნიკა მემანიშვილი ძირითადად დისკების მაღაზიებში დადის და სიდებს აგროვებს. აღარ ვეძებთ ხოლმე, ისედაც ვიცით, სად იქნება. დოის შოპინგი ძალიან უყვარს. წამომყევიო, მეტყვის ხოლმე, მოივლის მთელ ქალაქს და არ დაიღლება. მე კი ამ დროს მისგან თავის დასაღწევად ვითომ ვიკარგები. დოი ისე ერთობა მაღაზიებში სიარულით, ვეღარც კი ამჩნევს, მის გვერდით რომ აღარ ვარ. საღამოს ერთმანეთს რომ შევხვდებით, მერე მეკითხება, სად იყავიო.

„ძალიან ბევრი სისხლი მიხევია. ჯონჯიტუელად ახლ ქართველი ვარ და ახლ უკრაინელი. სადაც ჩავდივარ, იქაურს ვგავარ. ევროპაში ყველას იქაური ვგონივარ და მისამართებს მეკითხებიან. ისრაელში ხალხს ებრაელი ვგონივარ, თურქეთში ჯი — თურქი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბღანგე მაქვს“.

— თქვენ არ გიყვართ საყიდლებზე სიარული?

— როგორ არა, მაგრამ ვიცი, კონკრეტულად რა მჭირდება და მივდივარ იქ, სადაც იმ ნივთის შეძენა შეიძლება. სხვა შემთხვევაში არც კი შევდივარ მაღაზიებში. ძირითადად მეგობრებისთვის საჩუქრების ყიდვა

„პირამიდებით მაინცდამაინც ვერ აღვფრთოვანდი, ძალიან დიდი მეგონა და პატარა დამხვდა. ის სასწაული, რასაც მოველოდი, ვერ ვნახე“.

მიყვარს. ქვეყნიდან, რომელიც ჩემზე რაღაც შთაბეჭდილებას დატოვებს, აუცილებლად მომაქვს სუვენირი. საზღვარგარეთ უფრო სხვა რაღაცეები მაინტერესებს.

— რა არის ეს „სხვა რაღაცეები“?

— ღირსშესანიშნაობები. „ბედნიერება“ პარიზში ვიყავით. დოიმ გვითხრა, არ მინდა თქვენი ლუვრიო და წავედით მე და ნატო მეტონიძე. როცა ნიკეს ქანდაკება ვნახე, გაოცება ვერ დავმალე. რომ მივუახლოვდი, მეგონა, ჩემკენ მოფრინავდა. ნამდვილი შოკი მივიღე! მოვიარეთ ლუვრი და ქუჩას ისე გავუყევით, არ ვიცოდით, სად მივდიოდით. მოულოდნელად ნოტრდამის ტაძართან აღმოვჩნდით.

— ზოგადად უცხო ქალაქში გზებს როგორ იგნებთ ხოლმე?

— ამდენ ბოდიალში ყველა კუთხე-კუნჭულს ვითვისებ. ჩვენი

■ ეგვიპტეში

თეატრის თანამშრომლები, ანანო მოსიძე და ნინო გალიგაშვილიც თან დაგვყავს ხოლმე. ორივეს ძალიან კარგი ორიენტაციის უნარი აქვს. ხშირად ვიპარებით და ვბოდიალობთ. სადაც ჩავდივარ, მაშინვე ტერიტორიის ათვისებას ვიწყებ. 5 წუთში უკვე ვიცი, სად რა ქუჩა, მუზეუმი და ტაძარია. ძველ ქუჩებში სიარული, კაფეებში ჯდომა და ყავის სმა ძალიან მიყვარს. ჩემთვის მარტო მოგზაურობაც დიდი ბედნიერებაა. მაგალითად, პარიზსა და ლონდონში მარტო ბოდიალი ძალიან მიყვარს.

როცა ძალიან გადავიღლები, ჩემი დასვენება მარტო მოგზაურობაა. სამი დღითაც შემიძლია სადმე გავფრინდე მხოლოდ იმიტომ, რომ სიტუაცია შევიცვალო, განვიტვირთო.

— ყველაზე მძაფრი, მკვეთრი შთაბეჭდილებები რომელი ქვეყნიდან ჩამოგყვათ?

— გია ნაცვლიშვილი (ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი. რედ.) და მისი ცოლი ჩემი მეგობრები არიან. ატყდა გია, ეგვიპტეში ძიუდოს ტურნირია, ქართველები ჭიდაობენ და საგულშემატკივროდ წავიდეთო. შევიკრიბეთ „ბედნიერება“ და წავედით. ვერ გეტყვით, რომ კაირომ დიდი შთაბეჭდილება დამიტოვა. პირამიდებით მაინცდამაინც ვერ აღვფრთოვანდი, ძალიან დიდი მეგონა და პატარა დამხვდა. ის სასწაული, რასაც მოველოდი, ვერ ვნახე, მაგრამ სამეგობრომ არნახული დრო ვატარეთ. დოი ყოველ დილით ტურნირზე გარბოდა და ქართველებს ქომაგობდა.

გვითხრეს, საჰარაში შეიძლება ბედუინებმა მოგიტაცონ და გაგყიდონო. შევშინდით, მაგრამ მაინც წავედით. ეს შთამბეჭდავი გასართობი იყო.

განსაკუთრებული განცდები კი იერუსალიმმა დამიტოვა. ისრაელში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, მაგრამ ერთი ვიზიტი განსაკუთრებულად მახსენდება. ჩვენი უახლოესი მეგობარი, ნინო გილიგაშვილი იყო ისრაელში და სამეგობრომ ვთქვით, ჩავაკითხოთთქო. ის მხოლოდ ერთს ელოდა და მოულოდნელად ათნი დავადექით. მაგარი დრო ვატარეთ. ყველაფერი დავათვალიერეთ. იერუსალიმი და თელ ავივი მოვიარეთ. იერუსალიმი არის ქალაქი, სადაც ყოველ ნაბიჯზე სასწაული ხდება. ის აღფრთოვანება არასოდეს დამავიწყდება, როცა ღვთისმშობლის ტაძრიდან ვია დე ლა როსაზე პირველად გავიარეთ და იმ სასწაულ ტაძართან მივედით, სადაც იესო ქრისტეს საფლავია. იერუსალიმი სულ მენატრება. როცა იქ მეორედ ჩავედით და ტაძარში შევედით, ჩვენ გარდა არავინ იყო. ვია დე ლა როსას გზის ძებნა დავიწყეთ და →40

Cyan Magenta Yellow Black

დავიკარგეთ. რაღაც ქუჩაზე ჩავედით და უცებ მიწისქვეშა გვირაბში მოვხვდით, სადაც ცხვრებს კლავდნენ და მერე იქაურობას სისხლით რეცხდნენ. ნამდვილ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდით, საშინელი გარემო იყო! ბავშვები ველოსიპედებით დარბოდნენ და ჩხაოდნენ. თავი საშინელებათა ფილმში გვეგონა, კიდევ კარგი, ბევრნი ვიყავით. ვფიქრობ, ღმერთმა გვანიშნა, თუ სწორად იცხოვრებთ და ილოცებთ, მაღლა იქნებით, თუ არა, საპირისპიროც ხომ გაჩვენეთო.

— როცა გასტროლებზე ხართ, გართობისთვის, თვალიერებისთვის დრო გრჩებათ?

— ასე თუ ისე, მაინც ვახერხებთ. ყველაზე დიდი ხნით დოისთან ერთად ხორვატიაში ვიყავი, სპექტაკლს ვდგამდით. მერე „ბედნიერებაც“ ჩამოვიდა. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. აქვეა ვენეცია და რატომ არ უნდა ვნახოთო. მეზარება-მეთქი, ვთქვი და ღამის მომკლეს, მაინც წამიყვანეს.

ედინბურგშიც დიდი ხნით გახლდით, მაგრამ ძირითადად სამუშაოზე ვიყავით გადართული და გართობას ვერ ვახერხებდით. გასტროლების დროს რაღაცის დათვალიერება შეიძლება მოვასწრო, მაგრამ მაინც სპექტაკლზე ვარ კონცენტრირებული.

— თქვენი პროფესიის ადამიანისათვის შემოქმედებითად ყველაზე საინტერესო ქვეყანა რომელია?

— საფრანგეთი და ინგლისი. პარიზის ოპერის თეატრში სასწაულები ხდება. ბოლოს ლონდონში „კარმენის“ პრემიერა გვქონდა. იმ სიტუაციაში ძალიან ჩავეფალი. მიუზიკლები, ჯორჯ მაიკლის კონცერტები, ახალი ფილმის პრეზენტაციები... ქალაქი გამუდმებით ქუხს.

— უცხო ერის წარმომადგენლებს ადვილად უგებთ?

— ძალიან ბევრი სისხლი მირევია. კონკრეტულად არც ქართველი ვარ და არც უკრაინელი. სადაც ჩავდივარ, იქაურს ვგავარ. ევროპაში ყველას იქაური ვგონივარ და მისამართებს მეკითხებიან. ისრაელში ხალხს ებრაელი ვგონივარ, თურქეთში კი — თურქი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბლანჟე მაქვს. მცირე ხნით ყველა ქვეყანაში ვიცხოვრებდი, მაგრამ სამუდამოდ ალბათ ვერსად დავრჩები. მეგაპოლისებიც არ მიყვარს. აუცილებლად დედაქალაქში და თან მშვიდ უბანში უნდა ვცხოვრობდე.

— უსიამოვნო განცდები თუ გამოგყოლიათ რომელიმე ქვეყნიდან?

— დიახ. კოლუმბიაში ფესტივალზე ვიყავით. იმხელა გზა გვქონდა გასავლელი, ვიხვეწებოდი, სიიდან ამომაგდეთ-მეთქი, მაგრამ ვინ მომისმინა. ჩავედით და საშინელება დამხვდა! ჟანგბადი საერთოდ არ იყო, ძლივს ვსუნთქავდი. თან ერთი კვირით ვიყავით და, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაგვემართებოდა. წნევამ ამიწია.

— თვითმფრინავს როგორ ეგუებით?

— თვითმფრინავთან გადასარევი დამოკიდებულება მაქვს. ჯიბეში პატარა წიგნი

■ მუსკომედიის დასი კოლუმბიაში

„დოის მოჰინგი ძალიან უყვარს. წამომყევიო, მეტყვის ხოლმე, მოივლის მთელ ქალაქს და არ დაიღლება. მე ჯი ამ ლხოს მისგან თავის დასაღწევად ვითომ ვიჯარგები. დოი ისე ეთითობა მაღაზიებში სიარულით, ვეღარც ჯი ამჩნევს, მის გვერდით ხომ აღარ ვარ“.

ყოველთვის მიდევს. წიგნებით ჩემი მეგობარი მამარაგებს, ისიც ჩემსავით დეტექტივებითაა გატაცებული. როცა „ბედნიერება“ ერთად მივემგზავრებით, მაშინ რამდენიმე წიგნი მიმაქვს. ვიცი, რომელიმეს მაინც მოუნდება განცალკევება და წაკითხვა.

— დიდი ბარგით მგზავრობთ?

— იმდენ ტანსაცმელს ვალაგებ, ჩემოდანი იძეძგება. მერე ვიწყებ ფიქრს, რა მჭირდება და ვიწყებ ამოლაგებას. ზოგჯერ უზომოდ ბევრი მიმაქვს. რასაც არასდროს დავტოვებ, სუნამო და შამპუნია.

— ყველაზე ლამაზი ქალები სად ნახეთ?

— საფრანგეთში. პარიზში რაღაცნაირი ქალები არიან, ტრადიციულად ლამაზები და ეშხიანები არ არიან, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული შარმი აქვთ, რაც მათი საქციელითა და ჩაცმულობით გამოიხატება. არა მგონია, ქართველ გოგოებს სჯობდნენ, მაგრამ ისეთი ხიბლი აქვთ, რაც ძალიან მინდა, რომ ჩვენს გოგონებსაც ჰქონდეთ. შეიძლება მეჩვენება, მაგრამ ფრანგი გოგონების თვალებში ხვალინდელზე ფიქრს ვერ ამოიკითხავთ, ჩვენი გოგოები კი ძალიან დარდიანები არიან. წლებია, თეატრალურ უნივერსიტეტში ვასწავლი. გამოცდაზე 16-17 წლის გოგოს ნერვიულობისგან ისე აკანკალებს... ასეთი რამ სხვაგან არსად მინახავს.

— „ბედნიერება“ ალბათ არც ეგზოტიკური კერძების გასინჯვის ბედნიერებაზე ამბობს უარს.

— მწარე და მჟავე არ მიყვარს, ღორის ხორცს ნაკლებად ვეტანები, ფრინველი და თევზეული მიყვარს. რაც არ მიყვარს, იმის ჭამას ისევ შემწვარი კარტოფილი მირჩევნია. ჩემი მეგობრები ხშირად ხუმრობენ, თუ საკვები ეკოლოგიურად სუფთა არაა, ახლოს არ ეკარებიო. კერძს თუ შევხედე და ვერ მივხვდი, რა არის, არ შევჭამ. კოლუმბიაში თევზისგან ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებენ. საფრანგეთის სამზარეულოც მომწონს. ჩემმა მეგობარმა ფრანგული რეცეპტით გაკეთებულ ბაყაყზე დამპატიჟა და უგემრიელესი იყო.

— უახლოეს მომავალში სად აპირებთ გამგზავრებას?

— 15 იანვარს ინდოეთში, კერალაში, საერთაშორისო ფესტივალზე „კარმენი“ მიგვაქვს. 10 დღით მივემგზავრებით და მხოლოდ ერთი სპექტაკლი გვაქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დავისვენებ კიდეც.

— დაბოლოს, ყველაზე კარგად რა გარემოში, სად ისვენებთ?

— ყველაზე კარგად ჩემს სახლში ვისვენებ. ბინაც ისე მოვიწყვე, რომ სიმშვიდე მქონდეს. შემიძლია მთელი დღე წიგნი ვიკითხო ან ისე დავიძინო, ღამეც გადავაბა. ჩემს სახლში ბევრი ხალხი არ მიყვარს, თუ სამეგობროს არ ჩავთვლით.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

უილიამსბურგი – მოგზაურობა მე-18 საუკუნის ამერიკაში

უილიამსბურგი აშშ-ის ვირჯინიის შტატში მდებარე დამოუკიდებელი ქალაქია. 1699-1779 წლებში ის კოლონიური ვირჯინიის დედაქალაქს წარმოადგენდა. ამჟამად პოპულარული ტურისტული ცენტრია, კონტრასტებით სავსე ქალაქი, სადაც თანამედროვე არქიტექტურული ძეგლები და შუა საუკუნეების ფართო ქუჩები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. ორ მდინარეს, იორკსა და ჯეიმეის შორის მდებარე ქალაქი საუკეთესო ადგილია ოჯახური დასვენებისათვის.

ჯიმატი

უილიამსბურგში ზამთარი ზომიერია სხვა ამერიკულ კონტინენტურ ქალაქებთან შედარებით. დღისით 20 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურა იშვიათობაა. ზამთარში კი ღამით ტემპერატურა 10 გრადუსზე დაბლა არ ეცემა. ზამთარში წვიმა უფრო ხშირია, ვიდრე თოვლი.

ზაფხულის თვეებში მი-

Cyan Magenta Yellow Black

ნიმალური ტემპერატურა 32 გრადუსია. გაითვალისწინეთ, რომ უილიამსბურგში გაზაფხული ძალიან წვიმიანია. მოგზაურობისთვის საუკეთესო პერიოდად ივლისი ითვლება.

ენა

უილიამსბურგის, ისევე როგორც მთელი აშშ-ის სახელმწიფო ენად ინგლისურია გამოცხადებული. სახელმწიფო ენას ნებისმიერი ემიგრანტი კარგად ფლობს. მოსახლეობის 80% ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს, ხოლო დანარჩენი 20% ფრანგულსა და რუსულ ენებზე. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფრანგული მეორად ენად ისწავლება.

თუ არც ინგლისური იცით, არც ფრანგული და რუსული, ენობრივი ბარიერი მაინც არ შეგექმნებათ, რადგან ქალაქი სავსეა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ჩასული ემიგრანტებით.

ფული

ამერიკული დოლარი უილიამსბურგის ოფიციალური ვალუტაა. როგორც ცნობილია, ამერიკული დოლარით არამარტო შტატებში, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფლად ისარგებლებთ. ტურისტებს სხვა სახის ვალუტა იშვიათად ჩააქვთ, მაგრამ, რომც ჰქონდეთ, არც ესაა პრობლემა, რადგან ვალუტის გადაცვლა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შეგიძლიათ.

■ უილიამსბურგის ქუჩებში

უილიამსბურგი არცთუ ძვირი ქალაქია. იქ ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე ტურისტს ადვილად დაეკმაყოფილებენ. ამ ქალაქში განსაკუთრებით იაფია საკვები, მით უმეტეს, თუ სწრაფი კვების ობიექტებს მიაკითხავთ.

გადაადგილება

უილიამსბურგს საკუთარი საერთაშორისო აეროპორტი აქვს, რიჩმონდისა და ნორფოლკის აეროპორტებიდან კი ქალაქამდე ერთი საათის სავალია. მისი

მიმართულებით შტატებიდან ავტობუსები ყოველდღიურად გადიან. მატარებლით მგზავრობა კომფორტულთან ერთად უსაფრთხოცაა. რიჩმონდიდან, ნიუ იორკიდან, ვაშინგტონიდან და ბოსტონიდან უილიამსბურგის მიმართულებით მატარებლის რეისები ყოველდღიურად სრულდება.

ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ცოტა არ იყოს, შეზღუდულია. ადგილობრივები, ისევ როგორც ტურისტები, ავტობუსით, მანქანით ან ტაქსით გადაადგილდებიან. ყველაზე იაფ ტრანსპორტს, რა თქმა უნდა, ავტობუსი წარმოადგენს. ამ პატარა ქალაქში უამრავ ფეხით მოსიარულეს შეხვდებით. ადგილობრივების უმეტესობა სამსახურში ფეხით დადის.

ტაქსით მგზავრობის ღირებულება კილომეტრობით განისაზღვრება და 1 კმ-ის ფასი 2,5 დოლარია. თითქმის ყველა ადგილობრივს საკუთარი ავტომობილი ჰყავს და პარკირებისათვის ყოველთვიურად გარკვეულ საფასურს იხდიან. ამ საფასურის გადახდა მანქანის დაქირავების შემთხვევაში თქვენც მოგიწევთ. წლის ნებისმიერ სეზონზე სააგენტოები გაცილებით მეტ ველოსიპედს აქირავებენ, ვიდრე მანქანას. გირჩევთ, გადაადგილებისთვის სპეციალური რუკა შეიძინოთ, რომლის ყიდვასაც ნებისმიერ სადგურში შეძლებთ.

სამზახეული

რთულია მოკლედ დაახასიათო ისეთი ფართო და მრავალფეროვანი ქვეყნის სამზარეულო, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ევროპული კულინარიის, იტალიური, ფრანგული თუ ესპანური ტრადიციების იმპორტმა ამერიკულ მიწაზე დიდი სახეცვლილება განიცადა. საუკუნეების განმავლობაში ამერიკული სამზარეულო მდიდრდებოდა ჩინელი, აფრიკელი თუ ებრაელი იმიგრანტების მიერ.

და მაინც, არსებობს რამდენიმე ძირითადი ინგრედიენტი, რომელიც საფუძვლად უდევს ამერიკულ სამზარეულოს. სიმინდს, გოგრას და ლობიოს — ამ სამეულს, რომელსაც მკვიდრი ამერიკელები „სამი დის“ სახელით მოიხსენიებდნენ, ფართოდ მოიხმარენ. ტიპური ამერიკული კერძები ყველაფრის ნაზავს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ამერიკული სამზარეულო გასაოცარ, ოდნავ შოკისმომგვრელ შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს. ბევრი ნაციონალური კერძი ბრინჯით მზადდება. მაგალითად, კრეოლური ჯამბალაია, რომელიც ამერიკაში „ჭუჭყიანი ბრინჯის“ სახელითაა ცნობილი, ქათმის ღვიძლით ან შიგნეულითა და მუქი ფერის ბრინჯით მზადდება.

ადგილობრივებს ძალიან უყვართ ღია ცის ქვეშ გრილზე შემწვარი ხორცი ან თევზი. ეს ბარბექიუს ტრადიციაა, რომელიც მინიმალურ ცერემონიალს გულისხმობს და ამერიკელები ხშირად მართავენ მეგობრული თავშეყრის დროს.

იტალიელებმა ქალაქს ჩიზქეიქითა და პიცით გაუთქვეს სახელი. აქ, ისევე როგორ ბევრ ამერიკულ ქალაქში, გაზიანი სასმელების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ, ამიტომ, მიუხედავად იმისა, მოითხოვთ თუ არა, მომსახურე პერსონალი მაინც მოგიტანთ. ამ ქალაქის მცხოვრებთ ძალიან უყვართ ჭამა და ქუჩაშიც კი ჰოთ დოგები უჭირავთ ხელში.

ყავა და ჩაი ერთნაირად მოთხოვნადია. ალკოჰოლიდან კი, იქიდან გამომდინარე, რომ უილიამსბურგში შტატის ყველაზე დიდი ღვინის ქარხანა მდებარეობს, უპირატესობა ღვინოს ენიჭება.

ღირსშესანიშნაობები

პირველი, რაც ამ პატარა ამერიკულ ქალაქში თვალში მოგხვდებათ, სიწყნარე და ფართო ქუჩებია. ტრადიციულად, ზაფხულობით კოლონიური ვირჯინიის ყოფილი დედაქალაქი სტუდენტებისაგან ისვენებს.

კოლონიური უილიამსბურგი შტატებში ყველაზე დიდი ცოცხალი ისტორიული მუზეუმია. ქალაქის ისტორიულ ნაწილში ხშირად შეხვდებით მხედარს, რომელიც დადის და ტურისტებს ართობს. იგი ერთადერთი არ არის, წინა ეპოქების სამოსში გამოწყობილი სხვა მსახიობებიც მე-18 საუკუნის შთაბეჭდილებას აძლიერებენ. ისინი რეალურ თამაშს თამაშობენ. აქვეა მე-18 საუკუნის სახლი, მისი ოთახები იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი ავეჯითაა მოწყობილი. აქ გიდი მოგემსახურებათ და ყავას, ჩაის ან ცხელ შოკოლადსაც შემოგთავაზებენ.

ტურისტების მთავარ სამიზნეს მთავრობის სასახლე წარმოადგენს, რომელიც კოლონიური ვირჯინიის სამეფო მმართველების სასახლე იყო, ხოლო შემდეგ პოსტკოლონიური მმართველების, პატრიკ ჰენრისა და თომას ჯეფერსონის რეზიდენციას წარმოადგენდა მანამ, სანამ დედაქალაქი რიჩმონდში გადავიდოდა. ისტორიული შენობა 1781 წელს დაწვეს, 1930 წელს კი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. ამჟამად ის ერთ-ერთი გახლავთ იმ ორი ყველაზე დიდი შენობიდან, რომლებიც კოლონიურ უილიამსბურგში მდებარეობს.

სწორედ ამ ქალაქშია მსოფლიოში ცნობილი უილიამისა და მერის უნივერსიტეტი. 1693 წელს დაარსებული სასწავლებელი ამერიკაში სიძველით მეორეა ჰარვარდის უნივერსიტეტის შემდეგ.

ღირსშესანიშნაობის კიდევ ერთი ბრწყინვალე ნიმუში ხელოვნების მუზეუმია, სადაც მოთავსებულია მრავალფეროვანი ექსპონატები. ამ შენობაში ამერიკაში არსებული უძველესი ფსიქიატრიული საავადმყოფო იყო.

მშვიდი დასვენების მოყვარულებს გირჩევთ, უილიამსბურგის ბოტანიკურ ბაღს ესტუმროთ, რომელიც 2001 წელს გაშენდა.

მზის აბაზანების მოყვარულებმა ვირჯინია ბიჩს უნდა მიაშურონ, რომელიც უილიამსბურგიდან ზუსტად 1 საათისა და 14 წუთის სავალზე მდებარეობს. ატლანტის ოკეანის სანაპიროზე შესაძლებელია წყლის მოტოციკლის ქირაობა. სასიამოვნო სიტუაციაა სანაპიროზე მდებარე კაფეებში. ეს პლაჟები არაჩვეულებრივი ადგილია ოჯახური დასვენებისთვის.

უსაფრთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით, უილიამსბურგი სხვა ამერიკულ ქალაქებთან შედარებით დაცულია. მიუხედავად დაცვის გამკაცრებული ზომებისა, ხშირია ჯიბის ქურდობის ფაქტები. ასე რომ, სიფრთხილის გამოჩენა მაინც გმართებთ.

საგზაო წესების დარღვევისთვის სერიოზული ჯარიმებია დაწესებული. არ გაბედოთ მანქანის მართვისას მობილურით ლაპარაკი, აგრეთვე ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ საჭესთან დაჯდომა. ნებისმიერ შემთხვევაში დასახმარებლად პოლიციას მიმართეთ.

საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მოწევა სასტიკად აკრძალულია, მათ შორის — ბარ-რესტორნების უმეტეს ნაწილში.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები;
შტატი — ვირჯინია;
დედაქალაქი — უილიამსბურგი;
ვალუტა — ამერიკული დოლარი;
სახელმწიფო ენა — ინგლისური;
ფართობი — 220,5 კვ.კმ;
მოსახლეობა — 588.292.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ერთი ქალი და გათხოვების სამი უიღბლო მცდელობა

„კარგი მამაკაცები გვერდს მივლიან“

ადამიანის ცხოვრებას ბედისწერა განაგებს თუ თავად ადამიანია საკუთარი ბედის მჭედელი? ამ რიტორიკულ კითხვას, რომელიც ათასწლეულებს ითვლის, პასუხი დღესაც არ აქვს.

ჩვენი რესპონდენტი, ქალბატონი მადონა, იმ კატეგორიას ეკუთვნის, თავის მარცხს ბედისწერას რომ აბრალებს და საკუთარ როლს ცხოვრების უკეთესად წარმართვაში მინიმალურ მნიშვნელობას ანიჭებს: „განა მე არ მინდოდა, რომ იღბალი მქონოდა?!“. რასაკვირველია, ბედნიერება ყველას გვინდა, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ თუ მაინცდამაინც იღბლის გვჯერა, მან გაგვიღიმოს?

მადონა:

— ახლობლები ხშირად მსაყვედურობენ, ნუ ამბობ, ბედი არ მწყალობსო, ამით საკუთარ თავს აპროგრამებ და უიღბლობისკენ მართავო. არადა ეს სიტყვები ძალიან ამეკვიატა — „მაგის ბედი ვინ მომცა, მე ხომ ბედი არ მაქვს“ და მსგავსი სიტყვები. ზუსტად ასეა: ყველა უბედურს მე უნდა გადავეყარო, ერთი ნორმალური კაცი ვერ გაიმეტა ჩემთვის ბედმა, რომ მასთან შეერთება და ოჯახის შექმნა გადამეწყვიტა.

— სანამ ძირითად თემაზე გადავიდოდეთ, გკითხავთ: თქვენ ირგვლივ არ ყოფილა შემთხვევები, როცა ადამიანები თავიანთი სიტყვებით და დამოკიდებულებით განსაზღვრავენ თავიანთ ნაცალინდელ დღეს — უკეთესობისკენ წარმართავენ ან პირიქით, უარესობისკენ?

— გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ. ერთი ჩემი ახლობელი ამბობს, რომ მის გვერდით ყველა კაცი პათოლოგი ხდება და მართლაც ასეა: მისი პირველი ქმარი სერიოზულად „აფრენდა“ და მეორემაც „გარეკა“, არადა პირველთან შედარებით გაცილებით ჭკუადამჯდარი ჩანდა. ახლა გკითხავთ: ეს იმ გოგოს ბრალია? არანორმალურის გვერდით ცხოვრება სურდა? რა სისულელეა! ბედნიერებისკენ ყველა მიისწრაფვის.

— თქვენი ახლობლები, რომლებიც გირჩევენ, წუწუნისგან თავი შეიკავოთ, ალბათ ზოგადად ფსიქოლოგთა რეკომენდაციებს ეყრდნობიან, თუმცა ეს ცალკე თემაა. ახლა თქვენს პირად ცხოვრებას შეეხოთ, რატომ თვლით, რომ არ გიმართლებთ, რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?

— სტუდენტი ვიყავი, პირველად რომ შემიყვარდა. ზაფხულის არდადეგებზე ბიცოლამ თავის სოფელში წამიყვანა დასასვენებლად. იქ გავიცანი თაზო, სოფლელი ბიჭი, რომელსაც შევუყვარდი. სოფლის კვალობაზე თვალშისაცემი ბიჭი იყო, ყოჩობდა. თავიდან ვიფიქრე, თავს როგორ გავუყადრებ-მეთქი, მაგრამ გოგო-ბიჭებმა იმდენი მიკიჟინეს, რომ ბოლოს მეც მომეწონა. მათი აქტიურობა რომ არა, ამ განსაცდელს და ნერვიულობას ავცდებოდი.

— წელან თქვენს წარუმატებლობას ბედს აბრალებდით, ახლა — სოფლის გოგო-ბიჭებს. თქვენი როლი სადღაა?

— მათ რომ არ ეთქვათ, მაგარი ბიჭია და ხელიდან არ გაუშვაო, ალბათ თაზოს არ მოვიწონებდი, ასეთი გაუთლელი და ხეპრე ბიჭები არასდროს იქცევდნენ ჩემს ყურადღებას. ერთი სიტყვით, ჩვენი რომანი სწრაფად განვითარდა და ცოტაღა დაგვრჩა, შევუღლებულიყავით.

— რამ შეგიშალათ ხელი?

— ბიცოლამ რომ გაიგო, კინაღამ გამიგიჟდა, ეგ ბიჭი რა შენი შესაფერისია, შენს მშობლებს რა პასუხი გავცეო. ვეხვეწე, ჩემს მშობლებს თავად ავუხსნი-მეთქი მაგრამ ბიცოლამ არ მაცალა, მოვლენების სწრაფი განვითარების შეეშინდა, პასუხისმგებლობის გრძნობამ შეაწუხა და მშობლებთან დამასმინა.

— ბიცოლას პასუხისმგებლობას ახსენებთ, რომელიც რეალურად არაფერ შუაშია და თქვენი პასუხისმგებლობა სად არის?

— მე შეყვარებული ვიყავი და განა სიყვარული ბრმა არ არის?! ყოველ შემთხვევაში, ჩემი გრძნობა ასეთი იყო. ამ მდგომარეობაში ადამიანს რა პასუხისმგებლობა მოეთხოვება?

> **„თაზო ომ ციხეში მოხვდა, მაშინ გამიჩნდა ეჭვი, ომ ბედისგან დაჩაგრული ვიყავი, ისც მომდევნო გამოცდილებამ განმიმტკიცა. განა ასე არ არის? ჩემი ბედი მე ხომ არ შევქმენი? განა მე არ მინდოდა, ომ იღბალი მქონოდა?!".**

— და ბრმად შეყვარებულ გოგონას რა ბედი გეწიათ?

— ჩემი მშობლები კინაღამ გაგიჟდნენ, მყისვე თბილისში ჩამომიყვანეს და თაზოსთან კონტაქტი ამიკრძალეს. მითხრეს, მაგ ტლუ სოფლელს, უპოვარს, უქონელს ცოცხალი თავით არ გაგაყოლებთო. მე კი ვტიროდი, ცრემლი არ მიშრებოდა.

— თქვენი მშობლები რას საქმიანობდნენ?

— მამა თანამდებობაზე მუშაობდა, დედა დიასახლისი იყო, ოღონდ უმაღლესი განათლებით. უნდოდათ, საქმრო მათი წრიდან ამერჩია, ნაკლებს ვერ აიტანდნენ, მით უფრო, თაზოსნაირს.

— შეყვარებულს დაგაშორეს?

— ეს თაზოს საშინელმა საქციელმა განაპირობა, რომელსაც გამართლება არ აქვს.

— ასეთი რა გააკეთა?

— მოინდომა, ჩემი მშობლებისთვის დაემტკიცებინა, რომ მასაც შეეძლო ფულის შოვნა და ცოლისთვის საუკეთესო პირობების შექმნა, მაგრამ ამისთვის დანაშაულებრივი გზა აირჩია. ჩემ გამო ქალაქში ჩამოვიდა და ნათესავთან დაბინავდა. ინსტიტუტში მაკითხავდა ხოლმე. მასთან ღიად სიარულს ვერიდებოდი, ვიცოდი, მშობლები რა რისხვას დამატეხდნენ, ფარულად, თანაც იშვიათად ვხვდებოდი. მას ეს არ აკმაყოფილებდა და მეტს მთხოვდა. ამის გამო საშინლად ვიტანჯებოდი, ვერც შეყვარებულს ვთმობდი და ვერც მშობლებს. მაშინ მითხრა, ცოტაც მაცალე, ფულს ვიშოვი და, თუ შენი მშობლები მაინც არ მიმიღებენ, მაშინ მოგიტაცებ, ამით მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ავიღებ, შენ არაფერი დაგბრალდებაო.

— ამ შემოთავაზებაზე დათანხმდით?

— ყოველ შემთხვევაში, არც უარი მითქვამს. ზამთარში თაზოს რაღაც საშინელი ვირუსი შეხვდა, ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა. ნათესავმა ერთ ექიმ კაცთან, საუკეთესო სპეციალისტთან მიიყვანა. მკურნალობა ძვირი ჯდებოდა და ფულს ნათესავები უხდიდნენ, მეც ჩემი სტიპენდიით ვეხმარებოდი. თაზო საკონსულტაციოდ ექიმთან ბინაში დადიოდა. ის კაცი კარგად ცხოვრობდა, სავსე ოჯახი ჰქონდა და თაზოს გონებაშიც ვერაგი გეგმა გაჩნდა — ფულის გამოძალვის მიზნით მისი დაშანტაჟება გადაწყვიტა. ანონიმურად დაურეკა და დიდი თანხა მოსთხოვდა, თან ეუბნებოდა, მილიციაში თუ განაცხადებ, გაგამწარებო. ცოლ-შვილის მოკვლით ემუქრებოდა.

— ეს საქმე როგორ დამთავრდა?

— ექიმი მილიციას დაუკავშირდა და დამნაშავე დააპატიმრეს. ის კაცი გაოგნებული დარჩა, გამომძალველი მისი პაციენტი რომ აღმოჩნდა, ვისაც თითქმის სიცოცხლე დაუბრუნა. თაზოს ჰკითხა, ის მაინც მითხარი, ასე რატომ მიმეტებდიო. მან კი მიუგო, ასეთი არ ვარ, სიყვარულმა ჩამადენინაო.

— ანუ თავისი არაკაცობა სიყვარულს დააბრალა?

— ვფიქრობდი, რომ ასეც იყო, რადგან თაზოს ბოროტმოქმედად ვერ აღვიქვამდი. ის ექიმი კეთილშობილი კაცი აღმოჩნდა, შეწუხდა და უთხრა, ასეთ მდგომარეობაში თუ იყავი, გეთქვა, ფულით დაგეხმარებოდი, რომ ცოლი გეთხოვა, არც მკურნალობის საფასურს გამოგართმევდიო. თაზო უკვე სამართალდამცავების ხელში იყო და ციხეს ვერ ასცდა, რამდენიმე წელი მიუსაჯეს. პატიმრობაში მყოფთან ერთხელ ვიყავი პაემანზე და მეტი ვერ შევძელი, ეს ჩემთვის უმძიმესი იყო. თაზო მეხვეწა, შენ გამო ჩავიდინე ეს დანაშაული და გთხოვ, დამელოდე, სანამ ციხიდან გამოვალო.

— დაელოდეთ?

— კი, არსად გავრბოდი, მაგრამ მშობლებისა და გარშემომყოფთა გავლენით შეყვარებულის მიმართ გული გამიცივდა. თავიდან საშინლად განვიცდიდი, მეცოდებოდა, ეს რა დაემართა, თავი რა დღეში ჩაიგდო-მეთქი. მერე თანდათან გამიჩნდა

Cyan Magenta Yellow Black

რეალობის განცდა, თუ რა გამიკეთა, როგორ საქვეყნოდ შემარცხვინა. თან ყველა მეუბნებოდა, ნუ დარდობ, კაცთან, რომელმაც ასეთი რამ ჩაიდინა, მაინც ვერ გაიხარებდიო. ასე რომ, თაზოს დავემშვიდობე, თუმცა ამან ჩემი ნერვები შეიწირა. ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

— თქვენს ცხოვრებაში სხვა სიყვარული გამოჩნდა?

— მშობლებს ეშინოდათ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ თაზოს კვლავ ტვინი არ აერია ჩემთვის და გადაწყვიტეს, გავეთხოვებინე. ახლობლების დახმარებით გამაცნეს ანდრო — სერიოზული, შემდგარი, კარგი ოჯახიშვილი. დავუახლოვდი და შეხვედრები დავიწყეთ. ვერ შევიყვარე, მაგრამ მის მიმართ პატივისცემა გამიჩნდა, მაგრამ...

— ამჯერად ხელი რამ შეგიშალათ?

— ანდრო ფიზიკურად სუსტი იყო, წელს იტკიებდა. ვაიძულე, გამოკვლევა ჩაეტარებინა, ექიმებთან თავად დავყვებოდი. გამოკვლევის შედეგად ხერხემლის სერიოზული დაავადება აღმოაჩნდა, რომელიც მთელი ცხოვრების პრობლემად გაჰყვებოდა.

— და ამის გამო ზურგი აქციეთ?

— განა ეს საკმარისი მიზეზი არ არის? რომ მყვარებოდა, ალბათ არ მივატოვებდი. მაგრამ ის გრძნობა, რაც მქონდა, არ მაძლევდა იმის საფუძველს, რომ მისთვის თავი შემეწირა. ხომ შეიძლებოდა დაინვალიდებულიყო და მერე მთელი ცხოვრება ხეიბართან უნდა გამეტარებინა.

— კიდევ გქონდათ შემთხვევა, როცა ბედმა არ გაგიმართლათ?

— ჩემს მეგობარ ანასთან მდგმურად დადგა მოსკოვიდან ჩამოსული ვანიკო, რომელსაც მოვეწონე. ძალიან სიმპათიური და საინტერესო კაცი იყო. ანა მეუბნებოდა, ვანიკოს მოსკოვში ბიზნესი აქვს, ახლა თბილისში დამკვიდრება სურს, ფული მშენებარე ბინაში შეიტანა და სანამ აშენდება, ჩემთან იქნებაო. ანას თავად გაუჩნდა სიმპათია ვანიკოს მიმართ, მაგრამ რადგან მას მე უფრო მოვეწონე, ასე ვთქვათ, მეგობრულად დამითმო და ყველანაირად ხელს მიწყობდა, ჩვენი ურთიერთობა შემდგარიყო. ვანიკოს საოცარი ენა ჰქონდა, ლაპარაკით მოგნუსხავდა. მეც მოვიხიბლე, მის მიმართ გრძნობა გამიჩნდა. ჩვენი რომანი განვითარდა, ვიფიქრე, ახლა კი ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს-მეთქი, მაგრამ...

— არ აღმოჩნდა ის, რასაც ელოდით?

— ვანიკო ცოლშვილიანი აღმოჩნდა. მოსკოვურ ბიზნესში რაღაც მაქინაციაში გაბმულა და თბილისში იმალებოდა. ერთი სიტყვით, ტიპური თაღლითი გამოდგა, რომელიც მატყუებდა და ჩემს გრძნობას თავის სასარგებლოდ იყენებდა.

— ეს როგორ შეიტყეთ?

— ანა შემთხვევით შეესწრო მის სატელეფონო საუბარს და ყველაფერი გაარკვია. თავიდან ძალიან ფრთხილად და შეფარვით მითხრა, გული რომ არ გამსკდომოდა. მე კი არ დავუჯერე და მეგობრის ერთგულებაში ეჭვი შევიტანე. უმადურობამ მძლია, ვიფიქრე, რაკი ვანიკოსთან თავად არაფერი გამოუვიდა, ახლა უნდა, მეც ჩამიშალოს საქმე-მეთქი. მაშინ ანამ მითხრა, ჩემი თუ არ გჯერა, იმ სამშენებლო კომპანიას მიაკითხე, სადაც ვითომ ბინას იშენებს, ვანიკოს გვარი არსადაა რეგისტრირებული. ასეც მოვიქეცი და ანას სიმართლეში რომ დავრწმუნდი, ელდა მეცა.

> **„მამაკაცები გამოჩენისთანავე ქრებიან. ვეჰ ვხვდები, ჰა სჭირთ, ალბათ ჰაღაც ჰა აკმაყოფილებთ ჩემში. ვეჰც მე ვბედავ აქტიურობას. წარუმატებლობის შიშით თითქოს დაბლოკილი ვარ".**

— თავად ვანიკომ რით იმართლა თავი?

— სანამ კედელთან მივაყენებდით და სიმართლის აღიარებას მოვთხოვდით, ანას ბინიდან გაიპარა და მას შემდეგ აღარსად გვინახავს. ამ იმედგაცრუებამ კიდევ ერთი ტრავმა მომაყენა, რომლის გადატანაში ასაკიც დამეხმარა (36 წლის ვიყავი). უფრო ახალგაზრდას რომ მეწვნია მსგავსი გაწბილება და ტკივილი, ალბათ მოვკვდებოდი.

— დროთა განმავლობაში თაზოს და ანდროს პირადი ცხოვრება თუ შეიცვალა, მათზე რა იცით?

— თაზომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩემი დაბრუნება გადაწყვიტა. რომ ვერ მიიღო, რაც უნდოდა, მოღალატე მეძახა. მერე ჩემს ჯიბრზე ცოლი მოიყვანა. გზას დაადგა, შვილებიც ჰყავთ. ანდრომაც შეირთო ცოლი.

— მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ რა იცით?

— ცუდი არაფერი გამიგია. ეტყობა, უკეთესადაა.

— როგორც ჩანს, სამი თქვენთვის არასახარბიელო შემთხვევიდან ორზე თავად თქვით უარი. ბედზე ჩიყვილი რა ეტაპიდან დაიწყეთ?

— თაზო რომ ციხეში მოხვდა, მაშინ გამიჩნდა ეჭვი, რომ ბედისგან დაჩაგრული ვიყავი, რაც მომდევნო გამოცდილებამ განმიმტკიცა. განა ასე არ არის? ჩემი ბედი მე ხომ არ შევქმენი? განა მე არ მინდოდა, რომ იღბალი მქონოდა?!

— მშვენივრად გამოიყურებით. ნუთუ არაფის მოსწონხართ?

— ჩემს ცხოვრებაში მამაკაცები გამოჩენისთანავე ქრებიან. სიმპათიებს გამოხატავენ, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მივა, რატომღაც გვერდს მივლიან. ვერ ვხვდები, რა სჭირთ, ალბათ რაღაც არ აკმაყოფილებთ ჩემში. ვერც მე ვბედავ აქტიურობას. წარუმატებლობის შიშით თითქოს დაბლოკილი ვარ. უკვე 45 წლის ვსრულდები და ამ ასაკში მორიგი მარცხის გადატანას ნამდვილად არ ვისურვებდი.

✓ ნანა ჯობახიძე

ეს იცოდით?

❖ პირველი კონტრაცეფტივი, რომელსაც ეგვიპტელები იყენებდნენ, ნიანგის განავლისგან შეიქმნა.

❖ სპერმის პირველი ბანკი 1964 წელს გაიხსნა ტოკიოში.

❖ საუდის არაბეთში ქალს შეუძლია განქორწინდეს, თუ ქმარი არ მიუტანს ყავას.

❖ ინდოელ ქალს შეუძლია ლეგალურად გათხოვდეს თხაზე.

❖ ქრისტეფორეკოლუმბი ქერა იყო.

❖ ბეთჰოვენი მუსიკას ყოველთვის დამჯდარი წერდა.

❖ ზიგმუნდ ფროიდს ავადმყოფურად ეშინოდა გვიმრის.

❖ ინტერნეტის მოხმარების თვალსაზრისით, პირველი ქვეყანა ბერმუდის კუნძულებია.

❖ ყოველთვე „გუგლში" 31 მილიარდი მძებნელი შედის.

❖ დღეს მსოფლიოში გაგზავნილი მესიჯების რაოდენობა პლანეტის მთლიანი მოსახლეობის რაოდენობას უტოლდება.

❖ 1984 წელს მსოფლიოში 1.000 კომპიუტერი იყო; 1992 წელს — 1.000.000; 2008 წელს კი 1.000.000.000.

❖ ინგლისურ ენაში 540 000 სიტყვაა.

❖ ვენეციური ენა, რომელზეც ვენეციაში და მის რეგიონებში საუბრობენ, იტალიურის დიალექტი არ არის.

❖ ლურჯი ხიდი (სანკტ-პეტერბურგის ყველაზე განიერი ხიდი) სახელს მე-19 საუკუნეში დაწესებული ტრადიციიდან იღებს, რომლის მიხედვით, მდინარე მოიკაზე ხიდები ფერებით იყო დანიშნული.

❖ ნიუ იორკის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია, გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის მიხედვით, მსოფლიოს უდიდესი საკათედრო ტაძარია.

❖ მხატვარმამარკშაგალმამაინცის წმინდა სტეფანეს სახ. ეკლესიის ფანჯრები ებრაელ და გერმანელ ხალხთა შერიგების ნიშნად შექმნა.

❖ პერეშჩეპინის განძი 1912 წელს აღმოაჩინეს, როცა უკრაინელმა მწყემსმა ბიჭმა ოქროს ქოთანზე წაიბორძიკა და ბულგარეთის მბრძანებელ კუბრატის სამარხში ჩავარდა.

❖ ყველაზე პატარა კუნძული, რომელსაც ორი სახელმწიფო იყოფს, წმინდა მარტინის კუნძული გახლავთ კარიბის ზღვაში. მისი ფართობი 83 კმ-ია (ნიდერლანდის ტერიტორიაზე 35 კმ და საფრანგეთის ტერიტორიაზე 48 კმ).

❖ მსოფლიოს მოსახლეობის 4% დიდ სიამოვნებას იღებს ტელევიზორში რეკლამების ყურებით და ვერ იტანს ჩვეულებრივ გადაცემებს.

❖ გერმანელი ექიმები ირწმუნებიან, რომ მწვანე განათება ხელს უწყობს მადის მომატებას, წითელი კი — დაქვეითებას.

❖ 1977 წელს 13 წლის ბიჭმა აღმოაჩინა, რომ მარცხენა ფეხზე კბილი ეზრდებოდა.

Cyan Magenta Yellow Black

■ გოგი დოლიძე

„თუ კაცი გიყვარს, არ უნდა სთხოვო, ცოლი გაუშვი და მე შემირთეო“

გოგი დოლიძის გაუხმაურებელი ჰომანები

„ვინცა მიჯნური არ არის, არცა კაცი არს“, — კინომცოდნე გოგი დოლიძე თავის ყველა წიგნს „ვისრამიანის“ ამ ფრაზით იწყებს. მუდმივად მიჯნურის როლში იყო, უყვარდათ და უყვარდა, ღალატობდნენ და ღალატობდა. თუმცა ბატონ გოგის ღალატი თავისებურად ესმის. თვლის, რომ ღალატი ის არის, როცა კაცი ცოლს ტოვებს და სხვასთან მიდის, მაგრამ თუ „სიყვარულობანათი“ ერთობა, ეს ცოლქმრული ერთგულების შებღალვას არ ნიშნავს. მისი რომანებიდან არც ერთი გახმაურებულა, საიდუმლო ქალებმაც შეუნახეს და ნამუსი მათაც შეუნახა.

ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელმა „სარკესთან“ ახალგაზრდობა, თავისი ყმაწვილური გატაცებები გაიხსენა.

— ბატონო გოგი, რა თვისებებით უნდა იყოს შემკული ნამდვილი ქალი?

— სიმართლე გითხრათ, ქალზე ლაპარაკი მიჭირს, რადგან მაისში მეუღლე — მაყვალა მაისურაძე გარდამეცვალა...

— ძალიან ვწუხვართ, ბატონო გოგი!

— ოჯახში უპირველესი ცოლია, რადგან ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ჩემი მეუღლე ყოველთვის ამბობდა, გოგი ფულს რომ მოიტანს, აღარ კითხულობს, სად წავიღეო. ყველაფერს ის ანაწილებდა და უვლიდა. მისი გარდაცვალების მერე მხოლოდ ერთი რამით ვარ ბედნიერი, ჩემს მაგიდაზე სულ წიგნები და ქაღალდებია გაშლილი. ამას ასე გამიჩერებდა?! არავითარ შემთხვევაში! არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი... თქვენ წეღან მკითხეთ, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს ქალიო. მე გპასუხობთ — მოკრძალებით. ქალი ტლიკინა არ უნდა იყოს, ძალიან მოკლედ და ხელების გაშლის გარეშე უნდა გპასუხობდეს. მოძრაობებიც მოზომილი უნდა ჰქონდეს. ეს ყველაფერი ქალს თუ ბუნებაში არ უზის, ერთი-ორი ცდის მერე საუბრის დროს ხელებსაც გაშლის და ზედმეტსაც ილაპარაკებს.

— თქვენი თაობისგან ხშირად მსმენია, ჩვენი დროის ქალები განსაკუთრებული სილამაზით, გნებავთ, მანერებით გამოირჩეოდნენო. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ქალები ყოველთვის ლამაზები იყვნენ და არიან. მთავარია, შენ როგორ აღიქვამ. ზოგს ნატო ვაჩნაძე ძალიან მოსწონდა, ზოგიც ამბობდა, ერთი ჩვეულებრივი ქართველი გლეხიაო. ნატო პირველ როლებში საწყალი, გაჯახირებული, მოტაცებული, ცხენიდან გადაგდებული, გაუპატიურებული და თმაგაჩეჩილი ნამდვილი გლეხი იყო, რომელსაც ყველა ეუფლებოდა. როცა ის კოტე მარჯანიშვილმა ერთ-ერთ სპექტაკლში ევროპელი ქალის როლზე მიიწვია, დიდი აჟიოტაჟი ატყდა, ნატო ამ როლში ყოვლად წარმოუდგენელიაო. სპექტაკლი კი მართლაც შესანიშნავი გამოვიდა.

„ლეილა აბაშიძე ლამაზი ახასდრიოს ყოფილა, მაგრამ ძალიან შარმიანი გახლდათ. მედეა ჯაფარიძე ხომ ანგელოზი იყო!“.

— ძველი თაობის ლამაზმანებიდან თქვენ ვის გამოარჩევდით?

— გასული საუკუნის 50-იან წლებში კოტე მარჯანიშვილის თეატრში დოდო ჭიჭინაძესთან ერთად ბესიკის როლი შევასრულე. სცენის მიხედვით, სევდის ბაღში ანა დედოფალი იდგა, რომლის როლსაც ღვთაებრივი დოდო ჭიჭინაძე ასრულებდა და ამ დროს ბესიკი, ანუ მე, კულისებიდან გამოვდიოდი. „სევდის ბაღს შეველ შენაღონები, მოკრეფად მსურდა ვარდის კონები...“ — ამ სიტყვებით შევვარდი სცენაზე და დოდო შემომეხვია, დამიჩოქა. გადავირიე! თვალებში რომ ჩავხედე — ხომ საერთოდ! ზღაპრული თვალები ჰქონდა! 18 წლის სტუდენტი ვიყავი და ისიც გადაირეოდა ჩემზე, აბა, რა იქნებოდა?! იზა გიგოშვილი, ლია გუდაძე ძალიან კარგები იყვნენ. ლეილა აბაშიძე ლამაზი არასდროს ყოფილა, მაგრამ ძალიან შარმიანი გახლდათ. მედეა ჯაფარიძე ხომ ანგელოზი იყო! მოსკოვის უნივერსიტეტში რომ ჩააბარა, თურმე ლექტორმა უთხრა, როგორ შეიძლება ადამიანის მესამე სემესტრში მიღებაო. უფროსებმა კი უპასუხეს, ჩვენ ადამიანი კი არა, ანგელოზი მივიღეთო.

„შევვარდი სცენაზე და დოდო ჭიჭინაძე შემომეხვია, დამიჩოქა. გადავირიე! თვალებში ხომ ჩავხედე — ხომ საერთოდ! ზღაპრული თვალები ჰქონდა! 18 წლის სტუდენტი ვიყავი და ისიც გადაირეოდა ჩემზე, აბა, ხა იქნებოდა?!“.

— სიმპათიურ ახალგაზრდას ალბათ ბევრი გოგო გეტრფოდათ?

— უჰ! რამდენიც გინდათ! უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი გახლდით. მთელ კურსზე ბიჭები მხოლოდ მე, ანზორ სალუქვაძე და კარლო საკანდელიძე ვიყავით. მაშინ სტატიებს ვაქვეყნებდი, პოპულარული ვიყავი. ერთი ძალიან ლამაზი გოგო მომეწონა. ის მდიდარი ოჯახის შვილი იყო, მე — ერთი ქუთაისელი ბიჭი. არშიყობა დავუწყე და გამაშაყირა. შენ გიტირებ ყოფას-მეთქი, გავიფიქრე. რომეოს გმირი ინგლისურად ვითამაშე, არმანი — ფრანგულად. ვმღეროდი, ვცეკვავდი და მეტი რა უნდა ქალს?! საწადელს მივაღწიე კიდეც. ქალს უნდა აგრძნობინო, რომ მოგწონს, მაგრამ თავი არ უნდა მოაბეზრო. ახალგაზრდობაშიც ასეთი ვიყავი და ახლაც, ვინმეს რომ შევხვდები, ყოველთვის პირველი ვტოვებ, რომ მასში რაღაც ინტერესი აღვძრა. კაცმა ქალის გულის მოსაგებად ბევრი ხრიკი უნდა იცოდეს.

— როგორ ცდილობდით გოგონების მოსიბვლას თქვენი თაობის ბიჭები?

— მაშინ გოგონები ურთიერთობებში გამოუცდელები იყვნენ. მთავარი იყო, პლეხანოვზე კინოში წაგეყვანა. ერთ წვიმიან დღესაც ჩემი მოწონებული გოგო ფილმის საყურებლად წავიყვანე. გახურდა ფილმი, უცებ გადავუწიე კაბა და ფეხზე ვაკოცე. გადაირია! იქ ხმას ხომ ვერ ამოიღებდა? ვაკოცე და ლექსიც დავუწერე:

„მსურს, როგორც გუშინ, სულ ისე წვიმდეს...
სულ ისე წვიმდეს, აღარ გადიღოს
და ჩემი კოცნაც შენს ტიტველ წვივებს,
დაღად დააჩნდეს სამარადისოდ!“.

— გაჭრა კოცნამ და ლექსმა, შეუყვარდით?

— მესამე კურსელი იყო და გადამერია! მაშინ ბიჭი გოგოს თუ აკოცებდა, გოგო მაშინვე მის ცოლობაზე ფიქრობდა, თვლიდა, რომ ვინც აკოცა, იმასთან უნდა დარჩენილიყო.

— თქვენც ასე მოიქეცით?

— ყველას ცოლად ხომ ვერ მოვიყვანდი?! თუ გოგოს ვაკოცებდი, კვეხნით იტყოდა, გოგიმ მაკოცაო.

— ქალის სილამაზე რა კრიტერიუმებით იზომებოდა?

— ქალის სილამაზის საზომი არც მაშინ არსებობდა და არც დღეს არის. ზოგიერთ ქვეყანაში ლამაზ ქალად პატარა ზომის ფეხის მქონე ქალები ითვლებიან. ჩემი პედაგოგის, მიხეილ კვესელავასგან მახსოვს, თურმე უცხოეთში ტომი არსებობს, სადაც ლამაზ ქალად ის ითვლება, ვისაც ქვედა ტუჩი დიდზე აქვს წინ გადმოგდებული. ზოგს შეიძლება თვალი მოდელისკენ გაექცეს, მაგრამ ჩემთვის მთავარი, იცით, რა არის? აი, ქალი ერთხელ რომ თვალს შეგავლებს და, მოდიო, დაგიძახებს. მაღალია თუ გამხდარი, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ჩემი თვალი მის თვალს წააწყდეს. ისიც შემოგხედავს და წასული ხარ, დამთავრდა!

— ოდესღაც გიყვარდებოდათ?

— კი. „ვისრამიანი“ ჩემი ცხოვრების კრედოა. ფრაზას „ვინცა მიჯნური არ არის, არცა კაცი არს“ დღემდე ყველა ჩემს წიგნს ვაწერ ეპიგრაფად. ინსტიტუტში კონკურსებს ხშირად ვატარებდი. ერთხელაც გავმართე კონკურსი, გამარჯვებულად ყველაზე მოკლე მოთხრობის ავტორი უნდა დაგვესახელებინა. რაღა თქმა უნდა, მე გავიმარჯვე. ჩემი მოთხრობა ეპიგრაფით დავიწყე — „ვინცა მიჯნური არ არის, არცა კაცი არს“. ჩემი მოთხრობა კი სულ რამდენიმე სიტყვისგან შედგებოდა — „ასე მაქციე კაცად, ასე გამაკაცე“.

— დიდი ხანია ლექსებს წერთ?

Cyan Magenta Yellow Black

— ბავშვობიდან ვწერ. როცა ჩემს ცხოვრებაში ქალი გამოჩნდებოდა და მისად ვიქცეოდი, სულ ვწერდი. შეიძლება ვიცოდი, რომ ის ლამაზი არ იყო, მაგრამ მაინც მიყვარდა და ლექსებს ვუძღვნიდი.

„გადაგიწევ ყელზე სვიტრს და ჩაგიკოცნი მაგ ბროლსაო,
რომ წაგიღოს მერე ფიქრმა, აუ, როგორ მაკოცაო...
რა მგელივით დამეძგერა, გამომღადროს ლამის ყელი,
სული, სული მეხუთება, ღვთის გულისთვის, დამეხსენი!
ეგ ალმური შეაჩერე, პატარა ვარ, ობოლიო,
ღმერთო, შენ კი შეაჩერე, ყელში კოცნის მომგონიო“.

ან კიდევ:

„შენ ჯერ მომწონხარ, მერე მიყვარხარ,
თანაც მიყვარხარ ისე ძლიერად,
რომ რაც მივქარე, რასაც მივქარავ,
სულ ყველაფერი მეპატიება“.

ამ სიტყვებს ხშირად ვიყენებ. ძალიან სასაცილო ვიყავი. სულ მიყვარდა, ბოლოს კი ყველას ვშორდებოდი.

— სიყვარული მალე ქრებოდა?

— ქალს იმ შემთხვევაში ვშორდებოდი, თუ ის ოჯახის შექმნაზე დამიწყებდა ლაპარაკს, რადგან მე ცოლიანი ვიყავი. ერთი-ორი ქალი სულ მყავდა, მაგრამ არ მახსოვს, რომელიმე მე მიმეტოვებინოს. გაიგებდნენ თუ არა, რომ ცოლი მყავდა, თვითონვე მტოვებდნენ და თხოვდებოდნენ... თუ კაცი გიყვარს, ის კი არ უნდა სთხოვო, ცოლი გაუშვი და მე შემირთეო, უბრალოდ უნდა გიყვარდეს.

— თქვენმა ცოლმა ამ ყველაფრის შესახებ არაფერი იცოდა?

— ეს ცოლმა არც უნდა იცოდეს, ამაშია მთელი ხელოვნება. ჩემი არც ერთი რომანი არ გახმაურებულა.

— იმაზე არ ფიქრობდით, რომ ღალატით მეუღლეს გულს ატკენდით?

— ღალატი ის არის, როცა სხვა ქალთან გაიქცევი და ოჯახს დაანგრევ. სიყვარულით თამაშს კი არ შეიძლება ღალატი ეწოდოს. მაშინ ყველა კაცი მოღალატე ვყოფილვართ.

— ანუ სხვა ქალთან სარეცლის გაზიარება, მისი სიყვარული ღალატად არ მიგაჩნიათ?

— არანაირად!

— უმანკოების შენახვა ქალიშვილებს თქვენს ახალგზარდობაში უფრო მკაცრად მოეთხოვებოდათ, არა?

— რა თქმა უნდა, ეს გადამწყვეტი იყო. გოგო თუ შეცდებოდა, თავს იკლავდა. ყველაფერი ხდება, მაგრამ მაინც კარგია, როცა ცოლი ქმარს ქალწული ბარდება. ახლა უაზროდ გადარეული გოგონები იმდენს დარბიან, სანამ ვიღაცას არ „შეეტენებიან“ ხოლმე. ეს კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს? არა. ასეთ ქალებს მოვუწოდებ, მეტი ყურადღება დაუთმონ ოჯახს და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას. ახტაჯანა გოგოები შეიძლება თავისი ასაკის ბიჭებს მოსწონდეთ, მაგრამ... მოკრძალება, როგორც გითხარით, ქალის უპირველესი თვისება უნდა იყოს.

ბოლო 10 წელია, ჩვენი საქმე ცუდად წავიდა. ქვეყანაში რაც კი ცუდი ხდება, ჩვენი ტელევიზიის ბრალია. ქართული ენა და კულტურა ცუდ დღეშია და ახალმა თაობამ კარგი რა უნდა ისწავლოს? ჩვენი ერი გადაგვარების პირასაა. ოღონდ კი ეკრანზე გამოჩნდნენ და ჩინელზეც გათხოვდებიან და სხვა ერის წარმომადგენელზეც. ისედაც პატარა ერი ვართ და იმდენი უცხოელი ჩაგვისახლდა, 10 წელიწადში გადაგვჭამენ კიდეც. მე არ ვამბობ, რომ სხვა ეროვნების ადამიანებზე არ უნდა თხოვდებოდნენ, მით უმეტეს, თუ ერთმანეთთან დიდი სიყვარული აკავშირებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი გოგონები ნამეტანი „გასაღებაზე“ არიან. მათი ქცევა მაღიზიანებს.

„ბოლო პერიოდში სერიოზული, პროფესორი და დეპუტატ ქალებს ვაკვირდები. რა არის ეს ჩამოყრილი თმა და უმწეოდ თავის გადაქნევა იმისთვის, რომ ვითომ თმა უკან გადაიყაროონ?! თუ განწირული თმა აწუხებთ, რაღას იწვნებიან?!.. სულ მინდა, რომ თმა გადავუნიო. ქალი ვერ ვნახე, რომ თვალებში ჩავხედო!".

— დღეგანდელი ქალის გარეგნულ იერზე რა აზრის ხართ?

— მოდა მაშინ არის კარგი, როცა ის გიხდება, რაც გაცვია. ქალებმა თმის გაშლა დაიწყეს და ეს ჩემთვის გაუგებარია. ახტაჯანა გოგოს ყველაფერი უხდება, მაგრამ ბოლო პერიოდში სერიოზულ, პროფესორ და დეპუტატ ქალებს ვაკვირდები. რა არის ეს ჩამოყრილი თმა და უმწეოდ თავის გადაქნევა იმისთვის, რომ ვითომ თმა უკან გადაიყაროონ?! თუ გაწეწილი თმა აწუხებთ, რაღას იწეწებიან?! ამას წინათ ეკრანზე ჩვენი პარლამენტის ვიცესპიკერი, მანანა კობახიძე დავინახე — თმა უკან ჰქონდა გადატკეცილი და ძალიან მომეწონა, ძლივს არ დავინახე ადამიანი! თმაში რატომ უნდა მალო თვალები?! სულ მინდა, რომ თმა გადავუნიო. ქალი ვერ ვნახე, რომ თვალებში ჩავხედო!

— თვალებში ქალის ინტელექტის დანახვას ხომ არ ცდილობთ?

— ინტელექტს ძალიანაც არ უნდა „მიაწვეს“, რადგან გამოდის, რომ კაცის მოხიბვლას ამით ცდილობს. ქალი უტვინო არა, მაგრამ ცოტა ფრუტუნა და კაცისგან ადვილად მოსატყუებელი უნდა იყოს.

— ეს „ფრუტუნა“ ქალები სინამდვილეში უფრო ატყუებენ მამაკაცებს. თქვენ არავის მოუტყუებიხართ?

— როგორ არა! ერთი პედაგოგი მიყვარდა. ჩავიყვანე ქობულეთში, მოვაწყვე სასტუმროში. ცოტა ხანში ჩავაკითხე და არ დამხვდა. რამდენიმე ხნის მერე გამომიტყდა, ძველი შეყვარებული გამოუძახებია და მასთან ერთად დაუსვენია...

თქვენთან საუბარს ჩემი ერთი ლექსით დავასრულებ:

„რაღაც ისე აეწყო დღენი ჩემი ცხოვრების,
სულ მოველი ვიღაც ქალს... სულ ვიღაცას მოველი...
დრო კი მიდის ტიალი, დრო ყველაფრის წამშლელი,
მაგრამ ამ ჩემს მოლოდინს არ დაადგა საშველი.
ბოლოს ღმერთმა ინება, შენი თავი მომგვარა
და წამერთვა ყოველი, ისეც არა მქონდა რა“.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

ის, რაც ქალების ყაცებზე უყეთ გამოსდით

- ძალიან იოლად ახერხებენ გეგმების შეცვლას და კორექტივების შეტანას;
- წინასწარ მიზანს ყოველთვის არ ისახავენ, რათა შემდეგ თავი გაწბილებულად არ იგრძნონ და დეპრესიაში არ ჩავარდნენ;
- ნაკლებმტკივნეულად აღიქვამენ კრიტიკას, ვიდრე კაცები;
- მამაკაცებთან შედარებით გაცილებით ადვილად ეგუებიან სიახლეებს და ადვილად ადაპტირდებიან.

სტეიკი მამაკაცებს ამშვიდებს

ჯანადელი ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ სტეიკი, რომელიც საოცრად მადისაღმძვრელად გამოიყურება და გემრიელიცაა, მამაკაცებზე იმაზე უფრო ეფექტურად მოქმედებს, ვიდრე სხვა დამამშვიდებელი საშუალებები.

ძლიერი სქესის წარმომადგენლებისათვის ხორციანი კერძი სახლთან, ოჯახთან და სიმყუდროვესთან ასოცირდება. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, მეუღლეები ხშირად გაანებივროთ სტეიკით!

Cyan Magenta Yellow Black

რომელი ღღესასწაული ხართ?

1. ქალაქის ობიექტი რომ იყოთ, რომელს აირჩევდით?
ა) მოედანს — 10
ბ) პროსპექტს — 5
გ) ქუჩას — 3
დ) პატარა ქუჩას — 0

2. წელიწადის რომელი დრო გსურთ იყოთ?
ა) შემოდგომა — 5
ბ) ზამთარი — 10
გ) გაზაფხული — 0
დ) ზაფხული — 3

3. თქვენი აზრით, რომელ ხილს ჰგავხართ?
ა) ფორთოხალს — 10
ბ) ვაშლს — 5
გ) მარწყვს — 0
დ) ბანანს — 3

4. რომელი ჟანრის ფილმია თქვენთან ყველაზე ახლოს?
ა) მელოდრამა — 0
ბ) საბრძოლო ჟანრის — 3
გ) კომედია — 10
დ) დეტექტივი — 5

5. ზღაპრებიდან რომელზე გააკეთებდით არჩევანს?
ა) „მძინარე მზეთუნახავზე“ — 0
ბ) „ოქროს თევზზე“ — 3
გ) „თორმეტ თვეზე“ — 10
დ) „ლურჯწვერაზე“ — 5

6. რომელი სამკაული იქნებოდით?
ა) ბეჭედი — 0
ბ) საყურე — 5
გ) ბროში — 3
დ) ყელსაბამი — 10

7. რომელ ტკბილეულს ამოირჩევდით?
ა) სახლში გამომცხვარ ნამცხვარს — 5
ბ) მურაბას — 3
გ) კრემიან ტორტს — 0
დ) ნაყინს — 10

8. რომელი ალკოჰოლური სასმელი გირჩევნიათ?
ა) ლუდი — 3
ბ) შამპანური — 10
გ) არაყი — 5
დ) ღვინო — 0

შედეგები:

0-20 ქულა — თქვენ 8 მარტი ხართ.
ნაზი, ქალური და იმედებით აღსავსე... ოღონდ არ თქვათ, რომ ამ ტესტს მამაკაცი ავსებდა!

21-40 ქულა — ხალხთა მეგობრობის დღე.
გიყვართ მეგობრებთან ერთად მოლხენა. თქვენთვის მთავარია, მხიარულ კომპანიაში იყოთ.

42-60 ქულა — დამოუკიდებლობის დღე.
შრომისუნარიანობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნით. თუ საშუალება მოგეცემათ, სამსახური გააცდინოთ, ამაზე უარს არასოდეს იტყვით.

61-80 ქულა — ახალი წელი.
თბილი, მყუდრო, მხიარული, უკეთესი მომავლის იმედით აღსავსე და ძალიან სადღესასწაულო.

რაზე მეტყველებს თქვენი კულინარიული მისწრაფებები?

1. შეგიძლიათ, მარტო ხილ-ბოსტნეულით იკვებოთ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

2. ტკბილეული გიყვართ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

3. ცხიმიანი საკვები გიყვართ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

4. გსიამოვნებთ, როცა მუდმივად პირს აცმაცუნებთ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

5. ცხარე საკვები გიყვართ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

6. ნაცნობია თქვენთვის კუჭის გადავსების შეგრძნება?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

7. გიყვართ ეგზოტიკური კერძების გასინჯვა?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

8. გიყვართ მარტივი საკვები, მაგალითად, სუპები, ფაფეული?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

9. ძირითად კერძებს საუზმეული გირჩევნიათ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

10. თუ სუპს მიირთმევთ, გირჩევნიათ იყოს...
ა) ცხელი — 1
ბ) ცივი — 0

11. რომელ ცხიმს ანიჭებთ უპირატესობას?
ა) მცენარეულს — 0
ბ) ცხოველურს — 1

შედეგები:

0-3 ქულა — მორიდებული და ურთიერთობების მოყვარული.
პატივმოყვარეობა თქვენთვის უცხოა. კარიერული წინსვლისკენ არასოდეს ისწრაფვით. აღმერთებთ ურთიერთობებს, გსიამოვნებთ, როცა ვიღაცას ეხმარებით. ძირითადად შემოქმედებითი სამუშაო მოგწონთ. რუტინა და ზუსტი მეცნიერებები თქვენთვის არაა.

4-7 ქულა — მარტოხელა
გამარჯვებებისკენ ისწრაფვით სიყვარულშიც და კარიერაშიც. ხანგრძლივი ურთიერთობები თქვენთვის არაა. თქვენი დევიზია: მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე და... წავედი.

8-11 ქულა — ძარივით ცვალებადი
ხასიათის ცვალებადობით გამოირჩევით. არათანმიმდევრული ხართ და გიყვართ ცვლილებები. სამსახურში ხშირად გამოთქვამთ თამამ იდეებს, მაგრამ მათი რეალურად განხორციელებისა კი რა მოგახსენოთ!

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

4						2		5
	6	7	2	4	5		1	8
2	5	1	8	9		6	3	
6	3	4	5	2	1	8		7
9		8	4	6	3	5	2	1
1	2	5	9		8	3		6
	9	2		5			6	
7					2			9
	1			3		4	8	

№ 2

		4					2	1
	8			5			6	
3					1	7		
	2		1					9
5					4			
			6	2				3
		7	5				1	8
	6			3	8			
9						5		

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

რომელი ეპოქის ადამიანი ხართ?

1. როგორ არქიტექტურას ანიჭებთ უპირატესობას?
ა) სხვადასხვა სტილს, ხანდახან შერეულს.
ბ) გოთიკური სტილი მირჩევნია.
გ) პროპორციული ნაგებობები მიყვარს.
დ) ბაროკოს სტილს ვაღმერთებ.
ე) მოდერნს არაფერი სჯობია.

2. ყველაზე მეტად რას სტილის მუსიკა მოგწონთ?
ა) ყველანაირ მუსიკას ვუსმენ.
ბ) საეკლესიო მუსიკა (გალობა) ძალიან მომწონს.
გ) ხალხურ სიმღერებს.
დ) კლასიკას.
ე) პოპს.

3. როგორი სამოსი ჭარბობს თქვენს გარდერობში?
ა) სხვადასხვაგვარი (ჯინსები, ქურთუკები, კლასიკური კოსტიუმები).
ბ) უამრავი ქუდი მაქვს, სამოსი საშუალო სიგრძისაა, ფართო და მშვიდი ფერებისა.
გ) დახვეწილი ფეხსაცმელი, კაშკაშა ფერის სამოსი და ბევრი აქსესუარი.
დ) ფართო სამოსი, რომელიც ფიგურას მალავს, მოსართავები, ნაზი ფერები.
ე) ძირითადად კლასიკური.

4. როგორი უნდა იყოს თქვენი იდეალი?
ა) ენერგიული და ცოტა ვულგარული.
ბ) სერიოზული და თავშეკავებული.
გ) თავისუფალი, ყოველგვარი კომპლექსების გარეშე.
დ) სიბრძნე და ჭკუა.
ე) სულიერი და შინაგანი სიმდიდრე.

5. რა სახის მხატვრობას მოჰყავხართ აღფრთოვანებაში?
ა) არამკვეთრი ხაზებითა და მდიდარი ფერთა გამით შესრულებულ ნახატებს.
ბ) სასახლეების, ბრძოლებისა და დიადი მოვლენების ამსახველ ნახატებს.
გ) უპირატესად პეიზაჟებს.
დ) ეკლესია-მონასტრებიან ნახატებს.
ე) ზღვის პეიზაჟები მხიბლავს.

დაითვალეთ, პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს.

შედეგები:

„ა" ვარიანტი — თანამედროვე ადამიანი ხართ.

ხმაური და ფუსფუსი თქვენი სტიქიაა. სიახლეებისკენ ილტვით და მხად ხართ ახალი შეგრძნებების მისაღებად.

„ბ" ვარიანტი — შუა საუკუნეების ადამიანი ხართ.

აფასებთ ერთგულებასა და კეთილშობილებას. გირჩევნიათ „სუფთა" ადამიანებთან ურთიერთობა. მეგობრებს სათანადოდ ირჩევთ და ვერ იტანთ ღალატს.

„გ" ვარიანტი — ანტიკური დროის ადამიანი ხართ.

იშვიათად, რომ საკუთარი თავის გარდა ვინმე აღიაროთ. თქვენ გამოხატული ლიდერი ხართ ნებისმიერ კომპანიაში. გირჩევთ, არ გადაამლაშოთ, თორემ ასეთი ტემპების გამო შესაძლოა, ბევრმა ზურგი გაქციოთ.

„დ" ვარიანტი — აღორძინების ეპოქის ადამიანი ხართ.

ბუნება გიყვართ და მას მოწიწებით ეპყრობით. მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი თავის რეალიზაციისკენ ისწრაფვით.

„ე" ვარიანტი — ახალი დროის ადამიანი ხართ.

იმდენად დაკავებული ხართ საკუთარი სულიერი სამყაროთი, რომ გარშემომყოფთათვის დრო არასოდეს გყოფნით. თქვენთვის მთავარი საკუთარი თავის შეცნობაა. მეოცნებე და ჩაკეტილი ბრძანდებით.

თავდაჯერება ხომ არ გაკლიათ?

ტესტის კითხვებს „დიახ" ან „არა" უპასუხეთ

1. განაწყენდებით, თუ გაიგებთ, რომ მეუღლე მთავრობის სპეციალური აგენტი ყოფილა და მთელი თქვენი ერთობლივი ცხოვრება სიცრუეა?
2. შეგეშინდებათ, მარსის ზედაპირზე სპეციალური დამცავი კაფსულის გარეშე რომ მოხვდეთ?
3. მოდას მიჰყვებით?
4. სარკეში ხშირად იყურებით?
5. ბეჭებში მოხრილს გიყვართ სიარული?
6. ფიქრობთ, რომ ზურგსუკან თქვენზე ჭორაობენ?
7. მარსელების საბაჟოზე უცნაური, მრავალსახიანი ქალის კოსტიუმში რომ მოხვედრილიყავით, განაწყენდებოდით?
8. დროდადრო გიჩნდებათ შეგრძნება, რომ გითვალთვალებენ?
9. ადვილად მიიღებდით გადაწყვეტილებას, შვებულება მარსზე გაგეტარებინათ?
10. მტრულად განწყობილი მუტანტების გარემოცვაში აღელდებოდით?
11. კოშმარები გესიზმრებათ?
12. გირჩევნიათ პრობლემები მუშტებითა და ცეცხლსასროლი იარაღით გადაჭრათ და არა — მოლაპარაკებებით?
13. აგროვებთ ფულს იმისათვის, რომ ტვინში იმპლანტანტი ჩაისვათ, რომლის დახმარებითაც „წითელ პლანეტაზე" გატარებული შვებულების დეტალებს გაიხსენებდით?
14. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი მეგობრები ისეთები არიან, როგორადაც თავს გაჩვენებენ?
15. თვლით, რომ ყოველ ახალ დღეს თქვენთვის მხოლოდ უსიამოვნებები მოაქვს?
16. თუ შეიტყობთ, რომ მეხსიერების ინპლანტირების კომპანიამ მოგატყუათ, დაბრუნდებით მათთან ოფისში, რათა უჩივლოთ და გადახდილი ფული უკან დაიბრუნოთ?
17. ეჭვობთ, რომ საჭიროების შემთხვევაში მთელი პლანეტის გარდაუვალი დაღუპვისგან გადარჩენას ვერ შეძლებთ?
18. ადამიანები ხშირად გთხოვენ, გადაარჩინოთ?

2 ქულა დაიწერეთ თითოეულ კითხვაზე, რომლის პასუხიც თქვენსას დაემთხვა: 1. არა; 2. არა; 3. არა; 4. არა; 5. არა; 6. არა; 7. არა; 8. დიახ; 9. დიახ; 10. არა, 11. არა; 12. არა; 13. დიახ; 14. არა; 15. დიახ; 16. დიახ; 17. არა; 18. დიახ.

შედეგები:

36 ქულა —არასოდეს შეგპარვიათ ეჭვი საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში. გარშემომყოფები გთხოვენ, დაიცვათ ისინი ძალადობისა და უსამართლობისაგან. თქვენ ნამდვილი შვარცენეგერი ხართ, პლანეტათაშორისი კორპორაციების რისხვა.

26-34 ქულა —თავდაჯერებულობა თქვენი ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. იშვიათად საკუთარი ძალების რწმენას კარგავთ, მაგრამ ეს ცოტა ხანს გრძელდება. თქვენ მილენა ხართ, კუეიდის მეგობარი, მარსელების მთავრობის დაუძინებელი მტერი.

16-24 ქულა — ოქროს შუალედი გიჭირავთ. თქვენთვისრეფლექსურობაა დამახასიათებელი, მაგრამ, თუ მიზანი დაისახეთ, ყველაფერს გააკეთებთ მის მისაღწევად. თქვენ მარსელი ხართ, უცხო სამყაროს წარმომადგენელი, წითელი პლანეტის ნამდვილი მკვიდრი.

6-14 ქულა — დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თავდაჯერებულობა გაკლიათ და ყველანაირად ცდილობთ, ეს გარშემომყოფებისაგან დამალოთ. არც ისე გხიბლავთ ურთიერთობები და ცდილობთ, ამ მოხვდეთ სიტუაციაში, როცა ყველაფერი მორალურ არჩევანზეა დამოკიდებული. ეჭვი გვაქვს, რომ მარსის მკვიდრი გოგონა ბრძანდებით, რომელსაც სამი ძუძუ აქვს და ბარში მიმტანად მუშაობს.

0-4 ქულა —ჯობია, ფსიქოთერაპევტთან ვიზიტზე ჩაეწეროთ. თქვენ კოჰაგენ უმცროსი ხართ (უცხოპლანეტელებზე გადაღებული ფილმის მთავარი ბოროტმოქმედის ვაჟი), უნებისყოფო დიქტატორი, რომელსაც არავინ და არაფერი აინტერესებს საკუთარი ინტერესების, განცდებისა და ძალაუფლების გარდა.

Cyan Magenta Yellow Black

მათრობელა ნაძვის ხე

პატარა ამერიკული ქალაქი ლინჩბურგი, რომელიც ტენესის შტატში მდებარეობს, მსოფლიოში ცნობილია, როგორც ვისკი „ჯეკ დენიელსის“ სამშობლო. აქედან გამომდინარე, ორიგინალური ნაძვის ხის შექმნის იდეაში ამ სასმელის ჩართვა გარდაუვალი იყო.

ლინჩბურგში მართლაც შექმნეს ორიგინალური, დამათრობელი ნაძვის ხე სასმელით სავსე 140 კასრით. ამ უჩვეულო ნაძვის ხის გახსნა ასობით ლიტრი „ჯეკ დენიელსით“ აღნიშნეს.

მატარებლის ბილეთი 6.000 დოლარად

დიდ ბრიტანეთში გამართულ აუქციონზე მატარებლის ბილეთი 6.000 დოლარად გაიყიდა. 100 წელზე მეტი ხნის წინ დაბეჭდილი სამგზავრო ბილეთი, რომლის ფასიც სწორედ მისმა საუკუნოვანმა ასაკმა განაპირობა, ანონიმმა მყიდველმა შეიძინა.

თავის დროზე ამ ბილეთის ღირებულება (თანამედროვე კურსით) 75 ცენტი იყო. მანძილი, რომელიც მისმა მფლობელმა 1884 წელს აშენებულ რკინიგზაზე გაიარა, დაახლოებით 60 კილომეტრი გახლდათ.

ძაღლმა საკუთარი ბიოგრაფია გამოაქვეყნა

ძაღლმა, სახელად უგიმ, რომელიც მსოფლიომ ფილმ „არტისტში“ შესრულებული როლით გაიცნო, პატრონის დახმარებით საკუთარი ავტობიოგრაფია გამოაქვეყნა. „უგი — ჩემი ამბავი“ — ასე ჰქვია წიგნს, რომელშიც ძაღლი საკუთარ ცხოვრებაზე მოუთხრობს მკითხველს. უგის პატრონის განცხადებით, წიგნის ლეიტმოტივია უპატრონო ძაღლებისათვის პატრონების მოძებნა.

უგი ჰოლივუდის ისეთ ცნობილ მსახიობებს უწევდა პარტნიორობას, როგორებიც არიან ვუპი გოლდბერგი და რიზ უიზერსპუნი, მსოფლიო პოპულარობა კი ოსკარის მფლობელმა ფილმმა „არტისტმა“ მოუტანა.

55 სანტიმეტრიანი ადამიანი



მსოფლიოში ყველაზე პატარა ადამიანი ფილიპინების კუნძულ მინდანაოზე ცხოვრობს. მისი სახელია ჯანრი ბლავინგი. ის 17 წლისაა და 55 სანტიმეტრი სიმაღლის. ჯანრი სულ მალე ყველაზე პატარა ადამიანის სტატუსს ოფიციალურად მიიღებს.

ჯანრი ბლავინგი ივნისში 18 წლის ხდება. მას დაბადებიდანვე ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, 2 წლის ასაკში კი ზრდა შეწყვიტა. ხელმოკლეობის გამო ოჯახმა ბიჭს სათანადო მკურნალობა ვერ ჩაუტარა.

ჯანრის ჰყავს ორი და — 13 და 6 წლის და 11 წლის ძმა. მისგან განსხვავებით, ისინი სრულიად ჯანმრთელები არიან. ჯანრი არ ნერვიულობს თავისი სიმაღლის გამო, პირიქით, უხარია, მსოფლიოში ყველაზე პატარა ადამიანი ვიქნებიო.

შეგახსენებთ, რომ ამ დროსთვის ყველაზე პატარა ადამიანის ტიტულის მფლობელი ნეპალელი ჰაგენდრე ტაპა მაგარუ გახლავთ, რომელსაც 18 წელი 2012 წლის ოქტომბერში შეუსრულდა. მისი სიმაღლე 66 სანტიმეტრია.

გორილამ 56 წელი იზეიმა

გორილა, სახელად კოლო, რომელიც ოჰაიოს შტატის დედაქალაქ კოლუმბუსის ზოოპარკში ცხოვრობს, 56 წლის გახდა. ის პირველი გორილაა, რომელიც ამ ზოოპარკში დაიბადა. ზოოპარკის თანამშრომლებმა და სტუმრებმა კოლოს დაბადების დღე გრანდიოზულად აღნიშნეს. სტუმრებმა მას ტორტი მიართვეს და უმღერეს კიდეც. კოლომ უამრავი საჩუქარიც მიიღო, ყველა მათგანი თავად გახსნა და ამ პროცესმა ძალიან გაამხიარულა.

კოლოს 3 შვილი ჰყავს, რომელთა მიმართაც ყოველთვის მზრუნველობით გამოირჩეოდა. გორილას სახელი იმ ქალაქის პატივსაცემად დაარქვეს, სადაც ის ცხოვრობს.

Cyan Magenta Yellow Black

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ხეზე

ყველაზე კომფორტული ხეზე აშენებული სახლი ბრიტანეთში, კენტში მცხოვრებ არქიტექტორ კრის უალისს ეკუთვნის. მან სახლის ასაშენებლად 7 თვე და 60.000 გირვანქა სტერლინგი დახარჯა.

შენობა გადაჭრილ ხეებზეა დაყრდნობილი, სახლში გაყვანილია ელექტროობა და წყალსადენის სისტემა. თანამედროვე ავეჯს ძველი ერწყმის. ერთი სიტყვით, პატარა სახლი ძალიან ჰგავს მდიდრულ ხუთვარსკვლავიან სასტუმროს.

ძაღლმა ნაძვის ხის სათამაშოები დააგემოვნა



7 წლის ძაღლი, სახელად ჩარლი, ნაძვის ხის სათამაშოებმა იმდენად მოხიბლა, რომ მათი დაგემოვნება გადაწყვიტა. ჩარლის წინასაშობაო ზეიმი კინაღამ ტრაგედიით დასრულდა — ნათურების შეჭმის შემდეგ ისე ცუდად გახდა, რომ ვეტკლინიკაში გადაიყვანეს.

ექიმებმა ძაღლს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარეს. საბედნიეროდ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ოჯახის ოთხფეხა მეგობარმა სახლში დაბრუნება უკვე შეძლო.

დედა გოგონას ბიჭად ასაღებდა

ბრაზილიელი დედა 2 წლის განმავლობაში გარშემომყოფთ არწუნებდა, რომ მისი შვილი ბიჭი იყო. დაბადების მოწმობის შევსებისას სქესის აღმნიშვნელ გრაფაში შვილისათვის მდედრობითის ნაცვლად მამრობითი ჩააწერინა და სამუელის სახელით დაარეგისტრირა. მთელი ამ დროის განმავლობაში ის გოგონას თმას მოკლედ ჭრიდა, ბიჭის ტანსაცმელს აცმევდა და სათამაშოდ მანქანებს ყიდულობდა.

2 წლის შემდეგ დეიდას ბავშვის სქესთან დაკავშირებით სერიოზული ეჭვი გაუჩნდა. ერთხელ მან დას შესთავაზა, რომ ცოტა ხნით ბავშვს დაიტოვებდა და სწორედ ამ დროს მოახერხა სიმართლის გარკვევა. როდესაც ყველაფერი ცხადი გახდა, დედამ თავი იმით იმართლა, რომ ამ სამყაროში ბიჭად ყოფნა გაცილებით მარტივია. როგორც აღმოჩნდა, ბავშვობაში თავად გამხდარა ძალადობის მსხვერპლი და არ უნდოდა, მის შვილსაც იგივე განეცადა.

სპილოები სანტა კლაუსის ნაცვლად

ტაილანდში, ქალაქ აიუტაჰაში, სპილოები სანტა კლაუსის ფორმაში გამოაწყვეს. ქალაქის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებს საშობაო საჩუქრები სპილოებმა დაურიგეს და სპეციალურად ამ დღისთვის ნასწავლი ნომერიც წარმოადგინეს. ბავშვებმა გიგანტი ცხოველებისაგან საჩუქრები დიდი სიხარულით მიიღეს.

მხატვარი დელფინი

ავსტრალიის აკვაპარკში მხატვარი დელფინი, სახელად საირუსი, ბინადრობს. თანამედროვე მხატვრები თვლიან, რომ მისი სახით მსოფლიო მხატვრობას ახალი ვარსკვლავი შეემატა. დელფინი დროის უმეტეს ნაწილს ხატვაში ატარებს მისთვის სპეციალურად გაკეთებული ფუნჯით. როდესაც საირუსი ნამუშევარს ასრულებს, მის მომვლელს ნახატი გასაყიდად ზღვის სამყაროს მაღაზიაში მიაქვს, შესული თანხა კი მთლიანად ქველმოქმედებას ხმარდება.

საირუსი მეგობრებთან ერთად შოუებსაც ხშირად აწყობს.

ეს იცოდით?

- როდესაც გველი 2 თავით იბადება, თავები ერთმანეთს ებრძვიან საკვებისთვის.
- ტბა ნიკარაგუა ერთადერთი მტკნარი წყლის რეზერვუარია მსოფლიოში, რომელშიც ზვიგენები ბინადრობენ.
- აფრიკაში ბეჰემოთების მოშენება დაიწყეს სახორცედ. ერთ ბეჰემოთს იმდენი ხორცის მოცემა შეუძლია, რამდენსაც 15 ძროხა იძლევა.
- თურმე ყველაზე მეტ ყურადღებას ქუჩაზე გადასვლისას ბატი იჩენს, ყველაზე ნაკლებს — ძაღლი, ხოლო ადამიანი კიდევ უფრო უყურადღებოა.
- ლეოპარდისებრი ზვიგენი ანჩოუსებით იკვებება. ის გაღებული პირით დაცურავს, სანამ ანჩოუსი შემთხვევით თავისით არ შეუცურდება.

Cyan Magenta Yellow Black

მეგიუ „რკინის“ ლედისთვის

ამ დაავადების მიმართ ყველაზე მიდრეკილი ქალები არიან. მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 3-4 გრამ რკინას შეიცავს. მნიშვნელობის მიხედვით, ის უნიკალური მიკროელემენტია. რკინა აუცილებელია სისხლის წარმოსაქმნელად, მის გარეშე შეუძლებელია ჰემოგლობინის (რთული ცილა, რომელიც ერითროციტების შემადგენლობაში შედის, პასუხისმგებელია ჟანგბადის მიტანაზე ჩვენს ორგანოებსა და ქსოვილებთან) სინთეზი.

თუ ორგანიზმს რკინა აკლია, მაშინ ჰემოგლობინის დონე მცირდება და უჯრედები ჟანგბადის შიმშილს განიცდიან. ეს თვითშეგრძნებაზე უარყოფითად აისახება.

საგანგაშო სიმპტომები

ანემიის დროს ადამიანს ძალის გამოლევა, მომატებული დაღლა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, თავბრუ, სიცივის მიმართ მგრძნობელობა აწუხებს. გარდა ამისა, შეინიშნება ტუჩის კუთხეში ნახეთქები, კანის აქერცვლა, ხშირი გაციება. კანი ფერმკრთალია, ფრჩხილები მტვრევადი, თმა ბრწყინვალებას კარგავს და გაძლიერებულად ცვენას იწყებს. რა იწვევს რკინის დეფიციტს?

მიზეზი

მედიკოსთა მონაცემებით, რკინადეფიციტური ანემია ქალთა 90%-ში გვხვდება. ყველაზე ხშირად მას იწვევს არასწორი კვება და სხვადასხვა დიეტით გატაცება. განსაკუთრებით რისკის ქვეშ იმყოფებიან ისინი, ვისაც აკლია ხორცი — რკინის ძირითადი წყარო. ანემია შეიძლება აღმოცენდეს ფეხმძიმობის ან ლაქტაციის პერიოდში, როდესაც ქალი რკინასა და სხვა აუცილებელ მიკროელემენტებს ბავშვს უნაწილებს. მის პროვოცირებას ახდენს ბევრი ქრონიკული დაავადება (გასტრიტი, ენტერიტი, ენტეროკოლიტი, დისბაქტერიოზი), რომელთა დროს რკინის შეწოვა ირღვევა. დაბოლოს, ჰემოგლობინის დონე ეცემა კრიტიკულ დღეებში სისხლის დაკარგვის გამო.

ოგორ ავიმაღლოთ ჰემოგლობინი

ჰემოგლობინის დონეს სისხლის საერთო ანალიზი აჩვენებს. ქალებისთვის ნორმაა 120 გრ/ლიტრზე. თუ ექიმი ანემიას გამოავლენს, რკინის შემცველი პრეპარატებით მკურნალობას დაგინიშნავთ (მკურნალობის პერიოდში საჭიროა ჰემოგლობინის დონის გაკონტროლება). მაშინაც კი, თუ თავს უკეთესად იგრძნობთ, მკურნალობას თვითნებურად ნუ შეწყვეტთ. პრეპარატების მიღების დამთავრებას ექიმი წყვეტს.

ჰიოფიდაქტიკა

საშუალოდ დღიური მოთხოვნილება რკინაზე ქალებში 15 მგ-ია. ყველაზე მეტ რკინას მჭლე ხორცი შეიცავს. რკინა ხორციდან 30%-ით უკეთესად შეითვისება, ვიდრე ხილიდან. ხშირად მიირთვით საქონლის, კურდღლის, ინდაურის ხორცი, ღვიძლი. 100 გრამ საქონლის ღვიძლში დაახლოებით 7 მგ რკინაა. რკინის სხვა წყაროებია: კვერცხის გული, თეთრი სოკო, პარკოსნები, წიწიბურა (ლიდერია ბურღულეულს შორის. 100 გრამი დღიური ნორმის მესამედს შეიცავს), ბოლოკი, ოხრახუში, ლობიო, კომში, ვაშლი, გარგარი. ზაფხულში რაც შეიძლება მეტი გარგარი მიირთვით. მიჩნეულია, რომ 100 გრამი ქორფა გარგარი სისხლის წარმოქმნაზე ისეთივე ზემოქმედებას ახდენს, როგორსაც 40 მგ რკინა აბებში ან 250 გრამი ღვიძლი.

რკინის ათვისებას აუმჯობესებს C ვიტამინის შემცველი პროდუქტები. ასე რომ, თუ ხორციანი კერძის შემდეგ ერთ ჭიქა ფორთოხლის წვენს დალევთ, შთანთქმული რკინის რაოდენობა გაორმაგდება. და კიდევ, ეცადეთ, ყავამ და ჩაიმ არ გაგიტაცოთ. ამ სასმელებში შემავალი ტანინი რკინას ბოჭავს და მის სრულად ათვისებას ხელს უშლის.

ზედმეტი ძილიც საშიშია!

ზომიერების გრძნობა მართლაც ღვთის საჩუქრია, რადგან ზედმეტობას ყოველთვის ყველაფერში ზიანი მოაქვს. სასარგებლოც კი შეიძლება საშიში გახდეს, თუ ის მეტისმეტია.

გჭირდებათ თუ არა ვიტამინები?

ვიტამინურ-მინერალური კომპლექსის, როგორც ნებისმიერი პრეპარატის, უკონტროლოდ მიღება ჯანმრთელობისთვის საშიშია. მხოლოდ ექიმს შეუძლია განსაზღვროს, ორგანიზმი რომელიმე სასარგებლო ნივთიერების მიმართ დეფიციტს განიცდის თუ არა. როგორც წესი, ნორმალური და მრავალფეროვანი კვების დროს, მისი დეფიციტი არ უნდა აღმოცენდეს. სხვა საქმეა, თუ იკვებებით ფასტფუდებით და თქვენს რაციონში იშვიათადაა ქორფა ბოსტნეული, ხილი, რძის პროდუქტები, ხორცი და თევზი. გახსოვდეთ, გარდა ავიტამინოზისა (ვიტამინების ნაკლებობა), არსებობს ჰიპერვიტამინოზი (ვიტამინების სიჭარბე), რომელიც ორგანიზმისთვის არანაკლებ მავნეა. ამიტომ უმჯობესია, რჩევისთვის ექიმს მიმართოთ.

კანს სწორად მოუარეთ

არ ღირს ზედმეტი გულმოდგინების გამოჩენა კანის მოვლის დროს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ნაწილებს, რომლებიც ცხიმის ჯირკვლებს მოკლებულია, ამიტომ ამ ადგილებზე კანი შეიძლება ძალიან მშრალი იყოს. მაგალითად, თუ თქვენი ტუჩები ძლიერ იქერცლება და ნახეთქებით დაიფარა, სრულებით არ არის აუცილებელი ყოველ საათში დამატენიანებელი კრემი ან ბალზამი წაისვათ. სხვაგვარად ამან შეიძლება უკუგავლენა მოახდინოს — ანთება (ჰეილიტი) და სხვა პრობლემები განვითარდეს. სასურველი ეფექტის მიღება სრულიად შესაძლებელია სწორად შერჩეული სამკურნალო კოსმეტიკით.

მოერიდეთ გადატვირთვას

ფიზიკური აქტივობა ზომიერი და ნორმალურად ასატანი უნდა იყოს. მეტისმეტი დატვირთვა ხშირად კუნთების ტკივილსა და ტრავმებს იწვევს. გარდა ამისა, შესაძლებელია ორგანიზმის გამოფიტვა, უჯრედების აღდგენის დარღვევა, იმუნიტეტის დაქვეითება.

ბევრი ძილი მავნეა

გამოუძინებლობის არასასურველ ეფექტებზე დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ, ხოლო ზედმეტი ძილის უარყოფით შედეგებზე ცოტამ იცის. ადამიანებში, რომლებსაც ძალიან ბევრი სძინავთ, ზუსტად ისევე ქვეითდება ბუნებრივი გამძლეობა-ამტანობა დაავადებების მიმართ, როგორც იმ პიროვნებებში, ვინც მუდამ გამოუძინებელია. ამავე დროს დიდხანს ძილის დროს მკვეთრად ქვეითდება ფიზიკური და ფსიქიკური აქტივობა. ეს კი, თავის მხრივ, სხვა არასასურველ შედეგებსა და პათოლოგიურ მდგომარეობებს იწვევს. რამდენი უნდა გვეძინოს? ინდივიდუალური ნორმა შეიძლება მერყეობდეს 5-დან 9 საათამდე.

თქვენ როგორი ძილის ნორმა გაქვთ? არსებობს მარტივი კრიტერიუმი: თუ დღის განმავლობაში მხნე და ენერგიული ხართ, თავს კარგად გრძნობთ, ყურადღების კონცენტრაციასთან პრობლემა არ გაქვთ და არ თვლემთ, მაშასადამე, საკმარისად გძინავთ.

ფრთხილად ანალგეტიკებთან!

ადამიანები განსაკუთრებით ბოროტად სარგებლობენ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებით. ანალგეტიკების არასწორად მიღებისას, შეიძლება კუჭთან ან ღვიძლთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აღმოცენდეს და ამ პრეპარატების მიმართ წმალისმიერი დამოკიდებულება განვითარდეს. განსაკუთრებით რისკზე მიდიან ისინი, ვინც ტკივილგამაყუჩებელს თვეში 10 ჯერზე მეტად იღებენ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვჰასუხობს ექიმი



— გათხოვილი ვარ, მაგრამ არ ვფეხმძიმდები. გათხოვებამდე 1 თვე გადაცდენები მქონდა. როგორ მოვიქცე?

— უნდა მიმართოთ გინეკოლოგს. ალბათ ჰორმონალური ბალანსი გაქვთ დარღვეული, რომლის აღსადგენად დროული და ზუსტი მკურნალობაა საჭირო. ჰორმონალური გამოკვლევის გარეშე ნებისმიერი მკურნალობა უშედეგოა.

— ვარ 12 წლის. თითქმის ყოველ დღე მაქვს თავბრუსხვევა. ხშირად მაწუხებს ქვემო კიდურები. რას მირჩევთ?

— თქვენი ასაკიდან გამომდინარე, თავბრუსხვევა შეიძლება რომელიმე დაავადების მაჩვენებლად არ ჩაითვალოს, ასევე ქვემო კიდურების ტკივილიც. ე.წ. გარდატეხის ასაკში მოზარდის ორგანიზმში შინაგანი ორგანოები და ჩონჩხის კუნთები არათანმიმდევრულად იზრდება და ვითარდება, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ იძლევა. რომ არ გამოგეპაროთ რაიმე დაავადების დასაწყისი, მიმართეთ პედიატრს, გადაიღეთ ელექტროკარდიოგრამა და ჩაიტარეთ სისხლის საერთო ანალიზი. თქვენს ასაკში გასათვალისწინებელია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებისა და სასქესო ორგანოების განვითარების თავისებურებებიც.

— მაწუხებს ჭარბთმიანობა. შეიძლება ჰორმონალური დარღვევა მქონდეს? ციკლი მაქვს მოწესრიგებული და წონა — ნორმალური.

— ჭარბთმიანობის დროს, პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს ჰორმონალური გამოკვლევა. მის გარეშე ვერც ერთი ექიმი ვერ მოგცემთ სწორ რჩევას.

— მენსტრუაცია მომდის ნორმალურად, მაგრამ მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მეწყება სისუსტე, თავბრუსხვევა, ვარ უსასიათოდ. გთხოვთ, მირჩიოთ როგორ მოვიქცე.

— მენსტრუაციის წინ მსგავსი ჩივილები ჰორმონალური ცვლილებებით არის გამოწვეული. მენსტრუალური სინდრომი თუ მკვეთრად არის გამოხატული, საჭიროა ექიმის ჩარევა, რათა, ერთი შეხედვით, ბუნებრივი ჩივილები შემდგომში გართულების მიზეზი არ გახდეს. ეცადეთ, მიიღოთ მსუბუქი დამამშვიდებელი საშუალებები მენსტრუაციის წამოსვლამდე.

— მკერდის არეში ზოგჯერ მაქვს ჩხვლეტითი ტკივილი, რომელიც ზოგჯერ ბეჭებში გადადის. გაცივებული ვიყავი და იმ დღიდან დამეწყო. რისი ბრალი შეიძლება იყოს და საშიშია თუ არა?

— თუ მკერდის არეს გულისხმობთ, ტკივილი შეიძლება კუნთის ანთებითი პროცესით იყოს გამოწვეული, რაც შეიძლება გაციებას ახლდეს. შეგიძლიათ აფთიაქში შეიძინოთ ანთების საწინააღმდეგო მალამო, რომლის შეზელის შემდეგ ტკივილმა უნდა იკლოს. მალამო შეიზილეთ ბეჭებშიც, მაგრამ ეცადეთ, არ გაცივდეთ, რადგან ტკივილი უფრო გაგიძლიერდებათ. თუ ტკივილს ძუძუს არეში გრძნობთ, მიაკითხეთ მამოლოგს. შეიძლება გაციება მხოლოდ დამთხვევაა და არ გამოგეპაროთ მასტოპათიური მოვლენები.

— გამომდის ძირმაგარები. რისი ბრალია ან მკურნალობის რა ხერხს მიყმართთო?

— ძირმაგარა, იგივე ფურუნკული, ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითებით ვითარდება. იგი მსუბუქი დაავადებაა და ორგანიზმში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ იწვევს. არსებობს მალამოები, რომელთა საშუალებითაც მისი სრული განკურნება შესაძლებელია. თუ გართულებული მდგომარეობა გაქვთ, ექიმს მიმართეთ, რომ, გარდა გარეგანი საშუალებებისა, დაგინიშნოთ შინაგანად მისაღები პრეპარატებიც, რათა ჩირქოვანი, ანთებითი პროცესი ბოლომდე ალაგდეს. არ გირჩევთ ძალით მის გამორწყვას. ხალხური მედიცინიდან ცნობილია, რომ უნდა დაიფინოთ მრავალძარღვას ახალი ფოთოლი, რომელზეც თაფლი იქნება წასმული. ასევე საუკეთესოა ცეცხლზე დარბილებული ხახვის ფურცლის დაფენაც.

— 3-4 კვირის ორსულობის შეწყვეტა თუ შეიძლება გინეკოლოგის გარეშე?

— ორსულობის შეწყვეტა საერთოდ არ შეიძლება.

— ციკლი მაქვს 24-26 დღიანი, ახლა მომიყიდა 31-ე დღეს. საშიშია თუ არა?

— საშიში ნამდვილად არ არის, რადგან ციკლი ნორმალურად ითვლება, თუ ის 21-31 დღიანია. მენსტრუაციის 2-3 დღით ადრე მოსვლა ან გადაცდენა საგანგაშო არ არის და თუ სხვა ჩივილები არ არის, მკურნალობას არ საჭიროებს.

— ვარ 26 წლის, გათხოვილი, მაქვს გამონადენი. შეიძლება თუ არა, ლაქტოვაგი მიყიღო ერთი თვის განმავლობაში?

— ლაქტოვაგი არის მიკროფლორის აღმდგენი. მისი მკურნალობის კურსი 20 დღეა. სასურველია, ჯერ ნაცხის ანალიზი ჩაიტაროთ და მკურნალობაც შესაბამისად ჩაიტაროთ. თუ ლაქტოვაგი ექიმმა დაგინიშნათ, მიიღეთ, ოღონდ წყლის გარეშე არ ჩაყლაპოთ, რადგან შეიძლება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გაღიზიანება გამოიწვიოს.

— ადამიანის ზრდის პროცესი რამდენ ხანს გრძელდება და თუ არსებობს ზრის ხელშემწყობი ვიტამინები?

— ადამიანის სიმაღლეში ზრდა საშუალოდ 18 წლამდე გრძელდება. A ვიტამინს ზრდის ვიტამინი ეწოდება, მაგრამ ექიმის გარეშე მისი მიღება დაუშვებელია.

— ვარ 42 წლის მამაკაცი, კბილები შიგნითა მხრიდან მაქვს გაშაავებული. სახლის პირობებში სიშავე როგორ მოვაშორო?

— სახლის პირობებში თქვენი კბილების გათეთრება თითქმის შეუძლებელია. კვირაში ორჯერ კბილები მარილისა და სოდის ნარევით გაიხეხეთ.

— შეიძლება თუ არა პროფილაქტიკის მიზნით კამელინის გამოყენება?

— გააჩნია რომელი დაავადების პროფილაქტიკის მიზნით გინდათ, რომ გამოიყენოთ. ექიმის გარეშე მის გამოყენებას არ გირჩევთ, რადგან ნებისმიერი წამალი, თუნდაც მცირე დოზით, მავნებელია თუ ზუსტად არ იქნა დანიშნული.

— ვარ 12 წლის, მენსტრუაცია მიცდება სამი თვით, მაქვს ასევე თეთრი გამონადენი. როგორ ვიმკურნალო?

— პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ თეთრი გამონადენი მენსტრუალური ციკლის დარღვევას არ გამოიწვევდა. გამონადენი გამოწვეულია ანთებითი პროცესით, უნდა ჩაიტაროთ ნაცხის გამოკვლევა, რადგან გამონადენის მიზეზი ხშირად არის სოკო. რაც შეეხება მენსტრუაციის არასტაბილურობას, მას ჰორმონალური დარღვევა იწვევს, მაგრამ, თქვენი ასაკიდან გამომდინარე, შეიძლება მკვეთრი ჩარევა არ იყოს საჭირო. მიმართეთ გინეკოლოგს. თუ ექიმი საჭიროდ ჩათვლის, ჰორმონალურ გამოკვლევას ჩაგიტარებთ. მკურნალობა უნდა დაინიშნოს ზუსტი, რათა შემდგომში გართულებები არ მოჰყვეს.

— რა იწვევს პირში უსიამოვნო სუნს და როგორ ვიმკურნალო სახლის პირობებში?

— პირში უსიამოვნო სუნი მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ბუნებრივია, პირველ რიგში, პირის ღრუში თუ არის პრობლემა, უნდა მოწესრიგდეს. უსიამოვნო სუნი შეიძლება კუჭ-ნაწლავის დაავადებებმაც გამოიწვიოს. პირის ღრუში ჩაიდეთ ერთი კოვზი თაფლი და წუწნეთ. თუ ღრძილების ანთებითი პროცესი მიმდინარეობს, პრობლემა ნაწილობრივ მოგიწესრიგდებათ. გამოივლეთ სალბის ნაყენი. მაგრამ, თუ მიზეზი შინაგანი ორგანოებიდან მომდინარეობს, სპეციალისტს მიმართეთ.

— ვარ 23 წლის ბიჭი, თმა მცვივა ძალიან. მაინტერესებს, რა იწვევს თმის ცვენას. ზამთარში მქონდა ფილტვების ანთება და ვიმკურნალე. მეუბნებიან, შეიძლება წამლებმა გამოიწვიაო.

— ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცვივა თმა და ამოსდის ახალი. ეს თმის ზრდის ნორმალურ ციკლს შეესაბამება. დღე-ღამეში ადამიანი 50-დან 150 ღერამდე თმას კარგავს. დაკარგული და ამოსული თმის რაოდენობა ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. თმის ცვენას ხელს უწყობს ზოგიერთი წამალი. მაგალითად, ანტიკოაგულანტები, ანტითირეოიდები. ქიმიოთერაპიის დროს გამოყენებული ციტოსტატიკები სწრაფ და სრულ გამელოტებას იწვევს, მაგრამ ეს პროცესი სავსებით შექცევადია. თმის ცვენა მრავალმა სხვა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად, მაღალმა ტემპერატურამ, ხანგრძლივმა დიეტამ, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციამ, ინფექციურმა დაავადებებმა, მემკვიდრეობითმა მიდრეკილებამ, ნივთიერებათა ცვლის მოშლამ. თმის ცვენა სტრესმაც შეიძლება გამოიწვიოს. ზოგჯერ მიზეზი არასწორი მოვლაა. ერთი შეხედვით, პნევმონიის დროს მიღებული წამლები არ შეიძლება გამხდარიყო თმის ცვენის მიზეზი, პრობლემა სხვა მხრივ არის მოსაძებნი. პირველ რიგში, მიმართეთ დერმატოლოგს, რომელიც თმის ფოლიკულებს დააკვირდება და შეამოწმებს. შეიძლება ლაბორატორიული გამოკვლევაც გახდეს საჭირო.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯეოსელიდან. თქვენს კითხვებს შეძლებისდაგვარად გავცემთ პასუხს. ერთი სმს-ის ფასია 50 თეთრი.

Cyan Magenta Yellow Black

როდის უნდა იყოს ცოლი ფხიზლად

ნდობა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ძირითადია. გვიყვარს, ნიშნავს, ვენდობით და ეს აქსიომაა, მაგრამ ზოგჯერ ურთიერთობებში ზედმეტად ნდობა სარისკოა, დიდი საფრთხის შემცველია.

ჭკვიანი და ლამაზი ცოლი, შესანიშნავი შვილები, კარგი სამუშაო — კიდევ რა ესაჭიროება მამაკაცს ბედნიერებისთვის? იცხოვრე და დატკბი! მაგრამ ზოგიერთი მამაკაცი თავის აწყობილ ცხოვრებას მეზობელი განყოფილებიდან სიმპათიური კოლეგის გამო მაინც სასწორზე დებს, არა — იმიტომ, რომ ცოლი აღარ უყვარს, უბრალოდ ახალი ემოციებისთვის. უწყინარი ფლირტი შეიძლება ქარიშხალში გადაიზარდოს, რომელიც ოჯახს დაანგრევს. არსებობს ბოლო „წერტილი“, რომლის შემდეგ ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია: ტკივილი, უნდობლობა და იმედის გაცრუება სიყვარულისა და პატიებისთვის ადგილს არ ტოვებს. სანამ ეს წერტილი არ დამდგარა, ჯერ კიდევ შეიძლება ურთიერთობის შენარჩუნება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მიმდინარე მოვლენები არ გამოგეპაროთ.

ენდე, მაგრამ შეამოწმე

საყვარელ და განუმეორებელ ქმარს ხუთი თითივით იცნობთ. ამიტომ მის ქცევებში, ჩვევებსა და განწყობაში ნებისმიერ ცვლილებებზე, ყურები ცქვიტეთ.

ის, როგორც ცუდი ჯაშუში, „ჩვენებებს“ ურეკს: მეგობრებთან ერთად ფეხბურთის მატჩზე მიდის, ხოლო ორი კვირის შემდეგ ახლობლებთან საუბრისას შემთხვევით წამოისვრის: „უკვე ნახევარი წელია, ცოცხალი თამაშისთვის არ მიყურებია, მთლიანად სამსახურზე ვარ გადართული“.

მისი მობილური ტელეფონი უცნაურ „ცხოვრებას“ იწყებს. მაგალითად, ქმარი მომსახურების ზონიდან გასულია, როდესაც, მისი თქმით, სამსახურში საქმეების გამო ყოვნდება. „საყვარელო, უბრალოდ დილით მობილურის დატენა დამავიწყდა“, — ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ არა — პერიოდულობით კვირაში 3-ჯერ. ფხიზლად იყავით, თუ ქმარს მობილური ტელეფონი სააბაზანოში შეაქვს, ხოლო ზარზე პასუხის გასაცემად ყოველთვის ოთახიდან გადის.

უცებ იწყებს თავის გარეგნობაზე ზრუნვას. თუ წინათ პერანგს მხოლოდ თქვენი შეხსენების შემდეგ იცვლიდა, ახლა სარკის წინ ჰალსტუხის შეკვრისას განსჯას იწყებს: „არა, ამ პერანგს ნაცრისფერზოლიანი ჰალსტუხი არ უხდება, ლურჯი მომიტანე“.

დროის მეტ ნაწილს სახლის გარეთ ატარებს, მიზეზად სამსახურში დაგროვილ საქმეს, მეგობრების პრობლემებს ასახელებს, რომლებიც მისი დახმარების გარეშე ვერაფერს აგვარებენ. ამასთან, უკანასკნელ დროს ნაცნობ-მეგობრების რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა და ყოველთვის რაღაც ეამრთებათ: ხან მანქანა გაუჩერდათ შარაგზაზე, ხან აგარაკის ბინაში სახურავიდან წყალი ჩადის...

თქვენთან ინტიმურ ურთიერთობაში გაცივდა ან, პირიქით, ფანტაზიორობა დაიწყო.

შეიძლება სრულიად უცნაური ფორმები მიიღოს დანაშაულის გრძნობამ, რომელიც მამაკაცს აწუხებს, როდესაც თავის არასწორ საქციელს აცნობიერებს. და მაშინ ცოლისთვის მოულოდნელად საჩუქრების გაკეთებას იწყებს. ან კიდევ, სულ გაღიზიანებული დადის, ბუზღუნებს, ყოველ წვრილმანზე ფეთქდება — შინაგანი უკმაყოფილება ასე პოულობს გამოსავალს.

უცებ შეიყვარა ქათამი ვაშლით, თუმცა ზუსტად ვერ იხსენებს, სად დააგემოვნა. ყვება ახალი წიგნების, ფილმების შესახებ. მის ლექსიკონში მუდამ ჩნდება ახალი, სასაცილო სიტყვები. პრინციპი ერთია: მის ქცევებში ცვლილებებია, რომელთა ლოგიკურ ახსნას ვერ პოულობთ.

ნაბიჯ-ნაბიჯ

სანამ მოჩვენებითი ან რეალური ღალატის შესახებ ჯაშუშურ თამაშებს დაიწყებთ, ჯერ გულღიად დაელაპარაკეთ, თქვენი ეჭვები გაახმოვანეთ, აღწერეთ მის ქცევებში უცნაურობები, რომლებიც გძაბავთ. შეიძლება ყველაფერს მარტივი ახსნა აქვს. მაგალითად, ჰალსტუხის გულმოდგინედ შერჩევა იმიტომ დაიწყო, რომ ახალი შეფი თანამშრომლის ვიზუალურ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევს. მაშინ შეგიძლიათ გულწრფელად გაიცინოთ საკუთარ ვარაუდებზე და ყველაფერი დაივიწყოთ. მაგრამ, თუ აღშფოთებას გამოხატავს, ავადმყოფურ ეჭვიანობაში გადანაშაულებთ, ამავდროულად თქვენს შეკითხვებზე მკაფიო პასუხებს არ იძლევა, მაშინ დროა მიხვდეთ, თქვენი ქმარი სასიყვარულო მახეშია გაბმული.

შეისწავლეთ მისი კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის შინაარსი. სარწმუნო საბაბით სამზარეულოში გაუშვით („საყვარელო, სამზარეულოში გაზის სუნია, არ ვიცი, რა გავაკეთო“) და შეამოწმეთ, ნამდვილად ჩაჰკირკიტებს თუ არა ოფისში ანგარიშებს. შეგიძლიათ, მისი ავტომობილის სალონი გამადიდებებლი მინით დაათვალიეროთ, შემთხვევით სხვისი გრძელი თმა ხომ არ არის სადმე. შეგიძლიათ ჯიბეში ქვითარი უპოვოთ და შეამოწმოთ, რაზე ხარჯავს ფულს...

მაგრამ, სანამ დეტექტივს განასახიერებთ, თქვენთვის გადაწყვიტეთ: როგორ მოიქცევით, თუ თქვენი ეჭვები გამართლდება?

ვაქროობთ ღაბაბს

ეს დეფექტი ასაკს მატებს. საჭიროა პრობლემის მაშინვე მოცილება, როგორც კი ოდნავ შესამჩნევია. მაშინ სიტუაციის გამოსწორება ბევრად უფრო ადვილია.

ნიკაპის მიდამოში ცხიმის ფენა ხშირი გამოვლენაა. ღაბაბის გაჩენა განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. ერთს კონსტიტუციური თავისებურების გამო უჩნდება, მეორეს — სიმსუქნის შედეგად.

არ იფიქროთ, რომ ღაბაბი მხოლოდ მოწიფულობის ასაკში ჩნდება. ზოგჯერ ამ პრობლემას 20 წლის ახალგაზრდაც კი ეჯახება. ღაბაბის გაჩენა ყოველთვის დაკავშირებული არ არის სიმსუქნესთან. შეიძლება განპირობებული იყოს გენეტიკური წინასწარგანწყობით, ტანადობის დარღვევით ან სხვა მიზეზით.

ღაბაბისგან რომ გათავისუფლდეთ, მთელი ძალა რამდენიმე მიმართულებით უნდა მიმართოთ, საჭიროა ტანადობის გაუმჯობესება (ზურგის სწორად დაჭერა), ღაბაბის მიდამოში ცხიმის ქსოვილის შემცირება, ენისქვეშა კუნთების გამაგრება. პრობლემის გადაჭრაში თვითმასაჟი და რამდენიმე მარტივი რჩევა დაგეხმარებათ.

პირველი ნაბიჯი — თვითმასაჟი.

მასაჟისა და სავარჯიშოს გაკეთება სასურველია დღეში 2-ჯერ. მასაჟი 5-დან 10 წუთამდე გრძელდება. კეთდება კრემით ან ნებისმიერი კოსმეტიკური ზეთით — ყურძნის, ატმის, გარგარის წიპწების, ნუშის, ზეითუნის, ასევე თაფლით.

მასაჟის პროცედურა ჩვეულებრივ, ხელის მსუბუქი გადასმით იწყება, რომელიც კანს უფრო ინტენსიური ზემოქმედებისთვის ამზადებს. გადასმა ხდება ხელის ზურგით ღაბაბის შუა ადგილიდან ყურებისკენ. გადასმის შემდეგ მასაჟს წრიული მოძრაობებით ვიკეთებთ. შემდეგ გადავდივართ ხელის თათუნზე. ისიც ხელის ზურგით ხდება (ხან — მარცხენა, ხან მარჯვენა ხელით).

მასაჟის შემდეგი პროცედურაა წიწკნა. ეს ორივე ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით სრულდება. წიწკნის დროს არ შეიძლება კანის გაწელა, საჭიროა თითებით მსუბუქად დაწოლა. შემდეგ ყველა მოძრაობა შებრუნებული რიგით მეორდება.

თუ მასაჟი თაფლით გაკეთდა, კანზე წყალი გადაივლეთ და შემდეგ კრემი წაისვით, ხოლო კოსმეტიკური ზეთი კანზე დაიტოვეთ — მასაჟის შემდეგ მუშაობას აგრძელებს.



მეორე ნაბიჯი. კუნთების გასამაგრებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი სავარჯიშოები.

ყელი და ნიკაპი მაქსიმალურად დაძაბეთ და რაც შეიძლება წინ გამოსწიეთ. რამდენიმე წამის შემდეგ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით.

მაგიდასთან დაჯექით, იდაყვებით დაეყრდენით. ხელის ცერა თითები ნიკაპის ქვეშ ამოიდეთ, საჩვენებელი — ყურების უკან. პირი ნელა, ძალდატანებით გააღეთ და დახურეთ, ნიკაპის კუნთები დაძაბეთ. ჯერ ხუთჯერ გაიმეორეთ, შემდეგ თანდათან ოცამდე გაზარდეთ.

ყელი წინ გამოსწიეთ და კუნთები ძლიერ დაძაბეთ. ყველა ხმოვანი მღერით წარმოთქვით. ყოველი ბგერის შემდეგ კუნთები მაქსიმალურად მოადუნეთ, შემდეგ სხვა ხმოვნის წარმოთქმისას ისევ დაჭიმეთ.

მესამე ნაბიჯი. ვმუშაობთ სწორ ხერხემალზე.

სწორი ტანადობის შესანარჩუნებლად, მზერა ჰორიზონტის ხაზზე 5-10 გრადუსით მაღლა მიაპყარით და თავის ეს მდგომარეობა დააფიქსირეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ჟართული ანეკდოტები

ჯახეთში ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. ჯახელმა ბავშვი საკიგაოდ ნაიყვანა. ცოტა ხანში ბავშვი ეუბნება:

— მამი, აღარ მინდა კიგაობა.

— ბევრ ნუ ლაპარაკობ და კიგა ნამაიღე, ეროსაც დავეშვები!

გურულმა ნაკრძალში შველი მოკლა, მოიდო ზურგზე და მიათრევს. მოულოდნელად რეინჯერი დაადგა თავს.

— ტიტუუ! რა სტრაფი ცხოველია აგი შველი! — იყვირა გურულმა, — რაფრა დამახტა ბეჭებზე, კი ვერ გევიგე!

❖ ❖ ❖

გურულმა ცოლი მოიყვანა და ბებიამისს მიაყენა სოფელში. შეიკეტნენ ცოლ-ქმარი ოთახში და სამი დღე არ გამოსულან გარეთ. მეოთხე დღეს ბებია კარზე აკაკუნებს:

— გამოით, ნენა, აწი, არ დეიხრჩოთ მაქანა... იმისთანა ვარიის ბაჟე მაქ, თითებს ჩაიკვნეტთ. მოგკლავენ ამდენი სასისკის ჭამა, შვილო, ფანჯრიდან მაინც ნუ ყრით ცელოფნის ჩენჩოებს, თვარა დეიხრჩვენ ინდაურები!

❖ ❖ ❖

ქუთაისელი თავის ახალ მეზობელს ურეკავს:

— იცი, რაია, ბიძია? ნუ უკრავ დღე და ღამე მუზიკას, თვარა ყურები გეტკინება, ცუდათ გახდები და საავადმყოფოში მოხვდები.

სიდედრი სიძეს უჩივლავს:

— უთო გადამენვა და ხომ ახ მოხვიდოდი?

— ახ უნდა მაგას ჩემი მოსვლა, ოხი მავთული მეიბი ოხ თითზე და შეყავი შტეფსელში. დანახჩენზე მეხე ვიღაპარაკოთ.

მიხო შვილთან ეთად ტელევიზორს უყურებს.

— მამი, ის ხაა? — ეკითხება შვილი.

— ეგ მაუგლია, ჯუნგლებში დაიკარგა და მხეცებმა გაზარდეი.

— ე ის ხაღაა, ბებიას ხო ჰგამს?

— ეგა, შვილო, პითონია, მაუგლის მეგობარი.

❖ ❖ ❖

— მერედა, თქვენ გგონიათ, რომ მოვკვდები?

— არა, ექიმები არ მოგკლავენ, მარა მე ნაღდათ ვერ გადამირჩები!

❖ ❖ ❖

ზესტაფონში ჯიხურში ტიპი შევიდა და გამყიდველს ეუბნება:

— პაპიროზს ყიდი, გოგო, შენე ღერებით?

— ღერებით კი არა, ისი! მაროუნი ხომ არ გინდა ატლეკვით!

❖ ❖ ❖

— მამიკო, — ურეკავს გოგო, — მე გავთხოვდი.

— გასაგებია. მე ხომ დაგპირდი, რომ შენს პირად ცხოვრებაში არ ჩავერევი, მაგრამ 11 საათამდე სახლში იყავი, იცოდე.

❖ ❖ ❖

ქუთაისელი მანქანას ყიდულობს და გამყიდველს კითხვებს უსვამს:

— აგი კნოპკა რისია, ბიძია?

— წვიმის საწინააღმდეგოა მაგი.

— რავა, ახლა ეგი სახურავს გადამაფარებს?

— აბა, პლაშს ჩაგაცმევს, თუ იცი?!

❖ ❖ ❖

— იცი, როგორი ჭკვიანი ძაღლი მაჩუქა ნათლიამ? — ეუბნება ნიკა თანაკლასელს, — როგორც კი სახლში შევალ, ჩემი ჩანთიდან დღიურს იღებს და საწოლის ქვეშ მალავს.

❖ ❖ ❖

გურული მამა-შვილი თევზაობენ. მამას მოშივდა და შვილს ეუბნება:

— მომეცი, მაგერ, ჩანთაში რომ კალბასია.

— კალბასი შევჭამე.

— მაშინ ყველი მომეცი.

— იგიც შევჭამე და პურიც მივაყოლე.

— აპა, რაღას ვაკეთებთ აქანე, მიაყოლე მაგი საანკესე ჭიებიც და წევიდეთ სახლში!

❖ ❖ ❖

მონადირე მეზობელს ეტრაბახება:

— ტყეში ვიყავი სანადიროდ და უცებ თოთხმეტი მგელი გამომიხტა...

— კაი, ახლა, ძაანაც ნუ იტყუები.

— გეფიცები, არ ვიტყუები! თან ორივე რუხი იყო!

❖ ❖ ❖

— ამ თვეში ხელფასი არ მომცეს და რა ჯანდაბით გადოვუხადო ცოლს ალიმენტი?

— ერთი თვე უნდა დოუბრუნდე, სხვა გზა არაა.

❖ ❖ ❖

— კაცი თაგვივითაა, — ეუბნება ლიკა დაქალს, — აი, თაგვი ხომ იცი, როგორია, დაცუნცულებს, დაცუნცულებს, უწყინარი, წყნარი გგონია. ისეა კაციც. წაყვები ცოლად და მეორე დღესვე მისი მოწამვლა მოგინდება!

❖ ❖ ❖

— აი, წაიღე ეს საათი და დღეში ორჯერ დაქოქე, — ეუბნება მესაათე მიხოს.

— ჭამამდე თუ ჭამის შემდეგა?

❖ ❖ ❖

— ძვირფასო, — ეუბნება ცოლი ქმარს, — მე შენი დაბადების დღისთვის საჩუქარი გიყიდე.

— აბა, მაჩვენე, საყვარელო.

— ჩავიცვა თუ ისე ნახავ?

❖ ❖ ❖

პატარა ბიჭი დაღონებული მიდის დედასთან:

— ეზოში ბავშვები მაჯავრებენ.

— რაო, რა გვინდაო?

— რაო და ძალიან

მთავრობამ ქუთაისში ახალი ბარი გახსნა: „უფასო ახაყი ყველა ღოთს"

მეოხე დღეს ოპოზიციამ გახსნა სახაშე: „პახმელიაზე ჩვენთან, ღოთებო!"

დიდი თავი გაქვსო.

— და შენ გჯერა?

— არა.

— არც მე... წადი, დედიკო, მაღაზიაში და 10 კილო კარტოფილი იყიდე.

— მომეცი ჩანთა.

— კარგი, რა, შვილო, ნუ მომაძებნინებ ახლა ჩანთებს, შენს ქუდში ჩაეტევა.

❖ ❖ ❖

— ჩვენს ბავშვს ნამდვილად აკლია კვება, — ეუბნება ელიკო ქმარს.

— რაში გამოიხატება, ამიხსენი ერთი, თუ შეიძლება!

— რა და, ამ ბოლო დროს კატლეტებს ვატან სკოლაში და რამდენჯერაც გავატანე, სულ ათიანები მოაქვს, ადრე ასე არ იყო.

— მასწავლებლებს აჭმევს ალბათ ეგ ვირიშვილი.

— თქვენ უნდა გაგნეიოთ, მუუნაღობა საჭიო აღაა. მომიკითხეთ ბებიათქვენი და ბაბუათქვენი.

— მაგიამ, ექიმო, ისინი ღიდი ხნის წინ გაიდაიცვალნენ!

— ჰოდა, მომიკითხეთ!

✓ შეკრიბა
ბერძან ბერკეილიშვილმა,
ქეთი ხარაგიშვილის ნახატები

Cyan Magenta Yellow Black

1. დაუქორწინებლობა; 2. ... დუმბაძე; 3. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 4. კოლხი მედეას დედა; 5. კაცის სახის მქონე საახალწლო პური; 6. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 7. ფრანგი მწერალი; 8. ტაივანის ადმინისტრაციული ცენტრი; 9. ერთმანეთში უხსნადი ორი სითხის ნარევი; 10. მუსიკალური ნოტის ნახევარი ტონით დადაბლების ნიშანი; 11. ერთგვარი საზღვაო მოგზაურობა; 12. კუდიანი ვარსკვლავი; 13. იტალიური ღვეზელი; 14. ბრაზილიური ცეკვა; 15. რისამე ფასი კერძო ბაზარში; 16. ცხენის კისრის ნაწილი; 17. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 18. იაპონური პოეზიის ჟანრი; 19. მოქალაქეობის ჩამორთმევა ძველ საბერძნეთში; 20. აღვირის ნაწილი; 21. საზოგადოებრივი წყობილების ფორმა; 22. მაჰმადიანთა რელიგია; 23. დედალი ღორი; 24. ბგერიდან ბგერაზე უწყვეტი გადასვლა მუსიკაში; 25. ფიზიკოსი ... ბორი; 26. ჭადრაკის ფიგურა; 27. იუპიტერი ძველქართულად; 28. ფრანგი მათემატიკოსი; 29. მოკლე საეკლესიო საგალობელი; 30. ბნელი, შავი; 31. ბერძნული ანბანის ასო; 32. „ხარება და გოგიას“ პერსონაჟი; 33. კათხა; 34. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი; 35. სოფელი ახმეტის რაიონში; 36. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 37. შალის მკვრივი ქსოვილი; 38. წყალში მოხარშული ცომის ნაჭრები; 39. როდესაც; 40. წყლის ფრინველი; 41. ბედი, იღბალი; 42. სამაგიდო თამაში; 43. ვიეტნამელთა დინასტია; 44. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 45. გასეირნება ჩვილის ენაზე; 46. ვრცელი, ბალახოვანი ვაკე; 47. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 48. ვრცელი მიდამოს ზედხედი; 49. გომბეშოს სახეობა; 50. ერთგვარი პეპელა; 51. აღლუმი; 52. ჭეშმარიტად; 53. ... მოროშკინა; 54. ახლო ნათესავი ქალი; 55. მარტი ძველქართულად; 56. ქართული გაზეთი; 57. ასო ნ-ს სახელი; 58. ჰერას ქურუმი ქალი; 59. ბრინჯის არაყი; 60. ყაზახეთის ფულის ერთეული; 61. ადამიანის ბიოველი; 62. მოკლე სადღეგრძელო; 63. თამაში სალტეებითა და ჯოხებით.

სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

ტრაპეზის შემდეგ მისართმევი ტკბილეული

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ნიშანი; 2. ფშატი; 3. მარინადი; 4. შუ; 5. ირტიში; 6. ბიანკა; 7. დუნია; 8. ჩუ; 9. ფიჩხი; 10. ბჭე; 11. სეგიდილია; 12. ფერშალი; 13. ენა; 14. ბობინა; 15. ანიონი; 16. ფასი; 17. პა; 18. მშვილდი; 19. როგორ; 20. ელია; 21. ეროს; 22. მირონი; 23. აია; 24. არისა; 25. კაა; 26. ლოტი; 27. აპია; 28. პირიტი; 29. რეკეტი; 30. საია; 31. პარმენ; 32. პადრე; 33. დალაი; 34. რაშკული; 35. შველი; 36. ესე; 37. რობინ; 38. ადამ; 39. დვირი; 40. ვერსი; 41. ელდორადო; 42. შვრია; 43. სი; 44. პრუსია; 45. ბრასლეტი; 46. იდო; 47. არაბია; 48. ომონიმი; 49. იო; 50. ალ; 51. მისანი; 52. ავშარა; 53. აბი; 54. ენიო; 55. ვასალი; 56. ეშვი; 57. საუნა; 58. სამანი; 59. ალპანა; 60. მარლონ; 61. კანა; 62. ნარი. **სურათებზე:** მარინა კახიანი; ნინელი ჭანკვეტაძე; ნოდარ მგალობლიშვილი; ჟანრი ლოლაშვილი.

ჯოდი: შაბაში.

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ნოტი
2. ორიანი ნარდში
3. ზენიტის მოპირდაპირე წერტილი
4. მდინარის სადინარი
5. ვისიმე დაცვა, შექება
6. სურდო
7. აეროპორტი პარიზში
8. აკრძალვა
9. სუსტი არაყი
10. აქლემების ოჯახის ცხოველი
11. ... გიბსონი
12. ჯუჯა კამეჩი
13. მიკი ...
14. ... ჯაგერი
15. ბატონო ინგლისურად
16. დომბა, ცხენირემი
17. ნიში ოთახში
18. თანხა, ფული
19. უბანი თბილისში
20. ... რობერტსი
21. ყვავილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. დო; 2. კალანდა; 3. ელიბო; 4. ფრე; 5. ფშა; 6. ამირანი; 7. არე; 8. პალინდრომი; 9. თითი; 10. ლი; 11. სერ; 12. არა; 13. პირამიდა; 14. პაი; 15. ავაზა; 16. ბოთლი; 17. რიბოფლავინი; 18. აღა; 19. სინი; 20. ასაკი; 21. რა; 22. რომბი; 23. კი. **სურათებზე:** საცივი; შოთი; ღვინო; გოზინაყი.

Cyan Magenta Yellow Black

დაფნა დიუ მორიე

საზღვარზე

დასაწყისი №51-52

შეილამ ფოსტის მუშაკი იცნო, მაგრამ აღარ იცოდა, გახარებოდა თუ შეშინებოდა.

— კიდევ ერთხელ გამარჯობა, — ქალიშვილის მისალმება ზედმეტად გულითადი იყო, — როგორც ხედავთ, დილას აღარ დაველოდე და თქვენი მითითებების წყალობით გზას იოლად მოვაგენი.

— ვხედავ, — თქვა ახალმოსულმა, — მოსახვევში თქვენი „ოსტინი“ შევნიშნე და ვიფიქრე, ვაითუ გზა აებნას-მეთქი.

— გმადლობთ, მაგრამ, მგონი, ტყუილად შეწუხდით.

— ეგ არაფერი, — ფოსტის მუშაკი ახალგაზრდას მიუბრუნდა, — მაიკლ, კარგი საღამოა, არა?

— მშვენიერი, მისტერ რეილი, — დაეთანხმა ის, — თქვენ, როგორც ვხედავ, ერთმანეთს იცნობთ.

— ეს ქალიშვილი დღეს ფოსტაში შემოვიდა და კაპიტანი ბარი იკითხა. გაკვირვებული იყო, მისი სახელი სატელეფონო წიგნში რატომ არ არისო.

— მართლა? — ახალგაზრდამ ჯიბიდან ფანარი დააძრო და შეილას სახეში მიანათა, — მაპატიეთ, მის, მაგრამ... პირველად გხედავთ. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მითხარით, რა საქმე გაქვთ კაპიტანთან და აუცილებლად გადავცემ.

— მის, — თქვა ფოსტის მოხელემ, — მაიკლი კაპიტანს დარაჯობს, დაუპატიჟებელმა სტუმრებმა რომ არ შეაწუხონ.

— იცით, კაპიტანთან პირადი საქმე მაქვს და ასე იოლად ვერ გადმოვცემ. ალბათ უკეთესი იქნება, სასტუმროში დავბრუნდე და წერილი იქიდან მივწერო.

შეილას დაბნეულობა მამაკაცებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მათ ერთმანეთს გადახედეს, თითქოს რაღაც ანიშნეს. მერე მაიკლმა მისტერ რეილს მკლავში ხელი გამოსდო, გვერდზე გაიყვანა და რაღაცაზე ჩურჩული დაუწყო. შეილამ ინანა, სასტუმროში რომ არ დარჩა და ამ ორ საეჭვო სუბიექტს გადაეყარა.

ისინი მალე მობრუნდნენ უკან და ახალგაზრდამ შეილას ღიმილით უთხრა:

— ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, კუნძულზე თუ გადაგიყვანთ. იქ კი კაპიტანი თავად გადაწყვეტს, მიგიღებთ თუ არა.

— უკვე ძალიან გვიანია, — სწრაფად მიუგო ქალიშვილმა, — ხვალ დილით დავბრუნდები და მაშინ გადამიყვანეთ.

— ჯობს, ერთბაშად დავასრულოთ, — თქვა მაიკლმა.

„დავასრულოთ? რას გულისხმობს, ნეტა? — რამდენიმე თვის წინ, პრემიერის შემდგომ ბანკეტზე შეილამ ამაყად განაცხადა, არ მინდა, დროზე ადრე ჩავქრეო, ახლა კი ქალიშვილი შიშმა აიტანა, — ნუთუ მოკვლას მიპირებენ?“.

— ახლავე თუ არ დავბრუნდები, მისტერ დოგერტი პოლიციაში განაცხადებს, — სწრაფად თქვა მან.

— მაგაზე ნუ იდარდებთ, — ჩაერია ფოსტის მუშაკი, — ზევით, გზაზე, მეგობარი მიცდის. თქვენს „ოსტინს“ სასტუმროში ის დააბრუნებს, ტიმ დოგერტის კი მე დაველაპარაკები.

ვიდრე რამეს იტყოდა, მამაკაცები შეილას აქეთ-იქით ამოუდგნენ და ნავისკენ წაიყვანეს.

„არა, არა! ეს შეუძლებელია!“, — გაიფიქრა კიდევ უფრო შეშინებულმა ქალიშვილმა და ბავშვივით ტირილი წასკდა.

— დაწყნარდით, — დაამშვიდა მაიკლმა, — ხელს არავინ გახლებთ. თავადაც ხედავთ, რა მშვენიერი ღამეა, წყალზე კი ის უფრო ღამაზია.

ახალგაზრდა შეილას ნავში ჩაჯდომაში მიეხმარა და თავადაც შიგ ჩახტა, მისტერ რეილი კი ნაპირზე დარჩა.

— აბა, ჯერჯერობით, მისტერ რეილი, — ასძახა მაიკლმა და მოტორი ჩართო.

— კარგად, მაიკლ, კეთილი მგზავრობა.

შეილას გასაკვირად, სახლი ნაპირთან სულ რაღაც ას იარდში მდებარეობდა და ხეებს მიღმა კარგად მოჩანდა. ეს დანომრილი მორებისგან ნაგები გრძელი, ერთსართულიანი შენობა იყო, რომელსაც ფასადის მთელ სიგრძეზე ვერანდა გასდევდა.

როცა მაიკლმა და შეილამ სამსაფეხურიანი კიბე აიარეს და შეჩერდნენ კართან, რომელსაც „კამბუზში შესასვლელი“ ეწერა, შიგნიდან ძაღლის ავი წკავწკავი მოისმა, რომელიც, ცხადია, ჯაჭვიანი ნაგაზის არ იქნებოდა.

მაიკლმა ქალიშვილს გადაულაპარაკა:

— ჩვენი შიპი უცხოს ოც მილზე ცნობს.

კარი გაიღო. ზღურბლზე გემის სტიუარდის ფორმიანი საშუალო სიმაღლის ჩაფსკვნილი მამაკაცი იდგა.

— ბობ, — მიმართა მას მაიკლმა, — ეს ქალიშვილი ტბის პირას დასეირნობდა, უფრო ადრე კი, როგორც მისტერ რეილმა მითხრა, კაპიტანს კითხულობდა.

სტიუარდმა შეილა აათვალიერ-ჩაათვალიერა და მზერა მისი ჟაკეტის ჯიბეზე შეაჩერა.

— მანდ არაფერია, — თქვა მაიკლმა, — ხელჩანთა მანქანაში დარჩა, თავად კი „გერბში“ გაჩერდა დოგერტისთან.

— შემოდით, მის, — თავშეკავებით შეიპატიჟა სტიუარდმა, — მგონი, ინგლისელს ჰგავხართ.

— დიახ, — მიუგო შეილამ, — დღეს ჩამოვფრინდი დუბლინში და მანქანით აქეთ გამოვეშურე. კაპიტანთან პირადი საქმე მაქვს. ასე რომ, სხვას არავის არაფერს ვეტყვი.

— გასაგებია, — თქვა სტიუარდმა.

პატარა, ყურებაცქვეტილი ძაღლი გამალებით ყნოსავდა შეილას კოჭებს.

— უნდა გაგსინჯოთ, — თქვა სტიუარდმა.

— რა თქვით? — ყურებს არ დაუჯერა შეილამ.

— ასეა მიღებული, — მიუგო ბობმა და ქალიშვილს ტანზე ხელები ჩამოატარა.

მაიკლი ჩხრეკას ინტერესით ადევნებდა თვალს და ხმას არ იღებდა.

— ვერ ვხვდები, ეს რა საჭიროა! — აღშფოთდა შეილა, — მგონი, თქვენ მომიტაცეთ და არა მე!

— კითხვების დასმას ეს ჯობია, — აუხსნა სტიუარდმა და მაიკლს მიუბრუნდა, — კარგი ქენი, აქ რომ მოიყვანე. როცა კაპიტანი მოვა, ყველაფერს მოვახსენებ.

მაიკლმა ჩაიცინა, შეილას თვალი ჩაუკრა, ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა.

— მომყევით, — თქვა სტიუარდმა.

შეილამ თვალი გააყოლა მაიკლს, რომელიც ახლა მის თვალში შესაძლო მოძალადიდან მოკავშირედ იქცა, მერე შებრუნდა და მორჩილად გაჰყვა სტიუარდ-მაჟორდომს. დერეფნის ბოლოში სტიუარდმა კარი შეაღო და დიდ ოთახში შეიყვანა ქალიშვილი.

— სიგარეტები ბუხართანაა, მაგიდაზე. თუ რამე დაგჭირდებათ, აი, ამით დამირეკეთ. ყავა გნებავთ?

— სიამოვნებით, — მიუგო შეილამ.

ბობი გავიდა, შეილამ კი იქაურობის თვალიერება დაიწყო.

ოთახში სიმყუდროვე სუფევდა. იატაკს კედლიდან კედლამდე ლურჯი ხალიჩა ფარავდა. ფანჯარასთან დიდი საწერი მაგიდა იდგა, იქვე ორი მოზრდილი სავარძელი. კედელზე საბრძოლო ხომალდების ფოტოსურათები ეკიდა. ბუხარში შეწყობილ შეშას გიზგიზით ასდიოდა ალი. ეს ყველაფერი ნაცნობად ეჩვენა შეილას, თითქოს ადრე, ბავშვობაში ნანახს აგონებდა და უცებ გაახსენდა: ასე ხომ მამამისის, კაპიტნის კაიუტა იყო „ესკალიბარზე“ მოწყობილი! ავეჯი, ფოტოები — ზუსტად ისეთივე იყო ყველაფერი!

შეილა ფანჯარასთან მივიდა და შტორი გასწია, თითქოს მის მიღმა პორტსმუტის ნავსადგურსა და იქ მდგომ გემებს დაინახავდა, მაგრამ ვერანდისა და ბნელით მოცული ხეების მეტი არაფერი იყო.

ამ დროს კარი გაიღო, სტიურდმა ვერცხლის სინით ყავა შემოიტანა და მაგიდაზე დადგა.

— კაპიტანი მალე იქნება, — განაცხადა მან, — ახლახან შემატყობინეს, მისი კატერი 15 წუთის წინ გამოვიდაო.

როგორც კი სტიუარდი გავიდა, შეილა პანიკამ შეიპყრო — ასეთი მოუწესრიგებელი როგორ დახვდეს ნიკს? არც პომადა აქვს და არც სავარცხელი, ცოტათი მაინც რომ დაემსგავსოს ქალს! შეილამ კედლის სარკეში ჩაიხედა და... არა! ეს საშინელებაა! იქნებ სავარძელში ჩაჯდეს და ყავის ჭიქით ხელში დახვდეს ნიკს? ან იქნებ ბუხართან დადგეს, ხელები ჯიბეში ჩაიწყოს და ქალაბიჭასავით შეეგებოს? ახლა მას რჩევა სჭირდება, ადამ ვეინის მსგავსი რეჟისორი სჭირდება, რომელიც ფარდის აწევამდე დაარიგებს, სად დადგეს და რა გააკეთოს...

შეილა სარკეს მოსცილდა, საწერ მაგიდას დახედა და... ლურჯ ტყავის ჩარჩოში მოთავსებულ ფოტოს მიაპყრო მზერა. ზედ საქორწინო კაბაში გამოწყობილი დედამისი იყო გამოსახული, მის გვერდით კი... ჰოი, საოცრებავ! მამამისი კი არა, ნიკი იდგა დამცინავი, ავი გამომეტყველებით. შეილა უფრო დაჟინებით ჩააცქერდა ფოტოს და მიხვდა, რომ ოსტატურად დამონტაჟებულ სიყალბესთან ჰქონდა საქმე! მამისა და ნიკის თავები გადაადგილებული იყო, ანუ მამამისის ტანს ნიკის თავი ედგა, იქვე მდგომი ნიკის ტანს კი — მამის თავი! იგივე ფოტო, ოღონდ ნორმალური ფორმის, მამის საწერ მაგიდაზე იდგა, მისი ასლი კი სეკრეტერის უჯრაში იყო.

ვის რაში დასჭირდა ამგვარი ტრიუკი? ნუთუ ნიკს? ამით ხომ ის საკუთარ თავს ატყუებდა და არავის სხვას? იქნებ... შეიშალა? აბა, ამას რომელი ჭკუათმყოფელი იზამდა? მაშინ ნიკთან შეხვედრა უფრო საშიშია, ვიდრე ბობთან ან მაიკლთან იყო... არა, აქ მართლა უნდა იმსახიობოს, უნდა ითამაშოს, ვითომ არაფერი იცის... იმპროვიზაციას უნდა მიმართოს... ხომ დასჭირდა ორიოდეჯერ სპექტაკლში და კარგადაც გამოუვიდა... ჰო, სხვა გზა არ არსებობს...

დერეფნიდან ხმები მოისმა, მერე კარი გაიღო და ის შემოვიდა.

გაკვირვება ორმხრივი იყო. ნიკს თმა შეთხელებოდა, ახვეული მარცხენა თვალით კი მოშე დაიანს მოგაგონებდათ.

— ბობ, თვალი მიადევნეთ, ოპერაცია B რომ ახლავე დაიწყონ, — გასძახა მან დერეფანში მყოფ სტიუარდს ისე, რომ შეილასთვის თვალი არ მოუცილებია.

Cyan Magenta Yellow Black

— არის, სერ!

ნიკმა კარი მიხურა, შემობრუნდა და თქვა:

— მგონი, ბობმა ყავა მოგიდულათ. ხომ არ გაციებულა?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა შეილამ, — ჯერ არ დამილევია.

— ცოტა ვისკი ჩაამატეთ. თავს უკეთ იგრძნობთ.

მან კედლის კარადიდან ვისკის ბოთლი გამოიღო და მაგიდაზე დადგა. შეილამ ცოტა ვისკი ყავას დაამატა. ხელები უკანკალებდა და ცივი ოფლი ასხამდა.

— აბა, მოდუნდით, მის, — თქვა სახლის პატრონმა, — თორემ დაჭიმულ სიმს ჰგავხართ. ისე, უნდა გვაპატიოთ, უსიამოვნება რომ მოგაყენეთ, მაგრამ თქვენი ბრალია, რა საჭირო იყო ასე გვიან ტბასთან სეირნობა?

— ეს არ მოხდებოდა, ბოძზე რომ „შესვლა აკრძალულია“ მიგეწერათ.

— გავითვალისწინებ, — დამცინავად მიუგო კაპიტანმა, ძაღლი მუხლებზე დაისვა და მოფერება დაუწყო, თან ცალ თვალს ქალიშვილს არ აშორებდა, — რა გქვიათ?

— ჯინი... ჯენიფერ ბლერი.

ეს მისი სცენური სახელი იყო, შეილა მანი არასოდეს მოსწონდა.

— ჰოო, — გაწელა კაცმა, — კარგად ჟღერს. ახლა მითხარით, რისთვის დაგჭირდით, ჯინი?

„იმპროვიზაცია. ეტიუდის დროა, როგორც ადამ ვეინი იტყოდა“.

— მე... ჟურნალისტი ვარ. ჩემს გამომცემელს თავში ახალი რუბრიკის გახსნა მოუვიდა, რომელსაც „ჯარისკაცები ისვენებენ“ ჰქვია. მოსწონთ თუ არა ვეტერანებს ეს, რა აინტერესებთ, როგორ ერთობიან და ა.შ. ოთხ ჟურნალისტს სათანადო დავალებები მოგვცეს. თქვენ ჩემს სიაში მოხვდით და, აი, მე აქ ვარ.



— გასაგებია, მაგრამ... საიდან მოიტანეთ, რომ ჩემი პერსონა თქვენს მკითხველებს დაინტერესებს?

— ეს უკვე უფროსობის პრეროგატივაა და არა — ჩემი. მე მხოლოდ საწყისი მონაცემები მომაწოდეს, დანარჩენი კი თქვენგან უნდა შევიტყო.

— დანარჩენში რას გულისხმობთ?

— პიროვნულ თვისებებს, მისწრაფებებს, ხასიათს...

— მერე რა იქნება?

— რა უნდა იყოს? ნარკვევს გავაშალაშინებ და რედაქციას წარვუდგენ.

— საოცარია, თქვენმა შეფებმა არჩევანი ჩემზე რომ შეაჩერეს მაშინ, როცა ოლქში უამრავი გაცილებით ცნობილი ადამიანი ცხოვრობს, ნამდვილი გენერლები, ადმირალები და სხვები, ვეტერანებს რომ ეძახით.

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა:

— რამდენადაც ვიცი, სახელებს ალალბედზე ირჩევენ. ვიღაცამ, აღარ მახსოვს, ვინ, თქვა, რომ თქვენ განდეგილად ცხოვრობთ, პუბლიკას კი სწორედ ასეთი რაღაცეები აინტერესებს. ჰოდა, მეც მითხრეს, წადი, გაიგე, ეს კაცი რითი სუნთქავსო.

— მერე რა გაიგეთ?

— ჯერ არაფერი.

— თქვენ რომელი გაზეთიდან ხართ?

— გაზეთი არაა, ჟურნალია, „პროჟექტორი“, პრიალა ყდით. შეიძლება თქვენც შეხვედრიხართ.

ამგვარი ჟურნალი მართლაც არსებობდა. შეილამ დაათვალიერა რამდენიმე ნომერი ფრენის დროს.

— არა, ჯერ არ შემხვედრია, — მიუგო მან, — ისე, არცაა გასაკვირი. მე ხომ განდეგილივით ვცხოვრობ.

— ნამდვილად.

კაცის თვალი განუწყვეტლივ მისჩერებოდა ქალიშვილს.

— მაშასადამე, ჩემთან მხოლოდ პროფესიულმა ცნობისმოყვარეობამ მოგიყვანათ?

— და კიდევ იმან, კუნძულზე რომ ცხოვრობთ. აქაურობა თითქოს საიდუმლოებითაა მოცული. განსაკუთრებით — ღამით.

— თქვენი შეშინება კი, როგორც ჩანს, არც ისე ადვილია.

— პირიქით. როცა თქვენმა დარაჯმა მაიკლმა და ფოსტის მოხელემ ნავისკენ წამათრიეს, ძალიანაც შემეშინდა.

— რა იფიქრეთ, რას გიზამდნენ?

— მცემდნენ, გამაუპატიურებდნენ, მომკლავდნენ, რაღაც ამის მსგავსს.

— თქვენი აზრები ინგლისური ჟურნალ-გაზეთების კითხვის შედეგია. ჩვენ, ირლანდიელები, საოცრად მშვიდობისმოყვარე ერი ვართ. ერთმანეთს კი ვესვრით ხოლმე, მაგრამ ეს ისე, ტრადიციულად. ქალზე ძალადობა ჩვენ არ გვახასიათებს. ქალზე იერიში იშვიათია, უფრო პირიქით ხდება.

ამჯერად შეილას გაეცინა, ოღონდ თავისდაუნებურად. დაძაბულობა ნელ-ნელა ქრებოდა. სიტყვიერი ორთაბრძოლა: დარტყმა და კონტრდარტყმა. ამგვარი დუელი მას არ დაღლიდა.

— კიდევ ვისკი? — შესთავაზა კაპიტანმა.

— სიამოვნებით.

ამ ადგილას რეჟისორი პოზას შეაცვლევინებდა, მაგრამ არა, ყველაფერი ძველებურად დარჩეს.

— ახლა თქვენი ჯერია, — გაუღიმა ქალიშვილმა კაცს, — მითხარით, თქვენი გუშაგი ყველა ტურისტს იტაცებს?

— არანაირად. ეს პატივი პირველად თქვენ გერგოთ. შეგიძლიათ იამაყოთ.

— ორივეს ვუთხარი, დილით მოვალ-მეთქი, მაგრამ ვინ გამიგონა? თქვენმა სტიუარდმა კი, რომ იტყვიან, საფუძვლიანად დამამუშავა.

— ბობი საზღვაო წესებს იცავს. ამგვარი ჩხრეკა ფლოტში ყოველთვის ხდებოდა. ადრე იქ ვმუშაობდი და ვიცნობ მაგ სიტუაციას.

— არ ნანობთ, სამსახური რომ მიატოვეთ?

— სულაც არა. მისგან რაც მსურდა, ყველაფერი მივიღე.

— თანამდებობრივი დაწინაურების გარდა?

— რაში მჭირდებოდა? მშვიდობიან დროს გემის კაპიტნობა რა სახარბიელოა? თანაც აქ გაცილებით საინტერესო საქმიანობას მივაგენი.

— კონკრეტულად?

— საკუთარ ქვეყანას გავეცანი. მისი ისტორია შევისწავლე. რაღაცრაღაცეები დავწერე და შიგადაშიგ მიბეჭდავენ კიდეც, ოღონდ ჰონორარის გარეშე, განსხვავებით თქვენგან, პოპულარულ ჟურნალებში რომ იბეჭდებით, — მან ისე სანდომიანად გაიღიმა, შეილამ იფიქრა, მგონი, დროც დადგაო და ასეც მოიქცა.

— მითხარით, — დაიწყო მან, — მკითხველებს თქვენი პირადი ცხოვრებაც ძალიან დაინტერესებთ, თან მაგიდაზე ეს ფოტოც შევნიშნე... თქვენ დაქორწინებული იყავით?

— ვიყავი, — მიუგო კაცმა, — ეს ჩემი ბიოგრაფიის ტრაგიკული ფურცელია. ქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ცოლი ავტოკატასტროფაში დამეღუპა. ბედად, მე გადავრჩი. თვალიც მაშინ დავკარგე.

„რას ბოდავს? შეილა, მოიფიქრე რამე! მოიფიქრე!“.

— რა საშინელებაა, — წაიდუდუნა მან, — მაპატიეთ.

— არაფერია. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. იმ ტრაგედიასაც და ახალ ცხოვრებასაც როგორღაც შევეგუე.

„ნუთუ ამ კაცს თავისი ზღაპრების მართლა სჯერა? სჯერა, რომ დედაჩემზე იქორწინა, რომელიც თითქოს ავტოკატასტროფაში დაიღუპა? მარტო თვალი კი არა, ტვინშიც შეერყა რაღაცა. საინტერესოა, როდის გადააწება ფოტოები? კატასტროფამდე თუ მას შემდეგ? და რამ უბიძგა ამისკენ? ეს კაცი თუ ჭკუაზე აღარაა, როგორ მოექცეს მას? რა ქნას? საოცარია, მე აღარ ვთამაშობ როლს, აღარ ვასრულებ რეჟისორის მითითებას, სპექტაკლი რეალობად იქცა“.

შეილა წამოდგა, ბუხართან მივიდა და თქვა:

— მისმინეთ, რატომღაც გადავიფიქრე ამ ნარკვევის დაწერა. თქვენი ცხოვრების სააშკარაოზე გამოტანა უსინდისობა იქნებოდა. თქვენ ძალიან ბევრი გადაიტანეთ, რაზეც აქამდე არ მიფიქრია. დარწმუნებული ვარ, რედაქტორი დამთანხმდება. ადამიანის ჭრილობებში მარილის ჩაყრა ჩვენს წესებში არ ჯდება. „პროჟექტორი“ ამ ტიპის ჟურნალი არ არის.

— სამწუხაროა! — შესძახა კაპიტანმა, — მე კი უკვე მზად ვიყავი, ჩემ შესახებ რაღაცეები წამეკითხა.

მან ისევ დაუწყო ძაღლს ფერება, თან საღ თვალს შეილას არ აშორებდა.

— მაშინ... — „ჟურნალისტმა“ სიტყვებს დაუწყო შერჩევა, — თქვენი ცხოვრება აღვწეროთ, თქვენი მისწრაფებები, ის, თუ როგორ გიყვართ ძაღლი... აი, ამგვარი რაღაცეები.

— მერე მოსაწყენი არ იქნება?

— რატომ მოსაწყენი? ადამიანებს ყველაფერი აინტერესებთ.

პასუხის ნაცვლად ნიკმა გაიცინა, ძაღლი მუხლებიდან მოისროლა, წამოდგა და შეილას გვერდით გაჩნდა.

— თქვენ რამე უფრო საინტერესო უნდა მოიფიქროთ, თორემ დავალებას ჩააგდებთ. კარგი. ხვალ დილით მომიყევით, სინამდვილეში ვინ ხართ. თუ მაინც ჟურნალისტი ხართ, რაშიც ეჭვი მეპარება, აქ მარტო იმისათვის არ გამოგგზავნიდნენ, ჩემი გატაცებები და ძაღლი რომ აღწეროთ. სხვათა შორის, ვიღაცას ნამდვილად მაგონებთ, მაგრამ ვის, ვერ მივმხვდარვარ.

ნიკმა თითქმის მამასავით გაუღიმა მას — საკუთარ თავში დარწმუნებული, აბსოლუტურად ნორმალური კაცის ღიმილით. „იქნებ ის აგონდება, როგორ ვიჯექი მამის კაიუტაში? ან ის, როგორ მისროდა ჰაერში მამა, მე კი სიხარულისა და შიშისაგან ვკიოდი და ვკიოდი? იქნებ უკვე მიხვდა, ვინც ვარ?“.

— ყოველთვის ყველას ვიღაცას ვაგონებ, — ამოიოხრა ქალიშვილმა, — თავისებური არ ვარ და ალბათ იმიტომ. ისე, თქვენც ჰგავხართ ვიღაცას.

— მართლა? ვის?

— მოშე დაიანს.

— ამას გულისხმობთ? — მან თვალის შავ სახვევზე მიიდო ხელი, — ხორცისფერი რომ იყოს, ასე შესამჩნევი არ იქნებოდა, ეს კი ისე მოქმედებს ქალებზე, როგორც კაცებზე ქალის შავი წინდები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

ჯანსიჯუჯუნელი ახალი წელი

ბოლო დროს ჩემთვის ყველა ახალი წელი ერთმანეთს ჰგავს — წინასაახალწლო ნერვული, მაგრამ სასიამოვნო განწყობით, მერე ისტერიკული სირბილით მაღაზიებში ახალი სამოსისა და საჩუქრებისთვის, უფრო ისტერიკული სირბილით ბაზარში სამარხვო და არასამარხვო სურსათის შესაძენად, პარალელურად — ორიგინალური, მაგრამ იაფი ნაძვის ხისა და მოსართავებისთვის და ა.შ.

საერთოდ მაღაზიებში სირბილი და სამოსისა და საახალწლო საჩუქრების ყიდვა არა მარტო სხვებისთვის, საკუთარი თავისთვისაც უფრო კარგად გამომდის, ვიდრე პროდუქტებზე სიარული. ეს ჩემი დედამთილის უკმაყოფილებას კი იწვევს, მაგრამ ვინ ჰკითხავს დედამთილს?!

მე ჩემი რიტუალი მაქვს, მას — თავისი, მე მხიარულად დავდივარ სახლში და სულაც არ მადარდებს, რამდენი ლარით ზარალდება ჩემგან ოჯახის ბიუჯეტი, იქნება თუ არა საახალწლო სუფრაზე საცივი, გოჭი თუ ინდაური, გვექნება თუ არა საუკეთესო ჩურჩხელა და გამოგვივა თუ არა გოზინაყი... შეიძლება იმიტომ, რომ ვიცი, ოჯახის უფროსი წევრები უჩემოდაც მშვენივრად მოაგვარებენ ამ საკითხებს. ამიტომ არხეინად ვარ და პროდუქტების ორომტრიალს სიამოვნებით ვუთმობ დედამთილს. ის მიდის ბაზარში დილაადრიან და ბრუნდება შუადღისას შემოძარცვული პალტოთი, ორივე ხელში დიდი ჩანთით და პირში გაჩრილი... როგორ გეკადრებათ, რა ბოლოკი, რის ბოლოკი, მეტრონომით!

— აღარ შემიძლია, — ეშვება სავარძელში და ოხრავს რაც შეიძლება ხმამაღლა, რომ მე სინდისმა შემაწუხოს და ახლა მაინც დავტრიალ-დავბზრიალდე.

მეტი დარდი არ მაქვს! არავითარ შემთხვევაში! დარწმუნებული ვარ, რაც უფრო მეტად დავბზრიალდები, უფრო მეტს მოითხოვს, ამიტომ მოწყალე სახით ვუყურებ და მშვიდად ვეუბნები:

— რა ძალა გადგათ, რად გინდოდათ, ამდენი რამე რომ იყიდეთ, ჩვენ მაინც ჩემებთან მივდივართ და არ ვიქნებით.

— თქვენ გარდა არავინაა სახლში?! — ბრაზობს, — მე არ ვარ?! ან სტუმარი რომ მოვიდეს, ყავაზე გადავატარო თუ ჩაიზე?!

— რომელზეც გინდათ, — ვიჩეჩავ მხრებს, თითქოს სულაც არ მესმის, რას ამბობს.

— გაგიჟება შეიძლება, — რა თქმა უნდა, უკმაყოფილოა, მაგრამ საუბარს აღარ აგრძელებს. ერთი, რომ დრო არ აქვს, ყველაფერი გასაკეთებელია და მეორეც, იცის, რომ აზრი არ აქვს.

გულში ვაღიარებ, რომ არ ვარ ადვილი გასაძლები, მაგრამ ამას ხმამაღლა ხომ არ ვეტყვი? ღიღინით გავდივარ ჩემს ოთახში და მთელ სამზარეულოს ვუთმობ. მეტი რა უნდა?! ახალ წელს ნამდვილად ვერ ჩავიშხამებ კამათით. კარგი განწყობა მჭირდება.

ასეთი ტრადიცია გვაქვს: ზუსტად თორმეტ საათზე სახლში სასწრაფოდ ვუჭახუნებთ შამპანურით სავსე ფუჟერებს ერთმანეთს ოჯახის წევრები და მერე მე, ბავშვები და კახა თავპირისმტვრევით გავრბივართ ჩემებთან. იქ კახას დიდი სასმისები და სმაში თანასწორი მამაჩემი და ჩემი ძმა ელოდებიან. ნამდვილად ვერ დაკარგავს ამ სიამოვნებას. ჩემს დედამთილსაც ეპატიჟებიან, მაგრამ ცოცხალი თავით სახლს არ ტოვებს.

კიდევ ერთი საახალწლო ტრადიცია გვაქვს, უფრო სწორედ, ჩემს ქმარს და მის სამეგობროს. ისეთი არა, როგორც ერთ ცნობილ რუსულ საახალწლო ფილმშია, მაგრამ ესეც ორიგინალურია და, რაც მთავარია, ღრმად ეროვნულ-ქართული: მიდიან ერთ-ერთი მეგობრის აგარაკზე ჩასახუტ-მოსაფერებლად, ღვინითა და პურმარილით და ახალ წლამდე ერთი საათით ადრე ბრუნდებიან უკან. რას უძღებენ ქართველი კაცები, რა გადატვირთულ რეჟიმს, რა ღირსებით და სიამაყით!..

წელს ერთ ტრადიციას ვარღვევთ: კაცებმა გადაწყვიტეს, თორმეტი საათის მერე რესტორანში შევიკრიბოთ, ადგილებიც დაჯავშნეს. კიდევ კარგი, თორემ რა გაძლებდა სახლში იძულებით ტელევიზორთან! მე შენ გეტყვი, რამე ახალ, ორიგინალურ გადაცემას ნახავ, სულ ერთი და იგივე სახეები და ერთი და იგივე ფილმები თუ მუსიკა, იუმორზე აღარცაა საუბარი, სადაა იუმორი?! საერთოდ, მგონი, იუმორის გრძნობა დავკარგეთ, ან სხვებმა დროს გაუსწრეს, მე კი ვერ ვხვდები. ჰოდა, სანამ მივხვდები, მირჩევნია, ისევ ჩემიანებთან, ჩემი ჭკუის ხალხთან ერთად გავერთო.

მაგრამ ვინ დამაცადა, ვინ შემარგო ჩემი ბოლო წლების ტრადიციის დარღვევა? მგონი, სულ იმ ნათესავმა დამთარსა, რატომღაც რომ ჩამოვიდა და ცოცხალი ინდაური ჯადოსავით მოგვაყენა კარზე. ინდაური დედამთილს, რა თქმა უნდა, გაუხარდა. ნათესავი — არ ვიცი, მგონი, არც ახსოვდა, ეგეთი ნათესავი თუ ჰყავდა.

მე ნათესავის სტუმრობა ჩუმად გავაპროტესტე, ინდაურის — ხმამაღლა. კახა ლოჯიაში მოსიარულე ინდაურის დანახვაზე სიცილით მოკვდა, შვილებიდან თათუს ძალიან შეეშინდა და ტირილი დაიწყო, იკუნას გაუხარდა, რატომღაც ჩათვალა, რომ ეს უზარმაზარი გაფხორილი არსება ინდიელი ტრანსფორმერი იყო, წითელ თავსაბურავსა და აჩონჩხილ ყელსაბამში გამოწყობილი.

— რად გვინდოდა ახლა ეს? — ავიბზუე ცხვირი.

თავისთავად ეს ნიშნავდა, ამას ვინ დაკლავს და მე ამ სისხლიან საქმეში არ ჩავრევი-მეთქი.

— როგორ თუ რად გვინდოდა?! — გაუკვირდა ჩემს დედამთილს, იქნებ არც გაუკვირდა და მომეჩვენა კიდეც.

— ვინ არის ახლა ამის მჭამელი, — ისევ ვთქვი მე, თუმცა ჩემსავე დასმულ კითხვაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი შემეპარა.

— ვინ და ჩვენ, — მტკიცედ თქვა დედამთილმა, — თუ არა და ნათესავებს და მეზობლებს რა დალევს.

— ღმერთმა გვიმრავლოს მაგათი თავი, — აღვავლინე ღოცვასავით, თვალები ჭერს მივაპყარი და აბლაბუდის სუსტი ქსელიც დავინახე. დავინახე და მაშინვე გავიფიქრე: „ა, ბატონო, ესეც მე ვარ?“. დედამთილის სიმარჯვეს ვგულისხმობდი და მის ხშირ ქადაგებას იმაზე, თუ როგორ ლაგდება სახლი, რა იციან თანამედროვე გოგოებმა სახლის ძირფესვიანი დალაგება და ა.შ.

— აბლაბუდა დაგრჩენიათ, — ვანიშნე თვალით.

დედამთილმა ჩემი ნათქვამი გამოწვევად მიიღო, თითქოს დუელისთვის გადავუგდე თეთრი ხელთათმანი და მაშინვე, სეკუნდანტის გარეშე მესროლა დამბაჩა:

— წესით, შენ მაგ საკითხზე არც უნდა ლაპარაკობდე.

— კი, ბატონო, სულაც არაა ობობებზე ლაპარაკი სასიამოვნო, — ავიჩეჩე მშვიდად მხრები, — ისევ ინდაურზე გადავიდეთ, პრინციპში, არც ეგ არაა სასიამოვნო.

რა თქმა უნდა, ეწყინა, გაბრაზდა კიდეც, მაგრამ ცივი წყალი დალია პირდაპირი მნიშვნელობით და გადაუარა. სხვა გზა არც ჰქონდა, ჩხუბსა და კამათში ვერ ამიყოლიებდა.

— და ვინ დაკლავს ახლა ამას? — ჩაილაპარაკა თავისთვის, ოღონდ კახას გასაგონად.

ნათესავს ვერ ეტყოდა, ის ჩვენზე უარესი აღმოჩნდა, საქმეებზე გავიდა და პირობა მოგვცა, ახალ წელს თქვენთან შევხვდებიო. ჰმ, ჩემსავით ამასაც სცოდნია, რა კარგია გამზადებულ სუფრაზე ახალი წლის შეხვედრა.

— მე გავდივარ, ხომ იცი? — უთხრა დედამისს კახამ, — ინდაური კი არა, ბიზონი რომ იყოს, იმის გულისთვის ვერ დავარღვევ ტრადიციას. ბიჭები მელოდებიან უკვე.

— რა მოხდება, ერთხელ ოჯახისთვისაც მოიცალოს ამ სახლში ვინმემ? — თქვა ჩემმა დედამთილმა ისევ თავისთვის, ოღონდ ახლა უკვე ჩემსა და კახას გასაგონად.

სულ ტყუილად.

კახა აგარაკზე წავიდა, მე — სალონში.

ძალიან მიყვარს წინასაახალწლო განწყობა ქუჩაში. ყველა ფუსფუსებს, ყველა სადღაც მიიჩქარის, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩიჩილაკები, ნაძვის ხეები და ბრჭყვიალა მოსართავებია. ეს ძალაუნებურად კარგ ხასიათზე გაყენებს, რაღაც ძალიან კარგს ელოდები იმ წლისგან, რომელიც დგება. იმედი გიჩნდება, რომ, აი, ამ წელს აუცილებლად ბევრად უკეთესად იქნები.

სახლში რომ დავბრუნდი, ინდაური დაკლული დამხვდა, ყოველ შემთხვევაში, საცივი უკვე კეთდებოდა და რადგან მთელი ღამე გასათევი მქონდა, ბავშვებს მივუჯექი

Cyan Magenta Yellow Black

და საახალწლო ზღაპრების კითხვაში მათთან ერთად ჩამეძინა.

ნეტავ ამდენ ხანს რამ დამაძინა, ან ბავშვებმა როგორ არ გამაღვიძეს, ან კახამ?

— კახა რას გაგაღვიძებდა, — მითხრა ჩემმა დედამთილმა, — ისეთი მთვრალია, ბიჭებმა კი არ მოიყვანეს, მოაყუდეს კარზე ნაძვის ხესავით. ლამის შემოსასვლელშივე დაწვა. ძლივს მივიყვანე სანოლამდე.

— რამ დაათრო ასე?! — გავბრაზდი მე, — წასასვლელები ვართ.

— შენ თუ ახლა მაგას სადმე წაიყვან, — დაეჭვდა დედამთილი, — მაგის გაღვიძება როგორ შეიძლება. რომც გააღვიძო, ფეხზე ვერ ადგება.

— ოჰ, დიდი ამბავი, სხვა დროს არ დამთვრალა თუ რა! — არ გავიტეხე იხტიბარი.

— ასეთი მთვრალი არასდროს მინახავს, — მტკიცედ თქვა ჩემმა დედამთილმა.

აშკარად არ ტყუოდა, ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა საძინებელში შევედი.

ეს არსად წამომსვლელი არ იყო, წამომსვლელი კი არა, პირველ რიგში, გამღვიძებელი არ იყო. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა ემართება ქალს, რომელიც მთელი დღე, მთელი დღე კი არა, მთელი თვე ემზადება ერთი პატარა დღესასწაულისთვის და უცებ იგებს, რომ დღესასწაული არ იქნება.

„კი მაგრამ, ნეტავ სხვებიც ამ დღეში არიან?“ — გავიფიქრე ჩემთვის და გოგოებს ჩამოვურეკე.

— შეიძლება ითქვას, რომ ჩემი სამუდამოდ მთვრალია, — გულდაწყვეტით მითხრა ტატამ.

— რა ცეცხლი დალიეს ამისთანა, ლამის სამაშველო სამსახური ჩავრთო ამის გაღვიძებაში და ვერ ვაღვიძებ, — შემომჩივლა ანამ.

— რა ტყუილად ვიყიდე ახალი კაბა, — დანანებით თქვა ხათუნამ, — მთელი თვის ხელფასი ამ კაბაში მივეცი. სად ჩავიცვა ახლა?

— ჩაიცვი სახლში და იარე, — გამეცინა სიმწრით.

— ვიარე, ამ კაბით დავხვდი, მაგრამ რად გინდა, კაბა კი არა, მე ვერ შემამჩნია. მოვიდა და, უკაცრავად, ქალბატონო, ერთი „ვინსტონი“ და ერთი ბორჯომიო.

— მერე შენ რა ქენი? — ისევ გამეცინა.

— მივყიდე, რა უნდა მექნა?! უნდა ავყვე, თორემ მერე იწყება როკკონცერტი ოჯახში.

— აუ, რამე მოვიფიქროთ, რა! — ავწუწუნდი მე.

— რა უნდა მოვიფიქროთ?! — გაუკვირდა ხათუნას, — ესენი ისე დათვრნენ, შობამდე ვერ ადგებიან, დაგვრჩა რესტორანი უკან.

— კი, მაგრამ ვინმე ხომ იქნება იმ რესტორანში? — დავფიქრდი.

— ვინმე როგორ არ იქნება, მაგრამ მერე რა?

— ჰოდა, დავტოვოთ ესენი და ჩვენ წავიდეთ, გულმოკლული ცოლები. დიდი ამბავი.

— ისე, არაა ცუდი აზრი, ხომ იცი? მაგრამ, რომ გაიგოს, გაგიჟდება. ხომ იცი, ვატო რა ეჭვიანია.

— თავად რომ ასე მოიქცნენ, ის არ ითვლება? — შევაგულიანე ხათუნა, სხვების შეგულიანება არ დამჭირვებია, ისედაც შეგულიანებულები იყვნენ, ერთი სიტყვის თქმაღა უნდოდათ.

❖

— დიახაც, ასე უნდათ! არ შეგვარგეს ერთი დღე, ერთი ახალი წელი! იყვნენ ახლა ძილში და ხვრინვაში, ჩვენ ხომ კარგად გავერთეთ, — გულს ვიოხებდი ტატას მანქანაში.

უკვე რესტორნიდან ვბრუნდებოდით.

— თან რა აიტანდა მაგათ, ჩამოჰყვებოდნენ ახლა კლასიკურ სადღეგრძელოებს, მშვიდობის, სამშობლოს, მშობლების, შვილების, ტკბილი მოგონებებიც არ გამორჩებოდათ, — კვერი დამიკრა ანამ.

— ჰო, ეს დღეც განსაკუთრებულად ტკბილად მოაგონდებათ! — სიცილი აუტყდა ტატას და სწორედ ეს სიცილი და კისკისი იყო, ლამის საიქიოში რომ გავემგზავრეთ სრული შემადგენლობით, პირდაპირ ბოძს შევასკდით.

ახლა სახლში ვწევარ, ტვინის შერყევა მაქვს.

— ასე იცის ქმრის წინ მორბენალმა კვიცმა, — პათეტიკურად მეუბნება კახა.

თავიდან კი გაბრაზდა, მაგრამ რადგან ცოცხალი დამინახა, რაღას დაეძებდა, ბავშვებს დედა უნდათ ბოლოს და ბოლოს.

— ეგ ქმარზე არაა, დედაზეა, — ვწკმუტუნებ, თავი მისკდება და ოთახში შემოსული დედამთილი ორად მეჩვენება. ჯერ ერთი დედამთილი რა არის და მერე ორი!

— დედებს ხომ უჯერებთ, — ამბობს და წამლისთვის წყლიან ჭიქას მიწვდის.

„ესე იგი, მაინც კარგი ქალია“ — ვფიქრობ ჩემთვის. სხვა მის ადგილზე რას იზამდა, შუაღამისას რომ დაერეკათ და ეთქვათ, იცით, თქვენი მთვრალი რძალი ავარიაში მოყვა თავის მთვრალ მეგობრებთან ერთად და მიხედეთო.

— სადილი აქ მოგიტანო? — მეკითხება და სანამ უარს ვეტყვი, უკვე შემოაქვს.

— ეს რა არის? — ვწკმუტუნებ ისევ.

— საცივი, რა იქნება ამ ახალ წლებზე.

— აჰ, ეგ არა, არ შეიძლება, — ცუდად ვხდები საცივის დანახვაზე, — ნეტავ, ახლა შემწვარი კარტოფილი მაჭამა, — ნაახალწლევის ნატვრაა.

— შეგიწვავ ახლავე, რა პრობლემაა, — მეუბნება და სწრაფად მიფუსფუსებს, რომ სურვილი შემისრულოს. რაც ამან იტრიალა ახალ წლებზე, ინერვიულა ჩემ გამო. ყოჩაღ, თითქოს 20-30 წელი ჩამოაბერტყა ვიღაცამ.

არა, იმას ვერ ვიფიქრებ, ფრთა შეესხა, ლამის კისერი რომ მოვიტეხე-მეთქი, მაგრამ...

— კიდევ კარგი, გადარჩით, ღმერთმა გვიშველა, — წამოსცდა გასვლისას.

ეჰ, მაინც რძალი ვარ, შვილიშვილების დედა.

— ხო, ნამდვილად, — ვწკმუტუნებ.

უარესის თქმა შემიძლია, რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა არც ამის დროა და არც განწყობა, ახალი წლებია. ბოლოს და ბოლოს ასეთი „სტერვაც“ კი არ ვარ!

ეს იცოდით?

❖ **მანქანით კუბოს წაღების რიტუალი ქალაქ ჰემპფილდის მცხოვრებმა ჯორჯ სვენსონმა შემოიღო, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ასეთი რიტუალი სკვითების მოგონილი იყო, ოღონდ ისინი ამისათვის ცხენს იყენებდნენ.**

❖ **ამერიკის პრეზიდენტი ბენჯამინ ფრანკლინი ითხოვდა, რომ ამერიკის ეროვნულ ფრინველად ინდაური გამოცხადებულიყო.**

❖ **ძველ რომში უყვარდათ დიდი და მდიდრული სადილების გამართვა. პოლიტიკოსები თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიებს სწორედ ხალხისთვის უფასო ღრეობების მოწყობით იწყებდნენ.**

❖ **ლიბიის დროშა ერთადერთი ერთფეროვანი სახელმწიფო დროშაა მსოფლიოში.**

❖ **გიბრალტარი ერთადერთი ადგილია ევროპაში, სადაც მაიმუნები ბინადრობენ.**

Cyan Magenta Yellow Black

შობა-ახალ წელს შვილს უსაჩუქროდ ნუ დატოვებთ!

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სანამ ბავშვს სჯერა თოვლის პაპის არსებობის, მშობლებმა ეს ლამაზი მოლოდინი არ უნდა გაუცრუონ.

რა უნდა ვაჩუქოთ დღესასწაულებზე ჩვენს შვილებს? ბუნებრივია, პირველ რიგში, უნდა ვიხელმძღვანელოთ პატარას ინტერესებითა და სურვილებით. მნიშვნელოვანია არამარტო საჩუქრის სწორად შერჩევა, არამედ ისიც, თუ როგორ იქნება ის შეფუთული.

თუ თქვენი შვილი არც ისე პატარაა და წერა-კითხვა შეუძლია, როგორც წესი, საკუთარი სურვილების დაწერას და თოვლის პაპისთვის გაგზავნას ამჯობინებს. რაც უფრო ფართო იქნება ეს ჩამონათვალი, მით უფრო გაუიოლდებათ საქმე მშობლებს.

თუ თქვენი პატარა 2 წლამდე ასაკისაა, ბუნებრივია, შობა-ახალი წლისა და საჩუქრების მოლოდინი ნაკლებად ექნება, მაგრამ ეს არაა მთავარი, უფრო მნიშვნელოვანია მისთვის კარგი განწყობის შექმნა. რაც შეეხება საჩუქარს, საყვარელი სათამაშო თავად შეურჩიეთ და ლამაზად შეფუთული აჩუქეთ. მოუყევით სხვადასხვა ისტორიები და ზღაპრები ამ ჯადოსნურ დღესთან დაკავშირებით, მოასმენინეთ საშობაო-საახალწლო მხიარული მელოდიები.

2 წლის ზემოთ ბავშვებისათვის შობა-ახალი წელი ემოციურად ყველაზე სასიამოვნო პერიოდია, რომელსაც დიდი ინტერესით ელიან, ამიტომ მშობლებს ისლა დარჩენიათ, ყველა ღონე იხმარონ, რომ შვილებს ეს ჯადოსნური დღესასწაული გაუბრწყინონ.

თუ ბავშვი იმ ასაკშია, როცა აღარ სჯერა თოვლის პაპის არსებობა და არც საჩუქრებს ელოდება მისგან, შეაქეთ და სთხოვეთ, გაგიმხილოთ, რა სურს. აუხსენით, მშობლები საჩუქრებს იმიტომ ჩუქნიან, რომ გაახარონ და განწყობა აუმაღლონ, რომ ძალიან უყვართ. ასეთი სიამოვნება ყველა ასაკის ადამიანს სჭირდება, მათ შორის — უფროსებსაც.

დაბოლოს, საინტერესო ინფორმაცია საახალწლო სურვილებთან დაკავშირებით: როგორც ევროპელმა სოციოლოგებმა გამოარკვიეს, 6-13 წლამდე ასაკის ბავშვების უმრავლესობას საჩუქრად აიპადი სურს!

ზამთრის ხილი - ენერგიის წყარო

მწვანე იმუნიტეტისათვის

ფეიხოა ის ხილია, რომელიც ზამთრის პერიოდში შეგვიძლია მივირთვათ. მას არაჩვეულებრივი გემო აქვს და არომატულია. შეიცავს დიდი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებებს, რომლებიც იშვიათად მოიპოვება ზამთრის სხვა ხილში, მაგალითად, პე ვიტამინს. გარდა ამისა, ფეიხოა დიეტურია. უხვადაა მასში ცილები, რომლებიც იოლად შეიწოვება ორგანიზმის მიერ.

ეთერზეთების წყალობით, ფეიხოა გაციებისა და გრიპის საწინააღმდეგო უნიკალური საშუალებაა. მას იმუნიტეტის გამაძლიერებელი თვისებაც აქვს. ამარცხებს დეპრესიასა და უხასიათობას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას და ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას.

ექიმები განსაკუთრებით გვირჩევენ ამ უნიკალური ხილის ჭამას, თუ ფარისებურ ჯირკვალთან დაკავშირებული პრობლემები გვაქვს, ასევე გასტრიტის, პიელონეფრიტის დროს.

სეზონის განმავლობაში სასურველია მისი ყოველდღიურად მიღება. ექიმები გვირჩევენ, ძილის წინ 2-3 ცალი ფეიხოა ვჭამოთ (კარგია თაფლთან ერთად).

ნითელი სტრესის წინააღმდეგ

ბროწეულის ანტისტრესული ეფექტი დიდი ხანია ცნობილია. მისი წვენი შეუცვლელია სისხლისათვის — მასში ბუნებრივად ამაღლებს ჰემოგლობინის დონეს. ჩვენი წინაპრები თვლიდნენ, რომ ერთ ბროწეულში იმდენი მარცვალი იყო, რამდენი დღისგანაც შედგებოდა წელიწადი. მართალია, ეს მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან რეალურად ამ რაოდენობაზე ბევრად მეტი ან ნაკლებია, მაგრამ ეს არ არის მთავარი, დასაფასებელი ბროწეულის სხვა თვისებებია — ის სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებაა ბევრი დაავადების წინააღმდეგ.

ბროწეული შეუცვლელია პატარებისთვისაც, რადგან დიდი რაოდენობით შეიცავს ა, ცე, ე ვიტამინებს. დადგენილია, რომ თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბროწეულს ყოველდღიურად მივიღებთ, განსაკუთრებით ზამთარში, პრაქტიკულად ეს არის გარანტია, რომ გრიპისა და გაციებისგან დაცულები ვიქნებით. გარდა ამისა, ნაკლებად დაგვემუქრება დეპრესია და მნიშვნელოვნად გავიძლიერებთ იმუნურ სისტემას.

ახლახან ინგლისელმა მეცნიერებმა ბროწეულის კიდევ ერთი უნიკალური თვისება აღმოაჩინეს — თუ მის წვენს რეგულარულად დავლევთ, სტრესის გამომწვევი ჰორმონების რაოდენობას შევამცირებთ. სხვათა შორის, წნევასაც არეგულირებს და კიდევ, ადამიანს გონებრივი გადაღლისაგან იცავს.

ნახინჯისფერი გონებისათვის

ხურმა ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ხილია. დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს, ნივთიერებებს, რომლებიც იცავენ ორგანიზმს ავადმყოფობისა და ნაადრევი სიბერისაგან. ძველი ჩინელი მკურნალები ხურმის ჭამას ურჩევდნენ მეხსიერების გაუმჯობესებისთვის, ასევე ენერგიის აღდგენისა და გაციების დროს. ხურმას ანტიმიკრობული თვისებაც გააჩნია. მასში შემავალი იოდი და რკინა მშვენიერი პროფილაქტიკური საშუალებაა რკინადეფიციტური ანემისგან დასაცავად, ასევე ფარისებური ჯირკვლის ჰიპერფუნქციის დროს.

გარდა ამისა, ხურმა მდიდარია ნატრიუმით, კალიუმით, მაგნიუმით, თუთიით, ფოსფორით, კალციუმით, რომელიც აუმჯობესებს გულისა და სისხლძარღვების მუშაობის პროცესს; კალციუმი და ფოსფორი ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კბილებისა და ძვლებისათვის; მაგნიუმი საჭიროა კუთნებისა და თირკმლებისათვის.

ასე რომ, თუ მთელი ზამთარი ისიამოვნებთ ზემოაღნიშნული ხილით, დაცული იქნებით ავადმყოფობებისაგან და ენერგიით აივსებით.

Cyan Magenta Yellow Black

ფერები, რომლებიც სახლში კომფორტს შეგიქმნით

საძინებელი

როგორც ფსიქოლოგები ირწმუნებიან, ღია იასამნისფერი ტონები საუკეთესოა საძინებლისთვის, რადგან ასეთი ფერები ადამიანში სიამოვნების მომნიჭებელ ჰორმონებს გამოიმუშავებს. კარგია წითელიც, მაგრამ მისი დომინანტად გამოყენება არ ღირს. რამდენიმე წითელი დეტალი კი მოუხდება და აუცილებელია.

ბავშვის ოთახი

ეს იმდენად მნიშვნელოვანი ადგილია პატარას ცხოვრებაში, რომ ბევრი რამაა გასათვალისწინებელი. ფსიქოლოგები გვირჩევენ, ყურადღება გავამახვილოთ ფერებზე. ყვითელი, სტაფილოსფერი საუკეთესო გარემოს შეუქმნის პატარებს. როგორც გაირკვა, ეს ფერები ბავშვის თვალებს და ფსიქიკას ამშვიდებს.

სამზარეულო

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ, ფსიქოლოგების რჩევით, სამზარეულო სტაფილოსფერ (როგორც მუქ, ისე ღია), მუქ ვარდისფერ, ღია ყავისფერ და რძისფერში უნდა გადავწყვიტოთ. ეს თბილი ფერებია, კარგ, ჰარმონიულ გარემოს ქმნის დიასახლისისთვის და სიმყუდროვის შეგრძნებასაც იძლევა, რაც არც სამზარეულოს აწყენს. უახლესმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ღია ყავისფერში გადაწყვეტილი სამზარეულო დიასახლისის სტუმართმოყვარეობაზე მიუთითებს.

კაბინეტი

შოკოლადისფერი, ღია და მუქი ყავისფერი ტონები საუკეთესოა კაბინეტში. ეს ფერები მაქსიმალურად კომფორტულ და სასიამოვნო გარემოს ქმნის იქ მომუშავე ადამიანისათვის. თუ კაბინეტის ინტერიერს წითელი ფერის რამდენიმე დეტალსაც შემატებთ, არაჩვეულებრივ გარემოს შექმნით.

აბაზანა

იმდენად ინტიმური და სიმშვიდისა და სიამოვნების მომტანი ადგილია, რომ სასურველია, მისი გარემონტებისას, კომფორტთან ერთად, აუცილებლად ვიფიქროთ ფერზეც. მწვანე, ცისფერი და ლურჯი ტონალობები აბაზანისთვის იდეალურია. ისინი ოცნების საშუალებას გვაძლევს, სიმშვიდისა და სიამოვნების შეგრძნებას ბადებს.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ მწვანე, ცისფერი და ლურჯი ფერები საოცრად ამშვიდებს ნერვულ სისტემას!

✓ რუბრიკა მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

- შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 10 ან 11 წლის?
- ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
- არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?

მაშინ შენ შეგიძლია გახდე გადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ მონაწილე!

ამისათვის საჭიროა:

- შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.
- მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს!

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი _____

_____

მისამართი _____

_____

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

_____

დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) _____

_____

სკოლა _____

_____

კლასი _____

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

_____

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი _____

_____

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა _____

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი 2013 წლის 1 იანვრისთვის არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 11 წელს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: ქ.თბილისი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2”, სანდრო ეულის 5ᵃ, თბილისი 0186.

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

Cyan Magenta Yellow Black

დიაგნოზი დაისვით და „იმკურნალეთ“ – მფლანგველი ხართ თუ წუწურაქი

ამქვეყნად შეხვდებით ისეთ ბედნიერ ადამიანებს, რომლებიც უმაღლესი ეკონომიკური განათლებითა და მახვილი ფინანსური ალღოთი დაიბადნენ. ხელფასი სრულიად ჩვეულებრივი აქვთ, ფული კი ყველაფრისთვის ჰყოფნით — საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისთვის, პატარა სიხარულებისა და მასშტაბური შენაძენისთვის. სწორედ რომ მისტიკაა! ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ეს ადამიანები ისე გამოიყურებიან, თითქოს მატერიალურ საზრუნავზე ყოველთვის მაღლა დგანან.

თქვენ მათ რიცხვს არ მიეკუთვნებით. ამის აღიარება სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — ფინანსებში მოიკოჭლებთ.

მფლანგველი

ნუთუ სრულებით არ იცით ფულის დათვლა? მოდით, შევამოწმოთ.

ხელფასი თვის ბოლომდე არასდროს გყოფნით.

იმპულსურად ხარჯავთ. ხუთი წუთით გარბიხართ პურის შესაძენად და უკან ნაირ-ნაირი პაკეტებით ბრუნდებით.

სალაროსთან მიახლოებისას მოუსვენრობა გიპყრობთ: რა იქნება ჯამური თანხა?

ნაცნობებისა და კოლეგებისგან ცოტა ფულს სესხულობთ. სხვაგვარად იძულებული იქნებით, წვრილმან სიამოვნებებზე თავს უარი უთხრათ.

სრულებით არ გაქვთ დანაზოგი შემთხვევითი ფორსმაჟორული ვითარებისთვის. თავს არწმუნებთ, რომ არაფერი მოხდება.

თუ ჩამონათვალი პუნქტებიდან თქვენს ნატურას სამი მაინც მიესადაგება, ფრთხილად, დიდი რისკია, რომ გამოუსწორებელ მფლანგველად იქცეთ!

საღი გონებით

მხოლოდ ბავშვები ვერ ხედავენ ბარიერს სურვილსა და ასრულებას შორის. თქვენ კი უკვე ბავშვობის ასაკიდან გამოხვედით. სანამ დახარჯვის წინ ფულს გადათვლით, გონებაში წარმოთქვით: „შეჩერდი!“ და დაფიქრდით — „ხარჯი ნამდვილად აუცილებელია? როგორ აისახება თქვენს ბიუჯეტზე? პატიოსნად აღიარეთ — ახლა მოქმედებთ, როგორც გონიერი ადამიანი თუ ჭირვეული ბავშვი?

ემოციები აკონტროლეთ

ახალი ნივთის შეძენა ყოველთვის სასიამოვნოა და ბევრი ამგვარად სტრესის მოხსნას ცდილობს. ხელმძღვანელმა ისევ დაგტუქსათ? უმჯობესია, მეგობართან წაიტიროთ ან ტელევიზორში კომედიას უყუროთ, ხოლო ლამაზი ვიტრინებისკენ თვალი არც კი გააპაროთ. გახსოვდეთ: ცუდ ხასიათზე ყოფნისას მაღაზიებში სიარული თქვენთვის უკუნაჩვენებია.

ფული ახ ისესხოთ

უშრომელად ნაშოვნი ფულის განიავება ფსიქოლოგიურად უფრო ადვილია. კრედიტით ცხოვრება საკმაოდ ადვილია, ხოლო ჩაკეტილი წრიდან თავის დაღწევა დიდ დროსა და ძალას მოითხოვს. თავს გამოუტყდით — დავალიანების დასაფარად რეზერვები გაქვთ?

წუწუჩაქი

მთელ ფულს ყულაბაში ინახავთ, ყველაზე აუცილებელზეც კი თავს უარს ეუბნებით? მოდით, დავაზუსტოთ:

ყოველი ხელფასიდან მნიშვნელოვან თანხას გვერდზე დებთ, ინახავთ. არადა თქვენს სახლში ბევრი რამ შესაკეთებელ-გასაახლებელია.

დღესასწაულებზე საჩუქრისთვის ფულს არ ხარჯავთ. თქვენთვის მორთმეული უსარგებლო ნივთების გაჩუქება გიყვართ.

საკუთარი თავისთვის მხოლოდ მაშინ იძენთ ახალს, როდესაც ძველი უვარგისი ხდება.

არ გაღონებთ ის, რომ კვების პროდუქტი ვადაგასულია, თუ მასზე ფასდაკლებაა.

კაფეში მეგობრებთან შეხვედრისას მხოლოდ ჩაის უკვეთავთ.

თუ ჩამოთვლილი პუნქტების ნახევარზე მეტი მიზანში მოხვდა, წუწურაქის ტიტულის მფლობელი ხართ.

იცხოვრეთ დღევანდელი დღით

შეგიძლიათ, რამდენიც გსურთ, იმდენი იოცნებოთ და დაგეგმოთ, მომჭირნეობის წყალობით როგორი იქნება თქვენი ოჯახის მომავალი. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ჩვენს იდეალურ პროექტებზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს გაუთვალისწინებელი ფაქტორები. ნუთუ არ იმსახურებთ იმას, რომ თავი ლამაზად იგრძნოთ, სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვროთ? გაშვებულ შანსებს ვერ დაიბრუნებთ.

ფული თავისთვის ნუ დაგენანებათ

მასთან ფიზიკურად დაშორება გეძნელებათ? განსაზღვრეთ პრიორიტეტები. ფული მხოლოდ შესაძლებლობას გაძლევთ ღირსეული ცხოვრებით იცხოვროთ, ხოლო დაბანდების საუკეთესო ობიექტი თავად და თქვენი ახლობლები ხართ. გაიხსენეთ, როგორ სასაცილოდ გამოიყურება თავის ავტომობილზე ჩაციკლული მეზობელი. სანამ რკინას „ემსახურება“, ცოლსა და შვილებს თანდათან შორდება. ადამიანი, რომლის მიზანი მხოლოდ ფულის დაგროვებაა, მნიშვნელოვან კავშირებს კარგავს. ურთიერთობებისგან სიამოვნება მიიღეთ.

ეძებეთ კომპრომისები

ამქვეყნად უამრავი საშუალება არსებობს, სასურველის მისაღებად ზომიერი თანხა დახარჯოთ. აქტიურად ისარგებლეთ ინტერნეტ-მაღაზიებით, ყურადღება მიადევნეთ აქციებსა და ფასდაკლებებს. თმის შეჭრა გსურთ? ჩაეწერეთ არა ტოპსტილისტთან, არამედ რიგით პარიკმახერთან ან მოსწავლესთან. დაიწყეთ მცირედით. თავი შეიყვარეთ, პატივი ეცით ახლობლებს. ვისაც სათუთად ეპყრობით, მასზე ფულის ხარჯვა ადვილია.

ოქროს წესები ჭახბი სიმოხცხვის წინააღმდეგ

ძორცხვობა და თავმდაბლობა სანამ კომპლექსში არ გადავა, ადამიანს ამშვენებს, მაგრამ, თუ გაუბედაობა ბორკილად გექცათ, ეცადეთ, დაძლიოთ.

გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ ყოველი მეხუთე ბავშვი მორცხვობისკენ მიდრეკილი იბადება, რომელთაგან 60% მოცემულ თვისებას სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს. არსებობს სხვა მიზეზებიც. მაგალითად, მორცხვებად ყალიბდებიან მშობლიურ სიყვარულსა და სითბოს მოკლებული ბავშვები; ვინც ბავშვობაში ფსიქოლოგიური ტრავმა გადაიტანა; ვისაც ურთიერთობები აკლდა.

გაუბედაობა ნორმალურ ზომამდე რომ შეამციროთ, სპეციალისტთა რჩევებს მიჰყევით:

1. თვითშეფასება აიმაღლეთ. საკუთარი ღირსებების, თავის უკეთ შეცნობა თვითშეფასების ამაღლებას ეხმარება.

2. ოპტიმიზმი დევიზად გაიხადეთ. ნებისმიერ სიტუაციაში პლუსის მოძებნა ისწავლეთ.

3. თავი ხშირად შეაქეთ. თქვენი წარმატებები აღნიშნეთ, მათ მნიშვნელობას ნუ დააკნინებთ, წარმატებას შემთხვევითობას ნუ მიაწერთ.

4. იპოვეთ თქვენი სახე. თავი მოიწესრიგეთ, იზრუნეთ ვარცხნილობაზე, ჩაცმაზე. საკუთარი მომხიბლაობის შეგრძნება გაუბედაობის შემოტევას შესანიშნავად თრგუნავს.

5. გაიღიმეთ. ღიმილი ქუჩაში უსათუოდ იქცევს ყურადღებას. კარგი განწყობა გაცნობისთვის შესანიშნავი საბაბია.

6. უცნობებს გამოელაპარაკეთ. ადამიანებთან კონტაქტში შესვლა ისწავლეთ. იყავით თავაზიანი, თანამოსაუბრეს თვალებში უცქირეთ, დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეთ.

7. ყურადღების კონცენტრაცია პოზიტიურზე მოახდინეთ. სიტყვით გამოდიხართ? თქვენი აზრები თვითდამშვიდებისკენ წარმართეთ. გამბედაობისთვის თავი შეაქეთ.

8. მოდუნდით. ნუ დაიტანჯავთთავს იმაზე ფიქრით, სხვების თვალში როგორ გამოიყურებით. თქვენ სუპერადამიანი არ ხართ და არც მოვალე ხართ, ასეთი იყოთ. ცხოვრებისეულ სულელურ სიტუაციებში არამხოლოდ თქვენ, სხვებიც ვარდებიან. უბრალოდ ისტორია დაივიწყეთ ან მისგან მხიარული ანეკდოტი გამოძერწეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 5 იანვრის 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 35 წლის, ძველი მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი, ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ 30-დან 39 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 599934469. დათო

2. ვარ 30 წლის მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ სასიამოვნო ქალს. 598606003

3. სამეგობროდ გავიცნობ რუსთაველ 20-დან 40 წლამდე ქალს. ვარ 31 წლის.

4. ვარ 30 წლის მამაკაცი, თბილისელი. სამეგობროდ გავიცნობ 30-დან 35 წლამდე ქალს. 557942390. თემური

5. ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ და შეხვედრებისთვის გავიცნობ 25 წლამდე გოგოს. ვარ თბილისელი, 28 წლის. 598315864

6. ვარ 34/187/105, თბილი და წყნარი, ყველაფრით უზრუნველყოფილი, ვმუშაობ, ვარ არქიტექტორი და დიზაინერი. გავიცნობ გოგოს, რომელსაც გულით გავუგებ და დავაფასებ, ყოველთვის გვერდში დავუდგები. 558022838

7. გავიცნობ მოსიყვარულე და ალერსიან ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 26 წლის, ვმუშაობ ღამის 12 საათამდე და თუ ვინმეს აწყობს, ამ დროს შევხვდები. 555416480

8. ვარ 60 წლის სიმპათიური, მარტოხელა მამაკაცი. გავიცნობ 60 წლის ზევით ენერგიულ ქალს, რომელიც განიცდის მარტოობას. 558416090. დავითი

9. გავიცნობ 25-37 წლამდე ქალს სამეგობროდ, სასურველია იყოს თბილისში ან რუსთავში მცხოვრები. ვარ 25 წლის, მაღალი, სიმპათიური მამაკაცი. 577474753. ლევანი

10. თბილისელი მამაკაცი სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, პუტკუნა ქალს. 595976976

11. გავიცნობ ოზურგეთელ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 35 წლის. 599931862. გელა

12. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მომხიბვლელ 35 წლამდე ქალს, არამსუქანს. ვარ 38 წლის, მარტოხელა, დასაქმებული, მყავს მანქანა. 551740511. გიორგი

13. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, სერიოზულ, 26 წლამდე გოგოს. ვარ 26 წლის. 598688243. დათო

14. გავიცნობ ქუთაისელ 30 წლამდე ქალს. ვიმყოფები ქუთაისში სამსახურებრივი მივლინებით. ვარ 25 წლის, სპორტული გარეგნობის. 557399487

15. სამეგობროდ გავიცნობ 30-35 წლამდე ქალს. მსუქნები არ შემეხმიანოს. 558166597

16. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს. ვარ დასაქმებული და მოსიყვარულე. 599361382

17. შეხვედრებისთვის გავიცნობ ზრდილობიან, სერიოზულ ახალგაზრდა გოგონას, რომელსაც სჭირდება სითბო და თანადგომა. 555229812

18. ვარ თბილისელი, სიმპათიური, მყავს მანქანა. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგოს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. სკაიპი: dato-gvencadze. 593135572. დათო

19. ვარ 31 წლის სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 555148894

20. ვარ 38 წლის. გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ქალს. 555509040. გაგა

21. მარტოობით დაღლილი კაცი ვიმეგობრებ თბილისელ, სერიოზულ ქალთან. 555917751

22. სამეგობროდ გავიცნობ ქუთაისელ 35-დან 50 წლამდე ქალს. ვარ 44 წლის ქუთაისელი მამაკაცი. 599069292

23. გავიცნობ 35 წლამდე ლამაზ ქალს, თუნდაც გათხოვილს. 593050806

24. სამეგობროდ გავიცნობ 20-დან 30 წლამდე ქალს. ვარ 29 წლის, 184 სმ, სპორტული აღნაგობის. 557870220

25. გავიცნობ 30 წლამდე ქალს. ვარ სიმპათიური ბიჭი. 598175003. დათო

26. გავიცნობ კარგ და ლამაზ გოგოს. ვარ 22/175, ბათუმელი ბიჭი. 557409210

27. გილოცავთ ყველას 2013 წელს! მსურს, გავიცნო ლამაზი და სიმპათიური ქალი. 599309302

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ 25 წლამდე ქალს ოჯახის შესაქმნელად. 555143274

2. გავიცნობ 35-დან 37 წლამდე ქალს ოჯახის შესაქმნელად, ექთანს ან ექიმს, თბილისელს. 599228858

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28-დან 35 წლამდე სერიოზულ, ქალიშვილ გოგოს. ვარ 39 წლის. 557433439. ნოდარი

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წყნარ, თბილისელ, თუნდაც პუტკუნას და განათხოვარ გოგოს. 557760643. დემეტრე

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სულით ლამაზ, ქალიშვილ გოგონას, უბრალოს და პატიოსანს. ვარ 32 წლის, თბილისელი. 557774440

6. ვარ თავისუფალი 35 წლის მამაკაცი. გავიცნობ ლამაზ, სიმპათიურ, თბილისელ გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. 558252532. მამუკა

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ექთან ან ექიმ 35-37 წლამდე თბილისელ ქალს. 599228858

8. გავიცნობ 25 წლამდე გოგოს ოჯახის შესაქმნელად. ვარ სიმპათიური ბიჭი, უმჯობესია ხაშურელი გოგო. 598791218. გიო

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ქალს ქართლიდან. 557643738

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, სიმპათიურ მამაკაცს, ვარ თბილისელი, განათლებული, სიმპათიური ქალი. 599014895

2. ვარ 165/58/55, თბილისელი, ქმარს გაცილებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, 55 წლამდე მამაკაცს, სასურველია ბინით უზრუნველყოფილი. 599340251

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ 44 წლის ქალი. სამეგობროდ გავიცნობ ფინანსურად ძლიერ მამაკაცს, რომელიც ამ გაჭირვებიდან ამომიყვანს. 557875566

2. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლის ზემოთ მამაკაცს. 551128148

3. ვარ ლამაზი და მიმზიდველი 30 წლის ქალი. გავიცნობ 40-50 წლამდე სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558522007

სხვადასხვა

1. მხოლოდ უფროსებთან მეგობრობა, ლამაზი ლექსები გიოსთან. 598896989

2. გავიცნობ მხიარულ ადამიანს სამეგობროდ, 42 წლიდან. 598822639

გილოცავ

დათუნა, შენ შემოგევლოს დედა, გილოცავ ახალ წელს. უფალი გფარავდეს, შვილო, შენი გულის ტკივილი ძველ წელს გაატანე და მომავლის გჯეროდეს. გკოცნი და გეფერები. დედა

დათო, ძმაო, გილოცავ ახალ წელს, ეს წელი შენი სურვილების ახდენის წელი ყოფილიყოს. მალე ყველაფერი დამთავრდება და ერთად ვიქნებით. გვენატრები და გელოდებით. ალეკო

გლდანი. კ.3. ს.14. მიმო, გილოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარი, დედა გენაცვალოს. 8-ში მაქვს პაემანი. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთი გფარავდეს, შვილო.

325. გილოცავ, შვილო, მობა-ახალ წელს, უფლის წყალობა და იმედი გქონდეს მუდამ. ჩვენი ახალი წელი შენ ხარ, სიცოცხლის სანაცვლოდაც არ დავიხევ უკან შენი კარგად ყოფნისთვის. ღმერთს ვთხოვ ჩვენი საახალწლო სურვილების ასრულებას და შენს კარგად ყოფნას. გფარავდეს დედა ღვთისმშობელი. გვიყვარხარ ძალიან.

ბექა, გილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ, ეს წელი შენი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლის წელი ყოფილიყოს. გკოცნი. ნათელა და ილო

დათუნი, როგორ ხარ? შენი წერილი წავიკითხე, ძალიან მენატრები. გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, მრავალს დაესწარი. უფალს ვთხოვ, მალე ჩვენ გვერდით გამყოფოს. გკოცნი. ნათია

დათუნა, როგორ ხარ? გილოცავ ახალ წელს, ეს წელი ყოფილიყოს ყოველივე კარგის მომტანი შენთვის და შენი ოჯახისთვის. ძალიან მენატრები, მინდა, რომ ჩემთან მყავდე. გკოცნი.

მიყვარხარ, მენატრები

შორენა, სიყვარულს დაგიმტკიცებ, ძალიან რომ მიყვარხარ და დაიწერება ყველა გაზეთში, ჩემს სიტყვას შევასრულებ და გიგზავნი ჩემს ლექსებს სიყვარულზე. შორენა სიკვდილამდე მეყვარება, ვიქნები ერთგული ქმარი და მუდამ მეყვარები, შორენა!

ალეკო, ჩემო საყვარელო, ჩემო ერთადერთო და განუმეორებელო, სიგიჟემდე მენატრები. გილოცავ შობა-ახალ წელს, უბედნიერესი წელი ყოფილიყოს შენთვის. მიყვარხარ. გაკოცე. ნინო

როგორ ხარ, დათიკო, რას შვრები? არაფერზე ინერვიულო, მალე გამოხვალ, მანდ ხომ არ დაგტოვებენ. არაფერზე ინერვიულო, შენს თავს მიხედე.

ჩვენო საყვარელო დათუჩი, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. თავს გაუფრთხილდი, არაფერზე ინერვიულო. ღმერთის წყალობით მალე ჩვენ გვერდით იქნები. მაიკო და გია

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჰაიმე ან გაუმხიროთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკეში" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკეში" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 5 იანვრის 17 საათამდე. ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნებისმიერ, ჰომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება! ერთი აღრესატისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

ირაკლი მიქაბერიძე: „გვეუბნებოდნენ, იარაღის ტარება გველიარებინა. მერე ბუტას სულისთვის რა პასუხი გამეცა?!“

რა ბედი ეწიათ ბუტა რობაქიძის მეგობრებს

2004 წლის ნოემბერში, გიორგობადღის დაღამებისას, თბილისში, შუა ქუჩაში, დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძართან, შემზარავი ამბავი მოხდა. სრულიად უდანაშაულო, ხელებაწეულ 19 წლის ბიჭს, ბუტა რობაქიძეს, პატრულის თანამშრომელმა გიორგი ბაშალეიშვილმა იღლიაში ტყვია დაახალა და მოკლა.

ტელეკომპანიებმა მეორე დღეს გაავრცელეს კადრები, თუ როგორ გაუსწორდა პატრული „ყაჩაღურ დაჯგუფებას“. კარგად ჩანდა იარაღის მთელი არსენალი, რომელიც ვითომდა დაკავებულ ბიჭებს ჯიბეებსა და მანქანაში ეწყოთ. პატრული გიორგი ბაშალეიშვილი თავის ჩვენებაში წერდა, რობაქიძემ ავტომატი ორჯერ გაისროლა და იმიტომ ვესროლეო. მოგვიანებით ჩვენება შეცვალა და აღიარა, რომ ბუტა რობაქიძეს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონია, მას კი უბრალოდ ტყვია გაუვარდა. ბაშალეიშვილს 4 წლიანი პატიმრობა შეუფარდეს, 3 წლის მერე კი გაათავისუფლეს.

ბუტა რობაქიძესთან ერთად მანქანაში, რომელიც იმ დღეს პატრულმა გააჩერა, კიდევ ხუთი ახალგაზრდა იჯდა — ირაკლი მიქაბერიძე, გიორგი ქურდაძე, აკაკი ბართაია, ლევან დაგნაძე და კახაბერ აზარიაშვილი. ამ დღის მერე ბიჭებს, ისე როგორც ბუტას ოჯახს, ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცათ.

1 ოქტომბრიდან საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ პროკურატურამ ამ საქმის გამოძიება თავიდან დაიწყო. ბუტა რობაქიძის მეგობრებს, რომლებიც ამ ინციდენტის მონაწილეები საკუთარი სურვილის წინააღმდეგ გახდნენ, ნასამართლეობა მოუხსნეს. ახლა 5 მეგობარს უნდა, ნამდვილი დამნაშავეები დაისაჯონ. საქმის გაყალბებაში ბრალი წაუყენეს საპატრულო პოლიციის მაშინდელ ხელმძღვანელ ზურაბ მიქაძეს, რომელიც მოსამართლემ 16.000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მიქაძემ თავის ჩვენებაში ის მაღალჩინოსნებიც დაასახელა, ვინც უშუალოდ იძლეოდნენ ბრძანებებს უდანაშაულო ბიჭების ბანდიტებად შერაცხვაში.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი, გურამ დონაძე, ახლა საზღვარგარეთ იმყოფება და ამ ამბავთან კავშირს უარყოფს, უფრო მეტიც, ამტკიცებს, რომ შემთხვევის ადგილზე არც ყოფილა. დონაძემ წარადგინა ცნობა, რომ იმ დღეს თბილისში არ იმყოფებოდა, მივლინებაში იყო.

■

ტრაგედიის ისტორია ასეთია: 23 ნოემბრის საღამოს ბუტა რობაქიძეს ჯგუფელმა ირაკლი მიქაბერიძემ დაურეკა და გიორგობის აღსანიშნავად მეგობრის სახლში მიიპატიჟა. გიორგი ქურდაძის ოჯახში სუფრა იყო გაშლილი. 6 ახალგაზრდა იყო, არც ერთი სვამდა. დალევა არ გვიყვარდაო, ამბობენ. გვიან საღამოს ბიჭები მანქანაში ჩასხდნენ, რომელსაც კახაბერ აზარიაშვილი მართავდა. მას ბიჭები სახლებში უნდა დაერიგებინა.



■ ბუტა რობაქიძე

დიდუბის ეკლესიას რომ მიუახლოვდნენ, პატრულის მანქანას ნელი სვლით გადაუსწრეს. სწორედ აქედან დაიწყო შემზარავი ისტორია.

ბუტა დედისერთა ბიჭი იყო. 23 ნოემბერს თავს კარგად ვერ გრძნობდა, კბილი სტკიოდა, იწვა და გარეთ გასვლას არ აპირებდა. ირაკლი მიქაბერიძე „სარკესთან“ იხსენებს:

— მე და ჩემმა მეგობრებმა მთელი დღე ერთად გავატარეთ და საღამოსაც ერთად ვაპირებდით ყოფნას. გიორგი ქურდაძის ოჯახში აღნიშნავდნენ გიორგობას და მასთან უნდა შევკრებილიყავით. ბუტა

„ბევსმოდა, ბაშაღეიშვილს ჰომ ეუბნებოდნენ, ეს ჰა ქენიო. თავად პოლიციელებსაც უკვიჰდათ, ჰატომ ისჰოღა. ბუტა სახით დაეცა და მაშინ დაიძახეს, ბიჭო, ეს ჰა ქენიო, მაგჩამ ეს ჰაჰფჰაღ ჩააგდეს და მაღევე დადგეს სპექტაკლი“.

ჩემი ჯგუფელი და მეგობარი იყო. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდით, მესამე კურსზე ვიყავით. საღამო იყო, ბუტას სახლთან რომ მივედი და დავურეკე, აქ ვარ და ჩამოდი, უნდა განახომეთქი. სახლში იყო, იმ დღეს კბილი სტკიოდა და არსად აპირებდა გასვლას. მითხრა, კარგი, ჩამოვალო. ვუთხარი, ჩემი სამეგობრო ვიკრიბებით და წამოდი-მეთქი. ბუტას და ჩემს მეგობრებს ერთმანეთი რამდენჯერმე კი ჰყავდათ ნანახი, მაგრამ კარგად არ იცნობდნენ. დამთანხმდა, კარგი, წამოვალო.

კარგი საღამო იყო. სამეგობროდან არავინ ვსვამდით ალკოჰოლს, არ გვიყვარდა. ნასვამებიც კი არ ვიყავით. დავსხედით სუფრასთან, უფროსებს მოვუსმინეთ, ვისაუბრეთ, გავერთეთ. ღამის პირველი საათი რომ დაიწყო, წამოსვლა გადავწყვიტეთ. ბუტა სახლში უნდა მიგვეყვანა. ლევან დაგნაძეს დილომში საქმე ჰქონდა, ვილაცისთვის რაღაც წიგნი უნდა გამოერთმია თუ მიეწოდებინა, აღარ მახსოვს. ის მეგობარი ვერ ნახა და უკან გამოვბრუნდით. ბუტას სახლისკენ გავემართეთ. დიდუბეში პატრული ძალიან ნელა მიდიოდა და ჩვენც ნელი სვლით გადავუსწარით. შუქნიშანთან რომ გავჩერდით, დაგვიძახეს, მანქანა გადააყენეთო. ისე გავჩერდით, რომ ზუსტად პანთეონთან, ეკლესიის გვერდით აღმოვჩნდით. მაშინ პატრული ასე მოწესრიგებული არ იყო, ახლა რომ მანქანაში უნდა იჯდე და თავად მოვა. მძღოლი გადავიდა და რადგან ჩვენ უკან ჩაჭეჭყილები ვისხედით, გადავწყვიტეთ, გადავსულიყავით. მივესალმეთ, გიორგობა მივულოცეთ და მათაც მოგვილოცეს. არ ვიცი, რა იფიქრეს, მაგრამ ერთ-ერთი პატრულის თანამშრომელი შეტრიალდა და მეორე საპატრულო ეკიპაჟი გამოიძახა. მალევე მოვიდნენ. სრულ გაურკვევლობაში აღმოვჩნდით. ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. როცა იმ საპატრულო მანქანიდან შეიარაღებული პატრულები გადმოვიდნენ, გაკვირვებისგან პირი დავაღეთ.

— იქნებ რომელიმე თქვენგანმა შეიგინა ან რამე დააშავა?

— კარგის მეტი არაფერი გვითქვამს. 19 წლის ბიჭები ვიყავით, ალკოჰოლს და ნარკოტიკს ჩვენ არ ვეტანებოდით და რატომ მოგვინდებოდა შეგინება ან სხვა რამის თქმა პატრულისთვის, რომელმაც მხოლოდ გაგვაჩერა?! მეორე საპატრულო ეკიპაჟის გამოძახების მიზეზს ვერ მივხვდით, მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, მიზეზი ის არის, რომ ის შეიარაღებული პოლიციელები მთვრალები იყვნენ. ბიჭი მოკლა და მკვლელი ალკოჰოლზე არც შეუმოწმებიათ. ბაშალეიშვილი აშკარად ნასვამი იყო. აგრესიით, გინებით გადმოვიდა მანქანიდან და ხან გვეუბნებოდა, ადექითო, ხან — დაწექითო, ხან — დაიჩოქეთო. არც შევწინააღმდეგებივართ, პირიქით, ავყევით და, რასაც გვეუბნებოდა, ვასრულებდით.

მე ხელბორკილები დამადეს. სხვებსაც ადებდნენ. ბუტა კი იმ დროს, როცა გასროლა მოხდა, ხელებაწეული იდგა. ამას ექსპერტიზის პასუხიც ადასტურებს. ბაბუამისმა დამოუკიდებლად ჩაატარა და იმ დასკვნაში წერია, რომ ბუტას ტყვია იღლიაში ჰქონდა მოხვედრილი. ბაშალეიშვილი სულ იგინებოდა. ერთ შეგინებას კი გასროლა მოაყოლა. მეგონა, ჰაერში ისროლა შესაშინებლად. ამ დროს ჩვენმა ბიჭებმა ატეხეს ყვირილი, დროზე სასწრაფოო... ჩემ შემდეგ იდგა ბართაია, შემდეგ — ბუტა. მივხვდი, რომ ტყვია ბუტას მოარტყეს.

— ბაშალეიშვილი ჩვენებაში წერდა, რობაქიძემ ხელი ისე წაიღო, მეგონა, იარაღს იღებდა და იმიტომ ვესროლეო.

— მერე გადათქვა, ეგრე არ ყოფილა, უბრალოდ გამივარდა იარაღიო. სწორედ ამ გაუფრთხილებლობის ბრალდებით გასამართლეს და 4 წელი მისცეს. ამ გასროლის შემდეგ მომრავლდნენ პოლიციელები — ფორმიანებიც და უფორმოებიც. ბევრნი გახდნენ და დაწოლილებს გარშემო იარაღი შემოგვიწყვეს. მოიტანეს კამერებიც და იარაღი როგორ გვეწყო, ის გადაიღეს.

— ბუტა მაშინვე გარდაიცვალა თუ რამეს ამბობდა დაჭრილი?

— ადგილზევე გარდაიცვალა. შეიძლე-

Cyan Magenta Yellow Black

ბა რამდენიმე წუთი კი იცოცხლა მისმა ორგანიზმმა, მაგრამ არც დაყვირება გამიგონია, არც კვნესა თუ რამე სიტყვა. ლევან დაგნაძე ამბობდა, რომ ბუტამ მხოლოდ ამოიოხრა. ჩვენ ვყვიროდით, სასწრაფო გამოიძახეთო.

— პოლიციელებს სასწრაფო არ გამოუძახიათ?

— გამოიძახეს. გვესმოდა, ბაშალეიშვილს რომ ეუბნებოდნენ, ეს რა ქენიო. თავად პოლიციელებსაც უკვირდათ, რატომ ისროლა. ბუტა სახით დაეცა და

„მე გვეხდით დამიდეს პისტოლეტი. მანქანაში ნიღბები და ტყვიები ჩადეს. ბუტას და ქურდაძეს ავტომატი დაუდეს. ბახთიასს და დაგნაძეს ჯიბეში ჩაუდეს „ლიმონკა". თან გვიჩტყამდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ. გინებას და სახეში წიხლების რტყმას ვინღა ჩიოდა, იქვე მეგობარი გვიკვდებოდა და ვერ ვშველოდით!".

მაშინ დაიძახეს, ბიჭო, ეს რა ქენიო, მაგრამ ეს არაფრად ჩააგდეს და მალევე დადგეს სპექტაკლი. დონაძე და მიქაძე მოვიდნენ და იარაღი მოიტანეს. საინფორმაციო გამოშვებებში კი გადმოსცეს, რომ ბანდიტური დაჯგუფება აღმოაჩინეს, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა უნდოდა და მათ რეაგირება მოახდინეს. მე გვერდით დამიდეს პისტოლეტი. მანქანაში ნიღბები და ტყვიები ჩადეს. ბუტას და ქურდაძეს ავტომატი დაუდეს. ბართაიას და დაგნაძეს ჯიბეში ჩაუდეს „ლიმონკა". თან გვირტყამდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ. გინებას და სახეში წიხლების რტყმას ვინღა ჩიოდა, იქვე მეგობარი გვიკვდებოდა და ვერ ვშველოდით!

■ ირაკლი მიქაბერიძე

4 საათი გაგრძელდა ეს ყველაფერი. ჯერ დაწოლილებს გვიღებდნენ, მერე აგვაყენეს და ისე გააგრძელეს გადაღება. ბოლოს პატრულის სხვადასხვა მანქანაში ჩაგვსხეს და დიდუბის პოლიციის ერთ-ერთ სამმართველოში გადაგვიყვანეს.

მესამე დღეს სასამართლო გაიმართა და მოსამართლემ ყველა გამოგვიშვა. თქვა, გამოძიება გაგრძელდეს, მაგრამ ესენი საფრთხეს არ წარმოადგენენ, გავუშვათო. იმ საღამოსვე დაგვირეკეს და სააპელაციო სასამართლოში დაგვიბარეს. რამდენიმე დღეში გავიგეთ, რომ ის მოსამართლე, ვინც გამოგვიშვა, მოხსნეს. მე და დაგნაძე გაგვათავისუფლეს, დანარჩენი სამი კი ციხეში გადაიყვანეს. ქურდაძემ იქ ერთი თვე დაჰყო, აზარიაშვილმა და ბართაიამ ხუთთვიანი სასჯელი მოიხადეს. რა გააკეთეს, ვერ მივხვდით.

ბუტას ვინც იცნობდა, ყველამ იცოდა, რომ შეუძლებელი იყო, ავტომატით ერბინა და, პოლიცია თუ გააჩერებდა, მისთვის იარაღი მიეშვირა. მერე, ვითომ ბუტა არ იყო ბანდიტი და სხვები იყვნენ... სასამართლო პროცესი რამდენიმე თვე გრძელდებოდა. მე და დაგნაძე იარაღის ტარების მუხლით ვიყავით გასამართლებული. მოგვიხსნეს ეს ბრალდება. ვითომ მე და მან გადმოვაგდეთ ეს იარაღი და წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, ბართაიამ და აზარიაშვილმა კი წინააღმდეგობის გაწევა სცადეს — ასეთი სცენარი დაწერეს. ეს ბრალდებები ახლა მოგვიხსნეს, მაგრამ იმედია, ის გამყალბებლებიც დაისჯებიან, ვინც ეს მოაწყვეს და ჩვენ ბანდიტებად მოგვნათლეს.

— ამის მერე, მიუხედავად იმისა, რომ არაფერ შუაში იყავით, ალბათ სულ დანაშაულის გრძნობა გქონდათ, რომ იმ დღეს ბუტა სახლიდან გამოიყვანეთ.

— ფაქტია, რომ ბუტას მე დავურეკე და სახლიდან გამოვიყვანე. რა თქმა უნდა, ვნანობ და სულ ვფიქრობ, ნეტავი მისთვის არ დამერეკა-მეთქი, მაგრამ ადამიანს რაც გიწერია... ბუტას ოჯახის წევრები სულ მეუბნებიან, თავი არ დაიდანაშაულო, შენ არაფერ შუაში ხარო, მაგრამ ჩემთვის ძალიან მძიმეა. სულ ვიხსენებ ბუტასთან ურთიერთობას და ამით ვიკლავ მონატრებას.

— ბუტას ადგილზე ნებისმიერი თქვენგანი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.

— დიახ, ბუტას მოხვდა ტყვია, თორემ შეიძლებოდა მე მომხვედროდა ან რომელიმე სხვას. ბუტას პოლიციელებისთვის არანაირი საბაბი არ მიუცია, აგრესია საერთოდ არ გამოუვლენია.

— დიდი ხნის მეგობრები იყავით?

— ბუტა სამი წლის გაცნობილი მყავდა. ძალიან თბილი და იუმორით სავსე ბიჭი იყო. სულ ხუმრობდა და ეს კარგად გამოსდიოდა. მოსიყვარულე, ვაჟკაცი და კეთილი ბიჭი იყო. ეს თვისებები რომ შევამჩნიე, მომეწონა და დავმეგობრდით. იმ ასაკში ვიყავი, როცა კარგ ადამიანებს ეძებ სამეგობროდ. მერე თითქმის სულ ერთად ვიყავით. სასიამოვნო იყო მასთან ურთიერთობა.

— ამ ტრაგედიის მერე 8 წელი გავიდა. როგორ გაიარა თქვენთვის ამ დრომ, იმედით თუ პირიქით — უიმედობით?

— რა გითხრათ?! თავიდან გვეგონა, ყველაფერი მალე გაირკვეოდა, მაგრამ იმდენ ხანს გაგრძელდა... უნივერსიტეტი დავამთავრე, მუშაობაც დავიწყე. მუდამ იმაზე ვფიქრობდით, რომ მტყუან-მართალი ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეოდა და დამნაშავეები დაისჯებოდნენ. ბუტას ყაჩაღობის ბრალდება მაშინვე მოუხსნეს, მაგრამ ამათ ჰქონდათ იარაღიო, სისულელეებს გვაბრალებდნენ და ზღაპრებს თხზავდნენ. ეს ყველაფერი იოლი გადასატანი არ იყო. სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენს გულში ბუტას ადგილი მუდამ იქნება. სიმართლე გაირკვა, ბიჭებსაც მოეხსნათ ბრალდებები, მაგრამ ამ საქმის გამყალბებლები არ დასჯილან. პასუხი აუცილებლად უნდა მოეთხოვოთ!

— რეჯაზუნის, შურისძიების გრძნობა არ გაგჩენიათ?

— შურისძიება არ ჰქვია ამას, მაგრამ იმის მაგივრად, რომ თავიდანვე ეთქვათ, იარაღი გაგვივარდა და გვაპატიეთო, ათასი სიბინძურე რამ დაგვაბრალეს. ჩვენ ცოცხლები მაინც ვართ, მაგრამ უდანაშაულო ბიჭს რომ კლავ და მონანიების მაგივრად ამბობ, ის დამნაშავე იყოო, არაადამიანობაა.

სამართლიანობა რომ იზეიმებდა, ამის იმედი არასოდეს დაგვიკარგავს, თორემ შეიძლებოდა, რაღაც სისულელეები ჩვენც გაგვეკეთებინა. მაშინ პროკურატურიდან შემოგვთავაზეს, იარაღის ტარება გვეღიარებინა. პირადად მე მითხრეს, აღიარე, ბიჭებსაც გამოვუშვებთ და თქვენც მსუბუქად დაისჯებითო. რა სისულელეა! რაც არ ყოფილა, იმას რა მათქმევინებდა?! მერე ბუტას სულისთვის რა პასუხი გამეცა?! მე და ჩემს მეგობრებს ციხიდან თავი დაგვეხსნა, კარგად ვყოფილიყავით და ბუტას დარჩენოდა ბრალდება, რომ მან იარაღი მიუშვირა პოლიციელს?! ამას არასოდეს ვიზამდით — არც მე და არც სხვები.

— გურამ დონაძე ამბობს, რომ იმ ღამეს დანაშაულის ადგილზე არ ყოფილა.

— როგორ არ იყო! დონაძე მაშინვე ვიცანი, რადგან ჟურნალისტი იყო და ეკრანზე ნანახი მყავდა. მიქაძე რომ იქ იყო, მაშინ აღვიდგინე, როცა ტელევიზორში დავინახე. ორივე ცინიკურად, შეურაცხმყოფელად გველაპარაკებოდა. ტაქსებს აჩერებდნენ და მძღოლებს სთხოვდნენ, მოწმედ დამდგარიყვნენ. ზოგი უარს ეუბნებოდა, არაფერი დამინახავს და რა ვთქვაო. ზოგს ითანხმებდნენ. იარაღი სად და როგორ უნდა დაედოთ, ამას მიქაძე და დონაძე აგვარებდნენ. მაშინ იარაღის ჩადება-არჩადება სულ არ გვაინტერესებდა,

„ძალიან თბილი და იუმორით სავსე ბიჭი იყო. სულ ხუმრობდა და ეს ჯიგარად გამოსდიოდა. მოსიყვარულე, ვაჟკაცი და კეთილი ბიჭი იყო. ეს თვისებები რომ შევამჩნიე, მომეწონა და დავმეგობრდით. იმ ასაკში ვიყავი, როცა კარგ ადამიანებს ეძებ სამეგობროდ".

მთავარი იყო, ბუტა გადარჩენილიყო.

— ბუტას რა გეგმები ჰქონდა? შეყვარებულიც ჰყოლია.

— კი, ჰყავდა, მაგრამ ჩემთან მასზე ბევრი არაფერი უთქვამს. ბუტას ლაღი ცხოვრება ჰქონდა და დარწმუნებული ვარ, მთელ სიცოცხლეს სიკეთის კეთებაში გაატარებდა. სულ ვფიქრობდი, ეს ისეთი ბიჭია, ალბათ მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით-მეთქი.

— დანარჩენებთანაც ახლო მეგობრობა გაკავშირებდათ?

— ლევან დაგნაძე ჩემი კლასელია. აკაკი ბართაია და გიორგი ქურდაძე ჩემი ეზოს მეგობრები არიან. აზარიაშვილი ბართაიას მეგობარია. ეს ტრაგედია ჩვენთვის ერთგვარი დაღია, დამანგრეველი ამბავი. ვინც ეს ყველაფერი ჩაიდინა, მათ საქციელს სიტყვებით ვერ შევაფასებ.

— სად არიან და რას აკეთებენ ახლა ეს ბიჭები?

— ბართაია გერმანიაშია და უკვე მთელი წელია არ მინახავს. მას საქართველოში ხელიც კი შეუშალეს, რომ ემუშავა. პრობლემები ჰქონდა და გერმანიაში წასვლა გადაწყვიტა. გიორგი ქურდაძე ახლა მონასტერშია. ყველას გვქონდა მისწრაფება, რომ რელიგიურად გვეცხოვრა. მოძღვარი მაშინაც გვყავდა ყველას და ახლაც გვყავს. მონასტერში ჩვენც დავდივართ. ყველა ისევ ვმეგობრობთ.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

იმაზე ბედნიერი არავინ არის, ვისაც ღვთის არსებობა ნამდვილად სწამს და ამაში ეჭვი არ ეპარება

ხსენება წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელისა (საკვირველმოქმედისა)

წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელი, რომელზეც ვაპირებთ, რომ მოგითხროთ, საკმაოდ საინტერესო ფიგურაა რამდენიმე თვალსაზრისით. პირველი ის, წარმართი მშობლების გარემოცვაში წარმოჩინდა, როგორც ღვთის რჩეული ჭურჭელი. კიდევ ის, რომ დაიბადა საქართველოს საზღვართან ძალიან ახლოს და არ არის გამორიცხული, ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ქართველებთან. როგორც არ უნდა იყოს, საინტერესო მართლაც რომ ბევრი აქვს ამ წმინდანს და შევეცდებით, გასაგებად გადმოვცეთ მისი ცხოვრება.

წმინდა გრიგოლ სასწაულმოქმედი დაიბადა მეფე ავრილიოსის დროს წარმართი ბერძნების ოჯახში, ქალაქ ნეოკესარიაში, რომელიც მდებარეობს პონტოს სამეფოში. კაბადოკიის ამ ქალაქს თურქულად ნიკსარს უწოდებენ. დღევანდელი ტოკატის გუბერნიაშია გაშენებული მდინარე ლიკუსზე (თურქულად კელკიტ ირმაკ) და შავი ზღვიდან 60 კილომეტრითაა დაშორებული. ეს ქალაქი აშენებულია ტიბერიოსის დროს და 315 წელს სწორედ აქ გაიმართა ადგილობრივი საეკლესიო კრება.

წმინდა გრიგოლ სასწაულმოქმედი ჯერ კიდევ ბავშვობიდან იყო მზად, თავისი მოღვაწეობით ეკლესიისთვის უდიდესი სარგებელი მოეტანა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები წარმართები იყვნენ, წმინდანს თვითონ ჰქონდა მიდრეკილება ქრისტიანობისადმი. ჯერ კიდევ სკოლაში გამოამჟღავნა თავისი შესაძლებლობები, დიდი შრომისმოყვარეობა, ცოდნის მიღებისადმი წყურვილი. თავდაჭერილი იყო ბავშვობიდანვე. მისი გარეგნობა არ იყო ისეთი, როგორც სხვა დანარჩენი ბავშვების. რაც უფრო იზრდებოდა და ემატებოდა ცოდნა, უფრო და უფრო თავმდაბალი და უშუალო იყო ყველას მიმართ. როცა მშობლები გარდაიცვალნენ, წმინდანი მარტო დარჩა და თავისუფლებაც მეტი ჰქონდა. სწავლის სურვილმა გადააწყვეტინა ალექსანდრიაში წასვლა, სადაც ფილოსოფიური და სამედიცინო განათლება მიიღო. ალექსანდრიაში გაქრისტიანდა კიდეც.

თანატოლებში შური აღძრა წმინდანის გონიერებამ და ახალგაზრდა კაცის უმანკო ღვთივსათნო ცხოვრებამ. წმინდანი მათ მსგავსად როდი იყო გართული ამქვეყნიური საზრუნავით. განიზრახეს ბოროტება მისი მისამართით, მოისყიდეს მეძავი, რომელიც ხელს დაადებდა გრიგოლს და ამით შეურაცხყოფდნენ მის ავტორიტეტს. წმინდანი მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მისი თანატოლების მოფიქრებული იყო და ყურადღებაც კი არ მიუქცევია, ისე მშვიდად შეხვდა ამ ყოველივეს.

თანატოლები ამას როდი დასჯერდნენ, კიდევ მიუგზავნეს მეძავი, რომელმაც გაჩუმების სანაცვლოდ, რომ თითქოს მასთან იცხოვრა, გამოძალვის მიზნით ფული მოითხოვა გრიგოლისგან. წმინდანს თავის მართლება არ დაუწყია, მიხვდა, რომ ეს ყოველივე ბოროტის მოწყობილი იყო და გულმხურვალედ ილოცა ღვთის წინაშე. მეორე დღეს დაიბარა მეძავი და დაჰპირდა, რომ ფულს მისცემდა და მისცა კიდეც, რომელიც არაფერში ეკუთვნოდა, მაგრამ მყისვე გამოავლინა უფალმა სასწაული. როცა უსამართლოდ გამოართვა ფული, მეძავი ქალი მაშინვე ძირს დაეცა, თვალები გადაატრიალა, დუჟი სდიოდა და მიწაზე იკლაკნებოდა გონდაკარგული. არავის შეეძლო მისი არც დამორჩილება და მით უმეტეს, არც განკურნება.

ისევ წმინდა გრიგოლმა სძლია საკუთარ თავს და მოუწოდა უფალს, შეეწყალებინა ცილისმწამებელი. მეძავმა ქალმა მაშინვე უკან დაუბრუნა წმინდანს ის ფული, რომელიც შანტაჟით გამოართვა, იქვე აღიარა საქვეყნოდ თავისი დანაშაული და წმინდა გრიგოლის უდანაშაულობა და შენდობა ითხოვა წმინდანისგან. ადვილად წარმოსადგენია წმინდა მამის ახალგაზრდობის შემდგომი პერიოდი, რადგან ის შემთხვევა, რომელიც აღვნიშნეთ, სტუდენტობისდროინდელი იყო.

ახლა მივყვეთ ქრონოლოგიურად წმინდანის ცხოვრებას და გავიგოთ უფრო მეტი, რადგან მეტის ცოდნა ისევ ჩვენთვის იქნება სასარგებლო. როცა წმინდანმა დაამთავრა საერო სიბრძნის შესწავლა, დიდი ალბათობა არის იმისა, რომ ალექსანდრიაში ყოფნის დროს გაიცნო ცნობილი სწავლული და მოაზროვნე, თეოლოგი ოროგენე, რომელსაც უსმენდა და ბევრ რამეს სწავლობდა მისგან. სწავლის დასრულების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, რათა ის ცოდნა, რომელიც მიიღო, თანამემამულეებისათვის გადაეცა.

ჯერ კიდევ ალექსანდრიაში ყოფნის დროს უამრავი დიდებული სთხოვდა, სოლიდური ანაზღაურების ფასად აეყვანა მათი შვილები აღსაზრდელად და კიდევ უფრო მეტი ოდენობით ითხოვდნენ იგივეს სამშობლოშიც. წმინდა გრიგოლი კი, რომელიც დღენიადაგ განმარტოებულ, მშვიდ და მყუდრო ცხოვრებაზე ფიქრობდა, განერიდა ოქრო-ვერცხლსაც, პატივსაც, ამქვეყნიურ ამაოებასაც და ვითარცა მოსემ, უდაბნოს მიაშურა, რათა კიდევ უფრო მეტი ეფიქრა თავის ნაკლოვანებებზე, ღვთის სიყვარულზე და შემოქმედის მორჩილებაზე.

ამ დროს ამასის მთავარეპისკოპოსი გახლდათ ღვთისმოსავი ფედიმოსი, რომელსაც ღვთისგან მომადლებული ჰქონდა წინასწარჭვრეტის უნარი. როგორც კი შეიტყო ახალგაზრდა მოღვაწის შესახებ, გადაწყვიტა გრიგოლის იერარქიულ ხარისხში აყვანა, რაზეც წინააღმდეგობას წააწყდა თვით წმინდანის მხრიდან. მთავარეპისკოპოსი ამბობდა, ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, რომ ასეთი მომავალი დავუკარგო ეკლესიასო და ყველა ღონეს ხმარობდა მის დასაყოლიებლად, მაგრამ ამაოდ, წმინდანი ხან რომელ გამოქვაბულს აფარებდა თავს და ხანაც რომელს. გაიძახოდა, მე რა ღირსი ვარ, მღვდელმთავრის ღვთაებრივი პატივი ვატარო, ეს ჩემს შესაძლებლობებზე მაღლა დგასო.

გავიდა დრო და ფედიმოსმა ხელი დაასხა წმინდანს ნეოკესარიის ეპისკოპოსად იმ მხარეში, სადაც, გარდა რამდენიმე ადამიანისა, მთელი მოსახლეობა წარმართი იყო. სწორედ ეს განჭვრიტა ფედიმოსმა, რომ ამ მხარეს თუ ნათელს მოჰფენდა ვინმე, გრიგოლი იქნებოდა. ასე, ღვთის განგებით გახდა წმინდა მამა ნეოკესარიის ეპისკოპოსი და ამის წარმატებულ შედეგზეც გვინდა ქვემოთ საუბარი.

წმინდანი დამორჩილდა ღვთის განგებას და უფალს მინდობილი ჩავიდა ნეოკესარიაში, სადაც უამრავი წარმართული სამსხვერპლო და ქურუმები დახვდნენ. საჭირო იყო ადგილობრივი ხალხის დარწმუნება იმაში, რომ ისინი სიცრუეს ემსახურებოდნენ და ნამდვილი ღმერთის თაყვანისცემა იყო მხოლოდ გამოსავალი. წმინდანს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ქურუმებისგან, რომლებსაც არაფრით უნდოდათ იმის აღიარება, რომ ცდებოდნენ, მაგრამ ამ ყოველივეს თვით წმინდა მამამ გასცა პასუხი თავისი ქმედებით — ლოცვით.

ლოცვა იყო მისი უმთავრესი იარაღი. მივიდოდა სამსხვერპლოსთან თავის მცირეოდენ მომხრეებთან ერთად და იწყებდა ლოცვას. მაშინ ერთმა ქურუმმა გადაწყვიტა, წმინდანი ქალაქის მთავართან მიეყვანა და რადგან ქრისტიანი იყო, ქალაქიდან გაეძევებინათ, რაზეც წმინდანმა უპასუხა: „ჩვენ თაყვანს ვცემთ ჭეშმარიტ ღმერთს და გვაქვს ხელმწიფება, რათა განვდევნოთ დემონები და აგრეთვე ვუბრძანოთ მათ, მოვიდნენ და დაგვემორჩილონ“. ამის გამგონე ქურუმმა მიუგო: „მაშ, თუ ასეა, უბრძანე დემონებს, მოვიდნენ სამსხვერპლოზე და ამის შემდეგ დავიჯერებთ შენსას და შენი ღმერთისას“.

Cyan Magenta Yellow Black

წმინდა მამამ დაწერა შემდეგი სიტყვები: „დემონო, გრიგოლიმ ბრძანა, რომ მოხვიდე“ და გადასცა ქურუმს. მართლაც, ქურუმმა წერილი მიიტანა სამსხვერპლოსთან, რის შემდგომაც გამოცხადდა დემონი. გაოგნებული ქურუმი გამოეკიდა წმინდა მამას, რათა ეცნობებინა მომხდარის შესახებ. დაეწია იმ დროს, როცა წმინდანი ქალაქის გალავნის გარეთ იმყოფებოდა და მიუგო, მიჩვენე მეც, თუ ვინ არის ის ღმერთი, რომელსაც ძალუძს დემონთა განდევნაც და უფლების მინიჭებაცო.

წმინდანმა მოკლედ და კონკრეტულად მოუთხრო, თუ როგორი იყო ქრისტიანთა ღმერთი — ყოვლის შემოქმედი, ყოვლადძლიერი, ყველგანმყოფი და მამა ყოველთა. მაშინ ქურუმმა მიუგო: „მაშ, თუ ასეა, აი, იმ ლოდს უბრძანე, დაიძრას ადგილიდან და თუ დაგიჯერა, მთელი დარჩენილი ცხოვრება შენი და შენი ღმერთის მსახური ვიქნები“. ილოცა წმინდა გრიგოლიმ და უბრძანა ლოდს, ქურუმის დასანახად ადგილიდან დაძრულიყო. ეს გახდა კიდეც ქურუმის ქრისტიანობისკენ შემობრუნების მიზეზი და იმ დღიდან მოყოლებული, დაუცხრომლად ადიდებდა უფალს გარდაცვალებამდე. იძახდა, თუ ამდენი შეუძლია მის მონას, ხომ წარმომიდგენია, მისი უფალი რა შესაძლებლობების იქნებაო.

აი, იარაღი, რითაც წმინდანი ამ ქალაქში მოვიდა. მისი სიმდიდრე როდი იყო მხედრები ან იარაღი, ან ურიცხვი ჯარი, არამედ ცოცხალი რწმენა უფლისადმი. იმ უფლისადმი, რომელიც არის ყოვლისშემძლე. ყველა ცდილობდა, ახლოს ენახა სასწაულმოქმედი წმინდანი. ის კი არავის უყურებდა, სულ თავდახრილი დადიოდა, რაც კიდევ უმძაფრებდა ქალაქის მცხოვრებლებს მისდამი პატივისცემას და სიყვარულს.

ქალაქში ცხოვრობდა ერთი მდიდარი და ღვთისმოსავი მუსონიოსი, რომელმაც გადაწყვიტა, წმინდანი სახლში მიეყვანა და თუ მამა გრიგოლიც თანახმა იქნებოდა, მასთან და მისი ოჯახის წევრებთან სულიერ საკითხებზე ესაუბრა. ამ ყოველივემ რეგულარული ხასიათი მიიღო, რაც კიდევ უფრო წამახალისებელი აღმოჩნდა ადგილობრივი ქრისტიანებისთვის. წმინდა მამა მოუწოდებდა ხალხს, შეეწყვიტათ ბერძნული ღმერთების რწმენა, რაც იყო არაფრის მომცემი. მისი მოწოდება როდი იყო მხოლოდ სიტყვიერი, არამედ საქმით ამტკიცებდა, როცა კურნავდა სნეულებს, ყველას ეხმარებოდა, ვინც კი თხოვნით მიმართავდა. გაიზარდა ქრისტიანთა რიცხვი, ახალგაზრდები წმინდა მამის შემხედვარენი შეიცვალნენ კეთილშობილებისკენ, ბატონები თავიანთ მსახურებს კეთილად ეპყრობოდნენ, ააგეს უზარმაზარი ტაძარი.

მალე საშინელი მიწისძვრა მოხდა ქალაქში, სამეფო სასახლეები, სახლების უმრავლესობა, სამსხვერპლოები, თითქმის მთელი ქალაქი მიწასთან გასწორდა. მხოლოდ ღვთის სახლი იდგა ამაყად და ამან კიდევ უფრო განამტკიცა ხალხის ქრისტიანობისადმი სიყვარული. იმდენად დიდი იყო წმინდანის მიმართ ნდობა, რომ, როცა კი ორ ადამიანს შორის უსამართლობა ჩამოვარდებოდა, წმინდა მამას სთხოვდნენ, სამართალი განესაზღვრა.

ერთხელაც ნახეთ, რა მოხდა! ერთ მდიდარს ჰყავდა ორი შვილი, რომელთაც გაუნაწილა თავისი სიმდიდრე. ერთ-ერთს მამის საკუთრებაში მყოფი თევზით სავსე ტბა შეხვდა, რომელსაც ვერაფრით იყოფდნენ ძმები. იმდენად შეიძულეს ერთურთი, შეიძლება სავალალო შედეგით დასრულებულიყო, წმინდა მამა რომ არ ჩარეულიყო მათ საქმეში. წმინდა გრიგოლმა მოუწოდა ძმებს, შერიგებულიყვნენ და ედიდებინათ უფალი იმის გამო, რაც საჩუქრად მიიღეს მამისგან, მაგრამ ამაოდ, ძმებმა ყურიც კი არ ათხოვეს წმინდანს და საომრად მოემზადნენ. უკვე ისე იყო საქმე, რომელიც დაასწრებდა, ის მოკლავდა მეორეს და ამით საშინელ ცოდვას შეემთხვეოდნენ.

წმინდა მამამ რომ ვერაფერი გააგებინა ძმებს, ადგა, მივიდა ტბასთან და ილოცა ღვთის წინაშე, ტბა დამშრალიყო, რომ ძმებს უსიამოვნება აეცილებინათ თავიდან. მართლაც, გათენდა და უწინდელი თევზით სავსე ტბისგან ცარიელი ამომშრალი ორმოღა იყო დარჩენილი. მაშინ მიხვდნენ ძმები, რომ მათი დაპირისპირება სრულიად უსამართლო იყო და ორივეს მადლობა უნდა შეეწირა უფლისთვის იმის გამო, რაც გააჩნდათ.

აგრეთვე ვისაუბროთ იმ შემთხვევაზეც, რომელიც თითქმის სრულად აღესრულებოდა ბიზანტიის დაცემამდე, იქამდე, ვიდრე იმპერია ხელში არ ჩაიგდეს ბარბაროსებმა და ურჯულოებმა. ქალაქ ნეოკესარიაში ჩამოედინება მდინარე, სახელად ლიკუსი, რომელიც ხშირი ნალექის დროს სეზონურად დიდდებოდა და უდიდეს ზიანს აყენებდა მოსახლეობას, სპობდა ნათესებს, ანგრევდა ჯებირებს და მიმდებარე ტერიტორიაზე უამრავი მსხვერპლი იყო პირუტყვის, ფრინველის თუ ადამიანების.

უკვე ყველამ იცოდა ახლომახლო წმინდა გრიგოლის სასწაულმოქმედებაზე, ამიტომაც ადგილობრივებმა, ვისაც მდინარე აწუხებდა, გადაწყვიტეს, დახმარებისთვის მასთან მისულიყვნენ. წმინდა მამამ მოუსმინა და უთხრა: „ეს მდინარე თქვენზე ზრუნავს, სურს, რომ გამოგაფხიზლოთ“. ყველა გაოცებული უსმენდა წმინდა მამას, რომელმაც მოიმარჯვა თავისი კვერთხი და დაარჭო მდინარის ნაპირზე, მდინარეს კი უბრძანა, დღეის შემდეგ არ გამაგონო, ჩემი კვერთხი შენმა ტალღებმა დაფარონ, თორემ საერთოდ დაგაშრობო. მართლაც, იმ დღის შემდეგ არავის ახსოვს, წყალს ის კვერთხი დაეფაროს და შესაბამისად, წყალდიდობის საფრთხეც აღარ დამდგარა, ვიდრე ტერიტორიაც და მდინარეც, როგორც უკვე ვთქვით, ურჯულოების ხელში არ აღმოჩნდა.

ახლა გვსურს, საკმაოდ საინტერესო თემას შევეხოთ, რომელიც უკავშირდება ქართულ სახელმწიფოს აფხაზეთიდან, კერძოდ კი, კომანის ქრისტიანულ მოსახლეობას. როცა გაუგიათ წმინდა გრიგოლის შესახებ, მისთვის უთხოვიათ, იქნებ მისულიყო მათ ქალაქში და მათთვის ღირსეული მღვდელმთავარი ეკურთხებინა. მართლაც ჩავიდა წმინდანი თავის სამღვდელოებასთან ერთად და შეეცადა, ხალხისთვის თხოვნა შეესრულებინა. მოუწოდა ადგილობრივ ქრისტიანებს: „მთავარი არ არის ადამიანის გარეგნული მდგომარეობა, ეპისკოპოსში უნდა ჭარბობდეს შინაგანი სამყარო, შინაგანი სათნოებები, რაც არის გარანტი ეპარქიის სწორად მართვის. ასეთად კი ღვთის დაშვებით ალექსანდრე მიმაჩნია“.

ალექსანდრე, კაცი, რომელსაც მანამდე ყურადღებას არავინ აქცევდა, მართლაც ღირსეული აღმოჩნდა. მან გაითვალისწინა წმინდა მამის დარიგებები და სიბრძნით განაგებდა თავის ეპარქიას.

უკან დაბრუნებულ წმინდა გრიგოლს გზად ორი იუდეველი შემოხვდა, რომელთაც გაითამაშეს, თითქოს ერთი გარდაიცვალა. უნდოდათ, წმინდა მამისთვის რამე გამოეძალათ და თანაც ამით შეურაცხყოფა მიეყენებინათ. გაიხადა წმინდანმა თავისი მოსასხამი და მისცა ცოცხალ ჭირისუფალს. როცა გაშორდა იქაურობას, ჭირისუფალმა ტირილი შეწყვიტა და სიცილი დაიწყო იმის გამო, რომ მოატყუეს წმინდანი. სასწაული ის იყო, რომ ის ვითომ გარდაცვლილი მართლა გარდაიცვალა და ამით მიახვედრა უფალმა, რომ ღვთის შვილის დაცინვა ყოვლად მიუღებელია.

ერთხელ, როცა წმინდა გრიგოლი ქალაქში ქადაგებდა, ერთი ბავშვი წინ გამოვიდა და მიმართა ხალხს: „მოძღვარი ამ სიტყვებს განა თვითონ ამბობს, არამედ გვერდში უდგას თავისი ორეული და ის აძლევს მითითებებს“. ამ სიტყვებით წმინდა მამა მიხვდა, რომ ბავშვს ეშმაკი ჰყავდა შესახლებული და მისი პირით ლაპარაკობდა. მაშინვე შესთხოვა უფალს ბავშვის განკურნება. დაეცა ბავშვი მიწაზე გულწასული და დუჟი სდიოდა პირიდან, მაგრამ განიკურნა და ამით უზომოდ ბედნიერები იყვნენ მისი მშობლებიც და ახლობლებიც.

დაუსრულებლად შეიძლება იმ სასწაულების მოყოლა, რომლებიც წმინდა გრიგოლ სასწაულმოქმედს უკავშირდება. ყველა აქ ვერ მოვიყვანეთ, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ რამდენიმე მათგანი, რომლებზეც მოგითხრეთ, სამაგალითო და ყურადსაღები იქნება თითოეული ჩვენგანისათვის, რათა სრულად გავიაროთ ის უდიდესი ფენომენი, რომელსაც მადლი ღვთისა ჰქვია, რომელიც ნებისმიერისთვის შესაძლებელია და მიიღწევა მოღვაწეობით, ლოცვით, ცოცხალი სარწმუნოების არსებობით ადამიანში. სწორედ ასეთი იყო წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელი, რომელიც დღესაც მხარში გვიდგას და მეოხებას არ გვაკლებს ღვთის წინაშე.

როცა გრიგოლმა თავისი გარდაცვალება იწინასწარმეტყველა, დაიბარა, ჩუმად დამასაფლავეთ ისე, რომ ხალხმა არ იცოდეს, ჩემი საფლავი რომელიაო და მართლაც ასეა დღემდე. გარდაიცვალა 275 წლის 17 ნოემბერს და სწორედ ამ დღეს აღესრულება მისი ხსენებაც.

შეგვეწიე და მეოხ გვეყავ ჩვენ, ცოდვილთა, წმინდაო დიდო და სასწაულმოქმედო მღვდელმთავარო გრიგოლი, რათა მივიღოთ ცოდვათა შენდობა და დიდი წყალობა ღვთისგან. ამინ.

ქრისტესმიერი სიყვარულით,
პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

Cyan Magenta Yellow Black

■ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ

„ᲩᲮᲣᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲛᲐᲜ ᲓᲐᲗᲛᲝᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ ᲣᲤᲐᲚᲖᲔ“

ᲐᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲝᲙᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲜᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲛᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲓᲜᲔᲜ. ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲕᲔᲪᲐᲓᲝᲗ ᲜᲐᲑᲘᲯᲜᲐᲑᲘᲯ, ᲬᲕᲘᲗ-ᲬᲕᲘᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲘᲬᲘᲠᲐᲕᲡ, ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲠᲔ ᲙᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲨᲔᲓᲔᲒᲡ — ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔᲡ. ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲒᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲘ, ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ **ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ** (ᲡᲮᲘᲠᲗᲚᲐᲫᲔ):

— ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲛᲔᲢᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲣᲢᲙᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲗᲠᲒᲣᲜᲣᲐ ᲮᲐᲚᲓᲐᲮᲐᲚ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲚᲘᲐᲐ. ᲠᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲣᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲯᲓᲒᲐᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲖᲔ?

— ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲛᲔᲢᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲕᲜᲔᲑᲐ. ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲚᲘᲚᲘᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲓᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ. ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲓᲐᲤᲠᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲪᲝᲓᲕᲐᲨᲘᲐ. ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲝᲓᲕᲐᲪ. ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲥᲣᲩᲐ ᲗᲣ ᲡᲮᲕᲐ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲣᲠ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲪᲝᲓᲕᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ. ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ, ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲝᲗ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲔᲩᲮᲣᲑᲔᲑᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲠ ᲕᲪᲔᲛᲗ, ᲒᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲪᲘᲗᲮᲐᲕᲗ, ᲪᲣᲓᲘ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ, ᲪᲣᲓᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, ᲒᲣᲚᲨᲘ ᲕᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲗ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲗ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲰᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲠ ᲕᲔᲙᲐᲛᲐᲗᲔᲑᲗ, ᲐᲠ ᲕᲪᲔᲛᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲑᲝᲛᲝᲥᲠᲝᲑᲡ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲪᲝᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲯᲣᲚᲝᲑᲐ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲰᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲰᲐᲢᲐᲕᲗ ᲐᲛᲐᲡ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲐᲕᲗᲐᲛ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲐᲖᲠᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲧᲔᲜᲔᲑᲗ ᲛᲝᲡᲐᲣᲑᲠᲔᲡ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲕᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲗ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲗᲛᲔᲚᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ �გᲣᲚᲨᲘ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ ᲚᲝᲪᲕᲐᲡ. ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲝᲗ ᲘᲘᲡᲝᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ. ᲒᲕᲐᲮᲡᲜᲔᲑᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲗᲕᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲪᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲚᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲪᲝᲓᲕᲐ ᲒᲕᲔᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ.

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡ ᲒᲕᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲗ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲘᲡᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲛ ᲛᲝᲒᲕᲪᲐ: ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲓᲔᲜᲔ, ᲡᲪᲔᲛᲓᲜᲔ, ᲯᲯᲕᲐᲠᲖᲔ ᲐᲙᲠᲐᲕᲓᲜᲔ, ᲡᲬᲠᲘᲓ ᲘᲛᲗᲝᲗᲕᲘᲡ ᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲓᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲛ ᲬᲣᲗᲐᲡ ᲛᲐᲡ ᲯᲯᲕᲐᲠᲖᲔ ᲐᲙᲠᲐᲕᲓᲐ. ᲘᲔᲡᲝ ᲰᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ: „ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲨᲔᲣᲜᲓᲔ ᲐᲛᲐᲗ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲐᲡ ᲘᲥᲛᲐᲜ“. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲕᲔᲣᲜᲓᲝᲗ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲔᲚᲡ, ᲕᲚᲝᲪᲣᲚᲝᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ, ᲐᲞᲐᲢᲘᲝᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲩᲐᲠᲓᲘᲜᲐ.

— ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲔᲚᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲜᲓᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲗ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲡ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲯᲣᲡᲐᲠᲩᲚᲝᲗ?

— ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲗᲛᲔᲖᲔ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲘ ᲗᲣ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲮᲔᲠᲮᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲜᲗᲘᲜᲓᲔ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲐᲜ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲓ ᲩᲐᲒᲠᲐᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲐᲜ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲪᲔᲗᲝᲗ? ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲪᲐᲓᲝᲗ, ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲫᲜᲕᲐᲕᲝᲗ ᲡᲘᲢᲧᲣᲐᲪᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲑᲘᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲗᲐᲜᲓᲘᲛᲓᲔᲕᲠᲣᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲬᲧᲕᲘᲢᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲘᲔᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲩᲣᲛᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲐ? ᲮᲕᲐᲚ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲘᲔᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲕᲫᲚᲔᲗ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲚᲝᲪᲕᲐᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲐᲒᲔᲑᲓᲔᲑᲡ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲪᲘᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲠᲯᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲬᲧᲕᲘᲢᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲓᲒᲛᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ.

ᲝᲓᲜᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲕᲔᲞᲐᲠᲝᲡ ᲔᲭᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲕᲣᲗᲮᲠᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ: ᲐᲠᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲛᲔ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑ, ᲐᲛ ᲕᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲕᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲑᲘ, ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲩᲔᲑ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲚᲐ ᲫᲐᲚᲐᲡᲐᲪ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲰᲔᲚ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲪᲐᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲡ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲔᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲬᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲐᲪ ᲓᲐᲕᲔᲪᲔᲛᲘᲗ, ᲘᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲐᲕᲓᲒᲔᲗ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲖᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲙᲔᲜ, ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲛᲓᲔ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲪᲔᲛᲘᲓᲐᲜ ᲨᲘᲛᲓᲒᲝᲛ ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲛᲓᲔ, ᲝᲠᲝᲜᲓᲔ ᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲔᲡ ᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲡ. ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲚᲝᲠᲓᲝᲗ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲔᲥᲔᲑᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲝᲗ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲔᲡᲐ ᲗᲣ ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲮᲐᲢᲘ, ᲐᲠ ᲒᲕᲫᲣᲚᲓᲔᲡ ᲘᲒᲘ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲙᲘ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲑᲡ, ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲮᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ.

✓ **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲯᲓᲘᲐ**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ, ᲰᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲔᲩᲮᲣᲑᲔᲑᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲠ ᲕᲪᲔᲛᲗ, ᲒᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲧᲘᲗᲮᲐᲕᲗ... ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲑᲔᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲡ, ᲰᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲕᲪᲔᲛᲗ, ᲒᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲧᲘᲗᲮᲐᲕᲗ... ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲰᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡ ᲒᲕᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲯᲘ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲗ".

ᲗᲐᲕᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ: „ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲨᲔᲣᲜᲓᲔ ᲐᲛᲐᲗ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲐᲡ ᲘᲥᲛᲐᲜ“. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲕᲔᲣᲜᲓᲝᲗ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲔᲚᲡ, ᲕᲚᲝᲪᲣᲚᲝᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ, ᲐᲞᲐᲢᲘᲝᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲩᲐᲠᲓᲘᲜᲐ.

— ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲔᲚᲡ ᲒᲕᲐᲧᲔᲜᲔᲑᲗ, ᲣᲜᲓᲐ ᲣᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲗ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲡ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲯᲣᲡᲐᲠᲩᲚᲝᲗ?

— ᲠᲝᲪᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲕᲔᲠ ᲣᲒᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲘᲒᲝ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲐᲜᲣ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲝᲒᲕᲗᲮᲝᲕᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲪᲐ. ᲗᲣ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲪᲐ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲗᲝᲜᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲗᲮᲝᲕᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲪᲐ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲗᲝᲜᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲗᲮᲝᲕᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲠᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲡ. ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ, ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲐᲓᲒᲛᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ.

ᲝᲓᲜᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲒ

გაიკვლიეთ გზა ლაბირინთში



გააფერადეთ!

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

მინის ბოთლის გაფორმება

მინის ბოთლი შეიძლება ჩვენი ინტერიერის შესაფერისად გავაფორმოთ. ამისთვის დიდი დრო არ დაგვჭირდება, გასაფორმებლად კი შეიძლება გამოვიყენოთ ფერადი თოკები, ქსოვილის ნაკუწები, სხვადასხვა შეფერილობის და სისქის საქსოვი ძაფები, მაქმანები, მძივები... მოკლედ, რაც სახლში მოგეპოვებათ.

ძირითადი კი ისაა, რომ ბოთლის ზედაპირი კარგად უნდა დაიფაროს.

ამ შემთხვევაში გვჭირდება ორი ფერის თოკი, ერთი კანაფი და მეორე — კაპრონი, წებო, მაკრატელი და მინის ბოთლი ან ქილა.

ბოთლს თავთან წავუსვათ წებო და მასზე თანაბრად, ფრთხილად დავახვიოთ ძაფი, ისე, რომ მინა არ გამოჩნდეს. შემდეგ ისევ წავუსვათ წებო და გავაგრძელოთ დახვევა. ასე ვაგრძელებთ, სანამ ბოთლი მთლიანად არ დაიფარება.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!



✓ ლელა ცუცქირიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

8	5	3	1	2	7	9	6	4
1	9	6	4	8	5	7	2	3
4	7	2	6	9	3	8	1	5
5	3	9	8	6	4	2	7	1
6	4	8	2	7	1	3	5	9
2	1	7	5	3	9	4	8	6
7	6	4	3	1	2	5	9	8
9	8	5	7	4	6	1	3	2
3	2	1	9	5	8	6	4	7

№ 2

2	8	9	5	6	4	1	7	3
3	6	1	7	8	9	2	4	5
5	7	4	2	1	3	6	8	9
7	5	6	1	4	8	3	9	2
4	2	3	6	9	7	8	5	1
9	1	8	3	5	2	4	6	7
6	9	5	8	3	1	7	2	4
8	3	7	4	2	5	9	1	6
1	4	2	9	7	6	5	3	8

მჟავიანობა და ხალხური საშუალებები

ბუჭის ლორწოვანი გარსის ანთების დროს ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად შეგიძლიათ გამოიყენოთ ხალხური მედიცინის მეთოდები. სანამ გასტრიტის მკურნალობას შეუდგებით, აუცილებელია მჟავიანობის დონის განსაზღვრა. მასზე დამოკიდებულია დიეტის შერჩევა და მკურნალობის დანიშვნა.

ჩეცეპტები დაბალი მჟავიანობის გასტრიტის დროს

ჭამამდე 1 ჩაის კოვზი გახეხილი პირშუშხა შაქრით ან თაფლით მიიღეთ.

მრავალძარღვა ყუნწიანად გარეცხეთ, ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ და წვენი გამოწურეთ. მიღებული წვენი წყალში გააზავეთ 1:1, 1-3 წუთი წამოადუღეთ. თითო სუფრის კოვზი დღეში 4-ჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე მიიღეთ.

ცირცელის ქორფა ნაყოფის წვენი გამოწურეთ და ჭამის წინ 1 ჩაის კოვზი მიიღეთ. შეგიძლიათ წვენი შაქრის დახმარებით გამოწუროთ. 1 კგ ცირცელს 600 გრამი შაქარი დაუმატეთ, 4-6 საათი დადგით, შემდეგ 30 წუთი ადუღეთ. 1 სუფრის კოვზი წვენი ჭამის წინ, დღეში 3-4-ჯერ მიიღეთ.

ჩეცეპტები მაღალი მჟავიანობის დროს

გამწვავების თავიდან ასაცილებლად, როგორც პროფილაქტიკურ საშუალებას, ივან-ჩაის იყენებენ. 10 გრამ ფოთლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და 15 წუთი ადუღეთ. დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ 1 სუფრის კოვზი მიიღეთ.

3 სუფრის კოვზ კრაზანის მცენარეს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და 2 საათი დადგით. ჭამამდე, დღეში 3-ჯერ, 1/3 ჭიქა მიიღეთ.

გახსოვდეთ, გასტრიტის გამწვავების დროს რაციონიდან ამოიღეთ შოკოლადი, ალკოჰოლი, გაზიანი სასმელები, სანელებლები, ცხიმიანი და შემწვარი საკვები, ცომეული და სწრაფი კვების პროდუქტები. ექიმების რჩევაა, დღეში 5-6-ჯერ იკვებოთ.

Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

შაკირა დედა გახდა

ხერარდი და შაკირა

2012 წლის 27 დეკემბერს ქვეყანას კიდევ ერთი ვარსკვლავური წყვილის პირმშო მოევლინა. 35 წლის კოლუმბიელ მომღერალ შაკირას და მის 25 წლის ბოიფრენდს, ცნობილ ესპანელ ფეხბურთელ ხერარდ პიკეს, ბიჭი ეყოლათ.

„ჩვენი შვილი დაიბადა და ძალიან ბედნიერები ვართ! ყველას დიდი მადლობა, ვინც ჩვენთან ერთად ნერვიულობდა“, — მიმართა ხერარდ პიკემ თავის სოციალურ ქსელში თაყვანისმცემლებს.

იქვე ფეხბურთელმა განმარტა, რომ ბავშვს ბილი დაარქვეს:

— პრესაში გაუღერდა, თითქოს ჩვენს ბიჭს ულიჩიტოს ვარქმევდით. არა, ეს ჭორია. მას ბილი დავარქვით და დედა-შვილი თავს კარგად გრძნობენ.

ბავშვის დაბადება შეიძლება ამ ვარსკვლავური წყვილისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდეს. როგორც ირწმუნებიან, ისინი მალე ოფიციალურად დაქორწინდებიან.

შაკირას ორსულობა უპრობლემოდ მიმდინარეობდა, არც წონაში მოუმატია მნიშვნელოვნად. ბოლო მომენტამდე ტურნეთი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდა.

ბრედი და ანჯელინა შვილებთან ერთად

ანჯელინა ჯოლიმ საახალწლოდ 12 ძიძა დაიქირავა

ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა შობა-ახალი წლის დღეები კარიბის ზღვის კუნძულებზე გაატარეს. ფეშენებელური ვილა მათ დიზაინერმა დონა კარანიმ დაუთმო. ვარსკვლავურმა წყვილმა 6 შვილის მოსავლელად 12 ძიძა წაიყვანა. გარდა ამისა, ოჯახს დასვენებისას თან ახლდნენ პიტის მშობლები და და-ძმა, თავიანთი სამი შვილით.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, 12 ძიძის წყალობით, წყვილმა სრული რეაბილიტაცია მოახდინა. ისინი მთელ თავისუფალ დროს სპა პროცედურებზე ხარჯავდნენ. როგორც ამბობენ, ამ დასვენების დროს საბოლოოდ შეჯერდა ქორწილის დეტალები.

კეიტ უინსლეტი საახალწლოდ გათხოვდა

კეიტი და ნედი

2013 წელს ჰოლივუდის ვარსკვლავი კეიტ უინსლეტი ახალ ქმართან ერთად შეხვდა. ერთწლიანი ურთიერთობის შემდეგ კეიტმა ბედი კომპანია „ვირჯინის“ დამაარსებლის მემკვიდრეს ნედ როკნროლს დაუკავშირა. ქორწინების ცერემონიალი იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მის შესახებ წყვილის მშობლებმაც კი არაფერი იცოდნენ. 37 წლის კეიტი ცოლად 34 წლის ნედს დეკემბრის ბოლოს გაჰყვა. როგორც ამბობენ, საკურთხეველთან პატარძალი ლეონარდო დიკაპრიომ მიიყვანა.

— ვადასტურებ, რომ კეიტი უკვე ოფიციალურად ნედის ცოლია. საქორწილო ცერემონიალს კეიტის ორი შვილი და წყვილის რამდენიმე მეგობარი ესწრებოდა, — განაცხადა მსახიობის პრესმდივანმა.

სიძე-პატარძალს წარსულში ორ-ორი წარუმატებელი ქორწინება აქვთ. 1998 წელს კეიტი ცოლად რეჟისორის ასისტენტ ჯიმ ტრიპლტონს გაჰყვა. მალე შეეძინა გოგონა მია. 2 წლის შემდეგ ეს ქორწინება გაყრით დასრულდა.

2003 წელს კეიტი რეჟისორ სემ მენდესის ცოლი გახდა. მოკრძალებული საქორწილო ცერემონიალი კარიბის ზღვის კუნძულებზე გაიმართა, რომელსაც წყვილის საერთო სამი მეგობარი ესწრებოდა. მალე ცოლ-ქმარს ბიჭი ჯო შეეძინათ. 7 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ კი ქორწინებას ისევ გაყრა მოჰყვა.

2011 წლის 23 აგვისტოს კეიტმა კუნძულ ნეკერზე სამეგობრო წრეში გაიცნო ნედ როკნროლი, რომლის ნამდვილი სახელია აბელ სმიტი. ურთიერთობის დაწყებიდან რამდენიმე თვეში ნედი თავის მეორე ცოლს, ღამის ცხოვრების ბრიტანელ დედოფალ ელიზა პირსონს დაშორდა. კეიტი და ნედი 2012 წლის დასაწყისიდან თავიანთ ურთიერთობას საზოგადოებისგან აღარ მალავდნენ. „ოქროს გლობუსის“ ცერემონიალზე ისინი უკვე განუყრელ წყვილად ითვლებოდნენ. ქორწინებამდე რამდენიმე თვით ადრე კი ინგლისში XV საუკუნის ციხესიმაგრე შეიძინეს, სადაც 2013 წელს შეხვდნენ.

2012 წლის ყველაზე მომგებიანი ვარსკვლავები

ნატალი პორტმანი

ჟურნალმა „ფორბსმა“ ჰოლივუდის კინოკომპანიებისათვის ყველაზე მომგებიანი და ძვირადღირებული კინოვარსკვლავების სია გამოაქვეყნა. რეიტინგი ბოლო 3 წლის მონაცემების შეჯერებით დადგინდა.

პირველი ადგილი სიაში ნატალი პორტმანმა დაიკავა. აღმოჩნდა, რომ მან ჰონორარის სახით აღებულ 1 დოლარზე 42,7 დოლარი მოგება მოუტანა. ამ ფილმების სიაში შევიდა „შავი გედი“, „უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ სექსი“ და „თქვენო ბრწყინვალებავ“.

შაია ლაბეფი

კრისტენ სტიუარტი

მეორე ადგილზე კრისტენ სტიუარტი გავიდა 1 დოლარზე 40,2 დოლარი მოგებით. მისი კოლეგები ვამპირული საგიდან — რობერტ პატინსონი და ტეილორ ლოტნერი მხოლოდ მეოთხე და მეექვსე ადგილებს დასჯერდნენ. მესამე ადგილი კი შაია ლაბეფმა დაიკავა.

„ყველას ვთხოვ, ჩემს კილოგრამებს ასე საჯაროდ ნუ განიხილავენ!“

თიკა ჯამბურია ახალ სიყვარულს ასაიდუმლოებს

„პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ მეორედ გავთხოვდე“